

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

ადამიანის უფლებათა დაცვა,
პანდემია და სამართლის უზრუნველყობა

სტატიათა კრებული



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

ადამიანის უფლებათა დაცვა,
პანდემია და სამართლის
უზრუნველყობა

სტატიათა პრეპული

თბილისი, 2021

Konstantin Korkelia (ed.)

Protection of Human Rights, Pandemic and Rule of Law

Tbilisi, 2021

This document has been produced as part of a project
"Supporting the criminal justice reforms – tackling criminal
aspects of the judicial reform", co-funded by the European
Union and the Council of Europe. The views expressed herein
can in no way be taken to reflect the official opinion of either
party.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა პროექტის
- „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების
რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის
სისხლისამართლებრივი ასპექტები“ - ფარგლებში,
რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და
ევროპის საბჭოს მიერ. მასში გამოთქმული მოსაზრებები
არ ასახავს არცერთი მხარის ოფიციალურ პოზიციას.

ყდა: დოკუმენტების და პუბლიკაციების წარმოების
დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო
დიზაინი: გიორგი ქინქლაძე

ფოტო: Shutterstock

© Council of Europe, 2021 წლის ნოემბერი

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა.....5

ლევან ალაფიშვილი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა საგანგებო მდგომარეობის დროს სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისთვის.....7

ირაკლი პაპავა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტის ახსნა-განმარტება და გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ: შედარებითი ანალიზი35

თამარ ავალიანი

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან61

რევაზ ხოთერია

განათლების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი COVID-19-ის პანდემიის პირობებში81

გახტანგ ნოღაიძელი, ნანა შამათავა

მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა პანდემიის პირობებში: ლეგიტიმური ღონისძიება თუ უფლებამოსილების ხელოვნური ინსტრუმენტალიზაციის მცდელობა99

გაგა თუთარაშვილი

პანდემიის დროს საქართველოში დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობა119

გიორგი ჯანჯალაშვილი, ივიკო ხავთასი

კონსტიტუციური კონტროლიდაცალკეული საპროცესო უფლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბება129

გია მარკოძე	
თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში.....	155
მარიამ ბალავაძე, დავით ხურციძე	
გამოძიების ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	185
მარიამ ჯიქია	
განათლების უფლების დაცვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით.....	195
ავტორთა შესახებ.....	205

წინასიტყვაობა

თანამედროვე მსოფლიო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რაც პირდაპირ აისახება ადამიანის უფლებათა დაცვაზე. პოლიტიკური არასტაბილურობა, არადემოკრატიული მმართველობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური უთანასწორობა, დემოკრატიული ინსტიტუტების მიუწვდომლობა - ეს მხოლოდ რამდენიმე გარემოებაა, რომლებიც ხელს უშლის ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვას. 2020 წლის დასაწყისიდან მათ დაემატა COVID-19-ის პანდემია, რომელმაც უპრეცედენტო გავლენა მოახდინა პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოზე და, მათ მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, კიდევ უფრო დაამძიმა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა არაერთ ქვეყანაში. პანდემიის გავლენა განსაკუთრებით აისახა სამედიცინო და განათლების სისტემებზე, ეკონომიკასა და შრომის ბაზაზზე.

პანდემიის პერიოდში საქართველომ COVID-19-ის ვირუსის საწინააღმდეგოდ გადადგა არაერთი ნაბიჯი, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვაზე. მრავალი ქვეყანა უკვე იშუშებს პანდემიით მიყენებულ ჭრილობებს, რაც განაპირობა ვაქცინაციის ეფექტიანი მართვის პროცესმა და სწორი ანტიპანდემიური პოლიტიკის წარმოებამ. საქართველოში კი ამ მიმართულებით მდგომარეობა ჭრ კიდევ სავალალოა. ბოლო პერიოდი (2021 წლის აგვისტო-სექტემბერი) გამანადგურებელი შედეგების მომტანი აღმოჩნდა საქართველოსათვის, დაინფიცირებული და გარდაცვლილი ადამიანების დიდი რაოდენობის გამო.

ამიტომ, სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, რომლებიც აქტუალური რჩება საქართველოში, კრებულში თავმოყრილი სტატიების ნაწილი სწორედ პანდემიის გავლენას ეხება. პანდემიის გავლენას ადამიანის უფლებათა დაცვაზე წელს სპეციალური გამოცემაც („ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია“) მიეძღვნა.

ეს კრებული მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა სფეროში როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობას. მასში თავმოყრილია ავტორთა ნაშრომები აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებშიც ისინი გამოთქმამენ საყურადღებო მოსაზრებებს - როგორ უნდა გაუმჯობესდეს საქართველოს კანონმდებლობა და დაიხვეწოს პრაქტიკა.

წინამდებარე პროექტი განხორციელდა ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანადგომით.

საყურადღებოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეს კრებული რიგით მეთხუთმეტეა (დეტალური ინფორმაცია წინა წლებში გამოცემული კრებულების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ კრებულის ბოლო გვერდზე).

კრებულის გამოცემის საქმეში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელი

მადლობა მინდა გადავუხადო ვლადიმერ შკოლნიკოვს, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროს მრჩეველსა და ბესარიონ ბოხაშვილს, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის პროგრამის ოფიციერს. ასევე მინდა გამოვთქვა მადლიერება ნატალია ვუტოვას, ევროპის საბჭოს თბილისის ოფისის ხელმძღვანელის, გიორგი გიორგაძის, პროექტის უფროსი ოფიცირისა და ნინო არდიას, პროექტის ასისტენტის მიმართ. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა, ისე ევროპის საბჭოს თბილისის ოფისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კრებულის გამოცემის საქმეში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, თამარ ზარანდიას და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, ირინე ქურდაძეს კრებულის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის. უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო თამარ გაბელაიას მიმართ, რომელმაც უზრუნველყო სტატიების ენობრივი გამართულობა.

კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის: მოსამართლებისათვის, ადვოკატებისათვის, პროკურორებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მცითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორთა მოსამართები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციების პოზიციებს, რომლებშიც ისინი მოღვაწეობენ.

კონსტანტინე კორკელია
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სამართლის პროფესორი
2021 წლის 17 სექტემბერი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა
საგანგებო მდგომარეობის დროს სამართლიანი
სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისთვის

ლევან ალაფიშვილი

1. შესავალი

თანამედროვე საზოგადოებრიობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ბოლო პერიოდამდე გამოწვევები უმრავლეს შემთხვევაში იყო ხილული და პროგნო-ზირებადი. კოვიდ-19 ვირუსით გამოწვევული პანდემია იქცა უცნობ, უხილავ და არაპროგნოზირებად გამოწვევად არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობისთვის, არამედ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და დემოკრატიული მმართველობისთვისაც. კოვიდპანდემიასა და პანდემიის შედეგად წარმოქმნილ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე რეაგირება მრავალმა სახელმწიფომ საგანგებო მდგომარეობის რეაქტიულობით და მართვით გადაწყვიტა.

საგანგებო მდგომარეობის მიზანი არის ადამიანის უფლებებისა და საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაუშვებელი და ლოგიკას მოკლებულია ადამიანის ძირითადი უფლების ან უფლებათა ნაწილის უზრუნველყოფა სხვა უფლებების გადაჭარბებული და უკონტროლო შეზღუდვით. პანდემიით გამოწვეული ჯანმრთელობის საფრთხეების შემცირება და ადამიანის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე ვერ მიიღწევა სამართლიანი სასამართლოს, ადამიანის თავისუფლებისა თუ სხვა ძირითადი უფლებების გადაჭარბებული და გაუმართლებელი შეზღუდვის ან ადამიანის ძირითადი უფლებების გარეშე დატოვების ხარჯზე.

საგანგებო მდგომარეობისას მთავრობის გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი არის მოქალაქეთა მიერ მთავრობის კონტროლის ძირითადი მექანიზმი. ამ მექანიზმების უარის თქმა დემოკრატიას უქმნის საფრთხეს.

მკაფიო და მკაცრი ჩარჩოს გარეშე პარლამენტის მიერ ნორმათშემოქმედების თუ ძირითად უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირებისას დემოკრატიის საფრთხესთან ერთად შეუძლებელი ხდება მთავრობის მმართველობის კონტროლი როგორც პარლამენტის, ისე სასამართლოს მეშვეობით. გადაჭარბებული, პარლამენტისა და სასამართლოს კონტროლის გარეშე არაარჩევითი აღმასრულებელი ინსტიტუტი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში ავტორიტარიზმის, არადემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის უფლებათა უგულებელყოფისათვის ქმნის ნიადაგს.

საგანგებო მდგომარეობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითად უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირების მდგომარეობის და დემოკრატიული სტანდარტების დაცვის ინტენსიური კონტროლი. ეს კი საპარლამენტო მექანიზმებითა და სასამართლო კონტროლით მიიღწევა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

საგანგებო მდგომარეობის დროს საკომიტეტო თუ ფრაქციების მიერ მთავრობის საქმიანობის განხილვა პოლიტიკური ჯგუფების უფლებამოსილება კი არ არის, არამედ ეს არის ვალდებულება, ვალდებულება, მათი მანდატიდან გამომდინარე იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს არჩევნებზე მათი კუთვნილი ძალაუფლების პოლიტიკური ჯგუფებისთვის დელეგირება.

თუ საგანონმდებლო ორგანო ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირებისას არ დაადგენს მკაფიო ჩარჩოს და კრიტერიუმებს, მაშინ შეუძლებელი გახდება მთავრობის საქმიანობასა და გადაწყვეტილებებზე ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, რადგან პარლამენტს არ ექნება დადგენილი ის კრიტერიუმები თუ პრინციპები, რომლებსაც შეადარებს მთავრობის გადაწყვეტილებას და იმსჯელებს, შეესაბამება თუ არა მთავრობის ეს გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ დადგენილ ჩარჩოს, კრიტერიუმსა თუ პრინციპს. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ საგანგებო მდგომარეობისას პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების ყოველგვარი ჩარჩოსა და კრიტერიუმების დაწესების გარეშე დელეგირებისას საპარლამენტო კონტროლი იქცევა ფიქციად, ხოლო მთავრობა უკონტროლოდ.

საგანგებო მდგომარეობისას პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების ყოველგვარი ჩარჩოსა და კრიტერიუმების დაწესების გარეშე დელეგირება, გარდა საპარლამენტო კონტროლისა, ეფექტური სასამართლო კონტროლსაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. სასამართლო, რომელიც განიხილავს მთავრობის ნორმატიული თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების კანონთან შესაბამისობის ან მთავრობის უფლებამოსილების საკითხებს, ისევე როგორც პარლამენტი, მოკლებული იქნება შესაძლებლობას, მთავრობის აქტები იმსჯელოს და შეადაროს პარლამენტის აქტს და ჩარჩოს თუ კრიტერიუმებს, რითაც მოხდა ძირითადი უფლების შეზღუდვის დელეგირება. მართალია, საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სასამართლოს ინციდენტური კონტროლის ინსტიტუტს, როდესაც სასამართლო უარს იტყვის იმ კანონქვემდებარე აქტის გამოყენებაზე, რომელიც კანონს არ შეესაბამება, მაგრამ თუ კანონით არ იქნება დადგენილი რაიმე ჩარჩო და სასამართლო ვერ შეადარებს გასაჩივრებულ კანონქვემდებარე აქტს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, ინციდენტური კონტროლიც შეუძლებელია. ამდენად, საგანგებო მდგომარეობის დროს ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების მთავრობისთვის შეუზღუდავი დელეგირების შემთხვევაში ეფექტური სასამართლო კონტროლი არსებითად არ იარსებებს.

თანამედროვე დემოკრატიის პირობებში კოვიდპანდემიის გლობალური მასშტაბის საგანგებო მდგომარეობა არ ყოფილა. სახელმწიფოებს არ აქვთ ასეთი ხანგრძლივობის პანდემიის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვით და დემოკრატიული მართვით დაძლევის გამოცდილება. მთავრობები ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე ზრუნვით ხშირად უგულებელყოფენ ადამიანის უფლებებს და შეუზღუდავი ძალაუფლებით განაგრძობენ მმართველობას

დაახლოებით ბოლო ორი წლის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ რთულია კოვიდპანდემიის დასრულების დროის პროგნოზირება, საგანგებო პირობებში ხანგრძლივი დროით ჭარბი, შეუზღუდავი მმართველობა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საფრთხედ შეიძლება იქცეს.

ხელისუფლების დანაწილებისარქიტექტურაშიხელის საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოს პოლიტიკური ინსტიტუტები ქმნის. კოვიდპანდემიის გამო სახელმწიფოებში სოციალური და ეკონომიკური პრობლემები აისახება საგანგებო მდგომარეობის გამო ჭარბი და შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღჭურვილი პოლიტიკური ინსტიტუტების დღის წესრიგსა და გადაწყვეტილებებზეც, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად არის მიმართული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფისკენ. ამდენად, საგანგებო მდგომარეობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაპოლიტიკური, ნეიტრალური და დამოუკიდებელი სასამართლო კონტროლი ადამიანის უფლებებით შეზღუდული მმართველობის უზრუნველყოფაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდპანდემიამ წარმოქმნა ახალი გამოწვევა ადამიანის ძირითადი უფლებებისათვის საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში და სახელმწიფოებს არ ჰქონიათ მანამდე ასეთი გამოწვევის დემოკრატიული მმართველობით მართვის გამოცდილება, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოების გამოცდილების მიმოხილვასა და საქართველოს გამოცდილებასთან შედარებისთვის დისკუსიის ხელშეწყობას. ნაშრომში წარმოდგენილია საგანგებო მდგომარეობის მართვის პირობებში ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები, ყურადღება გამახვილებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობაზე სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფაში.

2. საგანგებო მდგომარეობის არსი, ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულება და კონსტიტუციური წესრიგი

საგანგებო მდგომარეობისა და კონსტიტუციური წესრიგის თანამედროვე გაგება კარგად გადმოსცა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, რომელიც იხილავდა კოვიდ-19 პანდემიისას ნიუ-იორკის შტატში დაწესებულ რელიგიური შეკრების შეზღუდვების კონსტიტუციურობას. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არ ვართ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები და პატივი უნდა ვცეთ სფეროს სპეციალისტების მოსაზრებებს, რომლებსაც ამ სფეროში გამოცდილება და პასუხისმგებლობა აქვთ. მაგრამ, პანდემიის დროსაც კი, არ შეიძლება კონსტიტუციის გვერდზე გადადება და დავიწყება“.¹

¹ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 592 U.S. (2020), Roman Catholic Diocese of Brooklyn, New York v. Andrew M. Cuomo, Governor of New York, Case No. 20A87, 25.11.2020, 5. See: https://www.supremecourt.gov/opinions/20pdf/20a87_4g15.pdf

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ადამიანის უფლებებით შეზღუდული მმართველობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა არის ხაგასმული ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სპეციალურ მოხსენებაში. ამ მოხსენების მიხედვით, „საგანგებო მდგომარეობა განხილულ უნდა იქნეს კანონის უზენაესობის პრინციპის კონტექსტში, რომელიც სამთავრობო დაწესებულებებს ავალდებულებს, იმოქმედონ კანონით დადგენილ ჩარჩოში და მათი გადაწყვეტილებები ექვემდებარეობოდეს დამოუკიდებელ სასამართლო კონტროლს. საგანგებო მდგომარეობისას ინდივიდთა სამართლებრივი უსაფრთხოება გარანტირებული უნდა იყოს. კანონის უზენაესობის პრინციპი გულისხმობს კანონიერების პრინციპს, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, გამოხატვის თავისუფლებას, მმართველობის გამჭვირვალობას და ადამიანის უფლებათა დაცვას.“²

დემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის უფლებებისთვის საგანგებო მდგომარეობა მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელია. მხოლოდ დაბალანსებულ, სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებულ და ადამიანის უფლებებით შეზღუდულ მმართველობას შეუძლია უპასუხოს მოქალაქეებისთვის წარმოშობილ საფრთხეებს და შეინარჩუნოს დემოკრატიული განვითარება. როგორც აღნიშნულია ევროპარლამენტის განცხადებაში, რომელიც კოვიდპანდემიის პირობებში ევროკავშირის სახელმწიფოებში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას ეძღვნება: „ევროპის ისტორია აჩვენებს, რომ საგანგებო მდგომარეობას შეუძლია კანონის უზენაესობასა და ძირითად უფლებებზე დაფუძნებული დემოკრატია აქციოს ტოტალიტარულ, რეპრესიულ და აგრესიულ რეჟიმად“.³

საგანგებო მდგომარეობა და გაზრდილი ძალაუფლება მთავრობებმა კოვიდ-19-თან ბრძოლასთან ერთად პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყანაში, რისი მაგალითიც არის უნგრეთი და ბულგარეთი. თუ სახელმწიფოების ვალდებულება არის მათი მოქალაქეების დაცვა, თანამედროვე საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი მოქალაქეებს სწორედ იმ მთავრობებისგან იცავს, რომლებიც აჭარბებენ და ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას.⁴

საგანგებო მდგომარეობისას საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების საკითხებე საგანგებოდ მიუთითებს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია და აღნიშნავს: „აღმასრულებელი ხელისუფლების შეუზღუდავი უფლებამოსილებები, და იურე ან დე ფაქტო, აბსოლუტური და დიქტატორული სისტემების ცენტრალური

2 Respect for Democracy, Human Rights and the Rule of Law during States of Emergency – reflections (CDL-PI(2020)005rev), European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Strasbourg, 26 May 2020, para. 9. See: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2020\)005rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2020)005rev-e)

3 The Impact of Covid-19 Measures on Democracy, the Rule of Law and Fundamental Rights in the EU, Briefing requested by the LIBE Committee, Monitoring Group on Democracy, Rule of Law, Fundamental Rights of the European Parliament, PE 651.343, 23 April 2020, 2. See: <https://www.europarl.europa.eu/cmsdata/207125/Final%20version%20of%20the%20Briefing%20note.pdf>

4 Emmons C., International Human Rights Law and COVID-19 States of Emergency, VerfBlog, 25/04/2020. See: <https://verfassungsblog.de/international-human-rights-law-and-covid-19-states-of-emergency/>

მახასიათებელია. თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი კი აგებულია ასეთი სისტემების წინააღმდეგ და, შესაბამისად, უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობას.⁵

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დეტალურად არ განსაზღვრავს საგანგებო მდგომარეობის შინაარსს. ადამიანის უფლებათა სამართლის სხვადასხვა საერთაშორისო აქტი საგანგებო მდგომარეობა მოხსენიებულია მხოლოდ როგორც „ერის სიცოცხლისთვის საფრთხე“ ან „ერის არსებობისთვის საფრთხე“⁶. საგანგებო მდგომარეობის შინაარსის შევსება არის სახელმწიფოების სუვერენული უფლება და თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი იცავს ადამიანებს საგანგებო მდგომარეობის დროს გაზრდილი ძალაუფლების მქონე მთავრობების თვითნებობისგან და სავალდებულოდ ადგენს ორ საკითხს: საგანგებო მდგომარეობის შემოღება უნდა მოხდეს ხელისუფლების ცალკე გადაწყვეტილებით, სამართლებრივი აქტით,⁷ და გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისაგან გადახვევის უფლების გამოყენების შესახებ სახელმწიფომ უნდა აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას⁸ და ევროპის საბჭოს.¹⁰

დეროგაციის, იმავე ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან დროებითი გადახვევის, შემთხვევაში, სახელმწიფო მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში იღებს თავისუფლებას, შეზღუდოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტით გათვალისწინებული ყველა უფლება, გარდა:

(ა) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით – სიცოცხლის უფლებისა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის უფლებისა, მონობის აკრძალვისა და სასჯელის მხოლოდ კანონის საფუძველზე დაკვირვებისა;

(ბ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით – სიცოცხლის უფლებისა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის უფლებისა, მონობის აკრძალვისა, თავისუფლების მხოლოდ კანონის საფუძველზე აღკვეთის უფლებისა, დამნაშავედ კანონის საფუძველზე ცნობის უფლებისა, სამართალსუბიექტად ცნობის უფლებისა და აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებისა.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან დროებითი გადახვევის უფლების გამოყენების შესახებ აცნობოს გაეროს და ევროპის საბჭოს.

5 Rule of Law Checklist, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Venice, 11-12 March 2016, 20, para 49. See: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2016\)007-e#](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2016)007-e#)

6 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 23/03/1976, მე-4 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0>

7 ადამიანის უფლებათა და ძრითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4/11/1950, მე-15 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

8 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 23/03/1976, მე-4 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0>

9 იხ. იქვე.

10 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4/11/1950, მე-15 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

საგანგებო მდგომარეობას, შიდასახელმწიფოებრივთან ერთად, საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობაც აქვს, რადგან სახელმწიფოში, სადაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და შეიზღუდა საერთაშორისო სამართლით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები, ეს შეზღუდვები გავლენას ახდენს შემომძები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობაზე, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის მოქალაქის სტატუსს ფლობს იგი. ამასთან, სახელმწიფოში შეზღუდვების დაწესებას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ამ ქვეყნის გარეთ მყოფი ადამიანების უფლებებზე, შეზღუდოთ ამ სახელმწიფოში შესვლის, ყოფნის, გადაადგილებისა და გამოსვლის უფლება, საკუთრების უფლება და სხვ.

საგანგებო მდგომარეობისას ადამიანის უფლებათა საკითხები შეიძლება გახდეს გაეროსა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების მსჯელობის საგანგ. კერძოდ, რამდენად დასაბუთებული იყო ადამიანის უფლების შეზღუდვა და რამდენად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტის მონაწილე სახელმწიფო.

2.1. საქართველოში მოქმედი საგანგებო მდგომარეობა

საქართველოში საგანგებო მდგომარეობა რამდენჯერმე მოქმედებდა. საგანგებო მდგომარეობის ჩეუიმს ჰქონდა მოქმედების განსხვავებული არეალი, ადამიანის უფლებების შეზღუდვის ინტენსივობა და ვადა. ერთ შემთხვევაში, 2006 წელს¹¹ ფრინველის გრიბის გავრცელების პრევენციისთვის მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა გადაადგილებისა და საკუთრების უფლება. ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა და უფლებების შეზღუდვები ვადამდე გაუქმდა. 2007 წელს¹² საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას შეიზღუდა ინფორმაციის გავრცელების, გამოხატვის, შეკრებისა და გაფიცვის უფლებები. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და უფლებების შეზღუდვის თაობაზე დადგენილი წესით ეცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.¹³

განსაკუთრებული შემთხვევაა რუსეთ-საქართველოს ომის დროს 2008 წელს საომარი მდგომარეობის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით შეცვლა და შემდგომ ამ რეუიმის გაგრძელება კანონის მიღებით.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით,¹⁴ გაუქმდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2008 წლის 9 აგვისტოდან მოქმედი საომარი მდგომარეობა¹⁵ და საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების

11 „ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №173 ბრძანებულება, სსმ, 25, 26/02/2006 წ.

12 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №621 ბრძანებულება, სსმ, 155, 07/11/2007 წ.

13 https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-4&chapter=4&clang=_en#EndDec

14 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ვადამდე გაუქმებისა და საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №424 ბრძანებულება, სსმ, 129, 03/09/2008 წ.

15 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 402 ბრძანებულება, სსმ, 114, 09/08/2008 წ.

ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა და მისი მოქმედების ვადაში პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომლის შესაბამისად „ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ კანონის მოქმედების ვადით ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი“.¹⁶

დასახელებული კანონით მისი ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს ცალკეულ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღესაც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი და შეზღუდულია გადაადგილების, საკუთრების და სამეწარმეო საქმიანობის უფლებები. ფორმალური თვალსაზრისით, საკანონმდებლო აქტით დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისი რეჟიმის დადგენა, ეს ხდება მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებით და დეკრეტით. ამასთანავე, ამ კანონში საგანგებო მდგომარეობაზე მითითებაზე უფრო მნიშვნელოვანი არის ამ კანონით შემოღებული ადამიანის უფლებების შეზღუდვა. საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დასაშვებად მიიჩნევს გადაადგილების, საკუთრებისა და მეწარმეობის უფლებების კანონით შეზღუდვას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშეც და საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პირობებშიც.

2.1.1. საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვა

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არ არის ერთი რომელიმე ორგანოს განსაკუთრებული უფლებამოსილება. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს კონსტიტუცია უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას უნაწილებს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პარლამენტს.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესის დაწყების დისკრეციული უფლებამოსილება აქვს პრემიერ-მინისტრს და მას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თანხმობა სჭირდება.¹⁷ პრეზიდენტის უფლებამოსილება არ არის პრემიერ-მინისტრის ინიციატივის მხოლოდ ფორმალური გაფორმება, მას, როგორც სახელმწიფო მეთაურს, აქვს უფლება, შეამოწმოს ინიციატივის ან მისი ცალკეული საკითხის მართებულობა. პრემიერ-მინისტრის ინიციატივა შემდგომ შემოწმებას გაივლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. პრეზიდენტის დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე ძალაში შედის დეკრეტის გამოცემისთანავე, თუმცა, თუ პარლამენტი მას არ დაამტკიცებს, პრეზიდენტის დეკრეტი და მოქმედი საგანგებო მდგომარეობა კარგავს ძალას.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, უფლებების შეზღუდვისა და სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.¹⁸ კანონში საგანგებო მდგომარეობის მიზნად გაცხადებულია ვითარების

¹⁶ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, სსმ, 28, 30/10/2008წ., მე-3 მუხლი.

¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, 71-ე მუხლი.

¹⁸ საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №44, 1997 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/33472?publication=7>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა. კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებები, კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილებები და შეზღუდონ ადამიანის უფლებები.

2.1.2. კოვიდებიდების გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ადამიანის უფლებების შეზღუდვა

საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის №1 ბრძანებით,¹⁹ ხოლო ადამიანის უფლებები შეიზღუდა №1 დეკრეტით.²⁰ დასახელებული აქტების სამართლებრივი საფუძველი იყო საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.

საგანგებო მდგომარეობის შემოღება და ადამიანის უფლებების შეზღუდვა სახელმწიფოსთვის გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს საქართველოს კანონმდებლობით²¹ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით.²² უპირველეს ყოვლისა, ეს არის ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან დროებითი გადახვევის უფლება, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო თავისუფლდება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საერთაშორისო აქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან. საგანგებო მდგომარეობის შემოღებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდვის მეორე პირობა არის მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი შეზღუდვების მიმდინარეობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის წარდგენა.

გასათვალისწინებელია, რომ ე.წ. მშვიდობიანობისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებისაგან გადახვევის უფლებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი არ ითვალისწინებს.

საქართველოს მთავრობას გაეროსა და ევროპის საბჭოში წარდგენილი აქვს შეტყობინებები 2020 წლის 21 მაისს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების²³ შემდეგ, ადამიანის უფლებათა შეზღუდვების (ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან დროებითი გადახვევის) ვადის გაგრძელების თაობაზე. ევროპის საბჭოსთვის წარდგენილი ბოლო შეტყობინების²⁴ მიხედვით, საქართველო ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის

19 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1 ბრძანება, სსმ, 21/03/2021 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0>

20 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთვის დაკავშირებით გასამარებელ ორნიშმიერიათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტი, სსმ, 21/03/2016. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>

21 საქართველოს კონსილუცია, 1995, 71-ე მუხლი, აგრეთვე საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №44, 1997წ, მე-15 მუხლი.

22 საერთაშორისო პაქტის სამოქაანებო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წ., მე-4 მუხლი და ადამიანის უფლებათა და ძირითადი უფლებების შესახებ, 1950 წ., მე-15 მუხლი.

23 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1 ბრძანება, 21/03/2020 წ. იხ.: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0> და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №2 ბრძანება, 21/04/2020 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4853172?publication=0>

24 https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/005/declarations?p_auth=oC00wpD0%3e

ვალდებულებისაგან დროებითი გადახვევის უფლებით სარგებლობს 2021 წლის 1 ივლისამდე და ამ პერიოდში იზღუდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და მე-11 მუხლებით, კონვენციის №1 ოქმის პირველი და მეორე მუხლებით და კონვენციის №4 ოქმის მე-2 მუხლით დაცული უფლებები. ანალოგიური შეტყობინება საქართველოს წარდგენილი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის.²⁵ ამ სახის გადახვევა საკამათოა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ისე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, გადახვევის უფლების გამოყენებამდე სახელმწიფო ვალდებულია, საგანგებო მდგომარეობა გააფორმოს სამართლებრივად.²⁶ ამდენად, სახელმწიფოთა მთავრობებს მხოლოდ ოფიციალურად შემოღებული და მოქმედი საგანგებო მდგომარეობისას დროებით ეძლევათ ჩვეულებრივისაგან განსხვავებული და ჭარბი უფლებამოსილებები, რაც საქართველოს შემთხვევაში დარღვეულია.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისაგან გადახვევისა და შეზღუდვის უფლების საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში გაგრძელებაა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული შემთხვევები, როდესაც შეიძლება შეზღუდოს რამდენიმე კონსტიტუციური უფლება და შეჩერდეს უფლებების დაცვის ფარგლები.

საქართველოში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით²⁷ ძირითადი უფლებების შეზღუდვის გარდა, ასევე ძირითად დაწესდა ისეთი ახალი წესები, რომელიც გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მსჯელობის, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით შეიზღუდა ნებისმიერი შეკრება,²⁸ მათ შორის შეზღუდვა შეეხო რელიგიური ხასიათის შეკრებას და ერთი ადამიანის მანიფესტაციასაც. აღმსარებლობის თავისუფლება, რომელიც მოიცავს რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის უფლებასაც, განკუთვნებასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ უფლებას, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას, საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით. სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას სახელმწიფო ვერ გადაუხვევს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.²⁹ შეკრების თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების გაგრძელებაა და მასთან ერთად უნდა განვიხილოთ. შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობისას ორი ან მეტი პირი

25 https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsrg_no=IV-4&chapter=4&clang=_en#EndDec

26 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 23/03/1976, მე-4 მუხლი, იხ.: პუნქტი 1. <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0>

27 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტი, 21/03/2021 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>

28 იქვე, 1-ლი მუხლი, მე-6 პუნქტი, „შეიზღუდოს ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეურა, გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.“

29 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 23/03/1976, მე-4 მუხლი და მე-18 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

ერთად გამოხატავს საკუთარ აზრსა თუ პოზიციას. ამდენად, შეკრების თავისუფლების სუბიექტი ვერ იქნება ერთი პირი, რომელიც საჯაროდ გამოხატავს მოსაზრებას, პოზიციას თუ პროტესტს. საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული დეკრეტის საფუძველზე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო³⁰ და დეკრეტით დადგენილი 3000 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა ადამიანს, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის წინ ტრანსპარანტით აპროტესტებდა დაწესებულ შეზღუდვებს.³¹

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით დაწესდა ახალი ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი ქმედება, რომლის საფუძველზეც საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში სამართალდამცავმა ორგანოებმა პასუხისმგებლობა დააკისრეს მრავალ მოქალაქეს.

როგორც აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის მე-8 მუხლში:

„ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, დაიცას საგანგებო მდგომარეობის ჩეუიმი. ამ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულისაგანგებო მდგომარეობის რეზიმის დარღვევა გამოიწვევს:

1. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 15 000 ლარის ოდენობით.

2. ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისკება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.“

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.³² საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეზღუდულია. ისინი ამომწურავად არის ჩამოთვლილი საქართველოს კონსტიტუციაში და მათ შორის არ არის მითითებული ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დამდგენი ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება.³³ პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.³⁴ ამდენად, კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების და ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დაწესების

30 ინდივიდუალური პროტესტისთვის 3000 ლარით დაფარიმების კანონიერებას სასამართლო შეამოწმებს, 28/04/2021 წ. იხ.: <https://gdi.ge/ge/news/gdi-im-sasamartlos-mimarta.page>

31 ხელისუფლება პანდემიის მიზეზით გამოცხადებულ საგნერიშო მფომარეობას კვლავ იყენებს კრიტიკული აზრის შესაზღუდად, 21/04/2021 წ. იხ.: <https://gdi.ge/ge/news/ganacxadeba-21-04-2020.page>

32 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, მე-7 მუხლი, 1-ლი პუნქტი, „ბ“ ქვეპარენტი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.

33 იქვე, 52-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

34 იქვე, 36-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

უფლებამოსილებას არ ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტს. ეს არის მხოლოდ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების სფერო. უფლებამოსილების ანალოგიური ჩარჩო არის დადგენილი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონით.³⁵ როგორც საგანგებოდ აღნიშნულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტში: „საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ წებისმიერ საკითხზე, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

ანალოგიური პრობლემა აქვს საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტს სხვადასხვა უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირების საკითხებში. განსაკუთრებით საკამათოა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობისათვის იმ უფლებამოსილების დელეგირება, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ან სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრასთან.³⁶ სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში დავას არ იწვევს, რომ უფლებამოსილების სხვა ორგანოსთვის დელეგირება შეუძლია მხოლოდ ამ უფლებამოსილების მატარებელ, კონსტიტუციით განსაზღვრულ ორგანოს. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილები მკაცრად განსაზღვრული და შემოფარგლულია საქართველოს კონსტიტუციით და ამ უფლებამოსილებათა გაფართოება სხვა ნორმატიული აქტით ვერ მოხდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმების დადგენას და საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებას პარლამენტის განსაკუთრებულ უფლებამოსილებად აცხადებს. როგორც აღნიშნულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში: „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს“.³⁷

პრაქტიკაში დაკვიდრებული ზემოაღნიშნული სტანდარტი გაზიარებულია ქართულ მეცნიერებაშიც. ყველა არსებით საკითხზე გადაწყვეტილების კანონის ფორმით მიღება განსაკუთრებულ უფლებამოსილებად არის განხილული არსებითობის პრინციპის კონტექსტში. ამასთან, კანონშემოქმედების დელეგირების შესაძლებლობა სრულად არის გამორიცხული. როგორც ირაკლი კობახიძე აღნიშნავს: „საქართველოს კონსტიტუცია კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რაც არსებითობის პრინციპის მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფას.“³⁸

35 საქართველოს ორგანულ კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, სსმ, 33, 09/11/2009 ნ. მე-8 მუხლი, მე-10 მუხლი, მე-11 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=33>

36 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტი, 21/03/2021 ნ. მე-9 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუდუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის ნიმუშმდებელი, II-37.

38 კობახიძე ი. კონსტიტუციური სამართლი, თბილისი, 2019, 54-55. საყურადღებოა, რომ ამ მოსაზრების ავტორმა მარი დაუჭრა საქართველოს პრეზიდენტს №1 დეკრეტით გათვალისწინებულ, მისი პოზიციის საწინააღმდეგო პასუხისმგებლობის დეკრეტით (და არა კანონის ფორმით) დადგენასა და კონსტიტუციის საწინააღმდეგო

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

საგანგებო მდგომარეობისას საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება და უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელებს განიხილავთ³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუცხადება.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის, დელეგირებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების საკითხებზე სწორი დასკვნის გამოსატანად მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზიდენტისთვის განსაზღვრული ორი განსხვავებული უფლებამოსილების ანალიზი. ეს უფლებამოსილებებია: (ა) საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების ნაწილის შებღუდვის უფლება; და (ბ) საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში შემავალი ზოგიერთი მუხლის ცალკეული პუნქტების მოქმედების შეჩერება.⁴⁰

საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული შემდეგი უფლებების შებღუდვას: ადამიანის თავისუფლება (მე-13 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლება (მე-14 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მე-15 მუხლი), მედიისა და გამოხატვის თავისუფლება (მე-17 მუხლი), სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება (მე-18 მუხლი), საკუთრების უფლება (მე-19 მუხლი), შეკრების თავისუფლება (21-ე მუხლი), შრომის თავისუფლება (26-ე მუხლი). საქართველოს პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება არ გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტისთვის ახალი ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის და საჯელის ან სასჯელის დაკისრებაზე უფლებამოსილი ინსტიტუტის განსაზღვრას.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული საგანგებო მდგომარეობისას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვისადმი მიძღვნილ დოკუმენტში ევროპის საბჭომ საგანგებოდ მიუთითა, რომ საგანგებო მდგომარეობისას უცვლელი უნდა დარჩეს კანონის უზენაესობის პრინციპი. კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპი არის სახელმწიფოს მართვა კანონის საფუძველზე და ტერმინი „კანონი“ ნიშნავს მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს და გამონაკლის შემთხვევაში, თუ ამის კონსტიტუციური საფუძველი არსებობს, აღმასრულებელი ხელისუფლების დეკრეტებსაც.⁴¹

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ძირითადი უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნორმის მოქმედების შეჩერებას. ეს ნორმები, როგორც წესი, უფლების ფარგლებს, უფლების მხოლოდ კანონით შებღუდვას,

დელეგირებასაც, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცე პრეზიდენტის დეკრეტი.

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე - თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, იხ.: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1910>.

40 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 71-ე მუხლი, მე-4 პუნქტი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.

41 Information document SG/inf(2020)11. RespectingDemocracy, Rule of Law and Human Rights in the Framework of the COVID-19 Sanitary Crisis - A Toolkit for Member States. 7 April 2020, 2.1. See: <https://rm.coe.int/sg-inf-2020-11-respecting-democracy-rule-of-law-and-human-rights-in-th/16809ef40>.

კანონისმიერი დათქმის პრინციპსა და უფლების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლს უკავშირდება და ნიშნავს, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა (მაგ.: საკუთრების უფლება) შეიძლება შეიზღუდოს არა პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, არამედ სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ძირითად უფლებებითან დაკავშირებული ზოგიერთი ნორმის მოქმედების შეჩერების უფლება შემხებლობაშია და არსებითად მოიცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებასაც, სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი ყველა კომპონენტი საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისასაც არ ექვემდებარება შეზღუდვასა და ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილის დაცვის ვალდებულებისაგან დროებით გადახვევას „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“⁴² და საქართველოს კონსტიტუციით.⁴³ არსებითად ეს შეიძლება განიმარტოს, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს შეიძლებაძირითადი უფლების შეზღუდვის მხოლოდ წინასწარისასამართლო კონტროლის კომპონენტის შეჩერება, თუმცა შეუზღუდავი რჩება სამართლიანი სასამართლოს უფლება, მისი შემადგენელი უფლებები: სასამართლოსადმი მიმართვის, უფლების შემზღუდველი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისა და გონივრულ ვადაში განხილვის, საქმის საჯარო განხილვისა და სხდომაში მონაწილეობის, დაცვის, არაბრალეულობის პრეზუმეციისა და კანონის საფუძველზე პასუხისმგებლობის უფლებები. ამდენად, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს მთავრობის გადაწყვეტილებზე ე.წ. ex post სასამართლო კონტროლი უცვლელად მოქმედებს. შეუზღუდავია სამართლიანი სასამართლოს უფლება და დაინტერესებულ სუბიექტებს შეზღუდული უფლების დასაცავად შეუძლიათ სასამართლოსადმი მიმართვა.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში მმართველობის კანონიერებისა და კანონის უზნაესობის პრინციპის დაცვით განხორციელების მნიშვნელობაზესაგანგებოდ მიუთითავრობისაბჭომ. როგორცაღინიშნავრობის საბჭოს საინფორმაციო დოკუმენტში: „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამოცემული აქტები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო სტანდარტებს და საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი უნდა იყოს“. მნიშვნელოვანია, რომ ეკრობის საბჭო საგანგებო ყურადღებას ამახვილებს სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლზე და მიუთითებს, რომ ეფექტური და სწრაფი ex post სასამართლო კონტროლი უნდა უზრუნველყონ საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოებმა.⁴⁴

⁴² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4/11/1950, მე-15 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

⁴³ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 71-ე მუხლი, მე-4 პუნქტი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁴⁴ Information document SG/inf(2020)11. Respecting Democracy, Rule of Law and Human Rights in the Framework of the COVID-19 Sanitary Crisis - A Toolkit for Member States. 7 April 2020, 21., 24., 3.2. See: <https://rm.coe.int/sg-inf-2020-11-respecting-democracy-rule-of-law-and-human-rights-in-th/16809e1f40>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში თუ არ არის შეჩერებული საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული და ძირითადი უფლების მხოლოდ კანონით შეზღუდვის დისკრეცია, კანონისმიერი დათქმის პრინციპი და უფლების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის გარანტია, დაუშვებელია უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ახალი შემზღვდველი წესების დადგენა ან პრეზიდენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების დელეგირება და საკანონმდებლო აქტის ჩანაცვლება, აგრეთვე მოქმედი საკანონმდებლო აქტისაგან განსხვავებული რეგულირების შემოღება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით მოხდა საკანონმდებლო აქტის ჩანაცვლებაც, მოქმედი საკანონმდებლო აქტისაგან განსხვავებული რეგულაციის შემოღება და დელეგირებაც, სადაც საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში

მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი ძირითადი აქტებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი⁴⁵ და საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.⁴⁶

საქართველოს პარლამენტის მთავარი კონსტიტუციური უფლებამოსილება არის საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება და მიღებული კანონების აღსრულებაზე კონტროლი. საკანონმდებლო საქმიანობის ფარგლებში მიღებული კანონებით პარლამენტი ზოგიერთ საკითხს თვითონვე წყვეტს მიღებულ კანონში, ხოლო საკითხების ნაწილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს მთავრობაზე. ორივე შემთხვევაში, მიღებული კანონების აღსრულებაზე კონტროლი არის საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილება.

კანონების აღსრულებაზე და მთავრობის გადაწყვეტილებებზე კონტროლი ხორციელდება პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების, ისევე როგორც საგამოძიებო და დროებითი კომისიებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის მეშვეობით. ამ გზით განხორციელებული საკონტროლო საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი, რაც შეიძლება გამოიხატოს თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით, ახალი კანონის ან ცვლილების ინიციირებითა და მიღებით ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვით.

⁴⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, სსმ, 14/12/2018 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=20>

⁴⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, სსმ, 3, 13/02/2004 წ. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/2062?publication=41>

3.1. უფლებამოსილების დელეგირება და საპარლამენტო კონტროლი

პარლამენტი, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამის გათვალისწინებით, ყველა საკითხის, გარდა კონსტიტუციით სხვა ორგანოსთვის განსაზღვრული კომპეტენციისა, მოწესრიგების გადაწყვეტილების უფლებამოსილება აქვს პარლამენტს. ამ ფარგლებში პარლამენტი საკითხს კანონის მიღებით თავად აწესრიგებს ან კანონის მიღებითვე ახდენს მთავრობაზე ან სხვა საჯარო დაწესებულებაზე დელეგირებას. ამასთანავე, საგანგებო მდგომარეობისას პარლამენტი ინარჩუნებს ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორიცაა მიღებული კანონების აღსრულებისა და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირებისა და საპარლამენტო კონტროლის სტანდარტები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს სტანდარტები ჩამოყალიბდა ე.წ. მშვიდობიანობის პერიოდში, როდესაც სახელმწიფოში არ მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პირობებში ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს ჭრ არ გამოუცხადებია გადაწყვეტილება წარდგენილ სარჩელზე,⁴⁷ თუმცა არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის პირობებში ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების საკითხზე მსჯელობისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების მნიშვნელობას. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილების შეუზღუდავ დელეგირებას პარლამენტის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმად მიიჩნევს.⁴⁸ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის ვალდებულებად ჩათვალა დელეგირებული უფლებამოსილების სამართლებრივი ჩარჩო, რათა ორგანომ, რომელზეც მოხდა უფლებამოსილების დელეგირება, შეძლოს გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ კანონმდებლის ნების ფარგლებში და მის შესაბამისად.⁴⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ საგანგებოდ იმსჯელა ფორმალური და შეუზღუდავი დელეგირების საკითხზე და მხოლოდ ის გარემოება, რომ პარლამენტმა კანონით მოახდინა ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირება, არ არის საკმარისი პარლამენტის ამ გადაწყვეტილების კონსტიტუციურად მიჩნევისთვის. მხოლოდ ფორმალურად, ყოველგვარი ჩარჩოს გარეშე, უფლებამოსილების დელეგირება საქართველოს საკონსტიტუციო

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე - თორნიკე ართემელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისს №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს პარლამენტის წევრთა გაუფი - დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვგვ., სულ 42 დეპუტატი - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-78.

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე - პატარა დიასამიძე, გორგი ჩიტიძე, ედუარდ მარგაშვილი და ლიკა საჭავალის პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-42.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

სასამართლომ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რადგან სახელმწიფოსა და პარლამენტის ვალდებულებაა ადამიანის უფლების არაგონივრული ან არაპროპორციული შეზღუდვის რისკის გამორიცხვა.⁵⁰

ადამიანის უფლებების შეზღუდვის დელეგირებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისტემური მსჯელობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტანდარტი დაადგინა საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ომარ ჭორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომლის შესაბამისადაც: „საქართველოს კონსტიტუციის მიერ პირის ძირითად უფლებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლისთვის მინდობა არ გულისხმობს მისთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას. კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის უზენაესობის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. კონსტიტუციის ძირითადი იდეა ადამიანის უფლებების დაცვაა და, შესაბამისად, შეუძლებელია, იგი ხელისუფლებას ანიჭებდეს უპირობო ან/და აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, რომლებიც ეხება კონსტიტუციით განმტკიცებულ უმთავრეს ღირებულებებს – ადამიანის ძირითად უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მიერ კანონმდებლისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, არ მოხდეს ამა თუ იმ უფლების არაგონივრული, არაპროპორციული შეზღუდვა.“⁵¹

სამართლებრივი ჩარჩოს დადგენით უფლებათა შეზღუდვის დელეგირების პირობებშიც პარლამენტს უნდა ჰქონდეს რეალური და ეფექტური საშუალება, გავლენა მოახდინოს როგორც საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ისე საგანგებო მდგომარეობის გაუქმებაზე.

როგორც ევროპის საბჭო მიუთითებს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტში: „პარლამენტი რეგულარულად უნდა იხილავდეს საგანგებო მდგომარეობის საჭიროებას და უნდა შეეძლოს მისი გაუქმებაც“.⁵²

საქართველოში პარლამენტს ჰქონდა ეს უფლება კანონით, თუმცა კონსტიტუციური ცვლილებების შემდგომ პარლამენტს ეს უფლება აღარ აქვს და პარლამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს მთავრობაზე და ვადამდე გააუქმოს საგანგებო მდგომარეობა.

საქართველოს პარლამენტს 2018 წლის დეკემბრამდე ჰქონდა ევროპის საბჭოს დოკუმენტშიმითითებული უფლებამოსილება. როგორცაღნიშნულიყო „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, „თუ საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ აღარ არსებობს ამ კანონის პირველ მუხლში გათვალისწინებული პირობა, რომელიც საფუძვლად დაედო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას,

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე - ალექსანდრე მინაშვილის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II-42.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ომარ ჭორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-25.

52 Information document SG/inf(2020)11. Respecting Democracy, Rule of Law and Human Rights in the Framework of the COVID-19 Sanitary Crisis - A Toolkit for Member States. 7 April 2020, para. 82. See: <https://rm.coe.int/sg-inf-2020-11-respecting-democracy-rule-of-law-and-human-rights-in-th/16809e1f40>

იღებს კანონს მისი გაუქმების შესახებ⁵³.⁵³ სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის ეს მძლავრი ბერკეტი გაუქმდა 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად საქართველო გადავიდა მმართველობის საპარლამენტო მოდელზე, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების უფლებამოსილების გაუქმებით შემცირდა საგანგებო მდგომარეობის პირობებში მთავრობის საქმიანობაზე კონტროლისა და გავლენის მოხდენის მძლავრი ბერკეტი.

დელეგირებისას საპარლამენტო კონტროლის კონსტიტუციური უფლებამოსილების ეფექტუანად განხორციელებისათვის აუცილებელია დელეგირების ჩარჩოს, პრინციპებისა და კრიტერიუმების კანონითვე განსაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება საპარლამენტო კონტროლი, რადგან მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედარება-შემოწმება რაიმე კრიტერიუმთან შეუძლებელი იქნება. ამასთან, სახეზე იქნება პარლამენტის მიერ კონსტიტუციით მისთვის დაკისრებული ფუნქციის - ვალდებულების სრულად სხვა ორგანოსთვის გადაცემა, რაც წინააღმდეგობაშია კანონიერების, აგრეთვე ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების კონსტიტუციურ პრინციპებთან.

საგანგებო მდგომარეობისას დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოს - პარლამენტის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირებისას მიზნები, შინაარსი და ფარგლები დადგენილი უნდა იყოს თავად პარლამენტის მიერ მიღებული აქტით. სხვაგვარი დელეგირებისას ხარისხობრივი საპარლამენტო ან სასამართლო კონტროლის განხორციელება შეუძლებელი გახდება, რაც დააზიანებს დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს.⁵⁴

3.2. ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლი უფლებამოსილების დელეგირებისას და ძირითადი უფლებების შეგღუდვისას

საგანგებო მდგომარეობისას სასამართლოს მეშვეობით ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მთავრობის გადაწყვეტილებების კონტროლის, აგრეთვე მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებისგან დაცვის საშუალება. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მთავრობის გადაწყვეტილებები სცდება თუ არა ლეგიტიმურობის მიზნებს და დარღვევაზე მოახდინოს რეაგირება.

პარლამენტის შემდგომ სასამართლოსისტემას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საგანგებო მდგომარეობისას მთავრობის გადაწყვეტილებების კონტროლისთვის. დამკვიდრებული დემოკრატიული სტანდარტის შესაბამისად, სასამართლო

53 საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, პარლამენტის უწყებაზე, 44, 11/11/1997 წ., მე-3 მუხლი, მე-3 პუნქტი. (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რეაქცია). [nb.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=5](https://matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=5)

54 Respect for Democracy, Human Rights and the Rule of Law during States of Emergency – Reflections (CDL-PI(2020)005rev), European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Strasbourg, 26 May 2020, para. 65, 68. See: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2020\)005rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2020)005rev-e)

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

კონტროლს ექვემდებარება როგორც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, ისე საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას მიღებული ადამიანის ძირითადი უფლებების შემზღვდველი გადაწყვეტილებები.⁵⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების განმარტებისას დამკვიდრებულ პრაქტიკასა და სტანდარტს დაამატა მნიშვნელოვანი კომპონენტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობის სახით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი ამ სტანდარტის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა, სამართლებრივად შეაფასოს მთავრობის გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც მთავრობისთვის უფლებამოსილების დელეგირება განხორციელებულია რამე ჩარჩოს, სტანდარტის ან კრიტერიუმების დადგენის გარეშე, ანუ მოხდა უფლებამოსილების სრული დელეგირება და ამ აქტის საფუძველზე მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდება სასამართლოს მსჯელობის საგანი. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, „სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს.“⁵⁶

საქართველოს სასამართლოებს მთავრობის გადაწყვეტილებების კონტროლი შეუძლიათ მთავრობის აქტების კანონთან შესაბამისობისა და ინციდენტური კონტროლის გზით. მთავრობის გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობის თაობაზე სასამართლოს მსჯელობის საშუალება აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის⁵⁷ მე-60 მუხლის და 60¹ მუხლის ფარგლებში, ხოლო ინციდენტური კონტროლი - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის⁵⁸ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში, როდესაც სასამართლო უარს ამბობს იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, რომელიც არ შეესაბამება საკანონმდებლო აქტს (კანონს).

ორივე შემთხვევაში, თუ კანონით არ არის დადგენილი მთავრობის უფლებამოსილების ფარგლები და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები, სახეზეა უფლებამოსილების სრული და შეუზღუდავი დელეგირება და საკანონმდებლო უფლებამოსილებაში პარლამენტის ჩანაცვლება მთავრობით. ამასთან, ამ შემთხვევების სასამართლოს არ აქვს მთავრობის გადაწყვეტილების „სამართლებრივი შეფასების საშუალება“, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ციტირებული სამართლიანი

55 იქვე, para. 85, 86.

56 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე - ისრაელის მოქალაქეები - თამაზ განაშვილი, ნანა ჭანაშვილი, ორმა ჭანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გორგო ნაჯაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-1.

57 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სსმ, 32(39), 15/07/1999 ნ., იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=37>

58 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997 ნ., იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=145>

სასამართლოს სტანდარტით.

ყოველივე ბემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პარლამენტის მიერ უფლება-მოსილების მთავრობისათვის დელეგირებისას სავალდებულოა დელეგირების ფარგლების, გადაწყვეტილების მიღების სტანდარტებისა თუ კრიტერიუმების დადგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია დელეგირებული უფლებამო-სილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება, რაც სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, სამართლიანი სასამართლოს უფლებასაც ხელყოფს.

3.2.1. საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკა

კოვიდპანდემიის გავლენით გაჩენილ გამოწვევებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის რეაგირებისა და განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გამოცდილება.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს უკვე აქვს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელშიც არსებითად იმსჯელა საქმის გარემოებებსა და ადამიანის ცალკეული უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე. აშშ-ის უზენაესი სასამართლოსაგან განსხვავებით, ინსტიტუციური სპეციფიკის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ საქმეზე იმსჯელა არსებითად და მიღლო გადაწყვეტილება, სხვებზე კი მხოლოდ მათი დასაშვებობის კუთხით იმსჯელა.

არსებული გამოცდილების	გაცნობისთვის	მნიშვნელოვანია ამ გადაწყვეტილებათა მიმოხილვა.
------------------------------	---------------------	--

კოვიდპანდემიისას ევროპულ სასამართლოში წარდგენილი პირველი სარჩელი, რომელზეც იმსჯელა სასამართლომ და დაუშვებლად ცნო მომზივნის სარჩელი, იყო ლე მაილოს სარჩელი საფრანგეთის წინააღმდეგ.⁵⁹ სასამართლომ არსებითად არ იმსჯელა საქმის გარემოებზე და დაუშვებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოს პოზიტური ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფასაც ითხოვდა მომზივანი, ვერ ხვდება ევროპული კონვენციით დაცულ სფეროში და, ამასთან, მომზივანმა ვერ შეძლო დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა უფლებების დარღვევის დასადასტურებლად. მომზივნის პოზიციით, საფრანგეთის სახელმწიფო ვერ უზრუნველყოდა კოვიდკრიზისის სათანადო მართვას, აგრეთვე ადამიანების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების პოზიტური ვალდებულების შესრულებას და ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (არაპუმანური და დამამცირებელი მოპროცესის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების დარღვევაზე მიუთითებდა.

პირველი საქმე, რომელზეც არსებითად იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, არის ფეილაზო მაღტის

⁵⁹ ლე მაილო საფრანგეთის წინააღმდეგ (Le Mailloux v. France), №18108/20, 2020 წლის 5 ნოემბერი. nb.: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-206611>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

წინააღმდეგ.⁶⁰ მომჩივანი იყო ნიგერიელი მიგრანტი, რომელიც კოვიდზომების საფუძვლით სამიგრაციო დაკავებისას იზოლაციის შემდგომ გადაიყვანეს და შვიდი კვირის განმავლობაში ამყოფეს თავშესაფრის მაძიებელთა კვარტალში არსებულ კოვიდკარანტინში, მაშინ როდესაც მომჩივნის კარანტინში მოთავსების სამედიცინო და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. სასამართლომ მომჩივნის კოვიდ-კარანტინში მოთავსება, როდესაც ამის სამედიცინო და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნა არ არსებობდა, ჩათვალა ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნად და ევროპული კონვენციის მე-3 (არაჰემანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლის დარღვევად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ფენები მაღტის წინააღმდეგ⁶¹ მომჩივნის სარჩელი ნაწილობრივ დასაშვებად ცნო. მომჩივანი 2019 წლის ნოემბრის თვეში დაკავებული იყო მკვლელობაში მცდელობაში მონაწილეობისთვის. კოვიდ-19-ის გავრცელების გამო ხელისუფლებამ გაატარა საგანგებო ღონისძიებები, რამაც შეაჩერა სისხლისსამართლებრივი პროცედურები მთავრობის მიერ შემოღებული ღონისძიებების გაუქმებამდე. სასამართლოებმა დისკრეციის ფარგლებში დაყოვნებით შეძლეს გადაუდებელი და ანალოგიური ხასიათის საქმეებზე სხდომების გამართვა. მომჩივნის საქმეზე სასამართლო პროცედურები განახლდა 3 თვის დაგვიანებით. მომჩივნის რამდენიმე შუამდგომლობა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. მომჩივანი სარჩელში მიუთითებდა მის საქმეზე სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვისა და სამართლიანი სასამართლოს, კერძოდ, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო ფენების სარჩელი იმ საფუძვლით, რომ დაყოვნება გამოწვეული იყო არა ხელისუფლების მიერ დაყოვნებით ან არაჰეროვანი გამოძიებით, არამედ პანდემიის, საგანგებო მდგომარეობის გავლენით. ამდენად, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დასაშვებად ცნო და გააგრძელებს განხილვას ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლის (წამებისა და არაჰემანური მოპყრობის აკრძალვა) ნაწილში და წარმოებაში არ მიიღო ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო) დარღვევის ნაწილში.

საქმეზე ტერჟესი რუმინეთის წინააღმდეგ⁶² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის სარჩელი დაუშვებლად ცნო და გადაადგილების უფლების შეზღუდვა არ მიიჩნია შინაპატიმრობად და ევროპული კონვენციის დარღვევად.

მომჩივანი არჩეული იყო ევროპარლამენტის წევრად 2019 წელს. რუმინეთის მთავრობამ 2020 წლის 24 მარტიდან 14 მაისამდე პერიოდისთვის კოვიდ-19-

60 ფეილაზი მალტის წინააღმდეგ (Feilazoo v. Malta), №96865/19, 2021 წლის 11 მარტი, 92-ე მუხლი. იხ.: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-208447>

61 ფენები მალტის წინააღმდეგ (Fenech v. Malta), №19090/20, 2021 წლის 23 მარტი, 68-ე, 97-ე, 107-ე და 114-ე პუნქტები. იხ.: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-209142>

62 ტერჟესი რუმინეთის წინააღმდეგ (Terheş v. Romania), №49933/20, 2021 წლის 21 მაისი, დასაშვებობის გადაწყვეტილება. იხ.: <http://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-7024603-9478039>

ის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში შემოიღო საცხოვრებელი ადგილის დატოვების შეზღუდვა. მომჩივნის პოზიციით ამ ღონისძიებით მას შეეზღუდა თავისუფლება. ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი და არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაცული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გადაადგილების შეზღუდვა, რომელიც განპირობებულია პანდემიით, არ ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვად. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ვერ წარადგინა არგუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა შეზღუდვების შედეგად მისთვის მიყენებულ უშუალო ზიანს, ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის მოთხოვნა დაუსაბუთებლად და დაუშვებლად ცნო.

3.2.2. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში, რომელმაც ორ თვეს გასტანა, დაწესებული ადამიანის უფლებათა შეზღუდვის თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი, თუმცა გარკვეული შეფასების გაკეთება მაინც შეიძლება. კვლევისთვის მოძიებული საქმეებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ პრაქტიკა არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია. ამ პრაქტიკის ანალიზისა და დასკვნების გამოტანის გარეშე სამართლიანი სასამართლოს უფლებას შეიძლება საფრთხე შეექმნას მომავალში შემოღებული საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში პოლიციის გადაწყვეტილებაზე პირველი დადგენილება მიიღო გორის რაიონულმა სასამართლომ. საგანგებო მდგომარეობისა და საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვების მოქმედების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციელებმა 2020 წლის 17 აპრილს საჯარო სივრცეში (ქალაქ გორში არსებულ ერთ-ერთ სკვერში) შეკრების წესების დარღვევისთვის, კერძოდ, 3-ზე მეტი პირის სოციალური დისტანციის დარღვევით შეკრებისთვის 3000-3000 ლარით დააჯარიმა შვიდი მოქალაქე. შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები გასაჩივრდა გორის რაიონულ სასამართლოში.

გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის დადგენილებით (საქმე №4/298-20),⁶³ საჩივრები დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეშიარსებობს განსხვავებული განმარტებები. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-

⁶³ გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის დადგენილება ინახება ნაშრომის ავტორთან და დანწერებულ პირების შეუძლიათ მისი ასლის მიღება. ავტორთან დაკავშირება შეიძლება ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე: levan.alapishvili@gmail.com

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

დარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლი და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებულებებია.

სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომლის შესაბამისადაც ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებისას პირი არ არის ვალდებული, ამტკიცოს საკუთარი არაბრალეულობა და მტკიცების ტვირთი სრულად ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დადგენილებაში შემდეგი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: „თვით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის აღიარებაც, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მისი სამართალდამტრალევად ცნობისა და პასუხისმგებლობის დასაკისრებლად“. სასამართლოს ეს განმარტება ნიშნავს, რომ საგანგებო მდგომარეობის პირობებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები უცვლელად რჩება ძალაში და სასამართლო ვალდებულია, იხელმძღვანელოს ამ სტანდარტებით.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დადგენილებაში აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული ურთიერთგამომრიცხავი და არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე პირისთვის პასუხისმგებლობა დაუშვებელია.

დასახელებული საფუძვლებით გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დაკარიმებული შვიდი მოქალაქის მიმართ შედგენილი ოქმები ჩათვალა კანონსაწინააღმდეგოდ და ცნო ბათილად. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონულმა სამმართველომ გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის დადგენილება არ გაასაჩივრა, რაც ნიშნავს, რომ გაიზიარა სასამართლოს დადგენილებაში მოყვანილი არგუმენტები.

გორის რაიონული სასამართლოს აღნიშნული დადგენილება არის საქართველოში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული ერთადერთი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოქალაქეთა საჩივარი და ის შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს.

საგანგებო მდგომარეობის დროს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულმა პირმა, 8.შ.-მ, აირჩია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი გასაჩივრების პროცედურა და კერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა საჩივარი მის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამო, ხოლო შემდეგ სამინისტროს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმებე სამართალწარმოება არ დასრულებულა, სასამართლომ მხოლოდ წარმოებაში მიიღო საჩივარი, მაგრამ არც ერთი განხილვის სხდომა არ გამართულა. ეს საქმე იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ იძლევა მსჯელობის საშუალებას როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ისე სასამართლოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

აგენტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანის წესების (მგზავრის მოთავსება მძღოლის გვერდით, წინა მარჯვენა სავარძელზე) დარღვევისთვის 3000 ლარით დაკარიმებულმა მოქალაქე 8.შ.-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა საჩივარი მის მიმართ 2020 წლის 2 აპრილს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №MIA 2 20 02065183 დადგენილებით,⁶⁴ 8.შ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დადგენილებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილებას აფუძნებს მხოლოდ 8.შ.-ს მიმართ 2020 წლის 2 აპრილს შედგენილ, სადაც გამხდარ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და მიანიშნებს, თითქოს 8.შ.-ს აღიარა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ როდესაც. როგორც დადგენილებიდან ირკვევა. 8.შ. საჩივრის განხილვაში არ მონაწილეობდა და არ არსებობს მისი ახსნა-განმარტება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს პოზიცია, რომელიც უპირობოდ დაიცვა გორის რაიონულმა სასამართლომ თავის 2020 წლის 2 ივლისის დადგენილებაში, არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №MIA 2 20 02065183 დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 8.შ.-მ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც საჩივარი 2020 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით (საქმე №4/6629-20)⁶⁵ მიიღო წარმოებაში, თუმცა საქმის განხილვა დაწყებული არ არის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილია სასამართლოში საჩივრის განხილვის შემჭიდროებული ვადები (30 დღე).⁶⁶ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით⁶⁷ და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება,⁶⁸ რომლის ერთ-ერთი კომპონენტია საქმის გონივრულ ვადაში, გაჭიანურების გარეშე, განხილვის უფლება. სასამართლოში საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობისა და ძირითადი უფლებების შეზღუდვის პირობებში ხელისუფლებისა თუ პოლიციის თვითნებობისაგან დაცვის და ადამიანის

⁶⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2020 წლის 2 სექტემბრის დადგენილება ინახება ნაშრომში ავტორთან და დანწერებულ პირებს შეუძლიათ მისი ასლის მიღება. ავტორის ელექტრონული ფოსტის მისამართი იბ. 65-ე სქოლიოში.

⁶⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 22 სექტემბრის დადგენილება ინახება ნაშრომში ავტორთან და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მისი ასლის მიღება. ავტორის ელექტრონული ფოსტის მისამართი იბ. 65-ე სქოლიოში.

⁶⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 15/12/1984, 276-ე მუხლი. იბ.: <https://matsne.gov.ge/document/view/28216>

⁶⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4/11/1950. მე-6 მუხლი. იბ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

⁶⁸ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 31-ე მუხლი. იბ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

უფლებათა უზრუნველყოფისთვის. გ.შ.-ს მიმართ სასამართლოში საქმის გონივრულ ვადაში განხილვისა და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება დარღვეულია.

სამართლიანი სასამართლოს უფლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პრეცედენტია იმავე მოქალაქე გ.შ.-ს სარჩელის განხილვისას თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში გადმოცემული საკამათო მსჯელობა. ამ საქმეზე მოქალაქე გ.შ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის „წინააღმდეგ და მოითხოვა „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და მე-9 მუხლის არარად აღიარება. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის გასაჩივრებული ნორმებით დადგინდა ახალი ადმინისტრაციული ქმედება, სახდელი და მთავრობის უფლებამოსილება, განესაზღვრა საქმის განხილვის პროცედურები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

მოსარჩელის პოზიციით, ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოცხადება, სასჯელის დადგენა, განხილვის პროცედურების დადგენა და საქმის განხილვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად არის მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტს არ შეეძლო ახალი ადმინისტრაციულად დასჯადი ქმედებისა და სანქციის დადგენა. მას ასევე არ შეეძლო უფლებამოსილი პირებისა და საქმის განხილვის პროცედურების დადგენის საქართველოს მთავრობისთვის დელეგირება. არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის⁶⁹ შესაბამისად, გამოცემისთანავე ითვლება არარა აქტად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 11 მაისის განჩინებით (საქმე №3/2879-20)⁷⁰ უარი თქვა გ.შ.-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო და საომარი მდგომარეობის მდგომარეობის გამოცხადებასა და დეკრეტით ძირითადი უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე.⁷¹ იმის გამო, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ ნორმატიულ აქტზე (პრეზიდენტის დეკრეტზე) არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, თბილისის

69 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

70 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 მაისის განჩინება ნაშრომის ავტორთან და დანიტერესებულ პირებს შეუძლიათ მისი ასლის მიღება. ავტორის ელექტრონული ფოსტის მისამართი იხ. 65-ე სქელითიში.

71 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სსმ, 32(39), 15/07/1999, მიღებულია 25/06/1999, მე-3 მუხლი, მე-4 აუნქტი, „ე“ ქვეპუნქტი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=37>

საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმე არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას. განჩინებაში სასამართლო იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სასამართლოსადმი მიმართვის სტანდარტებს და მიანიშნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის გასაჩივრებული დეკრეტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. ამ საკამათო არგუმენტაციით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2020 წლის 11 მაისის განჩინებით მოსარჩელე გ.შ.-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი განაცხადა.

ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, არ ნიშნავს, რომ ამ დეკრეტის კანონთან შესაბამისობასა თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების თაობაზე საერთო სასამართლოებში საქმისწარმოება არ შეიძლება. საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას სამართლებრივი საფუძვლების სწორად შერჩევა არის სასამართლოს ვალდებულება.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად: „თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად, განცეკუთვნება სხვა სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებასა ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისთვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს.“ ამავე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად კი: „ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) ზემდგომი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – შესაბამისი სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.“

როგორც გამოჩნდა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის ციტირებული ნორმები გამონაკლისის გარეშე ვრცელდება საქართველოს ყველა ნორმატიულ აქტზე, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტზე. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებასა და დეკრეტზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და შესაძლებლობა არის ორგანული კანონით გარანტირებული უფლება.

სახელმწიფო დაწესებულებების უფლებამოსილებისა და ნორმატიული აქტის თაობაზე დავის წარმოება შეიძლება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ისე საერთო სასამართლოებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას,

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა

ხელოვანობან შესაბამისობას განიხილავენ საერთო სასამართლოები. ამასთან, კონსტიტუციური თუ კანონისმიერი უფლებამოსილების საკითხებზე მსჯელობა არის როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე საერთო სასამართლოების კომპეტენცია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ჰქონდა საკმარისი სასამართლებრივი საფუძველი, წარმოებაში მიეღო და განხენილა გ.შ.-ს სარჩელი. სასამართლოს შეეძლო, საქმის განხილვის შედეგად თუ ჩათვლიდა, რომ უნდა გამოეყენებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და არა „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის ნორმები, უარი ეთქვა გ.შ.-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ იყო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას მიღებული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ადამიანის უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი ორი სარჩელი წარმოებაში მიიღო და ერთ საქმედ გააერთიანა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა. ერთ-ერთი მოსარჩელის სარჩელით⁷² იგი საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების იმ ნორმების კონსტიტუციურობას ასაჩივრებდა, რომლებიც აწესდს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და სანქციას, აგრეთვე განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისაგან და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილისაგან განსხვავებულ ადმინისტრაციული წარმოების წესების დადგენის უფლებამოსილების მთავრობისთვის დელეგირებას. კონსტიტუციური სარჩელის ავტორი გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და 31-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 20 მაისის განჩინებით,⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებაში მიიღო გ. შერმაზანაშვილის კონსტიტუციური სარჩელი და საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სხვა კონსტიტუციურ სარჩელთან გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო.⁷⁴

გაერთიანებული საქმე განიხილეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 8-11 და 30 ივნისს გამართულ სხდომებზე. საქართველოსა კონსტიტუციონალური სასამართლოს ამსაქმეზეგადაწყვეტილება 10 თვის შემდეგ, საგანგებო მდგომარეობისა და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის

72 ზაური შერმაზანაშვილის №1502 კონსტიტუციური სარჩელი, იბ.: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9169&scrollheight=0>

73 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/6/1502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე - ზურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იბ.: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9189&scrollheight=5173>

74 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე - თორმენ ართქმდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, იბ.: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9190&scrollheight=8449>

მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც არ გამოუცხადებია, მაშინ როდესაც საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას ადამიანის შეზღუდული უფლებების შეზღუდვაზე სწრაფ და ეფექტურ კონსტიტუციურ კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არსებობს საფუძველი მტკიცებისთვის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადების დაყოვნებით ირღვევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით⁷⁵ და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სწრაფი მართლმსაჯულების, იგივე საქმის გონივრულ ვადაში განხილვის, უფლება.⁷⁶

4. დასკვნა

კოვიდპანდემია არის გამოწვევა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მთელ მსოფლიოში. მან მწვავედ წარმოაჩინა საგანგებო მდგომარეობის, მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ახლებურად გააზრებისა და მოწესრიგების საჭიროება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საგანგებო მდგომარეობა არ ნიშნავს დემოკრატიის შეხერებას. საგანგებო მდგომარეობა არის მცირე დროით, პარლამენტისა და სასამართლო კონტროლით აღმასრულებებილი ხელისუფლებისთვის მინიჭებული პრივილეგია - სახელმწიფო მართოს გაზრდილი ძალაუფლებით იმისათვის, რომ უზრუნველყოს საზოგადოების სტაბილური განვითარება და ცხოვრების ჩვეულ კალაპოტში დაბრუნება.

არსებული გამოწვევებისა და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია, საქართველოში საკანონმდებლო აქტით მოხდეს დეკლარირება იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში მთავრობისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირებისას საგალდებულოა ჩარჩოს, პრინციპებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დელეგირების აქტი იქნება ანტიკონსტიტუციური და იურიდიული ძალის არმქონე.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში სამართლიანი სასამართლოს უფლების და მთავრობის გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომლებითაც დადგინდება საგანგებო მდგომარეობისას ადმინისტრაციული და სასამართლო განხილვის შემჭიდროვებული ვადები, რომელთა დაუცველობის შემთხვევაში გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმი, აგრეთვე სხვა ორგანოს გადაწყვეტილება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

⁷⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4/11/1950, მე-6 მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

⁷⁶ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 31-ე მუხლი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა- განმარტება და გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმართულების სასამართლოს მიერ: შედარებითი ანალიზი

ირაკლი პაპავა

1. შესავალი

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ევროპის საბჭოს ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სისტემა ჩამოყალიბდა. ამ სისტემის მთავარი ორგანო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა (შემდეგში - „ევროპული სასამართლო“, „სტრასბურგის სასამართლო“, „ECtHR“), რომლის საქმიანობაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდეგში - „კონვენცია“, „ევროპული კონვენცია“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“) და მისი ოქმების საფუძვლზე ხორციელდება.

2000 წელს ევროპის კავშირის (შემდეგში - ასევე „ეკ“, „ევროკავშირი“, „კავშირი“) ძირითადი უფლებების ქარტიის (შემდეგში - „ქარტია“) მიღების მომენტიდან, შეიძლება საუბარი ევროკავშირის სამართალში ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის საკუთარი მექანიზმის განვითარების შესახებაც. ამ დოკუმენტის მთავარი სპეციფიკა ისაა, რომ იგი მიზნად ისახავს პიროვნების დაცვას არა (ან არა მარტო) სახელმწიფოსა და მისი ორგანოებისგან, არამედ ასევე სუპრანაციონალური ორგანიზაციისა და მისი ინსტიტუტებისგან; ანუ, ძირითადი უფლებების წინანდელი (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო) ქარტიებისგან განსხვავებით, რომელთა მიღებაც, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისაგან ადამიანის დაცვის მიზნით ხდებოდა, ეკ-ის ქარტია მიმართულია იმავე უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, ოღონდ სხვა პოტენციური დამრღვევისგან - თვით ევროპის კავშირის გენაციონალური ორგანოებისგან.¹

როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი უფლებების ქარტიის დებულებები ბევრ რამეში იმეორებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებულ დებულებებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, ეს სამოქალაქო, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს ეხება. ქარტიის „განმარტებების“ თანახმად, მისი 12 მუხლი იმეორებს

1 იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 65-66.

ადამიანის უფლებათა ეპროცესი კონვენციის გამოყენება

ევროპული კონვენციის შესაბამის მუხლებს, ხოლო 7 მუხლი კი, მართალია, შესაბამება კონვენციის მუხლებს, მაგრამ, ამ უკანასკნელთან შედარებით, მათ გამოყენების უფრო ფართო სფერო აქვთ.²

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 52(3)-ე მუხლის თანახმად, ქარტიის იმ უფლებების მნიშვნელობა და ფარგლები, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შეესაბამება, ანალოგიურია იმისა, რაც მათ აღნიშნული კონვენციით აქვთ მინიჭებული. ამასთან, ეს დებულება არ ქმნის დაბრკოლებას საიმისოდ, რომ კავშირის სამართლით ამ უფლებათა უფრო ფართო დაცვა იქნეს უზრუნველყოფილი.³

და მართლაც, ქარტია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებით ევროპული კონვენციის უმეტეს დებულებებს იმეორებს, პარალელურ რეჟიმში, მნიშვნელოვნად აფართოებს მათი გამოყენების სფეროს ეკ-ის სამართლის ფარგლებში, აგრეთვე მათ ახალ დებულებათა მთელი რიგით ავსებს.

თავიდანვეუნდააღინიშნოს, რომამორიევროპულიდოკუმენტისთანაფარდობის განხილვა შეეძლებელია ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა (2009 წლის 1 დეკემბრამდე – ევროპის გაერთიანებების სასამართლო, შემდეგში – ასევე „ლუქსემბურგის სასამართლო“) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მათი ახსნა-განმარტებისა და გამოყენებისგან განყენებულად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოთა პოზიციების, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის თანაფარდობის საკითხთა განხილვას, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სასამართლო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენების კონტექსტში. ეს საკითხები განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების ვალდებულებისა და ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების⁴ საფუძველზე, ძირითადი უფლებების ქარტიისთვის კავშირის

2 იბ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამრთალი და მსოფლიო, 13, 2019, 86; სევე Explanations Relating to the Charter of Fundamental Rights. Official Journal of the European Union, C 303, 14.12.2007, 17-35. ადამიანიშნავია, რომ „განმარტებები ძირითადი უფლებების ქარტიისან დაკავშირებით“, სევე, როგორც თავად ქარტია, 2000 წელს იქნა მომზადებული საეცალური დაფუძნებელი კრების (კონვენციის) ფარგლებში. მოგვინდებოთ „განმარტებების“ რედაქციის განსაკუთრებული ინა და, ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების მიზგომის თანახმად, მას თვიციალური ინტერპრეტაციის დოკუმენტის სტატუსი მიენიჭა: შესაბამსად, სწორედ მის მხედვით უნდა წარიჩართოს ქარტიის ახსნა-განმარტების პროცესი და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კავშირისა და წევრი ქვეყნების სასამართლოების მიერ. ეს პრიციპი განმდინარებულია როგორც ქარტიით (იბ. პრემიუმა, სევე მუ. 52, პუ. 7), ისე ე-ის დამფუძნებელი დოკუმენტებით (იბ. ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, მუ. 6, პუ. 1, ბოლო აზაც).

3 იბ. Charter of Fundamental Rights of the European Union. Official Journal of the European Union, C 326, 26.10.2012, 391-407. ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის სული ტექსტის არაოფიციალური ქართულენოვანი თარგმანის სანახავად იბ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 280-287.

4 სრული სახელმოდება: „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე“, მოკლე კი – „ლისაბონის ხელშეკრულება“. არაოფიციალურად (სამეცნიერო ლოტერატურასა და მასშემდინარეობის საშუალებებში) მას ხშირად უწოდებენ „ხელშეკრულებას რეფორმის შესახებ“; ხელმოწერილი იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მის საფუძვლებო ეკ-ის სამართლებრივი საწყისის ძირული რეფორმა განხორციელდა. მისი თვიციალური ხელშეკრულების სანახავად იბ. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the

დამფუძნებელი დოკუმენტების ანალოგიური იურიდიული ძალის მინიჭების ფონზე. შესაბამისად, იმისათვის, რათა დადგინდეს ორივე ევროპული სასამართლოს პოზიციათა თანაფარდობისა და ურთიერთქმედების ხასიათი და ძირითადი ტენდენციები, - როგორც ლისაბონის ხელშეკრულებამდე, ისე მისი შემდგომი პერიოდისთვის, - სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებისას იგი კონვენციის დებულებებსა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას მიმართავს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის დებულებებზე პირდაპირ მითითებებს შეიცავს.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ახსნა-განმარტება და გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 32-ე მუხლი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ანიჭებს კონვენციის ახსნა-განმარტებისა და გამოყენების კომპეტენციას. კერძოდ, მისი პირველი პუნქტი ადგენს, რომ „სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე, 46-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად“⁵, ანუ ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური საჩივრების მიღების, ე.წ. „სახელმწიფოთაშორისი საქმეების“ განხილვის, საქმეში მესამე მხარის მონაწილეობის ან საკონსულტაციო დასკვნების გაცემის შემთხვევებში.

ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით, ევროპული სახელმწიფოები კონვენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.⁶ მას შემდეგ, რაც ქვეყანა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შეუერთდება და მისთვის ძალაში შევა, იგი ამ კონკრეტული სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების შინაარსისა და ფარგლების განმსაზღვრელი ერთგვარი „პარალელური კონსტიტუცია“ ხდება.⁷ ამავე კონტექსტში საგულისხმოა ასევე, რომ სტრასბურგის სასამართლო კონვენციას „ევროპული საკარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“ აღიარებს.⁸

Treaty establishing the European Community. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN>> [29/05/2021].

5 იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. <https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf> [29/05/2021].

6 იხ. კონვენცია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007, 7.

7 იხ. R. Uerpmann, *Völkerrechtliche Nebenverfassungen*, in: Armin von Bogdandy (Hrsg.), *Europäisches Verfassungsrecht*, Berlin, 2003, 339.

8 იხ., მაგალითად, ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (*Loizidou v Turkey*), 1995 წლის 23 მარტი, 75-ე პუნქტი; „ბოსფორის ერვენის“ ირლანდიის წინააღმდეგ (*Bosphorus Airways (Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi) v. Ireland*), 2005 წლის 30 ივნისი, 156-ე პუნქტი; აგიმ ბეჰრამი და ბეჰრამ საფრანგეთის წინააღმდეგ და რუსეთისაფარმატი საფრანგეთის, გერმანიისა და ბორჯვეთის აგიმ ბეჰრამი და ბეჰრამ საფრანგეთის წინააღმდეგ (*Agim Behrami & Bekir Behrami v. France and Ruzhdi Saramati v. France, Germany & Norway*), 2007 წლის 2 მაისი, 145-ე პუნქტი.

ის, რომ კონვენცია, მართლაც, გამორჩეული და უპრეცედენტოა, ამას რამდენიმე საკვანძო გარემოება განაპირობებს:

(1) მან ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ადამიანის უფლებებზე ზოგადი იდეალების ტრანსფორმირება კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაში;

(2) კონვენცია ხელშემკვრელ ქვეყნებს აკისრებს იურიდიულ ვალდებულებას, თავიანთ იურისდიქციათა ფარგლებში უზრუნველყონ მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება;

(3) სხვა ანალოგიური საერთაშორისო აქტებისგან განსხვავებით, ევროპულკონვენციასაქვსადამიანისუფლებებისადათავისუფლებების დაცვის მექანიზმი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით, რომელიც მოწოდებულია, განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიძართებით;

(4) კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ სამართლებრივ ვალდებულებას, აღასრულონ ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

როგორც ცნობილია, ევროპული კონვენციის ნორმები კონკრეტული შინაარსით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარჯე ივსება; შესაბამისად, კონვენციის გამოყენება ამ გადაწყვეტილებების გათვალისწინებისგარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. პრინციპში, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართალშეფარდებით პრაქტიკაში უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე, საკუთრივ, კონვენცია. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (რომელიც თითქმის 70 წელია, გამოიყენება) და მის ტექსტს შეუძლებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის პქნონდეს ბუსტი (მკაფიო) პასუხები ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე. სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში მომხდარ ცვლილებებთან ადაპტირებისა და ყველა ახალ წამოჭრილ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას სტორედ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტული სამართლი იძლევა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პრეცედენტული მნიშვნელობის საკითხი უშუალოდ კონვენციაში ასახული არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ, თუ მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ყველასთვის უზრუნველყონ კონვენციის |კარშიგანსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები,¹⁰ ისინი ასევე თანაბრად ვალდებული არიან, უზრუნველყონ კონვენციის ერთგვაროვანი გამოყენება იმ ინტერპრეტაციის შესაბამისად, რომელსაც მას ECtHR აძლევს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის ერთადერთი სასამართლო ორგანო, რომელიც კონვენციის

⁹ იბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2004, 5.

¹⁰ იბ. მესონ 1, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

ახსნა-განმარტებითა და გამოყენებითაა დაკავებული.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის დებულებებზე ლუქსემბურგის სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებამდე, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო (2009 წლის 1 დეკემბრამდე – ევროპის გაერთიანებების სასამართლო) ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას მის მიერვე შექმნილი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით წყვეტდა, ვინაიდან ევროკავშირს ადამიანის უფლებათა საკუთარი „კატალოგი“ არ გააჩნდა. ამასთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებისას ევროპის გაერთიანებების სასამართლო, უფრო ზუსტად კი, მისი უმაღლესი რგოლი – ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (შემდეგში – ასევე „ECJ“) ხშირად ეყრდნობოდა კონვენციის ნორმებს და ამ ნორმების სტრასბურგის სასამართლოსეულ ახსნა-განმარტებას. აღსანიშნავია, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ პირველად 1975 წელს Rutili-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა ევროპულ კონვენციაზე, როგორც „ძირითად საწყისებზე, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს გაერთიანებების სამართლის ფარგლებში“.¹¹ ეს, დიდწილად, იმით იყო განპირობებული, რომ ეკ-ის იმჟამინდელი წევრი სახელმწიფო ორგანიზაციის საფრანგეთი გახდა, პრაქტიკულად, ბოლო ქვეყანა, რომელიც მხოლოდ 1974 წელს შეუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ამგვარად, კონვენცია კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო ინსტრუმენტად იქცა. ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლის მინიჭებაც ლუქსემბურგის სასამართლომ დაიწყო ევროპული კონვენციისთვის, მისი პრაგმატიული მიღვიმით შეიძლება აიხსნას. ევროკავშირის დონეზე ადამიანის უფლებათა საკუთარი კატალოგის არარსებობის პირობებში, კონვენცია, რომელიც ევროპულ სტანდარტთა ერთგვარი კრებულია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა სფეროში, ECJ-ს ხელში უაღრესად ხელსაყრელი ინსტრუმენტი აღმოჩნდა ასეთ სიტუაციაში „დასასახელლად“ და გამოსაყენებლად.¹² ამ მომენტიდან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მსგავსი მითითებები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის რუტინულ პრაქტიკად აქცია. საგულისხმოა, რომ მარტო 1975 წლიდან 1998 წლამდე დროის პერიოდში ლუქსემბურგის სასამართლომ თავის 70-80 მეტ გადაწყვეტილებაში მოახდინა კონვენციის ციფირება,¹³ 1998-2005 წლებში კი კონვენცია მის გადაწყვეტილებებში იმაზე 7,5-ჯერ უფრო ხშირად იყო მოხსენიებული, ვიდრე ადამიანის უფლებათა ყველა სხვა ინსტრუმენტი (ერთად აღებული), რომლებსაც იგი ეყრდნობოდა, საკუთრივ, ქარტიის ჩათვლით.¹⁴

11 იხ. როლანდ რუტილი შინაგან საქმეთა მინისტრის ნინააღმდევ (Roland Rutili v Ministre de l'intérieur), 1975 წლის 28 ოქტომბერი, 32-ე პუნქტი. პერძოდ, ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირდაპირ მიეთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებსა და კონვენციის N4 ოქმის მე-2 მუხლები (იხ. იქვე, 32-ე პუნქტი).

12 იხ. A. C. Исполинов, *Поиск баланса между свободами внутреннего рынка и правами человека в судебной практике ЕС, Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения*, 6, 2012, 40.

13 იხ. S. Douglas-Scott, *A tale of two courts: Luxembourg, Strasbourg and the growing European human rights acquis*, Common Market Law Review, Vol. 34, 2006, 645.

14 იხ. L. Scheeck, *Competition, Conflict and Cooperation between European Courts and the Diplomacy of Supranational Judicial Networks*, Garnet Working Paper 23/07 (2007), 12. <<https://warwick.ac.uk/fac/soc/pais/research/researchcentres/csgr/>

ადამიანის უფლებათა ეპროცესი კონვენციის გამოყენება

შესაბამისად, ზოგიერთი ავტორი დროის ამ (2009 წლამდე) მონაკვეთს ორი ევროპული სასამართლოს „თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების ოქროს წლებად“ შეიჩნევს.¹⁵

ნიშანდობლივია, რომ ზოგჯერ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ისეთი საკითხების გადაწყვეტაც უწევდა, რომლებთან მიმართებითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კერ კიდევ არ არსებობდა. ასეთ შემთხვევებში იგი დამოუკიდებლად ახდენდა კონვენციის ნორმების ინტერპრეტაციას. ამასთან, მის მიერ ადამიანის უფლებათა ცალკეულ საკითხებზე გამოთქმული პირიცია, არცთუ იშვიათად, არ ემთხვეოდა სტრასბურგის სასამართლოს თვალსაზრისს.

პირველად ასეთი სიტუაცია 1980 წელს შეიქმნა. საქმეზე - „ნეიშენალ პანასონიკ (UK) ლიმიტედი“ კომისიის წინააღმდეგ (National Panasonic (UK) Limited v. Commission) ECJ-ს მუხწია, პასუხი გაეცა კითხვისთვის, დაირღვა თუ არა კომისიის მხრიდან კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას და რომ დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, განსაზღვრული შემთხვევების გარდა. კომისია დაეყრდნო კომპანია „National Panasonic (UK) Limited“-ის ზოგიერთი დოკუმენტის დაკარგვის შესაძლებლობას და ამ უკანასკნელის შენობაში ჩხრევა ჩატარა შესაბამისი ნებართვის მიღებისა და კომპანიის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მოცემული იქნებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განმარტება იმ კონტექსტში, ვრცელდება თუ არა მისი დებულებები იურიდიული პირების (როგორც ასეთის) მიმართ, არ არსებობდა; შესაბამისად, ლუქსემბურგის სასამართლომაც დამოუკიდებლად განმარტა კონვენციის მე-8 მუხლი და დაადასტურა კომპანიის ოფისებში ჩხრევის ჩატარების თაობაზე კომისიის უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი, რომ აუცილებელი დოკუმენტი შეიძლება დაიკარგოს;¹⁶ ამასთან, სასამართლო დაეყრდნო იმავე მე-8 მუხლში განმტკიცებულ „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“ კრიტერიუმს.¹⁷

1989 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხე საპირისპირო პირზე გამოხატა საქმეში - ჩაპელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chappell v. United Kingdom). განმცხადებელმა სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა სარჩელი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე, იმის გამო,

garnet/workingpapers/2307.pdf> [29/05/2021]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლუქსემბურგის სასამართლო ძირითადი უფლებების ქარტის პირველად (სრცთუ მცოდნინი ყოფილი შემზებელი) მიღოლოდ 2006 წელს დაეყრდნო საქმეზე - პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ (Parliament v. Council) მიღებულ გადაწყვეტილებაში (იხ. პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ (Parliament v. Council), 2006 წლის 27 ივნისი). ეს იმით იყო განპირობებული, რომ ქარტია თავიდან (2000 წლის დეკემბერში) პოლიტიკური დეკლარაციის რაგში იქნა მიღებული, როგორც იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტი; სავალდებულო ძალა მან მოგვიანებით, 2009 წლის 1 დეკემბრიდან (ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან) მოიპოვა.

15 იხ. P. Eeckhout, *Opinion 2/13 on EU Accession to the ECHR and Judicial Dialogue: Autonomy or Autarky? Fordham International Law Journal, Vol. 38, N4, 2015, 990.*

16 იხ. „ნეიშენალ პანასონიკ (UK) ლიმიტედი“ ევროპის გაერთიანებების კომისიის წინააღმდეგ (National Panasonic (UK) Limited v. Commission of the European Communities), 1980 წლის 26 ივნისი.

17 იხ. იქვე, შე-19 პუნქტი.

რომ ვიდეოფირების გაქირავების კლუბის შენობაში, სადაც იგი მუშაობდა, ჩატარდა ჩხრეკა საავტორო უფლებების დარღვევის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტი დაადგინა და მიუთითა, რომ ჩხრეკის კავშირი კომპანიის ბიზნესსაქმიანობასთან არაა კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც პირი პროფესიულ საქმიანობას შეიძლება ახორციელებდეს საკუთარ სახლში ყოფნის დროსაც, ასევე ოფისში ან სამსახურებრივ შენობაში მყოფი ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიცარაა დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან. ECtHR-მა აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების“ და „საცხოვრებლის“ ცნებების განმარტება, როგორც გარკვეული პროფესიული და ბიზნესსაქმიანობის ან სამსახურებრივი შენობების მომცველისა, უფრო მეტად თანხვედრაშია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის საგანსა და მიზანთან, კერძოდ, ამ სფეროებში ხელისუფლების ჩარევისგან ცალკეულ პირთა დაცვასთან.¹⁸

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე კვლავ დადგა კონვენციის მე-8 მუხლის ახსნა-განმარტების საკითხი Hoechst-ის საქმის განხილვისას. კომპანია „Hoechst“ ეჭვმიტანილ იქნა პოლიეთილენის პროდუქციის მიწოდების ფასების დადგენის თაობაზე არალეგალური შეთანხმებების გაფორმებაში. ამასთან დაკავშირებით კომისიამ ჩხრეკები ჩაატარა კომპანიის სამ ოფისში. განმცხადებელმა ECJ-ს მიმართა. იგი ამტკიცებდა, რომ კომისიამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება. ლუქსემბურგის სასამართლომ გაერთიანებათა სამართლის ზოგად პრინციპად აღიარა ის, რომ საჯარო ხელისუფლების ნებისმიერ ჩარევას ფიზიკური თუ იურიდიული პირის პირად სფეროში უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი და რომ პირები დაცულნი უნდა იყვნენ თვითნებური ჩარევისგან. ამის მიუხედავად, მან მაინც არ გაითვალისწინა Chappel-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, კვლავ თავის ადრე გამოხატულ პოზიციაზე დარჩა და საზგანმით აღნიშნა, რომ ეს პრინციპი არ ნიშნავს იურიდიულ პირთა სამსახურებრივი შენობების ხელშეუხებლობის უფლების არსებობას და რომ კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფერო შეზღუდულია მხოლოდ ფიზიკური პირის საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებით.¹⁹

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემოფარგლულა Chappel-ის საქმეზე 1989 წელს მიღებული გადაწყვეტილებით. მოგვიანებით მან კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია Niemietz-ის საქმეზე 1992 წელს და Societe Colas Est-ის საქმეზე 2002 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებში.²⁰ კერძოდ, მან ხაზი გაუსვა, რომ გარკვეული

18 იხ. ჩატელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chappell v. United Kingdom), 1989 წლის 30 მარტი, 26-ე და 63-ე პუნქტები.

19 იხ. საქმით სამოგადოება „პოესტი“ ევროპის გაერთიანებების კომისიის წინააღმდეგ (Hoechst AG v. Commission of the European Communities), 1989 წლის 21 სექტემბერი.

20 იხ., შესაბამსად, ნიმიტცი გარმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany), 1992 წლის 16 დეკემბერი და კომპანია „კოლას ესტი“ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Société Colas Est and Others v. France), 2002 წლის 16 აპრილი.

გარემოებების არსებობისას ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც კომპანიის რეგისტრირებული ოფისის ან იურიდიული პირის კომერციული საქმიანობის სხვა ადგილის ხელშეუხებლობის უფლების დამცველი.

საგულისხმოა, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის არაერთგზისი განმარტების მიუხედავად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთხანს კვლავ თავის პოზიციაზე რჩებოდა და მასზე უარის თქმა არც უფიქრია. ასე, მაგალითად, 2002 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში მან, პირად ცხოვრებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევისგან დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე გაერთიანებათა სამართლში არსებულ ზოგად პრინციპზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ ვერ ხედავს ამ საკითხთან მიმართებით მის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან გადახვევის მიზეზს.²¹ თუმცა, საბოლოოდ, იმავე 2002 წელს, *Roquette Frères*-ის საქმეზე ECJ-მ პირდაპირ აღიარა, რომ მის მიერ ადრე გადაწყვეტილ ერთ-ერთ (კერძოდ, *Hoechst*-ის) საქმეში მან არასწორად განმარტა კონვენციის მე-8 მუხლი და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია გაიზიარა.²²

სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოებს შორის პოზიციათა სხვაობა წარმოიშვა ასევე გამოხატვის თავისუფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ინტერპრეტაციის საკითხების გადაწყვეტისას. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ამ საკითხს პირველად ERT-ის საქმეზე საჩივრის განხილვისას წააწყდა. კერძოდ, სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი იმის თაობაზე, საბერძნეთის ტელე- და რადიოკომპანიის მიერ ხელისუფლებისგან სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის საქმიანობის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებების მიღების ფაქტი, რითაც იგი ამ სფეროში, პრაქტიკულად, „მონოპოლისტი“ გახდა, იყო თუ არა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. ECJ-მ მიუთითა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მოცემულ შემთხვევაში მისთვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა და არანაირი დარღვევის არსებობა არ დაადასტურა იმაში, რომ საბერძნეთის კანონმდებლობა მსგავსი სახის „მონოპოლიების“ შექმნას უშვებს.²³ როდესაც ანალოგიური საკითხი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დაისვა საქმეში – საინფორმაციო კავშირი „ლენტია“ და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (*Informationsverein Lentia and others v. Austria*), იგი საპირისპირო დასკვნამდე მივიდა. ავსტრიულმა ტელეკომპანიამ საჩივრი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე, იმის გამო, რომ ლიცენზირების შესახებ ავსტრიის კანონმდებლობა არ იძლეოდა სატელევიზიო სადგურის შექმნის შესაძლებლობას. ECtHR-მა აღიარა, რომ საკანონმდებლო შეტყუდვების არსებობა არის ჩარევა

21 იბ.კომპანია „Limburgse Vinyl Maatschappij“ და სხვები კომისიის წინააღმდეგ (*Limburgse Vinyl Maatschappij and Others v. Commission*), 2002 წლის 15 ოქტომბერი.

22 იბ. კომპანია „როკეტ ფრერები“ კომისიის წინააღმდეგ (*Roquette Frères SA v. Commission*), 2002 წლის 22 ოქტომბერი, 29-ე პუნქტი.

23 იბ. საერძნეთის რადიო და ტელევიზია AE („ERT“) და დასაქმებულ პირთა ასოციაციების პანელინური ფედერაცია მუნიციპალური საინფორმაციო საზოგადოების, სოფიონის კუველასის, ნიკოლას ავდელასის და სხვების ნინააზმდეგ (*Elliniki Radiophonia Tiléorassi AE („ERT“) and Panellinia Omospoundia Syllagon Prossopikou v. Dimotiki Etairia Pliroforissis and Sotirios Kouvelas and Nicolaos Avdellas and others*), 1991 წლის 18 ივნისი.

განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაში, რაც კონვენციის მე-10 მუხლითაა გარანტირებული.²⁴

თუმცა აქვე შეიძლება მოშველიება მაგალითებისა, როდესაც, კონვენციის ახსნა-განმარტებისას, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციები ერთმანეთს ემთხვეოდა. საკითხი ეხება შემთხვევებს, როდესაც ევროპული კონვენციის ახსნა-განმარტებას პირველად ლუქესემბურგის სასამართლო ახდენდა.

თვალსაჩინოებისთვის გამოდგება 2000 წლის საქმე დიტერ კრომბახი ანდრე ბამბერსკის წინააღმდეგ (*Dieter Krombach v. Andre Bamberski*),²⁵ რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე საფრანგეთის სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან იყო დაკავშირებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გერმანიის მოქალაქე კრომბახის წინააღმდეგ საფრანგეთში აღძული იყო სისხლის სამართლის საქმე საფრანგეთის მოქალაქე ქალბატონისთვის ზიანის მიყენების თაობაზე, რამაც ამ უკანასკნელის გარდაცვალება გამოიწვია. ბრალდებული არ გამოცხადდა საქმის სასამართლო მოსმენაზე, თუმცა მის ინტერესებს ადვოკატი წარმოადგენდა. სასამართლო სხდომის შედეგად მოქალაქე კრომბახს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჭა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომიგივალდებული იყო, დაზარალებულის ოჯახისთვის აენაზღლაურებინა მიყენებული ზიანი. ასეთი მკაფრი გამამტყუნებელი განაჩენის მიზეზი ის იყო, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავდა დებულებებს, რომელთა თანახმადაც სასამართლოს უფლება აქვს, არ გაითვალისწინოს ადვოკატისა რგუმენტები, თუგანსასჯელიპირადადარგამოცხადდასასამართლოში. მოგვიანებით გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა იურისდიქციისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ იმ დროისთვის მოქმედი ბრიუსელის 1968 წლის კონვენციის 27-ე მუხლის ახსნა-განმარტების თაობაზე პრეიუდიციული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. კერძოდ, ეს მუხლი ადგენდა, რომ ერთ სახელმწიფოში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება არ მოხდება, თუ იგი ეწინააღმდეგება იმ სახელმწიფოს საკარო წესრიგს, რომელშიც იგი ძალაში უნდა შევიდეს. გადაწყვეტილების მიღებისას ლუქესემბურგის სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს დაეყრდნო და დაადგინა, რომ სასამართლო სხდომაზე არმყოფი მოქალაქე კრომბახის ინტერესების დამცველი ადვოკატის აცილება ხსენებული მუხლის აშკარა დარღვევა იყო და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საკარო წესრიგს.

ამის შემდგომ მოქალაქე კრომბახმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა საჩივარი, რომელშიც აღნიშნა, რომ საფრანგეთის სასამართლომ დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლი, რაც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას ითვალისწინებს. სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა ECJ-ს

24 იხ. საინფორმაციო კავშირი „ლენტია“ და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (*Informationsverein Lentia and Others v. Austria*, 1993 წლის 24 ნოემბრი).

25 იხ. დიტერ კრომბახი ანდრე ბამბერსკის წინააღმდეგ (*Dieter Krombach v. Andre Bamberski*), 2000 წლის 28 მარტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება

არგუმენტებს განსახილველ საქმესთან მიმართებით და დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.²⁶

ევროპის მართლმსაჭულების სასამართლოს მიერ კონვენციის ახსნა-განმარტების კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც შემდგომში გაზიარებულ და გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, არის ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ 1989 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე - ორკემი კომისიის წინააღმდეგ (*Orkem v. Commission*)²⁷ და სტრასბურგის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Funk v. France*),²⁸ რომელიც ამ უკანასკნელმა 1993 წელს განიხილა.

საქმე ორკემი კომისიის წინააღმდეგ (*Orkem v. Commission*) ეხებოდა კომპანია „Orkem“-ის მოთხოვნას ევროპის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომლის თანახმადაც, კომპანიას სანქციები დაეკისრა კომისიისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო. კომპანიის თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ კომისიის გადაწყვეტილება მათ აიძულებს, საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცენ ჩვენება, რადგან მოთხოვილი ინფორმაცია კომპანიის მიერ კანონმდებლობის დარღვევას ადასტურებს, რაც, მათი აზრით, ევროპის გაერთიანებების სამართლის ზოგად პრინციპებს ეწინააღმდეგება, რამეთუ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება გარანტირებულია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. თავის გადაწყვეტილებაში ECJ-მ აღნიშნა, რომ, წევრი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი კი ამ უფლებას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში უზრუნველყოფს. რაც შეეხება ევროპულ კონვენციას, სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი მსგავს უფლებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ მუხლის იმგვარად ახსნა-განმარტებასთან მიმართებით, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მათ შორის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებასაც მოიცავს, არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

შემდგომში ევროპის მართლმსაჭულების სასამართლოს პოზიცია კონვენციის მე-6 მუხლის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით გაზიარებულ იქნა სტრასბურგის სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე - ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Funk v. France*). გერმანიის მოქალაქე ფუნკე სავაჭრო წარმომადგენლად მუშაობდა საფრანგეთში. უცხოური ფინანსური თქმერაციების

26 იხ. კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Krombach v. France*), 2001 წლის 13 თებერვალი.

27 იხ. ორკემი ევროპის გაერთიანებების კომისიის წინააღმდეგ (*Orkem v. Commission of the European Communities*), 1989 წლის 18 ოქტომბერი.

28 იხ. ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Funk v. France*), 1993 წლის 25 თებერვალი.

შესახებ კანონმდებლობის შესაძლო დარღვევების გამოძიებასთან დაკავშირებით საბაჟო სამსახურმა, სასამართლო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, ჩაატარა ჩხრეკა მის საცხოვრებელ ადგილას და ამოიღეს ზოგიერთი დოკუმენტი. მათ ასევე მოითხოვეს ამონაწერების წარდგენა ზოგიერთი უცხოური საბაჟო ანგარიშიდან. თუმცა ასეთი ამონაწერები წარდგენილი არ იქნა, რის გამოც საბაჟო ადმინისტრაციამ პოლიციის სასამართლოს მიმართა. ამ უკანასკნელმა მოქალაქე ფუნკეს ფულადი ჯარიმა შეუფარდა და ამონაწერების წარდგენა მოსთხოვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებითი საჯარიმო სანქციის დაკისრების მუქარით.

სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა საშუალების ამოწურვის შემდეგ საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა. ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივარი, *inter alia*, მოიცავდა ასევე განმცხადებლის არგუმენტებს კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის შესახებ. კერძოდ, განმცხადებელი თვლიდა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ დაარღვია მისი უფლება, არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, რომელიც განმტკიცებულია როგორც წევრი ქვეყნების მართლწესრიგით, ისე საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას არ წარუდგენია საჩივარი მოქალაქე ფუნკეს მიერ უცხოური ფინანსური ოპერაციების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა მაინც დაიწყო. განმცხადებლის აზრით, ხელისუფლებას დამოუკიდებლადაც შეეძლო შეეგროვებინა მისთვის ბრალის წარსადგენად აუცილებელი მტკიცებულებები, საერთაშორისო ურთიერთდახმარების ფარგლებში, მათი უცხოური სახელმწიფოებიდან მიღების გზით, თუმცა ამისთვის ხელის შეწყობა არსებითად მას მოუწია.

სტრასბურგის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რადგან ბრალის წარდგენა საბაჟო სამსახურების მიერ პროვოცირებული იყო კონკრეტული დოკუმენტების მისაღებად, რომელთა არსებობის შესახებ მათ გარკვეული ვარაუდები ჰქონდათ. ხელისუფლებამ განმცხადებელი აიძულა, საკუთარი დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარედგინა, ისე, რომ მათი სხვა რომელიმე გზით მოპოვების მცდელობაც კი არ ჰქონია. თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ, *inter alia*, კომპანია „Orkem“-ის საქმეზე ECJ-ს გადაწყვეტილებაზეც მიუთითა.²⁹ მისი აზრით, არ შეიძლება საბაჟო სამართლის თავისებურებებით იქნეს გამართლებული დარღვევა ნებისმიერი ბრალდებულის უფლებისა, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, შეინარჩუნოს დუმილი, ან არ მისცეს ჩვენება საკუთარი ბრალის დასამტკიცებლად.

ამრიგად, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების მიღებამდე ლუქსემბურგის სასამართლო ხშირად მიმართავდა ევროპული კონვენციის დებულებებს, ევროკავშირის დონეზე „ადამიანის უფლებათა კატალოგის“ შემცველი საკუთარი

29 იხ. ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Funk v. France*), 1993 წლის 25 თებერვალი, პუნქტი 42.

დოკუმენტის არარსებობის გამო. ამასთან, იგი თავის გადაწყვეტილებებში ასევე ხშირად მიუთითებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ამ უკანასკნელის შექმნისთვის მიცემულ ინტერპრეტაციაზე, ხოლო თუ ასეთი პრაქტიკა არ არსებობდა, მაშინ დამოუკიდებლად ახდენდა მის ასენა-განმარტებას, რომელიც შემდგომში შეიძლებოდა დამთხვეოდა, ან განსხვავებული აღმოჩენილიყო სტრასბურგის სასამართლოს პოზიციისგან.³⁰

მას შემდეგ, რაც 2009 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება და ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტია სავალდებულო, დამფუძნებელი ხელშეკრულებების თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი გახდა, ხოლო თავად ლუქსემბურგის სასამართლომ კი ქარტიის ახსნა-განმარტების ექსკლუზიური უფლება მიიღო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკისადმი ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართვის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო; იკლო, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ შექმნილი მოცემულობის პირობებში ლუქსემბურგის სასამართლოსთვის გაქრა ევროპულ კონვენციაზე მითითების პრაქტიკული საჭიროება და აუცილებლობა, რადგანაც მას, ქარტიის სახით, უკვე აქვს საკუთარი „ბილი“ უფლებების შესახებ, რომლის გამოყენებაც მან საკმაოდ აქტიურად დაიწყო.³¹ ზოგიერთი ავტორი სასამართლოს პრაქტიკაში აშკარად გამოკვეთილ ამ ტენდენციას „ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მზარდ „ქარტია-ცენტრიზმს“ უწოდებს.³²

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ორიენტაციის მსგავსი ცვლილება კარგად ჩანს ციფრობრივ მონაცემებში: 2009-2012 წლებში მან თავის 122 გადაწყვეტილებაში მიუთითა ან გამოიყენა ძირითადი უფლებების ქარტიის ნორმები, აქედან 27-ში არსებითად გააანალიზა ქარტიის სხვადასხვა (ერთი ან რამდენიმე) დებულება. ამ 27 გადაწყვეტილებიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მის მიერ მხოლოდ 10 შემთხვევაში იქნა გამოყენებული და გაზიარებული; ყველა დანარჩენ გადაწყვეტილებაში იგითუ მანიც ახდენდა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებას, ამას უკიდურესად ფორმალურად და „გაკვრით“ („გადარბენით“) აკეთებდა. რაც შეეხება, საკუთრივ, კონვენციას, მასზე მითითებას ლუქსემბურგის სასამართლოს გემოხსენებული 122 გადაწყვეტილებიდან მხოლოდ 18 მათგანი შეიცავდა.³³

30 იბ. В. О. Рябова, Взаимодействие Суда Европейского союза и Европейского суда по правам человека по делам о защите прав человека после Лиссабонского договора: Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, МГИМО Университет, Москва, 2016, 75. <https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf> [29/05/2021].

31 ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასევე ევროპის კომისიის წლიური ანგარიშები ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენების შესახებ. მაგალითად, 2019 წლის 5 ივნისს კომისიამ გამოაქვეყნა 2018 წლის ანგარიში, საიდანაც ნათელად ჩანს, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო თავის პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად მიმართავს ქარტიის ტექსტს; კერძოდ, თუ 2010 წელს ქარტიის ციტირებით მიღებული გადაწყვეტილებების როოდენობა მხოლოდ 27-ს შეადგნა, ხოლო 2017 წელს – 195-ს, 2018 წლისთვის მათი რიცხვი 356-ამდე გაიზარდა (იბ. 2018 Report on the Application of the EU Charter of Fundamental Rights. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2019, 29. <https://ec.europa.eu/info/sites/info/files/2018_annual_report_charter_en_0.pdf> [29/05/2021]).

32 იბ. L. R. Glas, J. Krommendijk, From Opinion 2/13 to Avotijš: Recent Developments in the Relationship between the Luxembourg and Strasbourg Courts? Human Rights Law Review, Vol. 17, N3, 2017, 573.

33 იბ. E. Lehtinen, The European Court of Justice and European Court of Human Rights: A Complex Interaction and Coexistence between the Two Courts, Workshop on the ECHR Tampere 2015. <<https://blogs.uta.fi/echrworkshop/2016/03/07/lehtinen/>> [29/05/2021].

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი უფლებების ქარტია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული დებულებების უმეტესობას ასახავს, მოცემული სტატისტიკა ნათლად ცხადყოფს, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ამ დოკუმენტს სულ უფრო ხშირად განმარტავს და იყენებს ევროპული კონვენციისა და ECtHR-ის პრაქტიკისგან დაშორებით.³⁴ ამასთან, საგულისხმოა, რომ სასამართლო ხშირ შემთხვევაში ცდილობს, მინიმუმამდეშეამციროს ძირითადი უფლებების ქარტიის 52(3)-ე მუხლის მოქმედება, რომელიც მოითხოვს, რომ ქარტით მინიჭებული უფლებების მნიშვნელობა და ფარგლები კონვენციაში განმტკიცებული ანალოგიური უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარი უნდა იყოს. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში ღუქსემბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ, მისი აზრით, ქარტიის 52(3)-ე მუხლი მიზნად ისახავს ქარტიაში განმტკიცებულ უფლებებსა და ევროპული კონვენციით გარანტირებულ შესაბამის უფლებებს შორის აუცილებელი თანხვედრის უზრუნველყოფას, ოღონდ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამან უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს ევროკავშირის მართლწესრიგისა და ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს ავტონომიაზე.³⁵

საგულისხმოა ისიც, რომ ზოგჯერ ECJ, მართალია, თავის გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე კი მიუთითებს, მაგრამ, ამავე დროს, ხაშს უსვამს, რომ, ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია, უპირატესობა ქარტიის ან ევროკავშირის სამართლის სხვა ნორმატიული აქტების დებულებებს მიენიჭოს. მაგალითად, Chalkor-ის საქმეზე 2011 წლის 8 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ღუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს იმეორებს და ასახავს და, აქედან გამომდინარე, საქმის განხილვისას, ქარტიის გარდა, ევროპული კონვენციის დებულებებზე მითითების საჭიროება არ არსებობს³⁶ საქმე ეხებოდა განმცხადებლისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნას; განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოს მიერ მხოლოდ ნაწილობრივ იყო გადასინჯვლი და, ქარტიის 47-ე მუხლსა და კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მის სრულად გადასინჯვას მოითხოვდა. საქმის განხილვის შედეგად ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ ნაწილში, რომელშიც ეს საერთო სასამართლოს მიერ იქნა განხორციელებული, შეესაბამებოდა ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლს და სასამართლო წესით სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობის პრინციპს.

ამავე კონტექსტში საინტერესოა, აგრეთვე, ღუქსემბურგის სასამართლოს

³⁴ იხ. В. О. Рябова, *Европейская конвенция прав человека и Хартия ЕС об основных правах - сравнительный анализ толкования и применения Судом ЕС и Европейским Судом по правам человека*, Московский журнал международного права, 4 (96), 2014, 181.

³⁵ იხ. JZ ლოდის სოლექტ პროკურატურის ნინააღმდევ (JZ v. Prokuratura Rejonowa Łódź – Śródmieście), 2016 წლის 28 ივნისი, 50-ე პუნქტი.

³⁶ იხ. ჩალკორი ევროპის კომისიის ნინააღმდევ (Chalkor AE Epexergasias Metallon v European Commission), 2011 წლის 8 დეკემბერი, 51-ე პუნქტი.

მიერ Bavarian Lager-ის საქმეზე 2010 წლის 29 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმის განხილვისას უპირატესობა ევროკავშირის სამართალს უნდა მიენიჭოს.³⁷

3. ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა-განმარტება და გამოყენება ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

3.1. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა-განმარტების თავისებურებები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა-განმარტებისა და გამოყენების საკითხების განხილვამდე, მიზანშეწონილია გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება ქარტიის 51(1)-ე მუხლში გაკეთებული დათქმა, საკუთრივ, სასამართლოს პრაქტიკას და, საერთოდაც, რა გავლენას ახდენს მასზე.

საგულისხმოა, რომ ძირითადი უფლებების ქარტიის 51(1)-ე მუხლი ეკ-ის წევრ სახელმწიფოებს ქარტიის ნორმათა „ადრესატებად“ მხოლოდ მაშინ განიხილავს, როდესაც „ისინი უზრუნველყოფენ კავშირის სამართლის განხორციელებას“, ანუ მოქმედებენ ევროკავშირის დამფუძნებელი დოკუმენტების, საერთაშორისო შეთანხმებების, სამართლებრივი აქტების ნორმებისა და მათი ინტერპრეტაციის თაობაზე ღუქსემბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის (სასამართლო პრაქტიკის) შესასრულებლად. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, ქარტიის მიღებამდე დიდი ხნით ადრე, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხებოდა, მხოლოდ კავშირის ინსტიტუტების აქტების გასაჩივრებას უკავშირდებოდა. თუმცა 1989 წელს Wachauf-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ეს ზღვარი გადაკვეთა და განაცხადა, რომ ეროვნული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ევროპის გაერთიანებების სამართლის იმპლემენტაციას ახდენენ, ასევე მიღებულ უნდა იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებების გათვალისწინებით.³⁸ სასამართლოს გადაწყვეტილების მე-19პუნქტიადამიანის უფლებათადაცვის მოთხოვნისთაობაზე, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ, „ვინაიდან ეს მოთხოვნა სავალდებულოა ასევე წევრი სახელმწიფოებისთვისაც, როდესაც ისინი გაერთიანების სამართლის ნორმათა განხორციელებას ახდენენ, წევრმა ქვეყანამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა გამოიყენოს ეს ნორმები აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად“. ორი წლის შემდეგ ECJ-ს პოზიცია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მიმართ კიდევ უფრო ფართო გახდა და იგი გავრცელდა კავშირის წევრი სახელმწიფოების იმ აქტებზეც, რომლებიც დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში, იქნა მიღებული,

37 იბ. ევროპის კომისიის მპს „Bavarian Lager Company“-ს ნინააღმდევ (European Commission v. The Bavarian Lager Co. Ltd), 2010 წლის 29 ივნისი, 62-ე პუნქტი.

38 იბ. ჰუსერტ ვასუეფი სერსათისა და სატყეო მეურნეობის ფედერალური სამსახურის ნინააღმდევ (Hubert Wachauf v. Bundesamt für Ernährung und Forstwirtschaft), 1989 წლის 13 ივნისი, მე-19 პუნქტი.

ეკ-ის წესებიდან გადახვევის (გამონაკლისის) სახით. კერძოდ, ERT-ის (ბერძნული ტელევიზიონის) საქმეზე 1991 წლის გადაწყვეტილებაში ღუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული წესები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს როგორც „გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული გამონაკლისი“, თუკი „ისინი შესაბამისობაშია ძირითად უფლებებთან“³⁹ ანუ, თუ ეს წესები ადამიანის უფლებებს არ არღვევს. მოგვიანებით, 1997 წელს, *Annibaldi*-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, თავის კონტროლს წევრი ქვეყნების ყველა იმ ქმედებაზე ავრცელებს, რომლებიც, ასე თუ ისე, „გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში“ (“within the scope of Community law”) იმყოფება და, ამასთანავე, უფლებას იტოვებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად განსაზღვროს, ესა თუ ის ქმედება ექცევა თუ არა ამ კრიტერიუმის ქვეშ.⁴⁰

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქარტის 51(1)-ე მუხლში გაკეთებული დათქმა შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის კოდიფიკაციის შედეგი. ამასთან, საინტერესოა, რომ ხშირად ქარტის გამოყენების ასეთ შეზღუდულ ხასიათს, მათ შორის, იმასაც უკავშირებდნენ, რომ ღუქსემბურგის სასამართლო არაა მზად, გამოიტანოს გადაწყვეტილებები ყველა იმ საქმეზე, რომლებიც ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევასთანაა დაკავშირებული. თუმცა მსგავსი პოზიცია ეწინააღმდეგება, საკუთრივ, სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ქარტის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ვინაიდან თავის გადაწყვეტილებებში ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ყოველმხრივ ცდილობს, გააფართოოს ქარტის გამოყენების სფერო.⁴¹

ასეთი გადაწყვეტილებების ერთ-ერთი მაგალითია *Ruiz Zambrano*-ს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება⁴² რომელიც ეხებოდა ბელგიის ხელისუფლების მიერ ბინადრობის ნებართვისა და უმუშევრობის შემწეობის მინიჭებაზე უარის თქმას სამი შვილის მამისთვის, რომელთაგან ორს ევროკავშირის მოქალაქეობა ჰქონდა. ECJ-მ განაცხადა, რომ ამ საქმეში ბინადრობის ნებართვისა და უმუშევრობის შემწეობის მინიჭების საკითხები კავშირის სამართლის სფეროში იმყოფება და მიუთითა ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლზე, რომელიც ევროპის კავშირის მოქალაქეობასა და კავშირის მოქალაქეთა უფლებებს ეხება. ღუქსემბურგის სასამართლოს აზრით, ეს მუხლი პირდაპირ „გამორიცხავს ეროვნული ღონისძიებების გატარებას, რამაც კავშირის მოქალაქეებისთვის

39 იხ. საბერძნეთის რადიო და ტელევიზია AE („ERT“) და დასაქმებულ პორთა ასოციაციის პანელინური ფედერაცია მენიციალური საინფორმაციო საზოგადოების, სოფირიოს კუველასის, ნიკოლაოს ავდელასის და სხვების წინააღმდეგ (Elliniki Radiophonie Téleorassi AE („ERT“) and Panellinio Omospondia Syllagon Prossopikou v. Dimotiki Etairia Pliroforisis and Sotirios Kouvelas and Nicolaos Avdellas and others), 1991 წლის 18 ივნისი, 43-ე პუნქტი.

40 იხ. დანერლე ანიბალდი ვეიფონის მუნიციპალიტეტის მრისა და ლაციოს რეგიონის პრეზიდენტის წინააღმდეგ (Danièle Annibaldi v. Sindaco del Comune di Guidonia and Presidente Regione Lazio), 1997 წლის 18 დეკემბერი, მე-13 პუნქტი.

41 იხ. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამართალი და მსოფლიო, 13, 2019, 84-85.

42 იხ. ერთადორ რუს ზამბრანო სოფაზარ სემერა ეროვნული ოფისის (ONEm) წინააღმდეგ (Gerardo Ruiz Zambrano v Office national de l'emploi (ONEm)), 2011 წლის 8 მარტი.

შეიძლება იმ უფლებებით რეალურად სარგებლობის წართმევა გამოიწვიოს, რომლებიც მათ კავშირის მოქალაქეთა სტატუსით აქვთ მინიჭებული⁴³. ევროკავშირის მოქალაქეობის მქონე ბავშვების მამისთვის ბინადრობის ნებართვისა და უმუშევრობის შემწებლის მიუნიჭებლობის შემთხვევაში, ბავშვები შეიძლება იძულებული გახდნენ, შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი, ან, სულაც, დატოვონ კავშირის ტრიიტორია და, შესაბამისად, ვერ შეძლონ, ისარგებლონ ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლით განმტკიცებული უფლებებით.⁴⁴

ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ ქარტიის ფართო ინტერპრეტაციის კიდევ ერთი მაგალითია *Fransson*-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.⁴⁵ ამ საქმეში სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა შვედეთის სასამართლოს პრეიუდიციულ მოთხოვნაზე, რომელიც განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს შვედი მეთევზის, პანს ოკერბერგ ფრანსონის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ბრალი ედებოდა 2004–2005 წწ. წინასწარ განზრახვით ყალბი საგადასახადო ანგარიშგების (დეკლარაციის) წარდგენასა და გადასახადების (მათ შორის დღგ-ის) გადაუხდელობაში. იმის გათვალისწინებით, რომ განსასჯელი თავიდან ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში იყო მიცემული და მას უკვე გადახდილი ჰქონდა ყალბი საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული კარიმა, ადგილობრივი სასამართლო ითხოვდა განმარტებას, იმავე ქმედებისთვის განსასჯელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა ეწინააღმდეგებოდა თუ არა ქარტიის 50-ე მუხლით განმტკიცებულ პრინციპს (ორმაგი დასჯის დაუშვებლობის უფლებას).⁴⁶

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს უფლება უზრუნველყოფილია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N7 აქმის მე-4 მუხლით და სტრასბურგის სასამართლოსაც არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული მისი ახსნა-განმარტების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არც კონვენციის N7 აქმის მე-4 მუხლზე აკეთებს მითითებას და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალრიცხოვან გადაწყვეტილებებზე. მან გაფართოებულად განმარტა ქარტიის 51(1)-ე მუხლი და მივიდა დასკვნამდე, რომ მოქალაქე ფრანსონის პასუხისმგებაში მიცემის საკითხი „ევროპის კავშირის სამართლის სფეროში“ ექცევა, იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ მის მიმართ, კარიმის სახით, შეფარდებული ადმინისტრაციული სასჯელი „ეკ-ის სისტემის ნაწილია“ „დღგ-ის უფექტიანი ამოღების კუთხით“. შვედეთის სასამართლოს მოთხოვნაზე პასუხის გაცემისას ლუქსემბურგის სასამართლო ამტკიცებს, რომ ქარტიის 50-ე მუხლში განმტკიცებული პრინციპი არ გამორიცხავს დღგ-ის სფეროში ვალდებულებათა

43 იხ. იქვე, 42-ე პუნქტი.

44 იხვევ, 44-ე პუნქტი.

45 იხ. პროცესუატურა პანს ოკერბერგ ფრანსონის ნინააღმდეგ (*Åklagaren v. Hans Åkerberg Fransson*), 2013 წლის 26 თებერვალი.

46 ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 50-ე მუხლში, კერძოდ, აღნიშნულია: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი წესით ხელახლა დევნას ან დასხას იმ დასაშაულოსთვის, რომლის გამოც კავშირის ფარგლებში იგი ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული კანონის შესაბამისად“.

დარღვევების მიმართ როგორც საგადასახადო, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენებას, ოღონდ იმ პირობით, თუ პირველი მათგანის ფარგლებში დაკისრებული სასჯელი (კარიმის გადახდა), თავისი არსით, სისხლისსამართლებრივი ხასიათის არ არის.⁴⁷ ამასთან, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას უცილებელია გარკვეული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, რომელთაგან მთავარი სასჯელის სიმკაცრეა⁴⁸ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მოცემული საქმის ფარგლებში კარიმის გადახდის სახით დაკისრებული სასჯელი თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ არის. აქ საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კრიტერიუმები ცნობილი „ენგელის კრიტერიუმების“⁴⁹ ანალოგიურია, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო 1976 წლიდან იმავე მიზნებისთვის იყენებს, ECJ საგულდაგულოდ არიდებს თავს ამის შესახებ მცირე მითითებასაც კი.⁵⁰

ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ ქარტიის ახსნა-განმარტების არანაკლებ საინტერესო მაგალითთან *Melloni*-ს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება,⁵¹ რომელშიც იგი იძლევა განმარტებას ქარტიის 53-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. თაღლითობისთვის იტალიაში დაუსწრებლად გასამართლებული იტალიის მოქალაქე სტეფანო მელონი, რომელსაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, დაკავებულ იქნა ესპანეთში, იტალიის სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე. განმარტებისთვის ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიმართა, რომელიც დამნაშავის გადაცემაზე უარს იმ საფუძვლით აცხადებდა, რომ დაუსწრებლად გასამართლებას ესპანეთის კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად განიხილავდა. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო ქარტიის 53-ე მუხლზე მიუთითებდა, რომლის თანახმადაც, ქარტიის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს როგორც შეზღუდვა ან ხელყოფა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისა, რომლებიც მათი გამოყენების შესაბამისი სფეროების ფარგლებში წევრი სახელმწიფოებითა აღიარებული და ამტკიცებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემა ქარტიით გათვალისწინებულ ანალოგიურ სისტემაზე უფრო ფართოა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, ევროკავშირის სამართლის ნორმები არ იქნეს გამოყენებული. თუმცა ECJ-მ ქარტიის ეს მუხლი სხვაგვარად განმარტა და მიუთითა, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება ევროპის კავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპს, რომელიც, თავის მხრივ, ეკ-ის მართლწესრიგის არსებითი

47 იხ. იქვე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

48 იხ. იქვე, 35-ე პუნქტი.

49 იხ. ეფელი და სხვები ნიფერლანდის ნინაღმდევ (*Engel and Others v. the Netherlands*), 1976 წლის 8 ივნისი.

50 იხ. В. О. Рябова, Европейская конвенция прав человека и Хартия ЕС об основных правах - сравнительный анализ толкования и применения Судом ЕС и Европейским Судом по правам человека, Московский журнал международного права, 4 (96), 2014, 184.

51 იხ. სტეფანო მელონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის ნინაღმდევ (*Stefano Melloni v. Ministerio Fiscal*), 2013 წლის 26 თებერვალი.

ადამიანის უფლებათა ეპროცესი კონვენციის გამოყენება

მახასიათებელია და, როგორც წესი, გამორიცხავს, რომ ეროვნულმა, მათ შორის კონსტიტუციურმა რეგულაციებმა შეზღუდოს, ან ხელყოს ევროკავშირის სამართლის უფექტურიანობა, ან მოქმედება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.⁵² შესაბამისად, სასამართლოს აზრით, ეროვნულ კონსტიტუციურ ტრადიციებთან კავშირის სამართლის რომელიმე ხორმის შეუსაბამობა არ არის ეკ-ის სამართლის ნორმის გამოყენებლობის საფუძველი მაშინაც კი, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობები ეროვნული სისტემის ფარგლებში უფრო ფართო და დაცვის უფრო მაღალ ხარისხს ითვალისწინებს, ვიდრე ძირითადი უფლებების ქარტია.⁵³ თავის გადაწყვეტილებაში ლუქსემბურგის სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში ბრალდებულს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება არ დარღვევია, რადგანაც იგი სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და მის არყოფნაში მის კანონიერ ინტერესებს ადვოკატი წარმოადგენდა და იცავდა.

ამრიგად, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეებზე ძირითადი უფლებების ქარტიის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ზემოაღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქარტიის დებულებების, მათ შორის 51(1)-ე მუხლის, განმარტებისას სასამართლო იმავე მიღვომას განაგრძობს, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ დოკუმენტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე აირჩია. მეტიც, როგორც ვნახეთ, ბოლო დროს ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებში სულ უფრო იშვიათად ფიგურირებს მითითებები როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე. შესაბამისად, ქარტიის გამოყენების შეზღუდვის მომხრეთა თავდაპირველი გათვლები იმაზე, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო „ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის გარანტი“ მხოლოდ ქარტიის 51(1)-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, სხვა დანარჩენ შემთხვევებში კი, როდესაც წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის სამართლის იმპლემენტაციას არ ახდენენ, ასეთად სტრასბურგის სასამართლო უნდა დარჩენილიყო, შეიძლება ითქვას, რომ არ გამართლდა.

თუ ძირითადი უფლებების ქარტიის განმარტებისადმი ECJ-ს მიღვომასა და მის სწრაფვას – დამოუკიდებლად, კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითების გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა საქმეებზე, - ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების პრიზმაში განვიხილავთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო ყოველნაირად ცდილობს, ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მას ეს კონვენცია უკვე ნაკლებად სჭირდება; მას აქვს ძირითადი უფლებების ქარტია, რომელიც სავსებით საკმარისია ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დასაცავად.⁵⁴ მოკლედ, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო ირწმუნება, რომ

52 იბ. იქვე, 59-ე პუნქტი.

53 იბ. იქვე, მე-60 პუნქტი.

54 იბ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სამართალი და მსოფლიო, 13, 2019, 88.

იგი კარგა ხანია, გასცდა ეკონომიკური რეგიონული სასამართლოს ფარგლებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან საგარეო კონტროლის გარეშეც ადგილად შეუძლია ფონს გასვლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადად, მაიც პროგნოზირებადი და ლოგიკური იყო, რომ ლუქსემბურგის სასამართლომ თავისი 2014 წლის 18 დეკემბრის N2/13 დასკვნით⁵⁵ უარყოფითი პასუხი გასცა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის ევროკავშირის სამართლთან შესაბამისობის საკითხს⁵⁶ ამასთან, მისი მთავარი გზავნილი, გარდა იმისა, რომ არ სურს სტრასბურგის სასამართლოს „კონტროლის ქვეშ“ აღმოჩენა, ისაა, რომ ეკ-ის სამართლი, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში ევროპის კავშირის ფორმალურ მონაწილეობასთან, კერძოდ, შეუთავსებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გამო:

პირველი, კავშირის სამართლის სამართლის ავტონომიური სისტემაა, რომელსაც ეკ-ის ინსტიტუტებიცა და წევრი სახელმწიფოებიც გულმოდგინედ იცავენ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის გავლენის

⁵⁵ *Opinion pursuant to Article 218(11) TFEU. Opinion 2/13 of 18 December 2014 of the Court of Justice of the European Union, პუნქტი 212.<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=160882&doclang=EN> [29/05/2021]. ეკ-ის მართლმსაჭლების სასამართლოს N2/13 დასკვნის დეტალური ანალიზის თაობაზე იბ. პაპავა, ევროპის კავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან: მიზანებური აუცილებლობა თუ შეთავსებელის შეთავსების მცდელობის ევროპის კავშირის მართლმსაჭლების სასამართლოს 2/13 დასკვნის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XII, 2018, 97-118; ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიან აშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართლში, გრიგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი, თბ., 2018, 154-173.*

⁵⁶ მუხედვადაც არცთ მართლა წესრიგის შესახებ შეთანხმების პროექტი მსარეთა მიერ შექმნიდობულ ვადებში იქნა შეთანხმებული, მასზე მუშაობა 2013 წლის ივნისში დასრულდა. ამის შემდეგ ევროპის კომისიამ ფოციალურად მიმართა ლუქსემბურგის სასამართლოს შეთანხმების პროექტის კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მიღების მოთხოვნით. სასამართლოში გამართული მოსახლეებისას პროექტს მხარი დაუჭრეს თავად კომისიამ, ეკ-ის საქმოშ და ევროპის პარლამენტმა, ასევე 24-ებ წევრმა წევრინამ. მართვის დაუტემო, მაგრამ, ერთიანიაში, პროექტს მარი დაუჭრა აგრეთვე მართლმსაჭლების სასამართლოს გენერალურმა ადვოკატმა, რომელმაც 2014 წლის ივნისში თავისა დევალური დასკვნა წარუდგინა სასამართლოს (იბ. *View of Advocate General Kokott delivered on 13 June 2014. Opinion procedure N2/13*). ყოველიც ამან ბევრს (მათ შორის აკადემიურ წრებშიც) გაუჩინა განცდა, რომ კონვენციასთან ეკ-ის შეერთება უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი სკოთხი იყო და მას მხოლოდ გარკვეული სამართლებრივი გაფორმებადა ესაქიროებოდა, თუმცა ლუქსემბურგის სასამართლოს საბოლოო „ვერეფერტმ“ ეს ეიფორია აშკარა და დაუფარავი იმედგაცეუბით შეცვლა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ N2/13 დასკვნის თავდაპირევლ შეფასებებს მკვეთრიდ გამოხატული ემციელის ელფერი დაპკრავს; კრძოდ, სასამართლოს ღიად „დასდეს ბრალი“, პირველ რიგში, საკუთარ უფლებამოსილებათა დაცვის სურვილით გამოწვეულ ზედემთად ფორმალისტურ მიფორმში (იბ. *Editorial Comments: The EU's Accession to the ECHR – a "NO" from the EC! Common Market Law Review, Vol. 52, N1, 2015, 1-16*), ხოლო თავად დასკვნას კი ასესიათბენ როგორც „ეკან გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯს“ (იბ. J. Odermatt, *A Giant Step Backwards? Opinion 2/13 on the EU's Accession to the European Convention on Human Rights (February 24, 2015)*. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2654633> [30.05.2020]), „ფუნდამენტურად მცდარს“ (იბ. S. Peers, *The EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare*, German Law Journal, N16 (1), 2015, 213. <https://doi.org/10.1017/S2071832200019489> [30.05.2020]) და, მეტყველ, როგორც „აშკარა და თვალსიერ საფრთხეს ადამიანის უფლებისთვის“ (იბ. S. Peers, *The CJEU and the EU's Accession to the ECHR: A Clear and Present Danger to Human Rights Protection*, 18 December 2014. <http://eulawanalysis.blogspot.com/2014/12/the-cjeu-and-eus-accession-to-echr.html> [29/05/2021]). კონვენციასთან ეკ-ის არშემდგარი შეერთება ყველაზე თდო დარტყმა სტრასბურგის სასამართლოსთვის აღმოჩნდა, რომლის მაშინდელმა თავმჯდომარებრ, დ. პპილმანმა 2015 წლის იანვრის ბოლოს ნარდებით 2014 წლის აზარიში ლუქსემბურგის სასამართლოს დასკვნას „დაიდ იმედგაცრუება“ უწოდა და აღინიშნა, რომ ასეთ სწორედ ECHR-ს ეკსერება განსაკუთრებული პასუხისმგებლიბა, რათა მან ყველაზე გააკეთოს ეკ-ის მართლმსაჭლებელი სასამართლოს ამ ნაბიჯის უარყოფითი შედეგებისგან მოქალაქეების დასაცავად (იბ. European Court of Human Rights. Annual Report, 2014. Strasbourg, 2015, 6. <https://www.echr.coe.int/Documents/Annual_Report_2014_ENG.pdf> [29/05/2021]).

⁵⁷ საგულისმოა, რომ ეკისას კავშირის პოზიცია კონვენციასთან შეერთების თაობაზე მოლაპარაკებების საწარმოებლად წინდანინვე (მისი დამუშავებული ხელშეკრულებებისადმი თანდართული N8 თქმით) იმგვარადა

შესაბამისად, გამონაკლისების დაშვება, თუნდაც იმავე კონვენციისა და მისი სისტემის ფარგლებში შექმნილი საკონტროლო-საზედამხედველო მექანიზმების გამო, მთელი ამ სისტემის სიმწყობრეს დაარღვევს;

მეორე, ევროკავშირს უკვე აქვს ადამიანის უფლებათა საკუთარი „კონვენცია“, ძირითადი უფლებების ქარტის სახით. ეს არის ადამიანის უფლებათა ერთგვარი კოდექსი, – თანაც, უფრო ვრცელი და გაუმჯობესებული, ვიდრე თავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა. ამიტომაც კონვენციასა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაზე სწორების აღების საჭიროება აღარც არსებობს;⁵⁸

მესამე, ადამიანის უფლებათა სამართლის დაცვის მექანიზმი ევროკავშირში მუშაობს და საკმაოდ ეფექტურიანადაც⁵⁹ მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი სწორედ ეკის ინტერესებს ემსახურება და არა, ზოგადად, მთელი კონტინენტის. შესაბამისად, კიდევ რაღაც ახლის გამოგონება, მით უმეტეს, ლუქსემბურგის სასამართლოს სხვა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ გადაცემა, არცთუ მთლად გასაგები ხდება;⁶⁰

მეოთხე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ვერანაირად ვერ ეწერება

განსაზღვრული, რომ შეერთებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ევროკავშირის სამართლის ავტონომიურ, სპეციფიკურ ხასიათსა და მის თავისებურებებზე. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ლუქსემბურგის სასამართლომ თავის დასკვნში, ჟერ ერთი, სიტყვა „ავტომობიუ“ 17-ჯერ გამოიყენა (იხ. S. Douglas-Scott, *Autonomy and Fundamental Rights: The ECJ's Opinion 2/13 on Accession of the EU to the ECHR*, *Europärttlig Tidskrift (Swedish European Law Journal)*, 1, 2016, 36), მერე კიდევ, პირდაპირ განაცხადა, რომ „[...] თვით ეკ-ის სამართლის არსი [...] მოითხოვს, რომ ურთიერთობები წევ სახელმწიფოებს შორის რეგულირდება ევროკავშირის სამართლით, ხედის სამართლის გამოიყიცება, თუკი ამას ეკ-ის სამართლის ითხოვს.“ (იხ. დასკვა N2/13, 212-ე პუნქტი).

- 58 ამ კონტექსტში, ალბათ, ნიმანდობლივა ის გარემოება, რომ ლუქსემბურგის სასამართლომ ევროკავშირს, ფაქტობრივად, ორგან აკრძალა საერთაშორისო სასამართლოს შექმნაში მონაწილეობა – პირველად, ერთიანი ეკონომიკური სივრცის სასამართლოს (იხ. Opinion delivered pursuant to the second subparagraph of Article 228(1) of the Treaty establishing the European Economic Community. Opinion N1/91 of 14 December 1991) და, მეორედ, ევროპის საპატენტო სამართლოს შექმნასთან მიმართებით (იხ. Opinion pursuant to Article 218(11) TFEU. Opinion N1/09 of 8 March 2011). ორგან შემთხვევაში, ევროპის მართლმასაზულების სასამართლომ მიმინდა, რომ ამ სასამართლოების შექმნა არ შესაბამებოდა ევროკავშირის სამართლას. მოვლანებით კი ერთ-ერთ ბოლოდროონდელ საქმეზე 2018 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში მან უკიდურესად გულაბითლად და ხისად განაცხადა, რომ ევროკავშირის სასამართლო სისტემის მყოფი სასამართლოს შექმნის ხებისმიგრაციი მცდელობა, რომელსაც უშდაც თერიულად ენერგიის კავშირის სამართლის სფეროში შემავალა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, ეკ-ის სამორთალის ერიბალოდებება (იხ. სლოვაკეთის რეგულირებული სადაზღვეო კომპანია „Achmea BV“-ს წინააღმდეგ (Slovak Republic v. Achmea BV), 2018 წლის 6 მარტი)).

- 59 ამას თვალი სტრასბურგის სასამართლოც აღიარებს. კერძოდ, Bosphorus-ის საქმეზე მიღებულ საეტაპო გადაწყვეტილებაში მან პირდაპირ განაცხადა, რომ მისი დამუშავებელი ხელშეკრულები ესულად შესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს და რომ „ეკ-ის სამართლის მიერ ადამიანის ფუძდამებზერი უფლებების დაცვის დონე [...]“ ეკვივალენტურია [...] კონვენციის სისტემით უზრუნველყოლისა“ (იხ., „ბოსფორის ირლანდიის წინააღმდეგ (Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland)“, 2005 წლის 30 ივნისი, 165-ე პუნქტი). მას აქვთ საკუთარო სასამართლო თერიული ევროპის კავშირის მართლმასაზულების სასამართლოს სახით, რომელიც განიხილავს ადამიანის უფლებათა სავარაუდო დაზღვევის საქმეებს, მათ შორის პრეიდენციული პროცედურის ფარგლებში, – სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების, ზოგადად, გადამოწმება არ სჭირდება. საგულისხმოა, რომ წევრი ქვეყნები, რომლებიც კავშირის სამართლის იმპლემენტაციას ახდენენ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფარგლებში თავიანთი ვალდებულებების დამრღვევბად მოლოდ იმ შემთხვევაში მიმწერის, თუკი კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა ევროკავშირის დონეზე „აშკარად არასაკმარისი“ იქნება; ასეთ დროს საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესს გადაწინის კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში „ევროპული საგარეო ხესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტის“, როლი და მიზნები (იხ. იქვე, 156-ე პუნქტი).

- 60 ამ თვალისაზრისთ, ნიშნებობლივი და საგულისხმოა ვერობის კავშირის მართლმასაზულების სასამართლოს ყოფილი გენერალური ადვიკტორის, ა. ტოტის ყველაზე ხშირად ციტირებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „არ არსებობს არაარით თეორიული თუ პრატიტული დასაბუთება ეკ-ის მართლმასაზულების სასამართლოს გადასაცემდ სხვა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ, რომელიც შეიძლება (და უნდა) განიღებულ იქნეს მოთლიდ როგორც თანასწორი და არა როგორც მაღლა მდგრმი და რომელიც, ამავე დროს, სულ უფრო კლებადი რაოდენობის ეკ-ის არაწერ სახელმწიფოებს ნარმოადგენს“ (იხ. A. G. Toth, *The European Union and Human Rights: The Way Forward, Common Market Law Review*, Vol. 34, N3, 1997, 491–529).

ევროკავშირის შიდა სამართალში. თუ ბრიუსელი მას შეუერთდება, კონვენცია ავტომატურად ეკის შიდა სამართალი გახდება; ამ უკანასკნელის ფარგლებში კი კავშირის სამართლის ახსნა-განმარტებისა და გამოყენების მონოპოლია ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ეკუთვნის.⁶¹ შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს ადგილი კავშირის შიდა სამართლის სისტემაში ელექტროულად აღარ ჩხება.⁶²

მართალია, ევროპის კომისიის თავმჯდომარემ 2016 წლის 19 აპრილს განაცხადა, რომ კონვენციასთან შეერთება ევროკავშირისთვის პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება,⁶³ ხოლო 2020 წლის 29 სექტემბრიდან ევროპის კომისიამ და ევროპის საბჭოს 47-მა წევრმა ქვეყანამ, სულაც, ოფიციალურად განაახლეს მოლაპარაკებების პროცესი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების შესახებ,⁶⁴ მაგრამ აშგარაა, რომ ლუქსემბურგის სასამართლოს უარყოფითმა დასკვნამ ევროპულ კონვენციასთან ეკის შეერთების პერსპექტივა ძალზე ბუნდოვანი გახადა. არადა, კონვენციასთან შეერთება (მიუხედავად იმისა, რომ დროში არანაირი კონკრეტული თარიღით არაა შემოფარგლული) – ეს კავშირის მხოლოდ სურვილი კი არა, იურიდიული ვალდებულებაა, რომელიც ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6(2) მუხლშია გათვალისწინებული და, აქედან გამომდინარე, პირველადი სამართლის ნორმათა კატეგორიას განეკუთვნება. წინასწარვეა გაცხადებული ისიც, რომ შეერთებამ არანაირი ზიანი არ უნდა მიაყენოს კავშირის სამართლის ავტონომიურ ხასიათსა და ეკის მართლმსაჯულების სასამართლოს, როგორც ევროპის კავშირის სამართლის იურისდიქციულ დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოს, სტატუსს. ის, თუ როგორ მოხერხდება ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგრის

- 61 იმ შემთხვევაში, თუ შეერთების შედეგად, ევროპული კონვენცია ევროპის კავშირის მართლწერიგის ნაწილი გახდება, მხოლოდ ლუქსემბურგის სასამართლოს უნდა ჰქონდეს წევრ სახელმწიფოებს შორის კონვენციის გამოყენებასთან დაგავშირებით წამოქრილი დავების განხილვის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ თავად კონვენცია მსგავსი სახელმწიფოთაშორისი დავების სტრასბურგის სასამართლოს მეშვეობით მოგვარეობის შესაძლებლობას ითვალისწინება. ეს პოზიცია საგანგებოდა ხაგასმული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში: „ეკის სამართლის სტრომში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით, ეკის სახელმწიფოებს შორის ან ეკის სახელმწიფოებსა და ეკის ინსტიტუტებს შორის დავების მიმრთ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის აშკარა გამორიცხვა... იქნება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 344-ე მუხლის [ე.ი. ლუქსემბურგის სასამართლოს ექსკლუზიური იურისდიქციის მოთხოვნის] შესაბამისი“ (იხ. პ. პეტრი, ე. გ. პეტრინა, *Влияние права человека на прогрессивное развитие современного международного права*, 2014, 47).
- 62 იხ. M. L. Энтин, E. G. Энтина, *Влияние права человека на прогрессивное развитие современного международного права*, Московский юридический журнал международного права, 4, 2017, 47.
- 63 იხ. Institutions start discussing way forward after ECHR setback. By Georgi Gotov, EURACTIV.com, 21/04/2016. <<https://www.euractiv.com/section/justice-home-affairs/news/institutions-start-discussing-way-forward-after-echr-setback/>> [29/05/2021]. ცნობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კომისიის თავმჯდომარის პოსტი იმ დროისავის უან-კლოდ იენეკერს ეკავა, რომელიც ამ თანამდებობაზე 2019 წლის 1 ნოემბრიდან ურსეული ფონ დერ ლაინგმი შევალო.
- 64 იხ. The EU's accession to the European Convention on Human Rights. Joint statement on behalf of the Council of Europe and the European Commission. <<https://www.coe.int/en/web/portal/-/the-eu-s-accession-to-the-european-convention-on-human-rights>> [29/05/2021]. საგულისხმოა, რომ 2019 წლის ოქტომბერში ევროპის კომისიისა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდგრადი აცნობა, რომ ევროკავშირის მზადა, განაახლოს მოლაპარაკებები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილება მოლაპარაკებების ნარმოების მანდატის განსაზღვრის შესახებ 2020 წლის დასაწყისში მიიღო, რსაც შედეგად სტრასბურგში მხარეებს შორის მოლაპარაკებების პროცესის ოფიციალური განხელება, მოჰყვა (2020 წლის 29 სექტემბრიდან) (იხ. ЕС возобновил переговоры о присоединении к Европейской конвенции о правах человека. EUROINTEGRATION.com.ua, 29 сентября 2020. <<https://www.eurointegration.com.ua/rus/news/2020/09/29/7114816/>> [29/05/2021]).

ერთმანეთთან შეთავსება, ამის ნახვა ჯერ კიდევ მოგვიწევს, ოღონდ საკითხავი ის არის, დროის რა პერსპექტივაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სახელმწიფოებს ამთავითვე მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდებათ „ინოვაციური იურიდიული აზროვნებისა“⁶⁵ „და „სამართლებრივი გენიალობის“ გამოსავლენად, რათა შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის ახალმა ვარიანტმა სრულად დააკმაყოფილოს ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო.⁶⁶

ვიდრე ეს მოხდება, ერთი რამ ფაქტია: ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და, განსაკუთრებით, კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის „არაკონსტიტუციურობის“ თაობაზე საკონსულტაციო დასკვნის მიღების მომენტიდან ლუქსემბურგის სასამართლო მიზანმიმართულად შეუდგა ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში საკუთარი პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბებას და მთავარი ორიენტაცია ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის ახსნა-განმარტებასა და გამოყენებაზე აიღო. ეს კი, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოებს შორის ურთიერთქმედება არა ადამიანის უფლებების საერთოერთობული სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი უნიფიცირებულად განვითარების მიმართულებით ვითარდება, არამედ იგი ევროკავშირის სამართლებრივი სისტემისა და კონვენციის „ჰარმონიულ“ თანაარსებობას ისახავს მიზნად.⁶⁷

ასეა თუ ისე, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენების მზარდ პრაქტიკას შეუძლია, ლუქსემბურგის სასამართლოსთვის მნიშვნელოვანად შეასუსტოს კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის აუცილებლობა და ამით წევრ სახელმწიფოებში შექმნას შთაბეჭდილება (განცდა) იმისა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან კავშირის შეერთებამ უკვე დაკარგა თავისი აქტუალობა, ევროკავშირის დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი ხარისხისა და ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის არსებობის გათვალისწინებით.⁶⁸ მეტიც, აქა-იქ უკვე გაისმა მოწოდებები, რომ გადაისინჯოს ტრადიციული საკრალურ-სათუთი დამოკიდებულება კონვენციისადმი, როგორც ადამიანის უფლებების შესახებ ყველაზე ავტორიტეტული ევროპული დოკუმენტისადმი, ზუსტად იქიდან გამომდინარე, რომ ქარტია ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ დონეს გვთავაზობს.⁶⁹

65 იხ. P. Tacik, *After the Dust Has Settled: How to Construct the New Accession Agreement after Opinion 2/13 of the CJEU*, German Law Journal, Vol. 18, N4, 2017, 919–967.

66 იხ. ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, გრიგორ რობერტის სახელობის უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი, თბ., 2018, 171.

67 იხ. J. Krommendijk, *The Use of ECHR Case Law by the Court of Justice after Lisbon: The View of Luxembourg Insiders*, Maastricht Journal of European and Comparative Law, Vol. 22, N6, 2015, 834–835.

68 იხ. A. Williams, *The European Convention on Human Rights, the EU and the UK: Confronting a Heresy*, The European Journal of International Law, Vol. 24, N4, 2013, 1157–1185.

3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენება

წინამდებარე სტატიის მიზნის კონტექსტში, საინტერესოა ასევე ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის საგარეო გავლენის საკითხის განხილვა, რაც სტრასბურგის სასამართლოს მიერ მის აქტიურ გამოყენებაში გამოიხატება.

ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ადამიანის უფლებათა ძირითადი კატალოგი“ იყო ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, რომელთა რიცხვში ევროკავშირის ყველა მონაწილე ქვეყანაც შედის. მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათი წლის წინათ მიღებული კონვენციის დებულებების ახსნა-განმარტება სტრასბურგის სასამართლოს მიერ მას ადამიანის უფლებათა დაცვის „ცოცხალ ინსტრუმენტად“ აქცევს და სოციალური რეალობის ცვალებად პირობებთან ადაპტაციაში ეხმარება, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ძირითადი უფლებების ქარტია შეიცავს დებულებებს, რომლებიც უფრო უკეთ ასახავენ თანამედროვე რეალობას და უკეთ პასუხობენ მის მოთხოვნებს.⁶⁹ სწორედ ეს გარემოება განაპირობებს, რომ ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქტიურად იყენებს ქარტიის დებულებებს, ხშირად მიუთითებს მათგე. ამასთან, ქარტიის გამოყენება უმთავრესად მის მიერ დადგენილი პრაქტიკის დაზუსტების ან/და, სულაც, მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის ხდება;⁷⁰ ამის მიზები ისაა, რომ სასამართლო ქარტიაში „უკვე შემდგარი ევროპული კონსენსუსის“ დადასტურებას ხედავს.⁷¹

ასე, მაგალითად, 2012 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე – სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (N3) (*Scoppola v. Italy (N3)*)⁷² სტრასბურგის სასამართლომ უარი თქვა თავის თითქმის ნახევარსაუკუნოვან პრაქტიკაზე და აღიარა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი (უფრო მკაცრი სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის უზრუნველყოფის პარალელურად) გულისხმობს ასევე მსჯავრდებულის მიმართ უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებას, ვიდრე დანაშაულის ჩადენის მომენტში არსებობდა (უფრო მსუბუქი სისხლის სამართლებრივი კანონისთვის უკუძალის მინიჭებას), თუმცა კი, საკუთრივ მე-7 მუხლის ტექსტში ამის შესახებ სიტყვაც არაა ნახსენები. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არგუმენტაციას საფუძვლად დაუდო ამ პრინციპის არსებობა ძირითადი უფლებების ქარტიის 49-ე მუხლში

69 იხ. В. О. Рябова, Взаимодействие Суда Европейского союза и Европейского суда по правам человека по делам о защите прав человека после Лиссабонского договора: Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, МГИМО Университет, Москва, 2016, 93.<https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf> [29/05/2021].

70 იხ. ძალა და კომიტეტის ასტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria), 2010 წლის 24 ივნისი; ომარსოერი ბორვატიის წინააღმდეგ (Tomasović v. Croatia), 2011 წლის 18 ოქტომბერი; ბოლონეგრი და შერუკი შვეიცარიის წინააღმდეგ (Neulinger and Shuruk v. Switzerland), 2010 წლის 6 ივნისი; ბასოთიანი სომხეთის წინააღმდეგ (Bayatyan v. Armenia), 2011 წლის 7 ივნისი; ვოლტე ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Vilho Eskelinen and others v. Finland), 2007 წლის 19 აპრილი; სერგეი ბოლოტუნი რესეტის წინააღმდეგ (Sergey Zolotukhin v. Russia), 2009 წლის 10 ოქტომბერი და სხვ.

71 იხ. А. С. Исполинов, Хартия Основных Прав ЕС: Опыт первых трех лет применения, Евразийский юридический журнал, 12 (55), 2012, 68.

72 იხ. სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (N3) (*Scoppola v. Italy (N3)*), 2012 წლის 22 მაისი.

(„კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპები დანაშაულისა და სასჯელის განსაზღვრისას“), რომლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, „თუკი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილ იქნა უფრო მსუბუქი სასჯელი, გამოიყენება ეს უკანასკნელი“. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა სტრასბურგის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ნ. ბრატცას აღიარება, რომელმაც განაცხადა, რომ ძირითადი უფლებების ქარტია ევროპული კონვენციის მონაწილე ქვეყნების უმეტესობის „კონსენსუსის კრისტალიზაცია“ მასში ჩამოყალიბებული უფლებების მოცულობასთან მიმართებით.⁷³ ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები (მაგალითად, საქართველო, უკრაინა), ძალაუნებურად, ქარტის დებულებების „უნებლივ რეციპიენტებად“ გვევლინებიან.

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საქმე, რომლის განხილვის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ აღიარა კონვენციის დებულებების ახსნა-განმარტებაში ცვლილების აუცილებლობა, არის საქმე შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ (*Schalk and Kopf v. Austria*).⁷⁴ ამ საქმეზე განმცხადებლად გამოდიოდა ერთნაირსქესიანი წყვილი, რომელსაც უარი ეთქვა მათი ქორწინების რეგისტრაციაზე, იმ საფუძვლით, რომ, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ საპირისპირო სქესის პირებს შორის. საერთო წესისამებრ, სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი რესურსის ამოწურვის შემდეგ, განმცხადებლების მიერ საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში იქნა წარდგენილი კონვენციის მე-12 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე. აღნიშნული საქმის მიმართ კონვენციის მე-12 მუხლის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს მუხლი ქორწინების უფლებას სწორედ მამაკაცსა და ქალს შორის ითვალისწინებს. თუმცა ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტია, კერძოდ, მისი მე-9 მუხლი, რომელიც ასევე ანალოგიურ უფლებას განამტკიცებს, არ შეიცავს მითითებას სიტყვებზე „მამაკაცსა და ქალს შორის“, რაც იმის დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, რომ არაა სავალდებულო, იგი ყველა შემთხვევაში შეზღუდული იყოს ორი საპირისპირო სქესის წარმომადგენელი პირის კავშირით. ამავე დროს, ქარტია ერთნაირ სქესიანთა ქორწინების აღიარების საკითხს გადასაწყვეტად ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობას უტოვებს. ამასთან დაკავშირებით ECtHR ხაზს უსვამს, რომ ავსტრიის ხელისუფლება ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფება, ვინაიდან მას შეუძლია, თვითონ შეაფასოს საზოგადოების საჭიროებები ამ სფეროში და სათანადო რეაგირება მოახდინოს მათზე. შესაბამისად, ევროპული სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონვენციის მე-12 მუხლი მოპასუხე სახელმწიფოს არ აკისრებს ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის ქორწინების ინსტიტუტისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქმეზე მე-12 მუხლი არ დარღვეულა. ამავე დროს, სტრასბურგის სასამართლომ

73 იხ. N. Bratza, *The European Convention on Human Rights and the Charter of Fundamental Rights of the European Union: a process of mutual enrichment*, in: Court of Justice and construction of Europe: analyses and perspectives on sixty years of case-law, A. Rosas, E. Levits, Y. Bot (eds), T.M.C. Asser press, 2013, 168.

74 იხ. შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ (*Schalk and Kopf v. Austria*), 2010 წლის 24 ივნისი.

აღიარა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების (1950 წ.) შემდეგ მომხდარი სოციალური ცვლილებები ზეგავლენას ახდენს, მათ შორის, ქორწინების ინსტიტუტზეც. შესაბამისად, შემდგომში, კონვენციის მე-12 მუხლის ახსნა-განმარტებისას, სასამართლო აღარ ამოვა იქიდან, რომ ქორწინება განხილულ უნდა იქნეს როგორც მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირი.

თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა საქმეებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებებს ეფუძნება. ყველა სხვა წყარო, მათ შორის ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიაც, მისთვის მხოლოდ დამატებითი მასალაა. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ქარტის დებულებების აქტიური გამოყენების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, კონვენციის გარდა, არცერთი სხვა სამართლებრივი აქტი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.⁷⁵

4. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს ურთიერთქმედების, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის თანაფარდობის (სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოთა მიერ მათი ახსნა-განმარტებისა და გამოყენების კონტექსტში) საკითხების განხილვის შედეგად შეიძლება რამდენიმე განზოგადებული დასკვნა გაკეთდეს:

პირველი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო „ძირითადი უფლებების კატალოგი“, რომელსაც იგი ეყრდნობოდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, რადგან ევროკავშირს ძირითადი უფლებების შესახებ საკუთარი დოკუმენტი არ გააჩნდა. ლისაბორის ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და, მის საფუძველზე ძირითადი უფლებების ქარტიისთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მინიჭების შემდეგ კონვენციისადმი ლუქსემბურგის სასამართლოს მიმართვების ხასიათი შეიცვალა. ბოლო პერიოდში ევროპული კონვენცია, ისევე როგორც სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც კონვენციის დებულებების ახსნა-განმარტებას შეიცავს, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის უფრო „დამხმარე ინსტრუმენტია“, რომელსაც იგი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე გადაწყვეტილების ქარტიის საფუძველზე მიღებისას მიმართავს და იყენებს. ამასთან, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სამომავლოდ მისთვის სწორედ ქარტია იქნება ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებას ექვემდებარება,

75 იხ. В. О. Рябова, Взаимодействие Суда Европейского союза и Европейского суда по правам человека по делам о защите прав человека после Лиссабонского договора: Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, МГИМО Университет, Москва, 2016, 94.<https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf> [29/05/2021].

ხოლო კონვენცია სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნება როგორც ერთგვარი „სახელმძღვანელო საწყისი და შთაგონების წყარო“, როგორც „მინიმუმი“, რომლის ქვემოთაც არ შეიძლება ჩამოვიდეს ძირითადი უფლებების ქარტიის მიერ შემოთავაზებული დაცვის დონე.

მეორე, ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლო თავის პრაქტიკაში ასევე იყენებს ეკის ძირითადი უფლებების ქარტის დებულებებს. ეს იმითაა განპირობებული, რომ კონვენციასთან შედარებით, ქარტია უფრო თანამედროვე დოკუმენტია, რომელიც არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ, არამედ ასევე სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებსაც შეიცავს (ამ მხრივ, იგი გაცილებით წინაა, ვიდრე ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტები). ამასთან, მისი დებულებები უფრო უკეთ ასახავს სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტრასბურგის სასამართლო, ძირითადი უფლებების ქარტის დებულებებზე მითითებით, არცთუ იშვიათად აღიარებს საკუთარი მრავალწლიანი პრაქტიკის შეცვლისა თუ დაზუსტების აუცილებლობას გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, რაც ადამიანის უფლებათა ეპროცესი კონვენციის დებულებების ახსნა-განმარტებას უკავშირდება.

მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ორ ძირითად აქტს შორის, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, უდავოა ის ფაქტი, რომ ეკის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს მიერ ამ დოკუმენტების განმარტება და გამოყენება ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს გარემოება კი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობად რჩება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეპროცესი კონვენციასთან, კოლექტიური წევრის რანგში, ეპროპის კავშირის შეერთების ვალდებულების პრაქტიკული რეალიზაციის გზაზე, რისი პერსპექტივაც დღევანდელი გადასახედიდან ძალზე ბუნდოვანი ჩანს. და სანამ ასეთი შეერთება არ მომხდარა, ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოებს შორის ურთიერთობა, ძალაუწებურად, არა ადამიანის უფლებათა საერთო ეპროცესი სისტემის ჩამოყალიბებასა და მის უნიფიცირებულად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, არამედ ევროკავშირის სამართლებრივი სისტემისა და ეპროცესი კონვენციის „ჰარმონიულ“ თანაარსებობაზე.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს
ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული
მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ეპროცესი
სასამართლოს სტანდარტებთან

თამარ ავალიანი

1. შესავალი

2012 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - მიღებული გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჭარო და ინფორმირებულ მსჯლობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“¹. „იდეათა თავისუფალი ბაზარი“ ინდივიდისა და საზოგადოების განვითარების წინაპირობაა, რაც განსხვავებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებასა და დისკუსიაში ვლინდება. სიტყვის თავისუფლება ფასეულია იმით, რომ იგი მოიცავს არა მარტო მაამებლურ და სოლიდარულ მოსაზრებებს, არამედ მწვავე კრიტიკას, სარკაზმს და, ხშირ შემთხვევაში, ექსპრესიულ და შეურაცხმყოფელ გამოხატვასაც.

საზოგადოების მწვავე კრიტიკა ხშირად გაისმის ხელისუფლების მისამართით, მათ შორის სასამართლო სისტემისადმი. სასამართლოს კრიტიკის მთავარი მიზანი მართლმსაჯულების ჯეროვნად აღსრულება და სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნებაა. მოსამართლებს, როგორც საჭარო პირებს, კრიტიკის მიმართ მაღალი თმენის ვალდებულება აქვთ. მოსამართლეებმა უნდა გაიაზრონ გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის და მასთან დაკავშირებული დავები განსაკუთრებული სიფრთხილით გადაწყვიტონ.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსამართლეები იცნობ-დნენ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის საფრთხე.

სტატიაში გაანალიზებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები და შეთავაზებულია მათი აღმოფხვრის გზები.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/468, 11.04.2012.

2. შეურაცხმყოფელი გამოხატვის დაცვის ფარგლები

საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შეურაცხმყოფელ გამოხატვას გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში აქცევს. გამოხატვის თავისუფლების სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1976 წელს, ჰენდისაიდის (Handyside) საქმეში დაადგინა, სადაც განმარტა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაცულია არა მარტო „ინფორმაცია“ ან „იდეები“, რომლებიც კეთილმოსურნეა, ან აღიქმება როგორც უწყინარი ან ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“.² მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეურაცხმყოფელ გამოხატვას დღესაც კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროში აქცევს, ჰენდისაიდის (Handyside) შემდგომ განვითარებული პრაქტიკიდან იკვეთება, რომ სასამართლო დამატებით გამოხატვის მიზანშე მიუთითებს და განმარტავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილით დაცულია შეურაცხმყოფელი გამოხატვა, თუ მას საჭარო დებატებში წვლილის შეტანის ან სხვა მსგავსი მიზანი აქვს.³ შეურაცხმყოფელი გამოხატვის შეფასებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ქმედების გამოხატვის ხასიათს, ავტორის განზრახვას და მიზანს.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ იცავს ისეთ გამოხატვას, რომელსაც ადამიანის ღირსების დამცირების მიზანი აქვს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, კონვენციის მე-10 მუხლი დაცულობის სფეროდან გამორიცხავს შეურაცხმყოფელ გამოხატვას, „თუ იგი უთანაბრდება ბოროტგანზრახულ დამდაბლებას, მაგალითად, როდესაც შეურაცხმყოფელი განცხადების ერთადერთი მიზანია შეურაცხყოფის მიყენებაა“.⁵

გამოხატვის თავისუფლების ქართული მოდელი, რომელიც აშშ-ის მოდელის გავლენას განიცდის, დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით და შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზე მიუთითებს. კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას გარანტირებს, რაც აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული და სრულად და უპირობოდ გამორიცხავს პასუხისმგებლობას აზრის გამოხატვის გამო.

ქართული კონსტიტუციური მოდელისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა

2 ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. United Kingdom), 1976 წლის 7 დეკემბერი, 49-ე პუნქტი.

3 სეკმადიენის შპს ლიეტუვის წინააღმდეგ (Sekmadienis Ltd. v. Lithuania), 2018 წლის 30 იანვარი, 77-ე-81-ე პუნქტები.

4 მურათ უვარალი თურქეთის წინააღმდეგ (Murat Vural v. Turkey), 2014 წლის 21 ოქტომბერი, 54-ე პუნქტი.

5 მაგისტ ტარტალომსბულარტატოვ ეგუისულებები და ინდექსების ცერტ უნგრეთის წინააღმდეგ (MAGYAR TARTALOMSZOL-GÁLTATÓK EGYESÜLETÉ AND INDEXHU ZRT v. HUNGARY), 2016 წლის 2 თებერვალი, 76-ე პუნქტი; სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (Skalka v. Poland), 2003 წლის 27 მარტი, 34-ე პუნქტი; სავა ტერენიტივი რუსეთის წინააღმდეგ (Savva Terentyev v. Russia), 2018 წლის 28 აგვისტო, 68-ე პუნქტი.

6 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეაუნქტი; მე-4 მუხლი.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლისა და გამოხატვის საგნის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად „მორალის დაცვას“ მოიაზრებს, რაც გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად არანეიტრალური რეგულირებისა და გამოხატვის შინაარსზე მსჯელობის შესაძლებლობას ქმნის.

გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით ნეიტრალური შინაარსობრივი რეგულირების ქართული მოდელი, გარკვეულწილად, იზიარებს გამოხატვის თავისუფლების აშშ-ის მოდელის პრინციპებს, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მკაფიო და მყისიერ გამოწვევას და არსებობს მაღალი აღბათობა, რომ ასეთი ქმედება შედგება („ბრანდენბურგის სამწვეროვანი ტესტი“).⁷

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისობრივად ნეიტრალური შინაარსობრივი რეგულირების შესაძლებლობას ითვალისწინებს მათ შორის, პირისპირ შეურაცხეოფისას, რომელსაც საჭარო წესრიგის დაცვის და საჭარო სივრცეში ძალადობის პრევენციის მიზანი აქვს. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „ბრანდენბურგის ტესტის“ გავლენა იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ შეურაცხემყოფელი გამოხატვის მოწესრიგებაში, რომლის დაცვის ობიექტიც საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და იგი მიმართულია ლია სივრცეში შეურაცხემყოფელი გამოხატვის დასხისკენ, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევის „მკაფიო და მყისიერ“ საფრთხეს ქმნის.⁸

შეურაცხემყოფელ გამოხატვასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იზიარებს „პენდისაიდის სტანდარტს“ და, უფრო მეტიც, გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალ სტანდარტსაც გვთავაზობს.

2016 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეშე - საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - მიღებული გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „იმავდროულად, თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომელებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩითიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუცალკეულიადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშთოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას

⁷ ბრანდენბურგი ოპაიოს წინააღმდეგ (Brandenburg v. Ohio), 1969 წელი.

⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი (წვრილმანი ხულიგნობა).

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

და სარგაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა⁹.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „ზოგადად, სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა უკიდურეს შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია. არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების გზით მხოლოდ იმის გამო, რომ არ ვეთანხმებით, გვეშინია, გვძულს, მიგვაჩნია, რომ საზოგადოების მორალისა თუ ტრადიციების შეუსაბამოა. გამოხატვის თავისუფლების და, მაშასადამე, დემოკრატიის სიცოცხლის-უნარიანობისთვის განსაკუთრებული სიფრთხილე სწორედ ასეთი ნეგატიური განწყობებისა თუ დამოკიდებულებების განმაპირობებელი მოსაზრებების მიმართ სამართლის დამოკიდებულებას მართებს. გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების საუკეთესო გზა ისევ გამოხატვაა – რადგან ნებისმიერი მოსაზრება, გამონათქვამი, რომელსაც არ ეთანხმები, არ მოგწონს ან, შენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, შეიძლება უარყო საწინააღმდეგო მოსაზრებებითა და იდეებით, რომელთაც იზიარებ, მოგწონს ან სწორად მიგაჩნია.“¹⁰

3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად

გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი მაღალი დაცულობის სტანდარტისა, არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება შეიძლებოს სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაფასებლად ე.წ. სამწვეროვან ტესტს იყენებს.¹¹ იმისთვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს კონსტიტუციისა და კონვენციის მოთხოვნებს, შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს: შეზღუდვას უნდა ითვალისწინებდეს კანონი; იგი უნდა ემსახურებოდეს კონვენციასა და კონსტიტუციაში მითითებული ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას; შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას განსაზღვრავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი კი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე იური გაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/6/561,568, 30.09. 2016.

10 იქვე, 50-ე-51-ე პუნქტები.

11 Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, Council of Europe/European Court of Human Rights, 2021, 19-22.

3.1. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმური მიზნის გააზრება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „სასამართლო ავტორიტეტის“ ცნების ფართო განმარტებას ახდენს და მასში საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი პატივისცემისა და ნდობის შენარჩუნებას მოიაზრებს.¹² კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვას საზოგადოების მხრიდან სასამართლოს, როგორც მთავარი მართლმსაჯულების ინსტიტუციის, მიმართ ნდობის და პატივისცემის შენარჩუნების მიზანი აქვს. გამოხატვის თავისუფლების სასამართლო ავტორიტეტის საფუძვლით შეზღუდვის საგანი სასამართლო სისტემა, მთლიანი მართლმსაჯულების ინსტიტუციაა.

ტერმინი „მართლმსაჯულება“ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Sunday Times*-ის საქმეში, რომელიც „აერთიანებს მართლმსაჯულების მექანიზმს ან ხელისუფლების სასამართლო შტოს, ისევე, როგორც მოსამართლეებს თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.“¹³ შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიძლებოს თითოეული ამ კომპონენტის საფუძველზე.

საქმეზე - მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Morice v. France*) - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ სასამართლო არის ის ადგილი, სადაც საზოგადოება მოელის დავების გადაჭრას და ადამიანის ბრალეულობის განსაზღვრას და რომ საზოგადოებას აქვს ნდობა და პატივისცემა სასამართლოს ამ უფლებამოსილებისადმი.¹⁴ შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი გამოხატვის თავისუფლების „სასამართლოს ავტორიტეტის“ საფუძვლით შეზღუდვისას იყავს: სასამართლოს, როგორც დავების მოგვარების ერთადერთ ადგილს; სასამართლოს, რომელიც წყვეტს ხალხის ბედს დემოკრატიული პროცედურითა და მექანიზმებით; სასამართლოს, რომელიც აღასრულებს მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობას; სასამართლოს, რომელსაც ენდობა ხალხი.¹⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „სასამართლო ავტორიტეტის“ ცნების შინაარსის განსაზღვრისას გამოდის სასამართლოს განსაკუთრებული როლიდან, საჯარო ინტერესიდან და მისი მნიშვნელობიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁶ სასამართლო ავტორიტეტით და ნდობით უნდა სარგებლობდეს მხარეებს შორის არა მატო კონკრეტული დავის ფარგლებში, არამედ მთელ დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლებრივ სახელმწიფო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი, რათა მან წარმატებით განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნქცია.¹⁸ გამოხატვის თავისუფლების

12 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Morice v. France*), 2015 წლის 23 აპრილი, 129-ე პუნქტი.

13 სანდო თამისი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (*Sunday Times v. the United Kingdom*), 1979 წლის 26 აპრილი, 55-ე პუნქტი.

14 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Morice v. France*), 2015 წლის 23 აპრილი, 129-ე პუნქტი.

15 ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავა (სტრასბურგის სასამართლოს იურისმუდენციის მიმოხილვა) და მსოფლიო, N13, 2019, 34.

16 დი ჯოვანი იტალიის შინააღმდეგ (*Di Giovanni v. Italy*), 2013 წლის 9 ივნისი, 71-ე პუნქტი.

17 კაპრიანუ კვაპროსის შინააღმდეგ (*Kyprianou v. Cyprus*), 2005 წლის 15 დეკემბერი, 172-ე პუნქტი.

18 დი ჯოვანი იტალიის შინააღმდეგ (*Di Giovanni v. Italy*), 2013 წლის 9 ივნისი, 71-ე პუნქტი.

შეზღუდვა სასამართლო ავტორიტეტის დასაცავად ასევე გულისხმობს იმ ასპექტს, რომ მოსამართლებს ევალებათ მეტი „თავშეკავებულობა“ საზოგადოების კრიტიკაზე საპასუხოდ, მათ არ შეუძლიათ საჯაროდ სხვადასხვა კრიტიკაზე პასუხი, რაც მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების შედარებით ვიწროდ განმარტებას მოიაზრებს.¹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების „სასამართლოს მიუკერძოებლობის“ ღეგიტიმური მიზნით შეზღუდვისას მართლმსაჯულების კეროვანი განხორციელების საჯარო ინტერესი დომინირებს, რათა სასამართლო არ მოექცეს სხვადასხვა სახის გავლენის ქვეშ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიუკერძოებლობა.²⁰

კონვენციის მე-10 მუხლი იყენებს ორ სხვადასხვა ტერმინს – „ავტორიტეტს“ და „მიუკერძოებლობას“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „ავტორიტეტის“ ცნებაშიგაცილებითუფრო ფართო და მრავლისმომცველ შინაარსს დებს, ვიდრე „მიუკერძოებლობაში“. საზოგადოების თვალში „სასამართლოს ავტორიტეტის“ განმტკიცება არის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფით.²¹

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას დაცვის საგნად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველესად, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების საჯარო ინტერესზე მიუთითებს.²² საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დაცვის ობიექტი სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მისი ზეგავლენისგან დაცვის საჯარო ინტერესია.

3.2. სასამართლოს კრიტიკის ფარგლები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მინიმალური სტანდარტი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში მოსამართლეების, როგორც ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტის, მიმართ კრიტიკის გაცილებით უფრო ფართო ფარგლებს ადგენს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ. მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიები არ ვრცელდება სასამართლოს მიმართ უხეშად დამაზიანებელ შეტევებსა და დაუსაბუთებელ განცხადებებზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, „იმის გათვალისწინებით, „იმის გათვალისწინებით,

19 კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ (Kudeshkina v. Russia), 2009 წლის 26 თებერვალი, 86-ე პუნქტი.

20 Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, Council of Europe/European Court of Human Rights, 2021, 77.

21 გ. წელეულები, რ. კავაბაძე, ვ. ბერევაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (DGI), 2020, 37.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – მოქალაქეთა პოლიტიკური გერთიანება, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზოგად ძიგიერი და კახ კუკავა, საქართველოს ასალგარეთ იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაურის და კაბ კამპარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №21/482,483,487,502, 18.04.2011.

რომ მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ძირითად ინსტიტუტს, ისინი, შეიძლება, გახდნენ პირადი კრიტიკის ობიექტები დასაშვებ ფარგლებში და ეს შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ თეორიული და ზოგადი ქცევით. საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას ისინი შეიძლება დაექვემდებარონ დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო საზღვრებს, ვიდრე რიგითი მოქალაქეები.²³ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას გამოხატვის მიზანშე ამახვილებს. სკალკას (Skalka) საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „თუ რაიმე ფორმით გამოხატვის ერთადერთი მიზანი სასამართლოს, ან ამ სასამართლოს მოსამართლის შეურაცხყოფაა, მაშინ სათანადო სანქცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დარღვევა“.²⁴ სკალკას (Skalka) საქმეში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს არ აქვს კრიტიკისგან იმუნიტეტი და ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის გავლო. კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის ფარგლები სასამართლოს მიმართ უხეშად დამაზიანებელ შეტევებები არ ვრცელდება, რაც საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნების საჭარო ინტერესით აიხსნება.

რადობულიაკის (Radobuljac) საქმეში²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსამართლის პერსონალური შეურაცხყოფის დეტალურ შემთხვევებზე იმსჯელა, რომლის მიხედვითაც „განმცხადებლის კრიტიკულ შეფასებებს, რომელიც მიემართებოდა კონკრეტულად მისი კლიენტის საქმეში მოსამართლის ქცევას და დისტანცირებული იყო მოსამართლის ზოგადი პროფესიონალიზმის შეფასებისაგან, არაფერი ჰქონდა საერთო ისეთ კომენტარებთან, რომლებიც სასამართლომ ან ყოფილმა კომისიამ მიიჩნია პიროვნულ შეურაცხყოფად. ასეთებია, მაგალითად: მოსამართლის დადანაშაულება განზრას რეალობის დამახინჯებაში, უყოყმანოდ ტყუილის თქმაში ან მცდარი ანგარიშის მომზადებაში, რომელიც სიცრუესა და განზრას არასწორ ინფორმაციას შეიცავს. ასევე მოსამართლეზე პიროვნულ თავდასხმად ითვლება და სცდება კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების საზღვრებს საქმის განმხილველი მოსამართლის პროფესიული კომპეტენციის ექვენებაზე დაყენება, იგივე შეიძლება ითქვას ისეთი შეურაცხყმყოფელი ტერმინების გამოყენებაზე, როგორებიცაა: „უპასუხისმგებლო კლოუნები“ „შეზღუდული ინდივიდები“ და „წარმოუდგენელი კრეტინები“.²⁶

პირველი გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლის კრიტიკის ფარგლებს ეხებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მიიღო საქმეზე – ბარფოლდი დანიის წინააღმდეგ (Barfod v. Denmark). მითითებულ საქმეში მომზივანმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთში, სადაც მიუთითა, რომ „ორმა არაპროფესიონალმა მოსამართლემ „შეასრულა თავისი მოვალეობა“ და რომ მათ ხმა მისცეს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების

23 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France), 2015 წლის 23 აპრილი, 131-ე პუნქტი.

24 სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ (Skalka v. Poland), 2003 წლის 15 ნოემბრი, 131-ე პუნქტი.

25 რადობულიაკი ხორვატის წინააღმდეგ (Radobuljac v. Croatia), 2016 წლის 28 ივნისი, 66-ე პუნქტი.

26 ვ. წელუკაძე, რ. კაკაბაძე, ვ. ბრევაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020, 63.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

მსახურებმა და არა როგორც დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლებმა.²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, „მიუხედავად საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხისა (საგადასახადო დავა), ბრალდების უსაფუძვლობის გამო მომჩივნის გამონათქვამი ვერ ჩაითვლებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჭარო დისკუსიაში წვლილის შეტანად.“²⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გასული საუკუნის 90-იანი წლების პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლოს „თავშეკავებულობის“ ვალდებულებით ხსნიდა, რადგან სასამართლო ხელისუფლება მოკლებული იყო კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას და უნარს.²⁹

საქმეზე - პრაგერი და ობერშლიკი (*Prager and Oberschlick*) - ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „გათვალისწინებულ უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში. როგორც მართლმსაჯულების გარანტმა, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა ისარგებლოს საზოგადოების ნდობით, რათა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. ამგვარად, მას შეუძლია, საჭიროდ ჩათვალოს ამგვარი ნდობის დაცვა უსაფუძვლო და დესტრუქციული თავდასხმებისგან, განსაკუთრებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს, რომლებიც კრიტიკის ობიექტად იქცევიან, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა უკრძალავს ამგვარ კრიტიკაზე პასუხის გაცემას.“³⁰

ევროპული სასამართლოს ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ იხრება და მისი შეზღუდვის შედარებით მკაცრ სტანდარტს აწესებს, განსაკუთრებით, როდესაც გამოხატვა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემებს ხება. ³¹ ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან და საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, ადგენს, თუ რა ჩაითვლება საჭარო ინტერესის მქონე თემად.

მორისის (*Morice*)-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ საჭარო ინტერესად მიიჩნია სასამართლო ხელისუფლების გამართულად ფუნქციონირება, თუნდაც საქმე მიმდინარე სასამართლო დავას ხებოდეს.

ევროპულმა სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე თავისთავად არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. ამასთან, სასამართლო, როგორც სამართლიანობის დაცვის გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების მხრიდან ნდობით, რათა

27 ბარფოლფი ფანიის ნინააღმდევ (Barfold v. Denmark), 1989 წლის 22 თებერვალი, 34-ე35-ე პუნქტები.

28 იქვე.

29 ბუსკემი იტალიის ნინააღმდევ (Buscemi v. Italy), 1999 წლის 16 სექტემბერი; პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის ნინააღმდევ (Prager and Oberschlick v. Austria), 1995 წლის 26 აპრილი.

30 პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის ნინააღმდევ (Prager and Oberschlick v. Austria), 1995 წლის 26 აპრილი, 34-ე პუნქტი.

31 გ. ბერია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გერმანის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, 58; ასევე, მორისი საფრანგეთის ნინააღმდევ (Morice v. France), 2015 წლის 23 აპრილი.

სრულყოფილად განახორციელოს თავისი ფუნქციები. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელია, სასამართლო დაცულ იქნეს მძიმე, დაუსაბუთებელი შეტევებისგან, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობას. მითუმეტეს, რომ მოსამართლეს, რომელიც ექცევა კრიტიკის ქვეშ, თავისი პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარე, არ შეუძლია, პასუხი გასცეს ამგვარ ბრალდებებს. ამავე, დროს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ არ ჩავთვლით აშკარად დაუსაბუთებელ შეტევებს სასამართლოზე, მოსამართლე შეიძლება დაექცევემდებაროს პერსონალურ კრიტიკას.³² მორისის (Morice) საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გაზარდა გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი და განმარტა, რომ, თუმცა საქმეზე მოსამართლის მიმართ შენიშვნები იყო მკაცრად კრიტიკული, ამგვარი კრიტიკული გამოხატვა დაშვებულ უნდა იქნეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში და რომ კონსტრუქციული კრიტიკა არათუ საზიანო, არამედ სასარგებლოა სასამართლოს სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.³³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზიდან ვლინდება, რომ მართალია, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, ეს დაცვის ღირსი ინტერესი არ მოქმედებს ვაკუუმში.³⁴ შესაბამისად, მართლ-მსაჯულების აღმინისტრირებასა და მის კეროვან განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება გახდეს საჭარო დებატების გამომწვევი, მათ შორის, კრიტიკული გამოხატვის ნაწილი.

3.3. სასამართლოს კრიტიკის ფარგლები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის საფუძვლით შეზღუდვის სტანდარტზე სულ ორ გადაწყვეტილებაში იმსჯელა. სასამართლო გადაწყვეტილებებში ამ ორ სამართლებრივ სიკეთეს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობს. 2006 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - მიღებული გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „სახელმწიფოში ისეთი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორიცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის ხარჯზე“. საქართველოშიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღეკვატური დაცვა ხელისუფლების კონსტიტუციური

32 „სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით, გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა დაუშვებელია“ – საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 16/11/2015, www.transparency.ge (19.05.2021).

33 იქვე, 2.

34 D. Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, a handbook for legal practitioners, Council of Europe, 2017, 72.

ვალდებულებაა.³⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ, მითითებული განმარტებით, სასამართლოს მიმართ კრიტიკული გამოხატვის დაცვის მაღალი სტანდარტი შექმნა და, მიუხედავად სასამართლოს ავტორიტეტისა და ქმედითი მართლმსაჯულების მაღალი ლეგიტიმური მიზნის აღიარებისა, მისი უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების ხელყოფის ხარჯებად დაუშვებლად მიიჩნია.

ვახტანგ მასურაშვილისა და ონისე მებონიას საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოში სადაც იყო გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც მოსამართლეს უფლებამოსილს ხდიდა, დაუყოვნებლივ გაერარებინა სათანადო ღონისძიებები სამართალდარღვევის აღსაკვეთად, რათა სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას ხელი არ შეშლოდა. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლი,³⁶ მოსამართლეს აძლევდა საშუალებას, თუ სასამართლოს მიმართ გამოხატული იქნებოდა აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეეძლო, გამოეტანა განკარგულება, პირის 30 დღე-დამედე ვადით დაპატიმრების შესახებ. მოსამართლის განკარგულება მიიღებოდა ადგილზე თათბირით, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდებოდა. მითითებულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ „სადაც ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის კანონიერ მიზანი არის: ქმედითი, სწრაფი, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლოში წესრიგის უზრუნველყოფა, სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის აღკვეთა და მისი ავტორიტეტის დაცვა“.³⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი სასამართლოსადმი უპატივცემულობას მოსამართლის მიმართ პირადი ღირსების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად არ განიხილავს. მასურაშვილისა და ონისე მებონიას საქმეზე განვითარებული სტანდარტით, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ მიზნად მხოლოდ ქმედითი, სწრაფი, ეფექტური და შეუფერხებელი მართლმსაჯულების განხორციელება მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოსადმი უპატივცემულობა არ არის სამართალდარღვევა, მიმართული მოსამართლის პირადი ღირსების წინააღმდეგ, არამედ ხელს უშლის მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას. უფლებამოსილება, შეაფასო ასეთი ქმედება და შეუფარდო სანქცია, განიხილება როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი და მოსამართლის ავტორიტეტის თანამდევი ფაქტორი. აღნიშნულით უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეფექტური და ჯეროვანი განხორციელება“.³⁸ საკონსტიტუციო სასამართლო იმავე ღვევიტიმურ მიზანს ადგენს კონკრეტული მოსამართლის მიმართ უპატივცემულო და შეურაცხმყოფელი გამოხატვისას. სასამართლოს განმარტებით, „ეს მიზანი

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/393,397, 15.12.2006.

³⁶ 2006 წლის რედაქციით.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/393,397, 15.12.2006.

³⁸ იქვე, მე-3 პუნქტი.

იდენტურია ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ უპატივცემულობის აღკვეთისას და, ბუნებრივია, გადამწყვეტი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოიხატება მოსამართლის, როგორც პიროვნების, მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმაცია, რადგან ის მართლმსაჯულების განხორციელებისას განასახიერებს სასამართლოს, შესაბამისად, არა აქვს უფლება, იყოს სუბიექტური და გამოიტანოს არასწორი, არასამართლიანი გადაწყვეტილება. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია მისი და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისთვის”.³⁹

სასამართლოს დამოუკიდებლობასა და შეკრების ფორმით გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვაზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში, რითაც კონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც კრძალავდა მანიფესტაციის ჩატარებას მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან.⁴⁰

2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი განავითარა და განმარტა, რომ „მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციური უფლებაა. როგორც საჯარო პირს, მოსამართლეს თმენის ვალდებულება მართლაც აქვს, რამდენადაც მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული“.⁴¹ სასამართლოს შეფასებით, „მოსამართლის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვის. სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოეს შეკრებების (მანიფესტაციების) გზით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა“.⁴²

საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი სტანდარტის დადგენით გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობის დაცვას შორის გონივრული ბალანსის დაცვის გარკვეული ფორმულა შემოგვთავაზა. ⁴³ სასამართლოს შეფასებით, „საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას

³⁹ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზეიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაურია და კაბუ კიბურიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის ნინააღმდეგ. №2/482,483,487,502, 18.04.2011.

⁴¹ იქვე, 67-ე პუნქტი.

⁴² იქვე, 66-ე პუნქტი.

⁴³ სახელმძღვანელო დოკუმენტი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შზღუდვებისთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020, 20.

უშლის ხელს".⁴⁴ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტი და განმარტა, რომ „მოსამართლები შეიძლება დაქვემდებარონ პერსონალურ და პროფესიულ კრიტიკას, თუმცა მათ მიმართ კრიტიკის დასაშვებობის ზღვარი უფრო ვიწროა, ვიდრე პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ, აღნიშნული განპირობებულია მოსამართლების როლით და ვალდებულებებით, არ შევიდნენ საჯარო პოლიტიკურ დისკუსიებში".⁴⁵ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე დადგენილი სტანდარტით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც მოსამართლის საქმიანობის კრიტიკა, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად იჭრება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვა მოსამართლის პირად სივრცეში გაუმართლებელ შექრად მიიჩნია, რაც საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას და აზიანებს მართლმსაჯულების ობიექტურობის ხარისხს.⁴⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზიდან ვლინდება, რომ სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთ მიზნად მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, ჰეროვნად და ეფექტიანად წარმართვას განიხილავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტისგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მოსამართლის პიროვნულ უპატივცემულობას მისი მიუკერძოებლობისთვის საფრთხის შემქმნელად არ მიიჩნევს.⁴⁷

მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, ჰეროვნად და ეფექტიანად წარმართვის სლეგიტიმური მიზნით გამოხატვისთავისუფლების შეზღუდვის ქართული კონსტიტუციური სტანდარტი ბრანდენბურგის საქმეზე განვითარებული „ცხადი და მყისიერი საფრთხის“ ტესტის⁴⁸ გავლენას განიცდის და მართლმსაჯულებისთვის რეალური საფრთხის შექმნის შეფასების ბრიჯის საქმეზე განვითარებულ სტანდარტს იზიარებს.⁴⁹ გამოხატვის თავისუფლების დაცვის ქართული მოდელის მიხედვით, მართლმსაჯულების შეუფერხებლად და სათანადოდ წარმართვის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ გამოხატვა

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა უკრისტო ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაურია და კაბა კიბკორია, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს არალამეტის წინააღმდეგ, №2/482,483,487,502, 18.04.2011.

45 გ. ბერას, სასამართლოს ავტომობილს დაცვის სახელით გამოხსტის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ოერორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, 66.

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა უკრისტო ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაურია და კაბა კიბკორია, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს არალამეტის წინააღმდეგ, №2/482,483,487,502, 18.04.2011.

47 გ. ნულუკიძე, რ. კაგაბაძე, ვ. ბერეკაშვილი, გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინციდენტი (GDI), 2020, 42.

48 ბრანდენბურგი თავის წინააღმდეგ (Brandenburg v. Ohio), 1969 წელი.

49 ბრიჯი კალიფორნიის წინააღმდეგ (Bridges v. California), 1941 წელი; პენენკამპი ფლორიდის წინააღმდეგ (Pennen-kamp v. Florida), 1946 წელი.

მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის აშკარა და მყისიერი საფრთხის შექმნას და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ქმედება მოხდება. საკონსტიტუციო სასამართლოსგან განხსნავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ღეგიტიმურ მიზნად ზოგად-აბსტრაქტულ ცნებას - სასამართლო ავტორიტეტს ითვალისწინებს, რაც ცნების სუბიექტური განმარტების შეტ შესაძლებლობას ითვალისწინებს, ვიდრე „ობიექტურობისა“ და „დამოუკიდებლობის“ ღეგიტიმური მიზნები. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საფუძვლით შეზღუდვის ღეგიტიმური მიზანს ვიწროდ მიზანმიმართულად განმარტავს,⁵⁰ რაც ღეგიტიმური მიზნის სუბიექტური განმარტების ნაკლებ შესაძლებლობას ქმნის და გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის შესაძლებლობის არეალს ამცირებს.

გამოხატვის თავისუფლების ქართული საკონსტიტუციო მოდელი სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტს და ზოგიერთ ასპექტებში მეტი დაცვის გარანტიებს ქმნის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები“.⁵¹

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის (სასამართლოს უპატივცემულობა) შეუსაბამობა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასების „სამწვეროვან ტესტთან“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს სასამართლოს უპატივცემულობას, რომელიც გამოიხატება სამართალწარმოების მონაწილის⁵² ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფაში.⁵³ მითითებული ნორმა ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასების „სამწვეროვანი ტესტის“ პირველი ეტაპის მოთხოვნებს, რომელიც „კანონით განსაზღვრულობაში“⁵⁴ გამოიხატება. სანდი თაიმსის (Sunday Times) საქმეზე განვითარებული სტანდარტით „პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით,

50 მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, კერივნად და ეფექტიანად წარმართვა.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყაფაიან და ავთანდილ უნგარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, № 1/3/421,422, 10.11.2009.

52 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

53 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

54 Prescribed by law.

რაც მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იმქმედოს საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისთვის გონივრულ ფარგლებში, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს⁵⁵. იგივე მსჯელობა განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბრისკის (*Brisc*) საქმეზე და კანონის ხარისხზე მიუთითა, რომელიც უნდა იყოს პირისთვის განცვრეტადი მისი შედეგების მიმართ.⁵⁶

სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი ამ დანაშაულის მიზნებისთვის, არ განმარტავს ტერმინს, რას გულისხმობს და როგორ გამოიხატება „სასამართლოს უპატივცემულობა“ და „სასამართლოს შეურაცხეყოფა“. ტერმინი „შეურაცხეყოფა“ შეფასებითი ცნებაა, ინდივიდუალური აღქმის საკითხია და სისხლის სამართლის მიზნებისთვის მას ნათელი და არაორაზროვანი დეფინიცია სჭირდება. ამგვარი ბუნდოვანი და არაგანცვრეტადი ნორმები მოქალაქეებს ართმევს შესაძლებლობას, შეუსაბამონ მას თავიანთი ქცევა და წინასწარ განცვრიტონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ მიერკანონის დარღვევას მოჰყვება. ამასთანავე, ამგვარი ბუნდოვანი ნორმები შესაბამის დაინტერესებულ ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას, სუბიექტურად განმარტონ ისინი და პრაქტიკაში მათი რეალიზება გამოხატვის თავისუფლების შელახვის ხარჯე მოახდინონ.

სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემურობა და სასამართლოს მიერ მისი გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგო განმარტება გამოვლინდა ოპოზიციური პარტიის ლიდერის - ზვიად კუპრავას საქმეში. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2019 წლის 01 აგვისტოს განაჩენით, ზვიად კუპრავა დამნაშავედ ცნო სასამართლოს უპატივცემულობაში, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხეყოფით. სასამართლომ ზვიად კუპრავას 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჭა.⁵⁷

თბილისის საქალაქო სასამართლოში ზვიად კუპრავას წინააღმდეგ მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე. სხდომის მიმდინარეობისას, მასალების შესწავლის მიზნით, მოსამართლემ გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება. ამ დროს ზვიად კუპრავა ჩავიდა სასამართლოს შენობაში არსებულ სასადილოში. შესვენების პერიოდში სასადილოში მასთან გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და მიუთითეს დარბაზში დაბრუნებისაკენ, რის პასუხადც კუპრავამ განაცხადა, რომ დათქმულ დროს დაბრუნდებოდა. შეს-ს წარმომადგენლებმა კვლავ განაგრძეს მოთხოვნა და მიუთითეს მას, რომ მოსამართლე ელოდებოდა, რაზეც კუპრავამ განაცხადა, რომ მოსამართლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა და იგი შეურაცხებული სიტყვებით მოიხსენია. სწორედ ეს ფაქტობრივი გარემოებები შეფასდა როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა

⁵⁵ სანდო თამასი დიდი ბრიტანეთის შინააღმდეგ (*Sunday Times v. the United Kingdom*), 1979 წლის 26 აპრილი, 49-ე პუნქტი.

⁵⁶ ბრისკი რემინიცის შინააღმდეგ (*Brisc v. Romania*), 2018 წლის 11 დეკემბერი, 91-ე-92-ე პუნქტები.

⁵⁷ გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, (GDI), 2020, 26, www.gdi.ge (13.05.2021).

მოსამართლის შეურაცხყოფაში.⁵⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, „საქართველოს კონსტიტუციაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლების ერთ-ერთ საფუძვლად დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების დაცვაა მიჩნეული, სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა უნდა იყოს ის მიზანი, რომლის დასაცავადაც სწორედ ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, ვინაიდან ზვიად კუპრავას უცენბურო გამონათქვამი სასამართლოს შენობაში (და არა სხვა სივრცეში), მოსამართლის მიმართ გასცდა ყოველგვარი დასაშვები და მისაღები კრიტიკის ფარგლებს“.⁵⁹ შეფასებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად კუპრავას მოსამართლისთვის შეურაცხყოფა სასამართლო სხდომის დარბაზში მოსამართლისთვის პირისპირ არ მიუყენებია და, შესაბამისად, სასამართლო პროცესის ეფექტიანად და კეროვნად წარმართვისთვის საფრთხე არ შეუქმნია, რაც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას შექმნიდა. შესაბამისად, ზვიად კუპრავას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის საფრთხე არ შეუქმნია.

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის სტანდარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, იცავს არა ფართოდ სასამართლოს ავტორიტეტს, არამედსასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტით, გამოხატვის თავისუფლება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საფუძვლით შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ექმნება სასამართლოს პროცესის შეუფერხებლად, კეროვნად და ეფექტიანად წარმართვას ანუ მართლმსაჯულების განხორციელებას. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით გათვალისწინებული ბუნდოვანი ტერმინების: „სასამართლოს უპატივცემულობა“ და „სასამართლოს შეურაცხყოფა“ ფართოდა სუბიექტური განმარტების პირობებში შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, პირს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ ნებისმიერი სახის შეურაცხმყოფელი გამოხატვისათვის, რომელიც შეიძლება ლახავდეს მოსამართლის პატივსა და ღირსებას.⁶⁰

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დასაცავად საქართველოს კანონმდებლობა⁶¹ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებას (მათ შორის, აღმინისტრაციულ პატიმრობას) მოსამართლის მიმართ უპატივცემულობისა და წესრიგის დარღვევისთვის, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვას ემსახურება.⁶²

58 იქვე.

59 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს განცხადება, <https://tcc.court.ge/>

60 გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, (GDI), 2020, 28.

61 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი.

62 გ. ბერია, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გერმანის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 2017, 75.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამავილებს სისხლის სამართლის დამდგენი ნორმების განჭვრეტადად და ცხადად მოწესრიგების აუცილებლობაზე. სასამართლოს შეფასებით, „დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენა, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა, ამასთან, დაცული იყოს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან. 2013 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – მიღებული გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიბუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები“.⁶³ შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი არ შეესაბამება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასების „სამწვეროვანი ტესტის“ მოთხოვნებს და უფლებაში ჩარევის გუმართლებელ და არაგანჭვრეტად შესაძლებლობებს ქმნის.

ადამიანისუფლებათა ევროპულისასამართლოს სტანდარტებთან დაახლოებისა და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიმარტოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, რაც ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას განჭვრეტადს და პროგნოზირებადს გახდის. ასევე, მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოებმა განმარტონ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი ადამიანის უფლებების გადმოსახედიდან, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტის საფუძველზე.

5. ფადი ასლის საქმე

ფადი ასლის საქმეზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოხატვის თავისუფლების განმარტება არსებითად ეწინააღმდეგებოდა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებს. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ცილისწამებად დააკვალიფიცირეს მოსამართლის მიმართ ფადი ასლის კრიტიკული მოსაზრება (სიტყვა „კორუმპირებული“), შეფასება და პირადი დამოკიდებულება, იმ ფონზე, როდესაც

63 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, № 2/2/516,542; 14.05.2013.

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას იწვევს. სასამართლოებმა არ იხელმძღვანელეს გამოხატვის თავისუფლების შინაარ-სობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალური ქართული მოდელით და ფადი ასლის პასუხისმგებლობა დააკისრეს მოსამართლის მიმართ მისი კრიტიკული, შეფასებითი მსჯელობის გამო. სასამართლოებმა უგულებელყველს სასამართლოს სისტემის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესი, მოსამართლის, როგორც საჯარო პირის, თმენის ვალდებულება მის მიმართ კრიტიკული გამოხატვის გამო, რომელსაც საჯარო დებატებში წვლილის შემტანი ფუნქცია ჰქონდა. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ხარვეზი გამოასწორა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფადი ასლის საქმეზე.

რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, შპს „ფილიპ მორისისა“ და „თბილისის თამბაქოს“ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლიმ საქმის განმხილველ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს „კორუმპირებული“ უწოდა.

ფადი ასლის შეფასებით, „მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე არის კორუმპირებული მოსამართლე, მოსამართლემ გადაწყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო, მოსამართლის მიერ კომპანიები უხეშად იქნენ მოტყუებულნი და დაშანებულნი“.⁶⁴ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ ცილისწამების ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც თავად იყო დასაქმებული. მოსამართლის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ფადი ასლის ვლადიმერ კაკაბაძის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც. ფაქტობრივად, საქალაქო სასამართლოს განცხადებაში ინფორმაცია წინასწარ, წარმოდგენილი იყო როგორც დადასტურებული ფაქტები.⁶⁵ კერძოდ, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე თბილისის საქალაქო სასამართლომ გააკეთა განცხადება, რომ „სასამართლო ხელისუფლება მკაცრად გმობს და დაუშვებლად მიიჩნევს მოსამართლის მიმართ გამოთქმულ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემღაველი ცნობების გავრცელებას.“⁶⁶

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განმარტებები სახითათო ტენდენციას შეიცავდა კრიტიკული გამოხატვის არაპროპორციული შეზღუდვის კუთხით და მოსამართლის თმენის ვალდებულების ნაწილში არ განიხილავდა მოსამართლის მიმართ კრიტიკულ გამოხატვას, რომელსაც საჯარო დებატებში წვლილის შეტანის დატვირთვა ჰქონდა.

2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით,⁶⁷ საქართველოს უზენაესმა სასამარ-

⁶⁴ გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, (GDI), 2020, 21, www.gdi.ge (13.05.2021).

⁶⁵ იქვე, 21.

⁶⁶ იქვე, 21.

⁶⁷ საქართველოს უზენაესისასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის №ას-591-591-2018 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (ვლადიმერ კაკაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ).

თლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ფადი ასლის განცხადება შეფასებით მსჯელობად, პრობლემისადმი პირად დამოკიდებულებად, აზრად მიიჩნია, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგით და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას იწვევს. უზენაესი სასამართლოს განმარტება სრულად შეესაბა-მებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტს,⁶⁸ რომელმაც ფადი ასლის მწვავე და კრიტიკული გამოხატვა საზოგადოებრივ დისკუსიაში წვლილის შემტანად მიიჩნია.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლოხელისუფლებაზე/მოსამართლეზეაშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამავრცელებლის მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტრუმენტიას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება.“⁶⁹

6. დასკვნა

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი და დასაცავი ინტერესია. მიუხედავად ამისა, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა ადამიანის უფლებების მომენტებული შეზღუდვის ხარჯზე და სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევით არ უნდა განხორციელდეს. მოსამართლე დაცული უნდა იყოს პერსონალური თავდასხმისა და აგრესიისგან, თუმცა ეს არ ნიშნავს სასამართლოს და ინდივიდუალური მოსამართლის კრიტიკის აკრძალვას მოსამართლისთვის დისკონფიდენციალური შექმნის თავიდან აცილების საფუძვლით.

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით ვერ მიიღწევა, ამისთვის მნიშვნელოვანია, თავად სასამართლომ შესთავაზოს საზოგადოებას ხარისხიანი და სამართლიანი მართლმსაჯულება.

68 მარიან მასიევევსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Marian Maciejewski v Poland), 2015 წლის 13 იანვარი.

69 საქართვლოს უზენაეს სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის №ს-591-591-2018 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (ვლადიმერ კაკაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ).

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობას ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული დასაბუთებული გადაწყვეტილებები და სამართლიანი სასამართლო პროცესი განაპირობებს.

მართლმსაჯულების კეროვნად განხორციელების ინტერესის დაზიანების მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში, სამართლებრივ სიკეთეთა შორის გონივრული ბალანსის დასაცავად, მნიშვნელოვანია, გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს პროპორციული შეზღუდვა ნათელი და განჭვრეტადი კანონის მიერ, რომელიც ნორმის სუბიექტური განმარტების შესაძლებლობას გამორიცხავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის დამდგენი ნორმების გაჭვრეტადად და ცხადად მოწესრიგების უზრუნველყოფა, მისი ისედაც მაღალი რეპრესიულობიდან და ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ღრმა ჩარევის საფრთხიდან გამომდინარე. საერთო სასამართლოებმა გამოხატვის თავისუფლების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საფუძვლით შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი ვიწროდ მიზანმიმართულად უნდა განმარტონ და მასში მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად და სათანადოდ განხორციელება უნდა მოიაზრონ. ასევე, მნიშვნელოვანია, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში მოსამართლემ შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალური ქართული მოდელით იხელმძღვანელოს. საკონსტიტუციო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, კანონშემოქმედმა კანონმდებლობის მიღებისას მასში საკონსტიტუციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული სტანდარტები განახორციელოს.

განათლების უფლების შეზღუდვის პონსტიტუციურობის საპითხო COVID-19-ის პანდემიის პირობებში

რევაზ ხოფერია

I. შესავალი

საქართველოში COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. განსაკუთრებით მტკიცნეული აღმოჩნდა განათლების უფლების შეზღუდვა - დაიხურა სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები. ეს შეზღუდვები განსაკუთრებით მტკიცნეული იმიტომ იყო და დღემდე რჩება, რომ სახლის პირობებში განათლების მიღებისთვის სათანადო პირობები მრავალ მოსწავლეს არ აქვს. განათლების გარეშე დარჩენილ საბოგადოებაში კი რთულია მშვიდობის შენარჩუნება, ახალი ცოდნის მიღება და განვითარება. განათლების სისტემისთვის, მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის პანდემიით გამოწვეული ზიანი ჰქონის კიდევ არ არის სრულად გააზრებული და ეს სამომავლო კვლევების საქმეა.

კორონავირუსის კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული მრავალი პრობლემა, მათ შორის: განათლების უფლების ხელმისაწვდომობის პრობლემა; არასათანადო ინფრასტრუქტურა საგანმანა-თლებლო დაწესებულებებში; სასწავლო პროცესში განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სრულყოფილი მონაწილეობის პრობლემა. მრავალ ბავშვს არ აქვს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, რის გამოც ვერ ერთვებიან დისტანციურ სასწავლო პროცესში.¹ ცხადია, საქართველო არ არის გამონაკლისი. არსებული მონაცემებით, მსოფლიოში 1.4 მილიარდი მოსწავლე დარჩა სკოლის მიღმა.² ხშირ შემთხვევაში, სახლში განათლების მიღება არ იყო და ახლაც არ არის შესაძლებელი, რადგან ღარიბ ოჯახებში ბავშვებს არ აქვთ კომპიუტერი და წვდომა ინტერნეტზე, ვერ ახერხებენ გაკვეთილზე დასწრებას დისტანციურად.³

რათქმაუნდა, პანდემიის პირობებში, როდესაც სასწორის ერთ პინაზე შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე იყოს, ხოლო მეორეზე - განათლების მიღების უფლება, რთულია ისეთი გადაწყვეტილების მიღება თუ მიღვომის შერჩევა, როდესაც განათლების დაუფლება სკოლაში, თანაკლასელებთან ერთად იყოს შესაძლებელი და თან მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდეს.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივი თვალსაზრისით და განათლების პოლიტიკის მიზნებისთვისაც, არსებითია განათლების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ანალიზი,

1 „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მფლომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020, 367, ვებგვერდი: [\[www.ombudsman.ge\]](http://www.ombudsman.ge).

2 Human Rights Watch, “Years Don’t Wait for Them”, Increased Inequalities in Children’s Right to Education Due to the Covid-19 Pandemic, USA, 2021, 1, ვებგვერდი: [\[www.hrw.org\]](http://www.hrw.org).

3 ვებგვერდი: [\[www.care.at\]](http://www.care.at).

განათლების უფლების შეზღუდვის პონსტიტუციურობის საკითხი

განათლების კონსტიტუციური უფლების შინაარსის წარმოჩენა და უახლესი, მაგრამ კიდევ არასრული კვლევების საფუძველზე რეკომენდაციების შეთავაზება და, შედეგად, დისკუსიის წამოწყება თუ გაგრძელება.

სტატიის მიზანია, სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს, რამდენად გამართლებულია განათლების უფლებაში ჩარევისა და შეზღუდვის საქართველოში არსებული პრაქტიკა და შემუშავდეს რეკომენდაციები პანდემიის პირობებში სამომავლო გადაწყვეტილებებისთვის.

II. განათლების უფლების შინაარსი, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საფუძვლები

1. განათლების უფლების შინაარსი

განათლების უფლება ადამიანის უფლებაა. განათლება არის ეკონომიკური კეთილდღეობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. საზოგადოების სტაბილურობაც განათლებით მიიღწევა. პიროვნული განვითარება, საზოგადოებრივ, პროფესიულ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობაც განათლებით ხდება შესაძლებელი. საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვითკიგანათლებისუფლებამრავალშემთხვევაშიარიყოუზრუნველყოფილი. პირველ რიგში, დაზარალდნენ ბავშვები და ახალგაზრდები. მკვეთრად შეიძლება განათლების მიღების შესაძლებლობები, ოჯახებში კი სხვადასხვა სახის პრობლემა წარმოიქმნა.⁴ მშობლებმა შეითავსეს სკოლებისა და სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციები. აუცილებელი გახდა ელექტრონული რესურსების მოძიება და გამოყენება. ბევრისთვის ეს საგანმანაკლისო მდგომარეობა ასევე დიდი ემოციური და ფინანსური ტკირთი იყო.⁵

განათლების უფლების განმარტების მცდელობებიდან, ალბათ, შედარებით სრულფასოვანია UNESCO-ს 1999 წლის N13 ზოგადი კომენტარიდან გამომდინარე A4 სქემა. ამ კომენტარებში არის მოცემული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლით გათვალისწინებული შინაარსის განმარტება. დოკუმენტის თანახმად, განათლების უფლება განათლების ყველა საფეხურზე, მიუხედავად მისი ფორმისა, აუცილებლად გულისხმობს: ა) შესაძლებლობას, მიიღო განათლება; ბ) საყოველთაო ხელმისაწვდომობას; გ) განათლების შინაარსობრივ შესაბამისობას; დ) განათლების სისტემის მოქნილობას.⁶ უნდა არსებობდეს სათანადო რაოდენობის მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულება და პროგრამა. საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ხელმისაწვდომობა კი, თავის მხრივ, გულისხმობს:

ა) დისკრიმინაციის დაუშვებლობას - განათლება ხელმისაწვდომი

4 Ad-hoc-Stellungnahmen zur Coronavirus-Pandemie, Leopoldina - Nationale Akademie der Wissenschaften, (5. Ad-hoc-Stellungnahme – 05. August 2020), 2020, 1-3. გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: [www.leopoldina.org].

5 ვებგვერდი: [www.bildungsserver.de].

6 United Nations, Economic and Social Council, Committee on Economic, Social and Cultural Rights, E/C.12/1999/10 (Implementation of the international covenant on economic, social and cultural rights), General Comment N13.

უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის, როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად; ბ) ფაზიკურ ხელმისაწვდომობას – განათლების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს უსაფრთხო დისტანციაზე ან გონივრული მანილით დაშორებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან თანამედროვე ტექნოლოგიების გზით (მაგ.: დისტანციურ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებით); გ) ფინანსურ ხელმისაწვდომობას – განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ფინანსურ ხელმისაწვდომობას განსხვავებული დატვირთვა აქვს დაწყებითი, საბაზო/საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში.⁷

განათლების ფორმა და შინაარსი, მათ შორის კურიკულუმები და სწავლების მეთოდები, უნდა იყოს აქტუალური კულტურული გარემოს შესაბამისი, კარგი სარისხისა მოსწავლებისა და სტუდენტებისთვის და, სათანადო შემთხვევებში, მათი მშობლებისთვის. მინიმალური საგანმანათლებლო სტანდარტი შეიძლება შემოღებულ იქნეს ხელშემკვრელ სახელმწიფოში. ამასთანავე, განათლება უნდა იყოს მოქნილი და უბასუხოს საბოგადოებრივ განვითარებას, გამოწვევებს და უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტთა საჭიროებებს მრავალფეროვან სოციალურ და კულტურულ გარემოში.⁸

2. განათლების უფლების საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები

განათლების უფლება აღიარებულია მრავალი საერთაშორისოსამართლებრივი აქტით – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით;⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით;¹⁰ კონვენციით ბავშვის უფლებების შესახებ;¹¹ კონვენციით განათლების სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ;¹² კონვენციით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.¹³

განათლების უფლების ნორმატიული შინაარსი ასეთია: ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, და ეს ნორმატიული შინაარსი არცერთ საერთაშორისოსამართლებრივ აქტში არ იცვლება, თუმცა ზუსტდება მათი დანიშნულების, შინაარსისა და განათლების საფეხურების შესაბამისად.

7 Ibid.

8 United Nations, Economic and Social Council, Committee on Economic, Social and Cultural Rights, E/C.12/1999/10 (Implementation of the international covenant on economic, social and cultural rights), General Comment N13, Article 13 (2): The right to receive an education – some general remarks.

9 Universal Declaration of Human Rights, Article 26. ვებგვერდი: [www.un.org].

10 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Article 13, ვებგვერდი: [www.ohchr.org].

11 Convention on the Rights of the Child, Articles 28, 29, ვებგვერდი: [www.ohchr.org].

12 UNESCO Convention against Discrimination in Education, ვებგვერდი: [www.unesco.org].

13 Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, Article 10. ვებგვერდი: [www.ohchr.org].

3. განათლების უფლების შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საფუძვლები

განათლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე განათლების უფლების მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმები რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა არ შეცვლილა განათლების უფლების შინაარსი: ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღმდეგადა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.¹⁴

კონსტიტუციით გათვალისწინებული ზოგადი მოწესრიგება დაკონკრეტებულია განათლების სფეროს საკანონმდებლო აქტებში:

ზოგადი განათლების სფეროს ძირითადი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს კანონი იმეორებს კონსტიტუციური ნორმის შინაარსს და თან აზუსტებს, რომ ყველას აქვს უფლება, შეიძინოს „ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.“¹⁵ ამ ნორმიდან შეიძლება არა მხოლოდ განათლების მიღების უფლების ამოკითხვა, არამედ - ხარისხიანი განათლების მიღების უფლება. დაწყებითი და საბაზო ზოგადი განათლება სავალდებულოა.

კანონი, კონსტიტუციური ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას ზოგადი განათლების ისეთი სისტემა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობები, რომლებშიც უზრუნველყოფილი იქნება ზოგადი განათლების მიღება. ამასთანავე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შეიქმნება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება მისი სწავლება, ხოლო საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ადამიანური რესურსითა და პროგრამებით.¹⁶ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს სრული ზოგადი განათლების მიღება. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წელიწადს.¹⁷

ზოგადი განათლების სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობა უშვებს ზოგადი განათლების მიღებას ექსტრენატის გზით.¹⁸ კანონით ასევე გარანტირებულია ზოგადი განათლების მიღება ალტერნატიული ფორმებით,

14 საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

15 იბ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები, ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

16 იქვე.

17 იბ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი, ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

18 იბ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით. ამასთანავე, აღტერნატიული ფორმებით განათლების მიღება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს მოსწავლისა და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას, თუმცა ეს არ გულისხმობს სავალდებულო განათლებისთვის თავის არიდებას ან ისეთი განათლების მიღებას, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების მიზნებს.¹⁹

პროფესიული განათლების მიღების უფლება გარანტირებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონის ნორმაში მცირედი დაკონკრეტებით გადმოცემულია კონსტიტუციური ნორმის შინაარსი - ყველას აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება დისკრიმინაციის გარეშე და კანონმდებლობით დადგენილი წესით.²⁰

უმაღლესი განათლების მიღების უფლებაც გარანტირებულია უმაღლესი განათლების სფეროს მომწესრიგებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტით - „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. სახელმწიფო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.²¹

III. 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 23 მაისამდე პერიოდში განათლების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი

საქართველოში COVID-19-ის შემთხვევების დადასტურებიდან მოკლე დროში სრულად შეიცვალა განათლების მიღების ფორმა. განათლების მიღება აღარ იყო შესაძლებელი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებული ფორმით. შესაბამისად, საინტერესოა, რა სამართლებრივი აქტები დაედო საფუძვლად განათლების უფლების შეზღუდვას და რამდენად შეესაბამება ეს აქტები საქართველოს კონსტიტუციას.

1. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის სამართლებრივი ანალიზი

საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლება. შესაბამისი მუხლების ჩამონათვალი მითითებულია კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტში. ამ ჩამონათვალში არ არის მოცემული კონსტიტუციის 27-ე მუხლი - განათლების უფლება.²² ამდენად, საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტს დეკრეტით განათლების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილება არ აქვს.²³

19 იხ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

20 იხ. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

21 იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

22 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 27-ე მუხლი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

23 შეად. კ. კორიზელია, ადამიანის უფლებათა შზმუდვა საქართველოში პანდემიის დროს, სტატიათა კრებული კონსტანტინე კორკელიას რეაქტორობით: „ადამიანის უფლებათა დაცვა და Covid-19-ის პანდემია“, 2021, 63-65.

მიუხედავად ამისა, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისთანაბრძან, საქართველოს მთავრობას გადაეცა: „აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესებისა და პირობების დადგენის უფლებამოსილება. განათლების უფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად პრეზიდენტს მითითებული აქვს კონსტიტუციის 26-ე მუხლი - შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება.²⁴

განათლების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციასთან შეუსაბამობა დეკრეტიდანვე მკაფიოდ ჩანს, თუმცა, რადგან შეზღუდვის უფლებამოსილება შენიდბულია კონსტიტუციის 26-ე მუხლით, უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ მთავრობის დადგენილება მხოლოდ შრომასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. ვარაუდის გადასამოწმებლად კი პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე გამოცემული მთავრობის დადგენილების სამართლებრივი შეფასებაა საჭირო.

2. „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების სამართლებრივი ანალიზი იმის იმედს, რომ მთავრობის დადგენილება, პრეზიდენტის დეკრეტიდან და კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების საკითხებს არეგულირებდეს, დადგენილების პირველივე პუნქტი გვიცრუებს. დადგენილება ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების მიღების ფორმის არჩევის უფლებას, სასწავლო პროცესი წარიმართება მხოლოდ „ტელესკოლის“, დისტანციური/ელექტრონული ფორმის „ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების“ გამოყენებით.

მთავრობის დადგენილებაკერძოდასაჯაროსკოლებსაკისრებს ვალდებულებას, მოსწავლეებს განათლება დისტანციური ფორმით შესთავაზოს.²⁵ ამასთანვე, თუ მოსწავლე არსებულ რესურსს ვერ იყენებს „ტექნიკური პრობლემის გამო, დადგენილება საგნის მასწავლებელს აკისრებს ვალდებულებას, მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დაგალებების მიცემა და კონსულტირება უზრუნველყოს (მაგ.: სატელეფონო კომუნიკაციით).²⁶

24 საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი. ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

25 იხ. „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი. ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

26 იხ. „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

მთავრობის დადგენილება ასევე ეხება უმაღლესი განათლების სფეროს და ცვლის ამ სფეროში განათლების მიღების ფორმას. უმაღლესი განათლების მიღებაც მხოლოდ დისტანციური ფორმით ხდება შესაძლებელი.²⁷

გარდა განათლების უფლების შეზღუდვისა, მთავრობის დადგენილებით კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული ავტონომიის უფლებაც შეიზღუდა, რადგან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეკისრა ვალდებულება, უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტებისთვის საგანგებო მდგრამარეობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, თუმცა, ლექტორის მიერ შერჩეული ფორმით.²⁸ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივი ხასიათის გარდა, განათლების პოლიტიკის თვალსაზრისითაც, კრიტიკულად უნდა შეფასდეს ეს რეგულაცია, რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრის შეზღუდვით და ცალკეული ლექტორისთვის გადაცემით საპირისპირო შედეგის მიღწევის რისკი იქმნება.

კონსტიტუციით გარანტირებულ ავტონომიაში ჩარევის მაგალითია ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორებისთვის მთავრობის დადგენილების შესრულებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება,²⁹ რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი, ერთი მხრივ, პერძო უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებს თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს სტრუქტურა და საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანოები თუ პირები, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმპერატიულად მიჰნავს ფუნქციებს, მაგალითად, რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) შორის. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა დაეკისროს სსიპ უნივერსიტეტის რექტორს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისთვის.

მთავრობის დადგენილების ხარვეზიანი ბუნების შესაცნობად სტუდენტური თვითმმართველობების ადმინისტრაციულ ორგანოებად მიჩნევაც³⁰ საკმარისი უნდა იყოს, თუმცა დადგენილების მე-4 მუხლი არ იძლევა ასეთი შეფასების საშუალებას, რადგან მთავრობის დადგენილება 2020 წლის 31 მარტს მიღებულ და გამოქვეყნებულ კონსტიტუციური უფლების შემზღვდველ შინაარსს

27 იბ. „საგანგებო მდგრამარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

28 იბ. „საგანგებო მდგრამარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

29 იბ. „საგანგებო მდგრამარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

30 იბ. „საგანგებო მდგრამარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სტუდენტურ თვითმმართველობებს დაეკისრა ვალდებულება, დისტანციური საქმიანობის დროს დაიცვან ადმინისტრაციული წარმოებისთვის კანონმდებლობით დადგინდილი წესები. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

განათლების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი

ანიჭებს უკუძალას და ავტოლებს 30 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.³¹ მაგალითისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ მან დისტანციურ რეჟიმზე არ გადაიყვანა სასწავლო პროცესი მაშინ, როდესაც დისტანციური სწავლების რეჟიმი ჯერ შემოღებული არ იყო და კანონმდებლობა მას ასეთ უფლებამოსილებას არც კი ანიჭებდა.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება როგორც „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, ისე „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილება.

ამასთანავე, დისტანციური საგანმანათლებლო პროცესი გაგრძელდა პრეზიდენტის ზემოაღნიშნული დეკრეტისა და მთავრობის დადგენილების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. ამიტომ საჭიროა შემდგომ მიღებული აქტების სამართლებრივი შეფასებაც.

IV. 2020 წლის 23 მაისიდან 2020 წლის 12 ივნისამდე პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2020 წლის 23 მაისს. შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებაც.

2020 წლის 23 მაისს გამოქვეყნდა იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილება და, განსხვავებით მთავრობის N205 დადგენილებისაგან, რომელსაც საფუძვლად პრეზიდენტის დეკრეტი დაედო, დეკრეტს კი - კონსტიტუციის 26-ე მუხლი, ამ შემთხვევაში ირიბი სამართლებრივი საფუძვლიც კი არ არსებობდა.³²

მთავრობის N322 დადგენილება, ძირითადად, ბლანკებურ მითითებს შეიცავს და სასწავლო პროცესის მოწესრიგების უფლებამოსილების ნაწილობრივ დელეგირებას ახდენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრზე, რომლის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზეც მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში დადგენილი წესების, პირობებისა და რეკომენდაციების

31 იბ. „საგანგებო მფგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

32 იბ. იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება. ვებგვერდი: [\[www.matsne.gov.ge\]](http://www.matsne.gov.ge).

შესრულების მდგომარეობა.³³

მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის N322 დადგენილება მიღებულია 2020 წლის 23 მაისს, ხოლო მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება მიღებულია 2020 წლის 6 ივნისს, მაგრამ ამავე ბრძანებით უკუძალა აქვს მინიჭებული და ვრცელდება 23 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.³⁴

V. 2020 წლის 12 ივნისის შემდგომი პერიოდის სამართლებრივი შეფასება

2020 წლის 12 ივნის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც შეიქმნა ზოგადი განათლების დისტანციურად მიღების სამართლებრივი საფუძველი. დისტანციური სწავლების უფლება მიენიჭა როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლას. საკანონმდებლო დონეზე აღინიშნა დისტანციური სწავლების განსახორციელებლად კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიღვმებისა და მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა. ასევე საკანონმდებლო დონეზე განიმარტა დისტანციური სწავლების სინქრონიული და ასინქრონიული ფორმები. მიუხედავად ამისა, განხორციელებული ცვლილებებიდან მნიშვნელოვანია ცვლილება, რომლის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება, დაადგინოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი.³⁵

ამავე ცვლილებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, ეპიდემიის/პანდემიის დროს მიღლოს საქართველოს ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის თაობაზე გადაწყვეტილებები.³⁶

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც იქნა შეტანილი ცვლილება და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიენიჭა ეპიდემიის/პანდემიის დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის თაობაზე გადაწყვეტილებების

³³ იბ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, კანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 ივნისის №01-56/ნ ბრძანება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვევის ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცლებით მიზნით ჩასატარებელ სავალდებულო ტესტირების პროცესზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, კანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მოწოდომინებისა და კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების თაობაზე“ ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

³⁴ იქვე.

³⁵ იბ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-61 მუხლი. ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

³⁶ იბ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ც2“ ქვეპარენტი. ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

მიღების უფლებამოსილება. განსხვავებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან, პროფესიული განათლების კანონმდებლობა არ უდგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას დისტანციურად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ჩარჩო პირობებს.³⁷

უმაღლესი განათლების სფეროშიც არის გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება, ეპიდემიის/პანდემიის დროს მიიღოს გადაწყვეტილებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის თაობაზე.³⁸

მიუხედავად იმისა, რომ განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეტანილი ბემოაღნიშნული ცვლილებები კითხვებს აჩენს განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით (ავტონომია, აკადემიური თავისუფლება, დეინსტიტუციონალიზაცია) და კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისთვის უფრო მეტ დეტალიზაციას, ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრას საჭიროებს, ეს ცვლილებები, პრეზიდენტის დეკრეტისა და მთავრობის დადგენილებებისაგან განსხვავებით, კონსტიტუციის 27-ე მუხლთან შესაბამისად უნდა იქნეს მიჩნეული.

VI. საქართველოსა და გერმანიაში პანდემიასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი ანალიზი განათლების უფლებასთან მიმართებით

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რამდენიმე კონსტიტუციური სარჩევლი, რომელთა ფარგლებშიც მოსარჩევები ითხოვდნენ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის წესების კონსტიტუციისათვან შეუსაბამოდ გამოცხადებას, კერძოდ, კონსტიტუციის მე-14 მუხლის (ადამიანის თავისუფლება) პირველ და მეორე პუნქტებთან და მე-13 მუხლის (მიმოსვლის თავისუფლება) 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.³⁹

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეხება განათლების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს განათლების უფლების შეზღუდვასთან

37 იხ. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ღ1“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

38 იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „პ18“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება (პატა დასამიძე, გორგა ჩიტიძე, ედუარდ მარიკვილი და ლიკა საჭავა საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ). ვებგვერდი: [www.constcourt.ge].

დაკავშირებითაც.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხელს უწყობს ნორმატიული ცვლილებების მარტივად განხორციელებას იმ სფეროებში, რომლებშიც საჭიროა ხშირი მოდიფიკაცია და შეცვლილ გარემოებებზე რეგულაციების მორგება. სასამართლოს განმარტებით, ზოგ შემთხვევაში, პარლამენტის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება აუცილებელიც კი არის. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, საკითხის მოწესრიგების დელეგირება არ არის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების კანონით შეზღუდვის ლეგიტიმური აღტერნატივი.⁴⁰

გადაწყვეტილების მიხედვით, „საქართველოს კონსტიტუცია თავადვე განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოსათვის იმანენტურია და მისი დელეგირება იმთავითვე კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.“ საკონსტიტუციო სასამართლო ამ არგუმენტის მაგალითად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის 1-ლ პუნქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მხოლოდ კანონით“ დაიშვება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთის ფარგლების დადგენა. სასამართლოს მოსაზრებით, ამ ნორმის ფორმულირება გამორიცხავს კანონმდებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირებას სხვა ორგანოზე. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირებამდე საჭიროა, დელეგირების მიზნები, შინაარსი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვები ფარგლები განისაზღვროს თავადუფლებამოსილების მინიჭებელი აქტით. ეს გამომდინარეობს მოსაზრებიდან, რომ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი არ გასცდეს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. კანონმდებელმა თავად უნდა განსაზღვროს დელეგირებული უფლებამოსილების სამართლებრივი ჩარჩოები და მიმართულებები ისეთი ფორმით, რომ სახელმწიფო ორგანომ შეძლოს მოქმედება კანონმდებლის ნების შესაბამისად. საკმარისი სიცხადით უნდა იყოს განსაზღვრული დელეგირების მიზნები, შინაარსი და ფარგლები. ასევე, შესწავლილ უნდა იქნეს, ხომ არ მოხდა საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ აკრძალული ან ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე უფლებამოსილების აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დელეგირება.⁴¹

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა შეგვიძლია გავავრცელოთ განათლების უფლების კონსტიტუციურ მოწესრიგებაზეც: სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია „კანონით დადგენილი წესით,“ მოქალაქეებს უფლება აქვთ, „კანონით დადგენილი წესით“ სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.⁴² ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციური ნორმა გამორიცხავს განათლების

40 იქვე, სამოტივაციო წარილი, 40, 41.

41 იქვე, 42.

42 საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლი, მე-2 პუნქტი. ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge].

შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირებას და განათლების უფლების დასაშვები შეზღუდვის ფარგლები და შინაარსი მხოლოდ კანონით შეიძლება იყოს მოწესრიგებული.

2. ვაიმარის (რაიონული/საქალაქო) სასამართლოს 2021 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება

2021 წლის 11 იანვარს ვაიმარის (რაიონულმა/საქალაქო) სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც პანდემიის პირობებში დადგენილი წესების დარღვევის გამო პირი გათავისუფლდა დაკისრებული სანქციისა და პასუხისმგებლობისაგან.⁴³

ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: 2020 წლის 24 აპრილს მოსარჩელე საღამოს საათებში, სულ მცირე, 7 ადამიანთან ერთად შეიკრიბა სახლში ერთ-ერთი ადამიანის დაბადების დღის აღსანიშნავად. ამით დაირღვა თიურინგიის მხარის რეგულაცია კორონავირუსის SARS-CoV-2-ის გავრცელების წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, დაირღვა ამ რეგულაციის ნორმა, რომელიც ადგენს პანდემიის პირობებში სოციალური დისტანციის დაცვის ვალდებულებას და კრძალავს ორჩე მეტი ადამიანის თავშეყრას. ამ წესიდან გამონაკლისები დაშვებულია (მაგალითად, სხვა ადამიანთან/ადამიანებთან ერთად თანაცხოვრება), თუმცა სანქციის ადრესატ პირზე ნორმის საგამონაკლისო რეგულაცია ვერ გავრცელდა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.⁴⁴

ვაიმარის სასამართლო ეყრდნობა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება, შეამოწმონ რეგულაციების შესაბამისობა კონსტიტუციასთან, რადგან გერმანიის საკონსტიტუციოსასამართლოუფლებამოსილია, შეამოწმოს ფორმალური გაებით ფედერალური და მიწის კანონების კონსტიტუციურობა, ხოლო მატერიალური გაგებით კანონების, როგორებიცაა რეგულაციები, კონსტიტუციურობის საკითხს წყვეტ საკუთრივ საერთო სასამართლო.⁴⁵

ვაიმარის სასამართლომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო კორონავირუსის SARS-CoV-2-ის გავრცელების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ თიურინგიის რეგულაციის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 მუხლის 13 პუნქტები. სასამართლოს განმარტებით, ამ რეგულაციით ხდება ჩარევა კონსტიტუციით დაცულ უფლებაში და ფორმალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციურია, რადგან შესაბამის კანონში (ინფექციის გავრცელებასთან ბრძოლის შესახებ კანონი [Infektionsschutzgesetz]) არსებული სამართლებრივი საფუძველი სრულად არ ფარავს რეგულაციით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევის ღონისძიებებს.⁴⁶

გერმანიის კონსტიტუციის მე-80 მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს შეიძლება, კანონით მიენიჭოს

43 Amtsgericht Weimar, Urteil vom 11.01.2021, Az. 6 OWi - 523 Js 202518/20.

44 Ibid., Gründe, I, II.

45 Ibid., Gründe, II.

46 Ibid., Gründe, III.

უფლებამოსილება, გამოსცეს ნორმატიული სამართლებრივი აქტები.⁴⁷ გერმანიის კონსტიტუციის 8გემოაღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად კი, სწორედ კანონში უნდა იყოს განსაზღვრული ის შინაარსი, მიზანი და ფარგლები, რაც უნდა მოწესრიგდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.⁴⁸

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, განისაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს საკანონმდებლო საფუძველი: 1. კანონმდებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა საკითხები უნდა იქნეს მოწესრიგებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რა ფარგლებში და რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ეს აქტი; 2. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, თუ რომელი საკანონმდებლო შინაარსი [პროგრამა] უნდა დაინერგოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე; 3. მოქალაქეს უნდა შეეძლოს, გაიგოს, თუ რა შემთხვევებში მოხდება უფლებამოსილების გამოყენება და რა შინაარსი ექნება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. კანონმდებელმა ყველა არსებითი გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციურ უფლებას და დაუშვებელია ამ უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.⁴⁹

ამასთანავე, რაც უფრო არსებითად ზღუდავს კანონქვემდებარე აქტი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებას, მით უფრო მკაფიო, არაორგანიზროვანი და დეტალური უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი და მოწესრიგება. და თუ ეს მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული, შედეგად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი კონსტიტუციისთან შეუსაბამოდ უნდა იქნეს მიჩნეული.⁵⁰

თუმცა სადაც საკითხი არ ეხება განათლების უფლების შეზღუდვას, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მაინც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ზიანი მიადგა განათლების სფეროს - დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები, შეჩერდა ან შეფერხდა გაკვეთილები, ბავშვებს კი მიადგათ ფინანსური ზიანი. სასამართლოს განმარტებით, სკოლა არ არის ადგილი, სადაც მხოლოდ ცოდნის გადაცემა ხდება, არამედ სკოლა ასევე არის ადგილი სოციალიზაციისთვის. სკოლების დახურვით კი სოციალიზაცია და ურთიერთობის სწავლა პრაქტიკულად სრულიად გამორიცხულია. ამასთანავე, შემზღუდველი რეგულაციები ხელს უწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების იზოლაციას, განცალკევებას. შესაბამისად, საზოგადოებაში იზრდება გაუცხოება.⁵¹

ვაიმარის სასამართლოს 8გემოაღნიშნული გადაწყვეტილება იმითაც არის საინტერესო, რომ სასამართლო ცდილობს, დაასაბუთოს, თუ რატომ არ უშლის ხელს ე.წ. „ლოქდაუნი“ კორონავირუსის გავრცელებას და, პირიქით, რატომ არის საზიანო ადამიანების ჯანმრთელობისთვის სახელმწიფოს მიერ მიღებული

47 H. D. Jarass/B. Pieroth, Grundgesetz für Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, 847.

48 Ibid.

49 Amtsgericht Weimar, Urteil vom 11.01.2021, Az. 6 OWI - 523 Js 202518/20, Gründe, III.

50 Ibid.

51 Ibid.

განათლების უფლების შეზღუდვის პონსტიტუციურობის საკითხი

შემზღუდველი გადაწყვეტილებები. მაგალითად, სასამართლო თავისი მოსაზრების გასამყარებლად გარდაცვლილ პირთა სტატისტიკასაც კი იშველიებს – 2020 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში გარდაიცვალა 484429 ადამიანი, 2019 წლის პირველ ნახევარში – 479415 ადამიანი, 2018 წლის პირველ ნახევარში – 501391 ადამიანი, 2017 წელს – 488147 ადამიანი, 2016 წელს – 461055 ადამიანი. სასამართლოს მტკიცებით, 2017 და 2018 წლების პირველ ნახევარში უფრო მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე 2020 წლის იმავე პერიოდში პანდემიის პირობებში.⁵²

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ვაიმარის სასამართლომ მიმდინარე წელს კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო: სკოლაში მოსწავლეებისთვის პირბადის ტარების ვალდებულების დაკისრება კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ცნო.⁵³ ზემდგომმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება უკვე გააუქმა,⁵⁴ ხოლო პროკურატურამ მოსამართლის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.⁵⁵

ვაიმარის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეტად საკამათოა. ზემოაღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში პანდემიასთან დაკავშირებული შინიარსობრივი მოსაზრებები არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული და დამკვიდრებული აზრი. პირიქით, მიმდინარე სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე „საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანაც არის შესაძლებელი, თუმცა პროცესები ჯერ არ არის დასრულებული და, ფორმალური თვალსაზრისით, ასეთი დასკვნის გამოტანა ნააღრევია. ამასთანავე, საკამათო არ არის, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას სათანადო საკანონმდებლო სამართლებრივი საფუძველი სჭირდება.

VII. Human Rights Watch-ის რეკომენდაციები განათლების სისტემისთვის პანდემიის პერიოდში მიყენებული ზიანის შესამცირებლად

განათლების სისტემისთვის მიყენებული ზიანის შესწავლას და კვლევას დრო სჭირდება, თუმცა ამ ეტაპისთვის Human Rights Watch-ის მიერ 2021 წლის მაისში გამოქვეყნებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება იმისა მტკიცება, რომ, მსგავსად სხვა მრავალი ქვეყნისა, საქართველოშიც ეს პრობლემები იყო და არის ძირითადი:

- ა) „ლოქდაუნის“ საწყის ეტაპზე სკოლების ნაწილი საერთოდ არ სთავაზობდა საგანმანათლებლო მომსახურებას მოსწავლეებს ან ეს პროცესი შეტაც არაეფექტური იყო;
- ბ) ბავშვები პანდემიამდეც განიცდიდნენ დისკრიმინაციას, პანდემიამ კი ეს პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა;
- გ) სიღარიბეში მცხოვრებ ან დაბალშემოსავლიან ოჯახებში მცხოვრები ბავშვები განათლების მიღმა დარჩნენ;
- დ) ტექნოლოგიებთან წვდომით გამოწვეული უთანასწორობა – ბავშვები

⁵² Ibid.

⁵³ ვებგვრფი: [https://www.berliner-zeitung.de/news/nach-urteil-in-weimar-masken-gegner-fluten-gerichte-mit-antraegen-li.153319].

⁵⁴ ვებგვრფი: [https://www.mdr.de/nachrichten/thueringen/mitte-thueringen/weimar/mtsgericht-richter-maskenpflicht-schueler-102.html].

⁵⁵ ვებგვრფი: [https://rsw.beck.de/aktuell/daily/meldung/detail/weilheimer-masken-urteil-staatsanwaltschaft-prueft-anzeigen-gegen-richterin].

ტელევიზიის, ინტერნეტთან წვდომისა და ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე დარჩნენ;

ე) ტექნოლოგიებთან და ინტერნეტთან წვდომის პრობლემა მასწავლებლებისაც აქვთ; ასევე აქტუალურია ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის პრობლემაც;

ვ) დისტანციური „ონლაინ“ განათლების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი.⁵⁶

პანდემიის პერიოდში განათლების სფეროსთვის მიყენებული ზიანის შესაძლებლად და განათლების კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად, Human Rights Watch-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

ა) სკოლების დახურვის გადაწყვეტილება მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. სკოლების საყოველთაო დახურვა უნდა იყოს მხოლოდ ბოლო არჩევანი, როდესაც სხვა, უფრო მსუბუქი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია;⁵⁷

ბ) თუ, ვირუსის გავრცელების საფრთხისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების გათვალისწინებით, გარდაუვალი გახდება სკოლების დახურვის გადაწყვეტილების მიღება, პრიორიტეტი მაინც უნდა იყოს სკოლების შენარჩუნება ან დახურული სკოლების გახსნა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მაღალი რისკის წინაშე არიან, რომ სკოლაში აღარ დაბრუნდებიან ან ვერ შეძლებენ დისტანციური ფორმით განათლების მიღებას. სკოლა უნდა შენარჩუნდეს ასევე იმ ბავშვებისთვისაც, რომლებსაც სახლის პირობებში განათლების მიღების შემთხვევაში არ აქვთ მშობლების ან სხვა პირთა დახმარების მიღების შესაძლებლობა;⁵⁸

გ) უნდა არსებობდეს სიღრმისეული და დეტალური გეგმა, თუ როგორ უბრუნდებიან სკოლები ჩვეულ სასწავლო პროცესს უსაფრთხოდ, მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საკლასო ოთახში უსაფრთხოდ სწავლების მატერიალური რესურსი და სადაც საჭიროა, ჰქონდეთ მოდელებიც უნდა შეიქმნას იმ მიზნით, რომ ყველა ბავშვმა შეძლოს საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის მიღება;⁵⁹

დ) იქ, სადაც სკოლების საქმიანობა გაგრძელდა დასწრებულ ფორმატში ან ხელახლა გაიხსნა, სათანადო მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ სტუდენტებს, რომლებსაც სჭირდებათ დისტანციური ფორმით განათლების მიღება პირადი მიზეზების გამო. ეს შეიძლება იყოს COVID-19-ის მიმართ მათი მომეტებული რისკები. ასევე, თუ ისინი ცხოვრობენ რისკგუდში შემავალ ადამიანებთან ერთად, ესეც საპატიო პირადი მიზეზია. მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს, რომლებიც არიან რისკგუდებში, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მხარდაჭერა იმისთვის, რათა გააგრძელონ თავიანთი მოვალეობების შესრულება, მათ შორის, დისტანციური ფორმით;⁶⁰

56 Human Rights Watch, "Years Don't Wait for Them", Increased Inequalities in Children's Right to Education Due to the Covid-19 Pandemic, USA, 2021. ვებგვერდი: [www.hrw.org].

57 Ibid., 10.

58 Ibid.

59 Ibid.

60 Ibid.

ე) სკოლებს უნდა გადაეცეს პერსონალური დაცვის სათანადო მატერიალური რესურსი მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის, ასევე, COVID-19-ის შესახებ ინფორმაცია, ტესტირებისა და კონტაქტების გამოვლენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სკოლებს უნდა ჰქონდეს რესურსი იმისათვის, რომ დანერგონ გაუმჯობესებული ვენტილაციის, დასუფთავებისა და ჰიგიენის წესები. COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში, თანამშრომლებს უნდა შეუნარჩუნდეთ ანაზღაურება, ხოლო მოსწავლეები, რომლებსაც დაუდასტურდებათ კორონავირუსი, უნდა დაუბრუნდნენ დისტანციური განათლების ფორმას;⁶¹

ვ) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, მასწავლებლები და სკოლის თანამშრომლები უნდა იყვნენ ვაქცინაციისთვის პრიორიტეტულ კვუფებში;⁶²

გ) უნდა არსებობდეს ხედვა, თუ როგორ შემცირდება სკოლების დახურვის შედეგად ბავშვთა განათლებისთვის მიუწებული ზიანი. მაგალითად, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებელთა სხვა ორგანიზაციებთან, ასოციაციებსა თუ დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს გაცდეზილი საათების ანაზღაურება, შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი სასკოლო კურიკულუმსა თუ საგამოცდო ცხრილში. ამასთანავე, საჭიროა მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის დამატებითი სამუშაო დროის სამართლიანი ანაზღაურება;⁶³

თ) პრიორიტეტი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა ყველა ბავშვისთვის სკოლების დროებითი დახურვის და შემდგომ პერიოდში. განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა სახის ტექნოლოგია. ეს უნდა ითვალისწინებდეს ადაპტირებულ, ხელმისაწვდომ მასალებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, სათანადო კომუნიკაციის ფორმატს ბავშვებთან, რომლებსაც განსხვავებული განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ;⁶⁴

ი) უნდა განხორციელდეს ღონისძიებები იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ინტერნეტით სარგებლობა, მათ შორის მიზნობრივი ღონისძიებები, რომ შეთავაზებულ იქნეს უფასო წვდომა ინტერნეტზე საგანმანათლებლო მიზნებისთვის და შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობა ყველა მოსწავლისთვის. მოსწავლეებს, რომლებსაც მაღალი რისკი აქვთ, რომ არ ექნებათ სათანადო წვდომა ონლაინრესურსებზე, უნდა ჰქონდეთ მიზნობრივი მხარდაჭერა;⁶⁵

კ) საჯარო სკოლებმა არ უნდა შემოილონ გადასახადი ან რაიმე ირიბი ხარჯი, მათ შორის კორონავირუსის პირობებში სასწავლო პროცესის მართვიდან გამომდინარე ხარჯი, რათა ფორმალური დასწრებული სწავლების გაგრძელება იყოს შესაძლებელი. ასევე, მშობლებსა და მოსწავლეებს უნდა ეცნობოთ მათი უფლებების შესახებ;⁶⁶

ლ) მოსწავლეებმა, რომელთა ასაკი პანდემიის პერიოდში გასცდა

61 *Ibid.*

62 *Ibid.*, 11.

63 *Ibid.*

64 *Ibid.*

65 *Ibid.*

66 *Ibid.*

საცალდებულო ან/და უფასო განათლების ასაკობრივ ზღვარს, უნდა მიიღონ დამატებითი უფასო საგანმანათლებლო მომსახურება იმისთვის, რათა დაძლიონ შესაბამისი ჩამორჩენა;⁶⁷

მ) გარანტირებული უნდა იყოს განათლების ბიუჯეტი და სათანადო დაფინანსება. თავიდან უნდა იქნეს აცილებული მკაცრი, ხისტი მიღვები, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს განათლების მიღების უფლების რელიგიებას;⁶⁸

ნ) საგანმანათლებლო რესურსები მიზნობრივად უნდა იყოს მიმართული იმ ჯგუფებზე, რომლებსაც აქვთ მცირე შემოსავალი, ასევე ბავშვებზე, რომლებსაც სკოლის მიტოვების რისკი აქვთ და პირებზე, რომელთა განათლების მიღების პროცესიც უშუალოდ შეფერხდა პანდემიის პერიოდში.⁶⁹

VIII. დასკვნა და რეკომენდაციები

2020 წელს კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შედეგად არსებითი ზიანი მიადგა განათლების სისტემას. შეიძლება განათლების კონსტიტუციური უფლება. გაღრმავდა განათლების სფეროში პანდემიამდე არსებული დისკრიმინაცია. განათლების მიღმა აღმოჩნდნენ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები. დისტანციური განათლების ხარისხი კი არ იყო დამაკმაყოფილებელი.

დისტანციური ფორმით განათლების შეთავაზებაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები მიუთითებს განათლების სისტემის მოუქნელობაზეც – პანდემიამდე საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურად წარმართვა არ იყო დაშვებული. სისტემა მზად არ აღმოჩნდა ამ გამოწვევისთვის.

განათლების უფლების შეზღუდვის წესი მხოლოდ კანონით შეიძლება განისაზღვროს. ეს არის კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტი. მიუხედავად ამისა, ჯერ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტით, ხოლო შემდგომში მთავრობის სამართლებრივი აქტებით – 2020 წლის 31 მარტის N205 დაგენილებით და 2020 წლის 23 მაისის N322 დაგენილებით – სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძლება განათლების უფლება. ეს სამართლებრივი აქტები არ შეესაბამება კონსტიტუციას.

2020 წლის ივნისში განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით შეიქმნა განათლების უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძველი. მართალია, ნორმა შინაარსობრივად მეტ დეტალიზებას საჭიროებს, თუმცა მაინც შესაძლებელია ამ ნორმების საკმარის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნევა.

პანდემიასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკიდან საქართველოში აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ განათლების უფლებას არ ეხება, მაგრამ მითითებული მსჯელობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს

⁶⁷ Ibid.

⁶⁸ Ibid., 12.

⁶⁹ Ibid.

განათლების უფლებასთან მიმართებითაც: „საქართველოს კონსტიტუცია თავადვე განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოსათვის იმანენტურია და მისი დელეგირება იმთავითვე კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.“ როგორც „მხოლოდ კანონით“ არის დაშვებული გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთის ფარგლების დადგენა, ისე მხოლოდ კანონით არის დაშვებული განათლების უფლების რეგულირება, მისი მიღების წესის თუ შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრა.

აღსანიშნავია გერმანული სასამართლო პრაქტიკაც - კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას სათანადო სამართლებრივი საფუძველი სჭირდება. ამასთანავე, გერმანიაში უკვე იქმნება საინტერესო სასამართლო პრაქტიკა პანდემიის პირობებში უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით. მაგალითად, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა გერმანიის ერთ-ერთი მიწის ნორმატიული აქტი, რომელიც მოქალქებისთვის ადგენს სავალდებულო წესებსა და პირობებს პანდემიის პირობებში. სკოლაში მოსწავლეებისთვის პირბადის ტარების სავალდებულობა უკანონოდ იქნა მიჩნეული, თუმცა ეს გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაუქმდა. ამ ეტაპისთვის ნაადრევია გერმანიის სასამართლო პრაქტიკის შეფასება და გავრცელებულ და საწინააღმდეგო მოსაზრებებზე მსჯელობა.

Human Rights Watch-ის მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი რეკომენდაციების შესრულება: სკოლების დახურვის გადაწყვეტილება მინიმუმადე უნდა შემცირდეს და სკოლების საყოველთაო დახურვა უნდა იყოს მხოლოდ ბოლო და უკიდურესად აუცილებელი გადაწყვეტილება, როდესაც სხვა არჩევანი არც რჩება. განათლების სისტემა მიზანმიმართულად უნდა დაეხმაროს იმ ბავშვებს, რომლებიც განათლების მიღმა დარჩნენ პანდემიის პერიოდში. სისტემა უნდა იყოს მოქნილი და მოერგოს მოსწავლეებისა და სტუდენტების საჭიროებებს.

მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა პანდემიის პირობებში:
ლეგიტიმური ლონისძიება თუ უფლებამოსილების
ხელოვნური ინსტრუმენტალიზაციის მცდელობა

ვახტანგ ნოღაიძელი, ნანა შამათავა

შესავალი

2021 წლის თებერვლიდან მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. გავრცელებულმა კორონავირუსმა (კოვიდ-19) სრულად შეცვალა სახელმწიფოთა დღის წესრიგი და ახალი ცხოვრების წესი განსაზღვრა. ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილმა უდიდესმა საფრთხემ სახელმწიფოები აიძულა, შექმნათ სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმები, საფრთხის პრევენციისა და ვირუსის გავრცელების მასშტაბის შემცირების მიზნით. განხორციელებულმა ღონისძიებებმა მეტ-ნაკლები ხარისხით შეზღუდეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. საქართველომ, სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სხვადასხვა რეგულაცია დააწესა, რომლებიც ზღუდავდა და ნაწილობრივ დღემდე ზღუდავს ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა: მიმოსვლის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, განათლების უფლება და ა.შ.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებას საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. საზოგადოების დიდი ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას დაწესებული შეზღუდვების მიმართ და მოითხოვდა რეგულაციების გაუქმებას. უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შემუშავების უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის მიერ სრულად გადაეცა საქართველოს მთავრობას.

ამ სტატიის მიზანია, გაანალიზდეს ლეგიტიმურობა და კანონიერება იმ ღონისძიებებისა, რომლებიც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენა საქართველოს ხელისუფლებამ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით. კერძოდ, რამდენად იყო გამართლებული დაწესებული შეზღუდვების მოცულობა და მასშტაბები? ვის ჰქონდა ამგვარი შეზღუდვის დადგენის უფლებამოსილება? რამდენად ლეგიტიმური იყო ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შეზღუდვის ბერკეტის მთავრობისათვის გადაცემა და ხომ არ შეუქმნა ამ ვითარებამ რისკები სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას?

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და მათი მოწესრიგება.

1. მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციური და საერთაშორისოსამართლებრივი გარანტიები: უფლების არსი და ფარგლები

1.1. მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები

მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიებს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის¹ მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება. ნაშრომის მიზნისა და ამოცანების გათვალისწინებით, სტატიაში განიხილება მხოლოდ მიმოსვლის თავისუფლების ცნება და არა ზემოაღნიშნულ პუნქტში მოხსენიებული სხვა კონსტიტუციური სიკეთები, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება, რომლებიც, თავისი არსით, ცალკე უფლებრივი კომპონენტებია.

მიმოსვლის თავისუფლება კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, იმოძრაოს მისთვის საჭირო მიმართულებით, გადაადგილდეს დაუბრკოლებლად, საკუთარი შეხედულებით და სახელმწიფოს ჩაურევლად.² ცხადია, როდესაც საკითხი ეხება ამ უფლების შინაარსობრივ ელემენტებს, სამი ძირითადი ასპექტი უნდა გამოიყოს, რომელთა ერთობლიობაც მიმოსვლის თავისუფლებით დაცულ სფეროს ქმნის. კერძოდ, პირველი - ეს არის სახელმწიფოს მხრიდან, პოზიტიური ვალდებულების შესაბამისად, იმ საბაზისო პირობების შექმნა, რომლებიც ფიზიკურ პირს მისცემს შესაძლებლობას, თავისუფლად, დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ შეზღუდოს პირთა მიმოსვლის თავისუფლება.

მეორე მხრივ, ცხადია, უფლების არსებობა წარმოუდგენელია მისი სუბიექტისა და ამ სუბიექტის მხრიდან გამოხატული ნების გარეშე. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს უფლების სუბიექტი და მისი ნება თავისუფალი გადაადგილების ან გადაადგილებაზე უარის სახით. აქვე მართებულია განისაზღვროს, ვინ შეიძლება იყვნენ მიმოსვლის თავისუფლებით დაცული სფეროს სუბიექტები. ესენი არიან ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან კანონიერად. თავის მხრივ, ფიზიკურ პირებს შორისაც უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი: პირველი - საქართველოს მოქალაქენი (რადგან ისინი უკანონოდ არ შეიძლება იმყოფებოდნენ საქართველოში) და მეორე - ის უცხოელები, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოში. ასეთად შეიძლება ჩაითვალონ როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქენი, ისე მოქალაქეობის არმქონე პირები.³

მესამე მნიშვნელოვანი ელემენტი სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას

1 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [07.06.2021].

2 მ. მარინაშვილი, მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, თბ., 2008, 88.

3 ა. ფარცხალაიშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 226.

უკავშირდება, თუმცა უფრო ტექნიკური თვალსაზრისით, ვიდრე ნებელობითი კუთხით, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მიმოსვლის თავისუფლებით სარგებლობის რეალური და ქმედითი მექანიზმების დანერგვა, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მაგალითად, მატარებლით, ავტობუსით და ა.შ., გადაადგილების უზრუნველყოფაში. „მიმოსვლის თავისუფლებით დაცული სფერო გულისხმობს პირის ერთი ადგილიდან მეორისაკენ გადაადგილებას, მიუხედავად იმისა, თუ დროის რა პერიოდით ან რა მიზნით ისახავს სუბიექტი დანიშნულების ადგილზე დარჩენას.“⁴

1.2. მიმოსვლის თავისუფლების საერთაშორისოსამართლებრივი გარანტიები

მიმოსვლის თავისუფლების საერთაშორისოსამართლებრივი დაცვის გარანტიები არაერთ აქტში არის განსაზღვრული, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში,⁵ რომლის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფლადი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ უფლების მნიშვნელობასა და არსგე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის⁶ მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის ფორმულირება თითქმის იდენტურია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა. კერძოდ, ამ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თითოეულ პირს, რომელიც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება. ზემოაღნიშნულ აქტებში გადაადგილების თავისუფლების უფლებრივ კომპონენტად განსაზღვრულია „თავისუფლად გადაადგილება“, რაც გულისხმობს თავად უფლების სუბიექტის ნებას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ამ ქვეყნის ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტში. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი დამატებით ასევე მიუთითებს ამ ქვეყნის ფარგლებში პირის კანონიერად ყოფნის აუცილებლობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაადგილების თავისუფლება არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც არაკანონიერად არიან შესულნი ქვეყანაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისოსამართლებრივი გარანტია მიმოსვლის თავისუფლებისა განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით,⁷ რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ქმედითი საერთაშორი

4 Muench./Kunig. (Hrsg.) Grundgesetz Kommentar, Muenchen, Bd. 1 Art, 11 Rn. 13 ff; Randalhofer, Art. 11. Rn 26, Kommentar zum Bonner Grundgesetz.

5 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ. იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf> [07.06.2021].

6 „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, 1966 წ. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [07.06.2021].

7 ადამიანის უფლებათა და ძრითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წ. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [07.06.2021].

სოსამართლებრივი აქტია. კონვენციის ძირითადი ტექსტი მიმოსვლის თავისუფლების დაცვის გარანტიებს არ შეიცავს. აღნიშნულის შესახებჩანაწერი კონვენციაში გაჩნდა მისი №4 დამატებითი ოქმის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1964 წლის 16 სექტემბერს. ამ დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

საქართველო ზემოაღნიშნული სამივე დოკუმენტის ხელშემკვრელი მხარეა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს დოკუმენტი ეროვნული სამართლის ნაწილიც არის და მათი მოქმედება ვრცელდება საქართველოში მყოფ პირებზეც.

1.3. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

მიმოსვლის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, რაც გულისხმობს იმას, რომ უფლების შეზღუდვა დასაშვებია. ეს ნიშნავს სახელმწიფოს მინიჭებულ უფლებამოსილებას, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, უპირატესი და აღმატებული სამართლებრივი სიკეთის დაცვისათვის, შეზღუდოს პირის მიმოსვლის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. ამ დანაწესიდან უფლების შეზღუდვის ორი სახის წინაპირობა შეიძლება განისაზღვროს: ფორმალური და მატერიალური.

ფორმალური შეზღუდვის საფუძველია უფლების შეზღუდვა კანონის საფუძველზე, რაც ნიშნავს იმას, რომ, ვიდრე მოხდება პირის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, აუცილებელია არსებობდეს ამგვარი შეზღუდვის დამდგენი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოაწესრიგებს უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ ასპექტებს. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი უფლების შეზღუდვა მოხდება ამგვარი კანონის არარსებობის პირობებში ან/და ისეთი კანონის მეშვეობით, რომელიც მიღებულია შესაბამისი პროცედურების დარღვევის ან/და არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, მიიჩნევა, რომ ასეთი შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ წინაპირობას და იგი არის უკანონო. გარდა ამისა, კანონი ზოგად სამართლებრივ კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაგროვანი, განსკვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას.⁸ ეს გულისხმობს, რომ უფლების სუბიექტს უნდა შეეძლოს წინასწარ განსაზღვრა იმ მოსალოდნელი შედეგებისა და შეზღუდვის წინაპირობებისა, რომლებიც უფლებით თავისუფლად რეალიზების

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/3/407 საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა ურისტითა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინებულობა ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-11.

შესაძლებლობას ზღუდავს.

რაც შეეხება მატერიალურ საფუძვლებს, როგორც ზემოაღნიშნული ნორმიდან იკვეთება, უფლების შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს რამდენიმე აღტერნატიული საფუძვლიდან ერთ-ერთის არსებობისას, კერძოდ, თუ უფლების შეზღუდვა აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, კანონობრივი დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საქართველოში ასევე მოქმედებს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“⁹ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“¹⁰ საქართველოს კანონები, რომლებიც ასევე უშვებს შესაძლებლობას პირის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას, თუმცა, რა თქმა უნდა, იმ ფორმალური და მატერიალური საფუძვლების გათვალისწინებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში არის განსაზღვრული. მაგალითად, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობისას, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შეძლიათ, აუცილებლობის შემთხვევაში, შეზღუდონ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს თავისუფალი გადაადგილების უფლება, აუკრძალონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფლის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა მოიაზრება საგანგებო მდგომარეობაში. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედროგადატრიალების, შეიარაღებულიამბოხების, ტერორისტული აქტების, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეროვნულ სახელისუფლო ორგანოებს მოქმედების თავისუფლების ფართო ფარგლები უნდა მიენიჭოთ, რადგან გადაუდებელი საჭიროების შეფასებისას საერთაშორისო სასამართლოებთან შედარებით, ხელისუფლება, საფრთხესთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის გამო, უკეთეს მდგომარეობაში

⁹ „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1997 წ. იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=7> [07.06.2021].

¹⁰ „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1997 წ. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28336?publication=4> [07.06.2021].

არის, ვითარების სიმძიმის, საგანგებო მდგომარეობის არსებობის ფაქტის, გამოსაყენებელ ღონისძიებათა სახისა და მისი ფარგლების შეფასების კუთხით.¹¹ მიუხედავად ამისა, ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას არ უნდა სარგებლობდეს „შეუტღუდავი დისკრეციით და იგი მხოლოდ „მკაცრი აუცილებლობისა“ და საჭიროების ფარგლებში უნდა მოქმედებდეს.¹² საგანგებო მდგომარეობის ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს „მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე.“¹³

2. პანდემია, როგორც მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

2.1. პანდემიის არსი და მისი გავლენა ცხოვრების ჩვეულ პრცესებზე

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო, ცდილობს, გაუმკლავდეს კორონავირუსის პანდემიას, რომლის პირველი შემთხვევებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაფიქსირდა. პანდემიის სწრაფი გავრცელების შესახერებლად და პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან გასამკლავებლად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პარალელურად, სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გარკვეული შეზღუდვები დააწესა. ამ შეზღუდვებმა, პირდაპირ თუ ირიბად, დიდი ზეგავლენა მოახდინა სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებზე. ძირითადი უფლებების შეზღუდვა მთავარ საშუალებად იქცა ეროვნული მთავრობების ხელში, პანდემიასთან ბრძოლის პროცესში. დადგენილი შეზღუდვები განსხვავდება ერთმანეთისგან, ფარგლებისა და ინტენსივობის მიხედვით.

პანდემიის მიმდინარეობის პროცესში, როგორც წესი, ჩვეული სოციალური პროცესები ფერხდება და მათ ადგილს ახალი, დროებით შემოღებული წესები იკავებს.¹⁴ პანდემიის დამახასიათებელი გამორჩეული ნიშან-თვისება არის ის, რომ საზღვრების კვეთა მისთვის დაბრკოლება არაა და, შესაბამისად, ზეგავლენას საზოგადოების დიდ ნაწილზე ახდენს.¹⁵ სოციალური დისტანცირებისთვის შემუშავებულ ღონისძიებათა უმეტესობა გადაადგილების თავისუფლებას შეეხება. სამისიონ, რომ ცხოვრების დემობილიზება (მობილობის შემცირება) მომხდარიყო, საჭირო გახდა ცვლილებების გატარება ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სფეროებში. „სოციალური დისტანციის დაცვა“ და „თვითიზოლაცია“ ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებად ტერმინებად იქცა პანდემიის გავრცელების შემდგომ. ეს უკანასკნელი, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური ღონისძიებებია.¹⁶

11 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. The United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, 207-ე პუნქტი.

12 The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Compilation of Venice Commission Opinions and Reports on States of Emergency, 16 April 2020, CDL-PI(2020)003, 6.

13 The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Opinion on the Protection of Human Rights in Emergency Situations, 4 April 2006, CDL-AD(2006)015, para. 12.

14 P. Adey, K. Hannam, M. Sheller & D. Tyfield, Pandemic(l)mobilities, Mobilities, UK, 2021, 1-19.

15 M. Porta, ed. A Dictionary of Epidemiology. 6th ed. Oxford: Oxford University Press, 2014.

16 M. Cetron and J. Landwirth, Public health and ethical considerations in planning for quarantine, Yale Journal of Biology and Medicine 78 (5), 2005, 329-334.

ადგილობრივ მთავრობათა მიერ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები მოიცავს როგორც სახელმწიფოთაშორისი მიმოსვლის შეზღუდვას, ისე საქალაქთაშორისო და თავად ქალაქში მიმოსვლის შეზღუდვას. უდავოა, გადაადგილების თავისუფლების მიმართ ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებით ჩარევა განხორციელდა ინდივიდთა ეროვნული კონსტიტუციებითა თუ საერთაშორისოსამართლებრივად დაცულ უფლებაში.

ინდივიდთა ყოველდღიური ყოფის გარდა, პანდემიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე კონსტიტუციურსამართლებრივ დისკურსზე. მზღვდავი ღონისძიებების გატარების თაობაზე გადაწყვეტილებას, როგორც წესი, კონსტიტუციური აქტორები იღებენ. აქ იგულისხმებიან ის ორგანოები, რომელთაც სახელმწიფოთა უმაღლესი კანონებით მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, ექსტრემალურ პირობებში შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ, გამოაცხადონ საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდონ ძირითადი უფლებები.

პანდემიის სოციალური ეფექტის გასაძლიერებლად პოლიტიკური ლიდერები თუ კანდაცვის ექსპერტები სპეციალურად შერჩეულ ტერმინოლოგიას იყენებენ. სიტუაციის სიმწვავის ცხადად წარმოჩენა პანდემიის წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიებების ლეგიტიმაციას ზრდის. მაგ., კანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდპანდემიას თაობის ყველაზე მძიმე საყოველთაო ჯანდაცვის კრიზისი უწოდა.¹⁷ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა და აშშ-ის პრეზიდენტმა თავი ომისდროინდელ ლიდერებს შეადარეს. მათ სცადეს, გაემართლებინათ ის განსაკუთრებული ღონისძიებები, რაც პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიღეს. ანალოგიურად, საქართველოშიც მთავრობის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ გაცხადებულა, რომ ჯანმრთელობის რისკები საკმაოდ მაღალია, შეზღუდვები ეფექტიანი მეთოდია პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მსგავსი მეთოდები სხვა ქვეყნებშიც არის გამოყენებული.¹⁸ სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ხშირად მართლდება გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, თუმცა საკითხავია, რამდენად ლეგიტიმურია ეს შეზღუდვები და შეესაბამება თუ არა ისინი მოცემულ კონტექსტსა და ვითარებას.

2.2. უფლებათა კონკურენცია პანდემიის პირობებში

პანდემიის პერიოდში მზღვდავი ღონისძიებების მიღება ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო კონკრეტული უფლებით დაცულ სფეროში ერევა, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზანი. საქართველოს მაგალითზე, მობილობის შესამცირებლად მიმართულმა ცალკეულმა ღონისძიებებმა, მათ შორის, განხორციელებულმა ცვლილებებმა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში,¹⁹ ბუნებრივად განაპირობა

¹⁷ The Guardian UK, 12 March 2020, n.b. <https://www.theguardian.com> [01.06.2021].

¹⁸ ის., მაგ., საქართველოს ფუნდაციებული ტერიტორიებიდან დავნილთა, შრომის, კანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის, განცხადება. <http://tbl.ge/5gjip> [01.06.2021].

¹⁹ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007 წ. n.b. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/21784/17/ge/pdf> [07.06.2021].

ზოგიერთი ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა. აღნიშნული ნაწილობრივ გამომდინარეობს თავად ძირითადი უფლებების ბუნებიდან, ყველა უფლება ურთიერთდაკავშირებული, განუყოფელი და თანაბარი სტატუსის მქონეა. ერთი უფლების შეზღუდვა ბუნებრივად სხვა უფლებების შეზღუდვას განაპირობებს.²⁰

პანდემიის დროს უფლებათა კონკურენციის საკითხებზე მსჯელობისას ამოსავალი წერტილი პანდემიის ბუნებაში ძევს. პანდემია თავისთავად საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ქვაკუთხედს – უფლებას სიცოცხლეზე; თავის მხრივ, უფლება სიცოცხლეზე ყველა სხვა უფლების სათავეა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს უფლებას სიცოცხლეზე, სახელმწიფოებს ავალდებულებს, უბრუნველყონ სიცოცხლის უფლების დაცვა არა მხოლოდ მისი ხელყოფისგან, არამედ ხელყოფის რისკისგანაც კი.²¹ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ გაატარებს სათანადო ღონისძიებებს, რათა შეაჩეროს პანდემია და არ მიმართავს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას სიცოცხლის ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, ის უსათუოდ დაარღვევს კონვენციის მეორე მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. სიცოცხლის უფლებისა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულება სახელმწიფოთა ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქციაა და თავისთავად წონადი მიზეზია საიმისოდ, რომ სხვა ძირითად უფლებებში ჩარჩევა განხორციელდეს. ამასთანავე, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა, გასათვალისწინებელია, თავად მზღვდავი საშუალება რამდენად მართებულად და პროპორციულად იქნა შერჩეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება გარდაუვალი ტირანიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება და სიცოცხლის უფლების დაცვის მოტივით სახელმწიფოს ნებისმიერი კაბალური შეზღუდვის განხორციელების შესაძლებლობა მიეცემა. დასაშვები შეზღუდვის ფარგლები უფრო ფართოდ მე-4 თავშია განხილული, რომელიც საქართველოში მიმოსვლის თავისუფლებაზე დადგენილი შეზღუდვის მართლზომიერებას შეეხება.

მკვლევართა ნაწილმა შეიმუშავა თეორიული მოდელები პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური და სოციალური ასპექტების შესახებ.²² პანდემიასთან წარმატებით გამკლავება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური იქნება საზოგადოებრივი განწყობა; მეორე მხრივ, პოლიტიკურ ღონისძიებებს უშუალო ზეგავლენა აქვთ ფუნდამენტური უფლებების სფეროზე. თუვირუსის გავრცელების შეჩერება გახდება საზოგადოების უპირველესი საზრუნავი, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ინდივიდის ინტერესების გამივნა საზოგადოების ინტერესებისგან.²³ დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ჯანმრთელობის მოსაზრებები თანაარსებობენ ერთ სიბრტყეში ლიბერალურ

20 Minkler, Lanse, and S. Sweeney. *On the indivisibility and interdependence of basic rights in developing countries*, Human Rights Quarterly, 2011, 351–396.

21 ეს სი ბი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (LCB v UK), 1998 წელი, 36-ე პუნქტი.

22 C. Rosenberg, What is an epidemic? aids in historical perspective. Explaining Epidemics and Other Studies in the History of Medicine. (Cambridge University Press, New York, 1992).

23 O. Kim, Ethical Perspectives on the Middle East Respiratory Syndrome Coronavirus Epidemic in Korea, 49 J Prev Med Public Health, 2016, 18-22.

იდეალებთან, ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებასთან.²⁴

3. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების სუბიექტი

3.1. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და კონსტიტუციური მოწესრიგება

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განმტკიცებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის თანამედროვე კონცეფციაც ინგლისელი ფილოსოფოსის, ჯონ ლოკისა და ფრანგი განმანათლებლის, შარლ ლუი მონტესკიეს მიერჩამოყალიბდა. ერთიშეხედვით, ნათელია აღნიშნული კონცეფციის არსი, რაც, ძალთა დაბალნებისა და გაწონასწორების მეშვეობით, მმართველობის ეფექტიანი და არაერთპიროვნული მოდელის კონსტრუირებას ისახავს მიზნად. ეს დეტალება, როგორც წესი, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედია. „მოცემული ჩანაწერი არ არის დეკლარაციული ხასიათის და იგი მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპითან.“²⁵ „მას შემდეგ, რაც სახელმწიფო არსებობს, ყოველ მთავრობას სამნაირი დანიშნულება აქვს: საკანონმდებლო, სამმართველო [აღმასრულებელი] და სამოსამართლო. სადაც არ არის კანონმდებლობა, მმართველობა და სასამართლო, იქ არც სახელმწიფოა.“²⁶ „ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციისა და ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისკენ. სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება სახელისუფლებო ძალაუფლების უზრუნველყოფის პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.“²⁷ „შეკავებისა და გაწონასწორების შესაბამისი მექანიზმები განსაზღვრულია კონსტიტუციის სხვადასხვა თავში, რომლებიც განსაზღვრული სახელისუფლო შტოების კომპეტენციებს მკაფიოდ განსაზღვრავს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რათა თითოეული სახელისუფლებო შტო მკაცრად დაგდენილი უფლებამოსილების ჩარჩოებში მოქმედებდეს და არ შეიქრას სხვა შტოს კომპეტენციაში, ხოლო აღნიშნულით ...არ მოხდეს ძალაუფლების კონცენტრაცია მხოლოდ ერთ სახელისუფლებო შტოში და გამოირიცხოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ მისთვის კონსტიტუციით მიუნიჭებელი ფუნქციების განხორციელება.“²⁸

24 J. Prah Ruger, Democracy and health, Qjm 98, no. 4, 2005, 299-304.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792 საქმეზე – საქართველოს პარლამენტის წევრთა კავშირი (დაკავთ ბერაძე, სერგო რატანი, როლანდ ახალაია, ლევან ბერაძელი და სხვები, სულ 38 დეკემბერი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი გავობია და კარინე შაპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშვილი, ანი ფოლიძე, ელენე სამადებეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა კავშირი (ლევან ბერაძელი, გორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრ ცისარიშვილი და სხვები, სულ 38 დეკემბერი) საქართველოს პარლამენტის წინამდებარება, II-6.

26 მ. ჟავახშვილი, დამოუკიდებლი სასამართლო, გამ. „ვერა“, N20, 1906, 10-13.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება № 3/4/641 საქმეზე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აქარის ავტონომიური რეგულაციების ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აქარის ავტონომიური რეგულაციების მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-2.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება № 1/10/703 საქმეზე –

3.2. უფლებამოსილების დელეგირების არსი და საფუძვლები: ლეგიტიმაციის წინაპირობა

„თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტიანი და სამართლიანი მმართველობისათვის აუცილებელია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს იმ ორგანოების მიერ, რომლებიც საამისოდ არიან კომპეტენტურნი თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით.“²⁹ „საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი მოთხოვნაა, რომ კონსტიტუციური კომპეტენციები და ამოცანები კონსტიტუციის საფუძველზე უფლებამოსილმა ხელისუფლების შესაბამისმა შტომ, მის სტრუქტურაში შემავალმა შესაბამისმა ორგანომ განახორციელოს.“³⁰ „დელეგირების შინაარსობრივი მხარე განიმარტება იმგვარად, რომ მასში მოიაზრება ამოცანებისა და უფლებების გადაცემა შემსრულებლისათვის, სხვა პირისათვის (ორგანოსათვის), რომელიც კისრულობს პასუხისმგებლობას მათ განსახორციელებლად.“³¹ შესაბამისად, ამ სახის მოცემულობაში, მინიმუმ, ორი სუბიექტის არსებობა არის აუცილებელი. პირველი - ეს არის სუბიექტი, რომელსაც აქვს კონკრეტული საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება და გადასცემს მას სხვა სუბიექტს; ხოლო მეორე - სუბიექტი, რომელსაც გადაეცემა აღნიშნული უფლებამოსილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონით მოსაწესრიგებელი საკითხის დელეგირება, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკული საჭიროებებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი, თუმცა იგი უნდა ეხებოდეს უფლების რეგულირების პროცედურულ/ტექნიკურ საკითხებს. შესაძლებელია, რომ საკანონმდებლო ორგანომ გადაწყვეტილება პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე მიიღოს, მისი განხორციელებისათვის საჭირო დეტალების მოწესრიგება კი სხვა სახელმწიფო ორგანოებს მიანდოს.³²

განსახილველ შემთხვევაში საქმე შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დელეგირების საკითხს, პანდემიის პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.³³ „საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს (გარდა საგანგებო და საომარი მდგომარეობისა) პარლამენტის მიღმა სხვა

საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38.

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე - პაატა დასამიერ, გოორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II- 33.

30 იქვე.

31 <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/delegate> [05.05.2021].

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/7/1275 საქმეზე - ალექსანდრე მიმინაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II-30.

33 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.ი.ხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36].

რომელიმე ორგანოს უფლებამოსილებას, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ პარლამენტის პრეროგატივა და უპირობო ვალდებულებაა, შესასრულოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – კანონშემოქმედება.³⁴ ამ უფლებამოსილების პარლამენტისათვის მინიჭება გასაგებია, ვინაიდან პარლამენტი უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული პირებისაგან კომპლექტდება, შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ხალხის ხმას და მათი ინტერესების დამცველს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ქცევის სავალდებულო წესს ადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის ადამიანის ცხოვრების დღის წესრიგს სამართლებრივ კონსტრუქციაში, ამ სახის და მნიშვნელობის უფლებამოსილებაც სწორედ ხელისუფლების წყაროს – ხალხის – მიერ ნდობა გამოცხადებული პირების კომპეტენციას განეკუთვნება. პარლამენტში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების პირების არსებობა და მათ შორის დისკუსია რეალური და ქმედითი ბერკეტია საზოგადოების სწორად განვითარების, აუცილებელი და საჭირო საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებისათვის.

„საქართველოს პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკითხს წყვეტს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, პოლიტიკური დებატების შედეგად, რაც საფუძველშივე ქმნის დამატებით ფილტრს უფლებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკების შესამცირებლად.“³⁵

„მოსახლეობის სიცოცხლის, კანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია, რის გამოც, საგანგებო მდგომარეობის არსებობის პირობებში, შესაძლებელია ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა ან შეჩერება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის განაწილებული ფუნქციების ცვლილება, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდის ხარჯზე.“³⁶ „კონსტიტუცია პირდაპირ არ კრძალავს თავისუფალი მიმოსვლის, შეკრების ან საკუთრების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირებას. შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირებისას შესაფასებელია, განხორციელდა თუ არა დელეგირება კონსტიტუციით დადგენილი ფორმით, რაც გულისხმობს დელეგირების მიზნების, შინაარსისა და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვები ფარგლების თავად უფლებამოსილების მიმნიჭებელი აქტით განსაზღვრას და ხომ არ მოახდინა საქართველოს პარლამენტმა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება.“³⁷ განსახილველ შემთხვევაში „საზოგადოებრივი კანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს მთავრობას ან

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-34.

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/7/1275 საქმეზე - აღეჭანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II-28.

36 The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Emergency Powers, 1995, CDL-STD(1995)012.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-45.

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სუბიექტებს მიენიჭათ უფლებამოსილება პანდემიის პირობებში პროცესების ეფექტიანი მართვისათვის წებისმიერი ღონისძიების გატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა.

4. საქართველოში პანდემიის პირობებში მიმოსვლის თავისუფლების შემზღუდველი ნორმების კანონიერება: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი

4.1. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტების ნორმატიული შინაარსი

პანდემიის საპასუხოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებამ რიგი საკანონმდებლო ღონისძიებებისა გაატარა. იზოლაციისა და კარანტინის წესების განსაზღვრის კომპეტენცია მთავრობას მიენიჭა პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის³⁸ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძვლზე, მათ შორის კონსტიტუციის მე-14 მუხლის შეზღუდვის უფლებამოსილება, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლებას ადგენს.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებული 45³-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „იზოლაციის ან/და კარანტინის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტრო. ამ წესით შეიძლება განისაზღვროს შესაბამისი საკარანტინო ღონისძიებებიც, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევაში ამ წესის ნაწილია“. თავად საკარანტინო ღონისძიებები კი ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა. კერძოდ, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკარანტინო ღონისძიებებია: „ამ კანონით ან/და ამ კანონის შესაბამისად მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტით განსაზღვრული ღონისძიებები, რომლებიც დროებით გამოიყენება პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის დროს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და შეიძლება გულისხმობდეს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილისგან განსხვავებულ მოწესრიგებას, მათ შორის, შესაბამისი შეზღუდვების დროებით დაწესებას, საჯარო დაწესებულებების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთან/ადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან,

38 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0> [07.06.2021].

უკანონო მიგრაციასთან/საერთაშორისო დაცვასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით“.

2020 წლის 30 მარტის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ 31 მარტის 08:00 საათიდან შემოიღო დამატებითი რეგულაციები მიმოსვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, შეიძლება ქალაქებს შორის და მუნიციპალიტეტის საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა სარკინიგზო და საავტომობილო სამუალებებით, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით.³⁹

როგორც წინარე საკანონმდებლო ჩანაწერიდან ირკვევა, საქართველოს პარლამენტმა მთავრობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპეტენციის დელეგირება მოახდინა და, სიტუაციის არაორდინარულობის გათვალისწინებით, მისცა საშუალება, კანონისგან განსხვავებული წესები განესაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა ზოგადი სამოქმედო ჩარჩო და ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფარგლები. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე მიმოსვლის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეიძლება. იქიდან გამომდინარე, რომ ჩარევა ძირითადი უფლებების სფეროში ინტენსიური იყო და მასზე გადაწყვეტილება მიიღო არა საკანონმდებლო ორგანომ, არამედ მთავრობამ, დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე უამრავი კითხვა გაჩნდა დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის თაობაზე. როგორც წინარე თავში განიმარტა, დელეგირების მიზნები, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, თავისთავად, პრზიტიურად ინსტრუმენტულია, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპეტენციების გადაცემა საკანონმდებლოდან აღმასრულებელ ორგანოზე ვითარებიდან გამომდინარე საჭიროებებითაა განპირობებული და დროებით ხასიათს ატარებს, თუმცა, იმავდროულად, ხსნის კარს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის. ამ უკანასკნელის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიების განუხრელად დაცვა.

ზოგადი წესის თანახმად, სადაცონორმები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.⁴⁰ ნებისმიერი რეგულირება, რომელიც ხელისუფლების რომელიმე შტოს კომპეტენციასა და საქმიანობას ეხება, უნდა შემოწმდეს არა მხოლოდ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციის დამდგენ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი და ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების კონსტიტუციური მექანიზმი.⁴¹ ხელისუფლების შტოთა დაბალანსების,

39 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 23 მარტის N181დადგენილების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0> [07.06.2021].

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №3/1/659 საქმეზე - საქართველოს მოქალაქე თამარ გორგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-27.

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792 საქმეზე - საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეკემბრი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი გაკობია და კარინე შაპაროვიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიძე, ანი დოლიძე, ელენ სამადაბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვირიაშვილი, ირმა

მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა პანდემიის პირობებში

ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობის უზრუნველყოფის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ზოგადად, ორ მიზანს ემსახურება – ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას) და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისაგან (უფლების დარღვევისაგან).⁴²

2021 წლის 11 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე,⁴³ რომელიც სწორედ პანდემიის პირობებში საქართველოში დაწესებული შეზღუდვების კანონიერების საკითხს შეეხება. სადავოდ გამხდარი იყო „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის 45³-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების კონსტიტუციურობის საკითხი.

სარჩელის ავტორებმა რამდენიმე პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს, რაც, მათი ამრით, ეკვეკვეშ აყენებდა გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხს.⁴⁴ პირველ რიგში, ეს იყო საკანონმდებლო კომპეტენციის დელეგირების საკითხი პარლამენტიდან მთავრობაზე. მოსარჩელეთა მოსაზრებით, სათანადოდ არ იყო განსაზღვრული დელეგირების ფარგლები, კერძოდ, მხოლოდ იმ უფლებების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, საკმარისი არ არის საპარლამენტო სუვერენიტეტის განსახორციელებლად. დეტალურად უნდა განისაზღვროს შეზღუდვის დასაშვები ზღვარი. პარლამენტს არ დაუდგენია უფლების შეზღუდვის შინაარსი და ფარგლები, მისი სახე და ინტენსივობა. სადავოდ გამხდარი კანონის დანაწესით კი მთავრობას მიენიჭა არა მხოლოდ ძირითადი უფლებების შეზღუდვის საშუალება, არამედ კანონისგან განსხვავებული მოწესრიგების შემუშავების შესაძლებლობა. მთავრობის საქმიანობაზე პრაქტიკული საპარლამენტო კონტროლის არარსებობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ზედამხედველობის განხორციელება მთავრობის საქმიანობაზე.

მოსარჩელეთა შეხედულებით, გემოაღნიშნულით მოხდა სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილების ფართო დელეგირება, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიის მოთხოვნებს. პარლამენტმა თავად უნდა განსაზღვროს უფლების შეზღუდვის შინაარსი, მთავრობის როლი კი ტექნიკური საკითხებით უნდა შემოიფარგლებოდეს.⁴⁵ დელეგირების ერთნაირი სტანდარტი უნდა მოქმედებდეს როგორც საგანგებო მდგომარეობის დროს, ისე ორდინარულ სიტუაციაში. მით უფრო სითრთხეილეა საჭირო უფლებების შეზღუდვისას პანდემიის პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ უფლების დარღვევის რისკი

ნადირაშვილი, პეტრ ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-8. 42 საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისს გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-18.

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა თასასმიტ, გოორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საკაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

44 იქვე, მე-6 პუნქტი.

45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა თასასმიტ, გოორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საკაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-7.

მომეტებულია საგანგებო მდგომარეობისას.

რაც შეეხება მოპასუხე მხარის არგუმენტებს,⁴⁶ მათ მიუთითეს საგანგებო მდგომარეობის დროს აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო ძალაუფლებით აღჭურვის მიზანშეწონილობის საკითხზე.

4.2. დელეგირებული უფლებამოსილების ხელოვნური ინსტრუმენტალიზაცია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა

საკუთარ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული ნორმები კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით კონსტიტუციურად ცნო და ამით აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკუთარი ძალაუფლების არეალის გაფართოების ლეგიტიმაცია მოახდინა.

ძირითადი უფლების შემზღვევი ნებისმიერი ნორმა სრულად უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეუსაბამოა როგორც თავად სასამართლოს მიერ დამკიდრებულ პრაქტიკასთან მიმართებით ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე, ისე საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ სტანდარტებთან მიმართებით, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, დელეგირების სტანდარტების განმსაზღვრელი ნორმებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის საფუძველზე, რამდენად მკაფიოდ ჰქონდა პარლამენტს გათვალისწინებული დელეგირების მიზნები, მისი შინაარსი და ფარგლები. აგრეთვე, გასარკვევი იყო, მოხდა თუ არა პირდაპირ აკრძალულ ან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხზე კომპეტენციის დელეგირება. ეს უკანასკნელი იმთავითვე არაკონსტიტუციური ქმედება.

როგორც წინა თავში განიმარტა, უფლებამოსილების დელეგირება ერთი კონსტიტუციური ორგანოდან მეორეზეუკავშირდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლომ თავად მიუთითა სადაც გადაწყვეტილებაში, საკუთარ პრაქტიკაზე⁴⁷ დაყრდნობით, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგების კომპეტენციის დელეგირება არ უნდა მოხდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. იმ გადაწყვეტილებით, რომელმაც აღნიშნული წესი დაადგინა, განისაზღვრა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების კატეგორიას განეკუთვნება ყველა ის საკითხი, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე ან/და ინდივიდის ძირითად უფლებებში უხეში ჩარევაა.⁴⁸ სასამართლომ გადაწყვეტილებაში რამდენჯერმე დაადასტურა, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ვირუსულ ინფექციასთან ბრძოლის

46 იქვე, მე-16 პუნქტი.

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/7/1275 საქმეზე - აღუესანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.

48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/7/1275 საქმეზე - აღუესანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II-28.

მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა პანდემიის პირობებში

მეთოდები, ისევე როგორც ამ პროცესში ადამიანის უფლებათა შემზღვეველი ღონისძიებების რაობა, თავისთავად, არის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თემა და საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი.⁴⁹ მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნული გარემოება საკმარისად არ მიიჩნია, რათა არსებულ სიტუაციაში მიმოსვლის თავისუფლების შეზღვევის კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის დელეგირება არაკონსტიტუციურად ჩაეთვალა. სასამართლოს არ მიუთითებია რაიმე წონადი არგუმენტი, რათა გაემართლებინა დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების მიღება.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი უნდა განიხილოს კონსტიტუციური პრინციპების კონტექსტში.⁵⁰ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, იმ მიზნით, რომ სახელმწიფოში ეფექტიანად იყოს დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელია, ძალაუფლება დანაწილებული იყოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, რომელთაც ექნებათ სათანადო უფლებამოსილება, რათა წინ აღუდგნენ ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ უფლებამოსილებათა მითვისებას. კონსტიტუციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების დელეგირების განუყოფელი კომპონენტია სათანადო ზედამხედველობის შესრულება დელეგირებული უფლებამოსილების აღსრულებაზე. საპარლამენტო კონტროლის საჭიროებაზე მსჯელობისას, სასამართლომ გაიჩიარა მოპასუხე მხარის არგუმენტი საპარლამენტო კონტროლის თეორიული შესაძლებლობის არსებობაზე, თუმცა არ გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი სრულიად უფუნქციო აღმოჩნდა ამ ვითარებაში. ვენეციის კომისიამ 2016 წელს შეაფასა თურქეთის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ ადამიანის უფლებების მზღვდავი საშუალებების კონსტიტუციურობის საკითხი.⁵¹ კომისიამ ღონისძიებების მართლზომიერების შეფასებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად დაადგინა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობა.

პრეგიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტის საფუძველზე შეიზღუდა მიმოსვლის თავისუფლება, თავისუფლების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, საკუთრების უფლება, შეკრების თავისუფლება და შრომის თავისუფლება, ხოლო „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებული 45³-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესს ადგენს საქართველოს

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505, 1515, 1516, 1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პატარა მასამიძე, გორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ორივა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II- 56.

50 იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლო კონსტიტუციურ ნარდინებაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

51 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW, opinion No. 842/2016, CDL-AD(2016)010 "Opinion on the Legal Framework governing Curfews" adopted by the Venice Commission at its 107th Plenary Session (Venice, 10-11 June 2016).

მთავრობა ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტრო. ფაქტობრივად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სფეროს მოწესრიგების, მათ შორის შემზღვდავი ღონისძიებების გატარების, ფართო უფლებამოსილება მიენიჭა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის მოქმედების ფარგლებად ზემოაღნიშნული დეკრეტით განსაზღვრულია „პროპორციულობა“, არსებული საჭიროების შესაბამისად, რაც საკმაოდ ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევადა უფლებამოსილების დელეგირების პირობებშიძალაუფლების ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპებთან შეუსაბამოდ გამოყენების რისკს გრძის. ამ მხრივ, გასაზიარებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან⁵² დაკავშირებით წარმოდგენილი ერთ-ერთი მოსამართლის, გიორგი კვერენჩილაძის, განსხვავებული აზრი, რომლის თანახმად, „უფლებამოსილების კანონის საფუძველზე დელეგირება არ ნიშნავს, რომ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლზე მითითება, რომლის შემზღვის უფლებამოსილებაც მიენიჭა აღმასრულებელ ხელისუფლებას, საკმარისია დელეგირების შინაარსისა და ფარგლების იდენტიფიცირებისათვის.“⁵³ „საქართველოს პარლამენტს შეეძლო, დაკონკრეტებინა, თუ რა ასპექტის შემზღვის უფლებამოსილებას ანიჭებდა საქართველოს მთავრობას.“⁵⁴ „განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მასშტაბი, თუ რაოდენ განუსაზღვრელი საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება მოხდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და რა რისკის მატარებელი შეიძლება იყოს ამგვარი ძალაუფლების კონცენტრაცია ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში, თუნდაც პანდემიის, ეპიდემიის ან სხვა კრიზისული ვითარებისას.“⁵⁵ ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტმა, ფაქტობრივად, მოიხსნა პასუხისმგებლობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების საკითხების რეგულირება და გადასცა იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას ისე, რომ ნათლად არ განსაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლები და ფორმა.

„საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება არის არა კანონის აღსრულების საშუალება, არამედ საქართველოს მთავრობისათვის ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის უფლებამოსილების მინიჭება.“⁵⁶ მართებულად იქნა აღნიშნული გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებულ აზრში, რომ პანდემიის, ეპიდემიის თუ სხვა კრიზისული ვითარებისას, როდესაც ადამიანის ძირითადი უფლებები შედარებით უფრო მოწყვლადია, ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხის მოწესრიგების მთავრობისათვის გადანდობა, თუნდაც სწრაფი

52 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505, 1515, 1516, 1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ეფუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

53 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება № 1/1/1505, 1515, 1516, 1529 საქმეზე - გადაწყვეტილება პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ეფუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჭაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი, 16.

54 იქვე, 17.

55 იქვე, 20.

56 იქვე, 25.

რეაგირების არგუმენტით, შეუთავსებელია კონსტიტუციურ წესრიგთან. დაუშვებელიაპრინციპულსაკითხებზეგადაწყვეტილებებისმიღებახელისუფლებისაღმასრულებელი განშტოების მიერ ნაკლებად გამჭვირვალე პროცედურების გზით, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაცილებით დაბალი ხარისხის პირობებში.⁵⁷

ქართულ რეალობაში საპარლამენტო კონტროლი პანდემიისას ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის თვალსაზრისით გატარებულ ღონისძიებებს თითქმის არ შეხებია;⁵⁸ ასევე, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ ოპოზიცია პრაქტიკულად არ მონაწილეობდა საპარლამენტო საქმიანობაში, რაც ავლენს, რომ კონტროლი არა ეფუქტური, არამედ ილუზიური და შინაარსისგან დაცლილი იყო.

სასამართლოს აუცილებლად უნდა მიეღო მხედველობაში ეს გარემოებები შეზღუდვათა ფორმალურ ასპექტზე მსჯელობის დროს. რაც შეეხება მატერიალურ ნაწილს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ჩარევა უფლებაში მიიჩნევა აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თუ იგი პასუხობს მწვავე საზოგადოებრივ აუცილებლობას, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალებაა და შეზღუდვის გასამართლებლად მოყვანილი მიზებები არის შესაფერისი და დამაკმაყოფილებელი.⁵⁹

პროპორციულობის ტესტი გულისხმობს, რომ გატარებული ღონისძიებები შესაბამისი უნდა იყოს ლეგიტიმურ მიზანთან და არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რაც ამ მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი რეგულირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფოებს გადახვევის საშუალებას აძლევს საგანგებო ვითარების პირობებში. თავად საგანგებო მდგომარეობა ევროპულმა სასამართლომ საკუთარ პრაქტიკაში განმარტა როგორც საგამონაკლისო ვითარება, რომელიც მთელ მოსახლეობას შეეხება და საზოგადოების ორგანიზებულ ცხოვრებას უქმნის საფრთხეს.⁶⁰ საფრთხე უნდა იყოს ფაქტობრივი ან მყისიერი და ჩვეულებრივი ღონისძიებები, რომლებიც ზოგადად ტარდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კანმრთელობისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად, ამ შემთხვევაში, უბრალოდ, არაადეკვატური უნდა იყოს.

კომენდანტის საათის დაწესების შემდგომ, ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვები პრაქტიკულად არ შეცვლილა. 2021 წლის 17 მაისამდე უცვლელი დროის შუალედში (21:00-იდან 05:00 სთ-ამდე) დაწესებული იყო ე.წ. „კომენდანტის საათი“. შეზღუდვების ერთნაირი სიმკაცრით მოქმედება ეჭვებს ბადებს მისი პროპორციულობის თაობაზე. ეპიდემიოლოგიური ვითარების ცვლილების პარალელურად საჭირო

57 იქვე, 19.

58 საქართველოს პარლამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში და 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

59 ბატისტა იტალიის წინააღმდეგ (Battista v. Italy), 2014 წლის 2 დეკემბერი, 41-ე პუნქტი.

60 ლოულესი ირლანდიის წინააღმდეგ (Lawless v. Ireland (No 3), 1961 წელი, 28-ე პუნქტი).

იყო, აგრეთვე, მიმოსვლის მიმართ დადგენილი შეზღუდვების გადასინჯვა - მტკიცებულების არსებობა უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლებისთვის საჭირო წინაპირობაა.⁶¹ თითქმის 6-თვიანი უწყვეტი შეზღუდვის პირობებში მთავრობას ღონისძიების აუცილებლობის დასასაბუთებლად უნდა წარმოედგინა სტატისტიკა, რომელიც ნათლად წარმოაჩენდა, რომ „კომენდანტის საათი“ ეფუქტიანი იყო პანდემიასთან საბრძოლველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მიმოსვლის თავისუფლების შემზღუდავი ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, როგორც მინიმუმ, უამრავ შეკითხვას ბადებს.

დასკვნა

პანდემიის პირობებში საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე უფლებამოსილების დელეგირების ფარგლები სათანადოდ არ იყო განსაზღვრული. მეტიც, პარლამენტს არ დაუდგენია უფლების შეზღუდვის შინაარსი და ფარგლები, მისი სახე და ინტენსივობა, რაც სერიოზული რისკის წინაშე აყენებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სათანადოდ დაცვის საკითხს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სადავოდ გამხდარი კანონის დანაწესით, მთავრობას მიერიჭა არა მხოლოდ ძირითადი უფლებების შეზღუდვის საშუალება, არამედ კანონისგან განსხვავებული მოწესრიგების შემუშავების შესაძლებლობა, რაც უფლებამოსილების დელეგირების მასშტაბის დასაშვებ ზღვარს კვეთს. პარლამენტმათავადუნდაგანსაზღვროსუფლების შეზღუდვის შინაარსი, მთავრობის როლი კი ტექნიკური საკითხებით უნდა შემოითარებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგების კომპეტენციის დელეგირება არ უნდა მოხდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების კატეგორიას კი, როგორც სტატიაში აღინიშნა, განეკუთვნება ყველა ის საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე ან/და ინდივიდის ძირითად უფლებებში უხეში ჩარევაა.

საბაკასასმელია ის გარემოებაც, რომ მთავრობის საქმიანობაზე პრაქტიკული საპარლამენტო კონტროლის არარსებობის პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდაზედამხედველობის განხორციელებამთავრობის საქმიანობაზე. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი სრულიად უფუნქციონირებული აღმოჩნდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ ოპოზიცია, პრაქტიკულად, არ მონაწილეობდა საპარლამენტო საქმიანობაში, რაც ქმედითი საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ამცირებდა, ხოლო თავად კონტროლის მექანიზმი მხოლოდ თეორიულ ბერკეტად იქცა.

იმ მოცემულობაში, როდესაც საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში აღმასრუ-

61 ე. შამუგია, კომენდანტის საათი: მტკიცებულებას მოკლებული ჩარევა და შემცირებული კეთილდღეობა, Gnomon Wise, თბ., 2021, 5.

ლებელი ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები ყველაზე მაღალია, საპარლამენტო კონტროლი კი ერთმნიშვნელოვნად სუსტი, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო სათანადოდ დასაბუთებული და კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებთან, ასევე, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რამაც შედეგად მრავალი პასუხაუცემელი შეკითხვა დატოვა შეზღუდვების როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კონსტიტუციურობის თაობაზე. სასამართლომ გადაწყვეტილებაში რამდენჯერმე დაადასტურა, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ვირუსულ ინფექციასთან ბრძოლის მეთოდები, ისევე როგორც ამ პროცესში ადამიანის უფლებათა შემზღუდველი ღონისძიებების რაობა, თავისთავად, არის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თემა და საბოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნული გარემოება საკმარისად არ მიიჩნია, რათა არსებულ სიტუაციაში მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის დელეგირება არაკონსტიტუციურად ჩაეთვალა.

შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებისა და ფორმის მკაფიოდ განსაზღვრის გარეშე საქართველოს პარლამენტმა, ფაქტობრივად, მოიხსნა პასუხისმგებლობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების საკითხების რეგულირება და გადასცა იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ კი, საკუთარი გადაწყვეტილებით, მხარი დაუჭირა პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ტრიადის განშტოებებს შორის საკუთარი როლის გამიზნულად შესუსტებას. ამგვარი პასურობა უდავოდ აზიანებს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს სახელმწიფოში და აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობას ღეგიტიმაციას ანიჭებს. სწორედ ამიტომ ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა თანაფარდობის, შეკავებისა და გაწონასწორების რეალური მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია, რათა დაცული იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები გაუმართლებელი ჩარევისაგან და უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება, ხოლო, თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ პროცესის კონტროლის მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვს, რაც სათანადოდ უნდა გამოიყენოს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპის პრიმატით.

პანდემიის დროს საქართველოში დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობა

გაგა თუთარაშვილი

„დემოკრატიები დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ
ძალაუფლება საშიშია და ექსტრემალურად
მნიშვნელოვანია, არცერთ პირსა თუ
პირთა ჯგუფს არ მიეცეს იგი
დიდი ხნით“¹

შესავალი

კოვიდპანდემიის ფართომასშტაბიანი გავრცელების შედეგად სახელმწიფოთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ინფიცირების შესაჩერებლად რადიკალური ღონისძიებები გაატარა. ჩინეთიდან დაწყებული პანდემია არა მხოლოდ ვირუსის გადაცემით გამოირჩევა, არამედ მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მსგავსებებითაც. კომენდანტის საათი კი ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულ პოლიტიკად იქცა. საქართველოში 2020 წლის მარტის ბოლოდან² შეიტღუდა გადაადგილებასალამოს 9 საათის შემდგომ, დაიხურაბარ-რესტრონები, გასართობი დაწესებულებები და სხვ. ეს შეზღუდვები მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან მობილობის შემცირებისათვის გამოიყენებოდა, რასაც, საბოლოოდ, ვირუსის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეშალა. ასეც მოხდა - ვირუსის პირველი ტალღა საქართველომ უმტკივნეულოდ გადაიტანა; მეორე მხრივ კი, ეკონომიკური პარამეტრებით, 2009 წლის შემდგომ პირველად დაფიქსირდა რეცესია.³

აღნიშნული შეზღუდვები ვირუსის 2020 წლის ბაზებულში ჩატარობის შემდგომ კვლავ შემოიღეს, ხოლო პარლამენტმა საკუთარი საკანონმდებლო უფლებამოსილება, რის შედეგადაც მსგავსი შეზღუდვები უნდა დაწესდეს, საქართველოს მთავრობას გადასცა.⁴

წინამდებარე სტატიის უმთავრესი სულისკვეთება და მიზანია, გააანალიზოს ის ნაბიჯები, რაც საქართველოს ხელისუფლებამ პანდემიასთან ბრძოლისათვის გადადგა, კონსტიტუციურსამართლებრივი ანალიზის შედეგად კი დაადგინოს, თუ რამდენად თანაზომიერი და კონსტიტუციასთან შესაბამისი იყო ჩაკეტვის ქართული პოლიტიკა, რადგანაც კორონავირუსის გავრცელებამ მსოფლიოს

1 ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი ოლდოს ჰაქსლი. „All democracies are based on the proposition that power is very dangerous and that it is extremely important not to let any one man or any one small group have too much power for too long a time.“ იხ. ბმული: <https://blankonblank.org/interviews/aldous-huxley>. (10.06.2021).

2 საქართველოს მთავრობის დაფენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ. იხ. ბმული: [\(10.06.2021\).](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0)

3 2020 წლის საქართველოს ეკონომიკა 6,2%-ით შემცირდა. იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mltiani-shida-produkti-mshp>. (10.06.2021).

4 საქართველოს მთავრობის N181 დადგენილება. იხ. ბმული: (matsne.gov.ge) (10.06.2021).

არაერთ ქვეყანაში კიდევ უფრო გაამძაფრა მზარდი ავტორიტარიზმის შიში.

სახელმწიფოთა მხრიდან ვირუსის გავრცელების შეჩერებისათვის დაწესებული აკრძალვები ზრდის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა არათანაზომიერი შეგღუდვის რისკებს, მით უფრო, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს არაერთ წერტილში ავტორიტარული მმართველობისადმი სიმპათიები სულ უფრო და უფრო იზრდება.

1. საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებული პირველადი ღონისძიებები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების შემდგომ საქართველოში ვირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 27 ოქტომბერის დაფიქსირდა.⁵ 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე გურაბიშვილმა, პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას მიმართვის შემდგომ,⁶ კომენდანტის საათის დაწესების მიზნით დეკრეტი გამოსცა,⁷ რასაც იმავე დღეს 115 დეპუტატის მიერ საკანონმდებლო ლეგიტიმცია მოჰყვა. გადაადგილება ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მთელ ტერიტორიაზე 21:00-იდან 06:00 საათამდე შეიზღუდა.⁸ ამ შეგღუდვების უმთავრესი მიზანი მოქალაქეთა გადაადგილების შეგღუდვა და, შესაბამისად, ვირუსის გავრცელების პრევენცია გახლდათ. კომენდანტის საათის შემოღებასთან, საბოლოო ჯამში, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მანამდე განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად, მთელი რიგი შეგღუდვებისა დაწესდა: მკაფრი კარანტინი, შეიზღუდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, დიდ ქალაქებში აიკრძალა შესვლა-გასვლა და დაწესდა ეკონომიკური საქმიანობის შეგღუდვები.

ზემოთ აღნიშნული ზომების შედეგად საქართველოს მოქალაქეებს შეეზღუდათ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილი სარგებლობა. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მოქალაქეთა აბსოლუტურუმრავლესობას შეეზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული ეკონომიკური თავისუფლების,⁹ თავისუფალი გადაადგილების,¹⁰ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის,¹¹ რწმენისა და აღმსარებლობის,¹² შეკრების,¹³ შრომის¹⁴ და სხვა უფლებები და თავისუფლებები.

შეგღუდვების მთელი პაკეტის მიმართ პირველ ეტაპზე პოლიტიკური პარტიებისა

5 2020 წლის 27 ოქტომბერის საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. იბ. ბმული: <https://www.moh.gov.ge/en/search/page/87/>. (12.06.2021).

6 საქართველოს პრემიერმინისტრის მიმართვა პრეზიდენტისადმი. იბ. ბმული: <https://civil.ge/ka/archives/343475>. (12.06.2021).

7 2020 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა. იბ. ბმული: <https://civil.ge/ka/archives/343594>. (12.06.2021).

8 კორონავირუსის გავრცელების შეჩერებისაკენ მიმართული ღონისძიებები. იბ. ბმული: <https://smr.gov.ge/ge/news/read/1835/>. (12.06.2021).

9 საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხლი.

10 იქვე, მე-14 მუხლი.

11 იქვე, მე-15 მუხლი.

12 იქვე, მე-16 მუხლი.

13 იქვე, 21-ე მუხლი.

14 იქვე, 26-ე მუხლი.

და საზოგადოების დიდ ნაწილს დადებითი შეხედულება ჰქონდა, რადგანაც ამგვარი კრიზისული მდგომარეობის აღქმა საკმაოდ დიდ შიშს იწვევდა, მით უფრო, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. სწორედ ამ მიზეზთა გამო, მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიმართ არცთუ ისე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები გამოვლენილა. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციონალისტთა და პოლიტოლოგთა ნაწილი თავიდანვე მიუთითებდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული მკაცრი შეზღუდვები ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას და დემოკრატიულ წესრიგს. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო პიბრიდული სახელმწიფოა,¹⁵ რაც სამოქალაქო ინსტიტუტებისა და ხელისუფლების შემაკავებელი ბერკეტების სისუსტეზე მიუთითებს. სწორედ ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებდა ადამიანთა სკეპტიციზმს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პანდემიის მართვისათვის გამოყენებული პოლიტიკის კონსტიტუციურობის მიმართ.

2. ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების პროცესუალური შეფასება

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ როგორ აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია პანდემიასთან დაკავშირებულ ფორსმაჟორულ სიტუაციებს, რათა სიღრმისეულად გაანალიზდეს ის ძირითადი შეზღუდვები, რაც ხელისუფლებამ კორონავირუსთან ბრძოლისათვის გამოიყენა.

საქართველოს კონსტიტუცია საგანგებო მდგომარეობის დაწესების შესაძლებლობას რამდენიმე შემთხვევაში ითვალისწინებს. კერძოდ, საგანგებო მდგომარეობა შეიძლება დაწესდეს: „მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.“¹⁶ შესაბამისად, კონსტიტუცია სრული სიცხადით ეპიდემიის გავრცელების დროს სახელისუფლებო ორგანოებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილებას ანიჭებს. თავის მხრივ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება დაკავშირებულია სახელისუფლებო სამივე შტოსთან. პროცედურა კი ასეთია: საქართველოს პრემიერმინისტრი წარდგინებით მიმართავს პრეზიდენტს, რომელიც გამოსცემს დეკრეტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო საბოლოო ლეგიტიმაციას ანიჭებს.¹⁷ კონსტიტუციის ამგვარი ჩანაწერი მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კრიტიკული მდგომარეობის დროს შესაძლებელია დაიშვას ხელისუფლების სამივე შტოს თანხმობით. პრემიერმინისტრის, პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთობლივი

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, 71-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

¹⁷ იქვე.

გადაწყვეტილების საჭიროების საფუძველი სწორედ თვითნებობისა და კონსტიტუციის უგულებელყოფის გამორიცხვაა. ამრიგად, კონსტიტუციის ჩანაწერი საგანგებო მდგომარეობის გამოყენებას უკიდურეს საჭიროებას უკავშირებს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, საბოლოო ჯამში, ელექტორალური დემოკრატიის შედეგად არჩეული საკანონმდებლო ორგანო მხარს დაუჭერს პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის ერთობლივ გადაწყვეტილებას. ამ პროცედურის სამართლებრივი რისკების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია საპარლამენტო რესპუბლიკის მხარდამჭერია, რომლისთვისაც მიუღებელია ერთპიროვნული გადაწყვეტილების პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის მიერ მიღება და სწორედ ამიტომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საბოლოო თანხმობაზე უფლებას ყველაზე უფრო მხარდაჭერილ და ნაკლებრისკიან კოლეგიალურ ორგანოს, პარლამენტს ანიჭებს, მით უფრო, რომ პრემიერმინისტრი აღნიშნულ თანამდებობაზე, მართალია, არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალიდანაა, მაგრამ პირდაპირი ელექტორალური მხარდაჭერა მას არ გააჩნია. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების რისკებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობა მეტწილად სწორედ საკანონმდებლო ორგანოს ენიჭება.

3. დემოკრატიზაციის ასპექტები

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ტრანზიციულ ჰიბრიდულ სახელმწიფო რჩება. გილერმო ო'დონელის,¹⁸ ფილიპ შმიტერის,¹⁹ ლარი დაიმონდისისა²⁰ და თომას კაროჩერსის²¹ მითითებით, ჰიბრიდული რეჟიმები ამგვარ მოცემულობას აკმაყოფილებენ:

- ა) შეიცავენ ელექტორალური დემოკრატიის ნიშნებს;
- ბ) სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გამოირჩევიან დაბალი ნდობით;
- გ) პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია;
- დ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული;
- ე) მოქალაქეთა ინტერესი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაბალია.

გინაიდან საქართველო ჰიბრიდული სახელმწიფოა, იგი აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ „მოთხოვნას“ და, შესაბამისად, დემოკრატიული პროცესები სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მეტწილად არ გვხვდება. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობისა და სხვა ამგვარი მაღალი რისკის შემცველი გადაწყვეტილებების მიღებისას ჰიბრიდული რეჟიმი პრაქტიკულად შემაკავებელი მექანიზმების გარეშე მოქმედებს, სადაც არ არსებობს და ან სუსტია პოლიტიკური

18 Guillermo O'Donnell, Democracy Theory and Comparative Politics, Kellogg Institute for International Studies, 1999.

19 Philipe Shmitter, and Terry Lynn Karl, "What Democracy Is ... and Is Not", in Larry Diamond and Marc F. Plattner, ed, The Global Resurgence of Democracy (London: The Johns Hopkins University Press, 1993), 75-88.

20 Larry Jay Diamond, Thinking About Hybrid Regimes, Journal of Democracy, Volume 13, Number 2, April 2002, 21-35.

21 Thomas Carothers, The End of the Transition Paradigm, Journal of Democracy 13:1. The Johns Hopkins University Press and the National Endowment for Democracy, 2002, 5-21.

ოპოზიციის გავლენა, ხოლო სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებლის ნებაზეა დამოკიდებული.

ჰიბრიდული რეჟიმისათვის სასამართლო ხელისუფლების დამორჩილება, თუ ის ოდესმე თავისუფალი ყოფილა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან სწორედ სასამართლოთა დარბაზებშია შესაძლებელი თავნება ავტორიტარების შეკავება და ხელისუფალთა თვითნებობის მოთოვა. თუ სასამართლო ხელისუფლება იმ საქმეებში, სადაც პოლიტიკურ მმართველთა ინტერესები იკვეთება, ვერ იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას, მაშინ იმგვარი პროცესების მიმდინარეობისას, როგორიც საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა, იგი საერთოდაც ვერ დადგება კონსტიტუციის დამცველთა რიგებში.

4. პანდემიასთან ბრძოლისათვის გამოყენებული ზომების კონსტიტუციურობის საკითხები

საქართველოს პრემიერმინისტრის მიმართვისა და პრეზიდენტის მიერ დეკრეტის გამოცემის შემდგომ, 2020 წლის 21 მარტს, პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული პროცედურა პანონმდებლობის დაცვით განხორციელდა. მიუხედავად ამისა, არაერთი კითხვა გაჩნდა შეზღუდვათა თანაბომიერებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო პრაქტიკისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით, საგანგებო მდგომარეობა კრიზისული სიტუაციების მართვისათვის გამოიყენება. ამგვარ სიტუაციების მიეკუთვნება: ომი, ბუნებრივი კატასტროფები, ტერორისტული საფრთხე, დემოკრატიული წესრიგის წინააღმდეგ მიმართული პროცესები და პანდემია.²² ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია²³ და მისი მე-15 მუხლი²⁴ ე.წ. დეროგაციას განმარტავს. მე-15 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ამისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას,²⁵ უფლება აქვთ, მიიღონ დეროგაციის შესახებ გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულწილად შეზღუდვას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. მიუხედავად დეროგაციისა, სახელმწიფო ვალდებულებები არიან, უზრუნველყონ სხვა ნაკისრი ვალდებულებების დაცვა და შეინარჩუნონ კანონის უზენაესობა, რათა ამგვარი ფორმასაც უზრუნველი მოცემულობიდან გამომდინარე, თვითონვე არ აღმოჩნდნენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის საფრთხის შემცველი, რაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს არაერთ

22 The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *Report on the Democratic Control of the Armed Forces*, 23 April 2008, CDL-AD(2008)004, para. 244. See: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf-file=CDL-AD\(2008\)004-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf-file=CDL-AD(2008)004-e). (13.06.2021).

23 European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, as amended by Protocols Nos. 11 and 14. Council of Europe. 4 November, 1950. See: https://www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf. (13.06.2021).

24 იქვე, მე-15 მუხლი.

25 ლოულესი ორლანდოის წინააღმდეგ (*Lawless v. Ireland*), 1961 წლის 1 ივნისი, 28-ე პარაგრაფი. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57518>. (13.06.2021).

პრეცედენტულ გადაწყვეტილებაშიც აღინიშნა.²⁶

საქართველოს შემთხვევაში კანონთან გათანაბრებული წესით, პრეზიდენტმა დეკრეტის გამოცემისას სწორედ ფორმალური კანონიერება დაიცვა, რადგანაც დეკრეტი თავისი არსით საგანგებო მდგომარეობის შემოღებისას ნორმატიული აქტია, რომლის მიმართაც ზუსტად ისევე მოქმედებს კონსტიტუციურობის დაცვის მოთხოვნა, როგორც სხვა ნებისმიერი კანონის მიმართ, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მიერაა მიღებული.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ დეკრეტში საგანგებო მდგომარეობისა და პანდემის მიმდინარეობისას საჭირო რეგულაციებზე არაფერი წერია,²⁷ მაგრამ ამავე აქტით კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაცემა საკითხის კონსტიტუციისათვის შესაბამისობის აშკარა ეჭვს ბადებს. კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტია. ამგვარი სახის შესაძლებელია იყოს საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედი კანონმდებლობა. მაგალითისათვის, თუ პრემიერმინისტრის მიერ მოთხოვნის წარდგინების შემდგომ პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტს და მიმართავს პარლამენტს, სწორედ ეს უკანასკნელია უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის კანონზომიერებისა და კონსტიტუციურობის უპირველესი გარანტია. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით,²⁸ საქართველოს პარლამენტი არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. შესაბამისად, პარლამენტია ის ინსტიტუტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და დეროგაციის შესახებ, ხოლო ამ გადაწყვეტილების აღსრულებისას თვალს ადევნებს მთავრობას, რომლის მოვალეობა სწორედ განხორციელებაა და არა საკანონმდებლო საქმიანობა. ხელისუფლების ამგვარი დანაწილება საქართველოს კონსტიტუციის უპირველესი სულისკვეთებაა, რადგანაც ძალაუფლების სხვაგვარი დაყოფა ვერ უზრუნველყოფს ლიბერალური დემოკრატიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ შეკვებასა და გაწონასწორებას. შესაბამისად, უნდააღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკრეტით კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის დაწესების უფლებამოსილების აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაცემა არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციისა და სამართლებრივ წესრიგს.

5. შეზღუდვების კონსტიტუციურობის შემოწმება ტესტის საფუძველზე

სახელმწიფოთა მხრიდან დეროგაციის უფლების გამოყენებისას საერთაშორისო სტანდარტები განისაზღვრა. ამ რეკომენდაციებისა და ნორმების მიხედვით,

26 საქართველოს კონსტიტუცია, 36-ე მუხლი.

27 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი N1, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372>. (13.06.2021).

28 საქართველოს კონსტიტუცია, 36-ე მუხლი.

სახელმწიფოთა მხრიდან გადადგმულ ნაბიჯები გარკვეულ ფორმალურ და მატერიალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ კორონავირუსის პანდემიისას გამოცემული რეკომენდაცია სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის გამოყენებისას გარკვეულ მითითებებს აძლევს.²⁹ კოვიდპანდემიას სახელმწიფოებს უკიდურესი ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგა, რათა მოქალაქეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაეცვა, მაგრამ, მიუხედავად უკიდურესი საჭიროებისა, სახელმწიფოები არ თავისუფლდებიან ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაგან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მითითებით, საგანგებო მდგომარეობისას სახელმწიფოებმა აღმასრულებელი ძალაუფლება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა გამოიყენონ,³⁰ რომლის მიხედვითაც, მშვიდობიანი ყოველდღიურობისაგან განსხვავებით, პანდემიის დროს შესაძლებელია, სახელმწიფოებს დამატებითი უფლებამოსილებების განხორციელება სჭირდებოდეთ, რათა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, როგორც სამართლებრივი სიკეთე, დაიცვან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფოებმა მიუხედავად იმისა, ფორმალურად გამოაცხადებენ თუ არა საგანგებო მდგომარეობას, ყველა სხვა შემთხვევაშიც უნდა დაიცვან ფორმალური კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტი.³¹ იმავდროულად, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო პაქტი სამქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ არ ითვალისწინებს გადახვევას სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან, რაც გულისხმობს საკვების, საცხოვრებლის, სოციალური დაცვისა და განათლების უფლებას.³²

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საგანგებო მდგომარეობისას გამოყენებული შეზღუდვები შესაძლოა, ითვალისწინებდეს გადაადგილების, გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეული დროით შეზღუდვას. მიუხედავად აღნიშნული უფლებების განხორციელებისას, სახელმწიფოთა მიერ მიღებული კანონები, დეკრეტები თუ სხვა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) კანონიერებას - შეზღუდვები კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული;

კანონიერების თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლების შეზღუდვები და საგანგებო მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციური წესრიგით დათქმულ ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპს, არსებითად,

29 United Nations HUMAN RIGHTS Office of The High Commissioner – *Covid-19 Response, Topics in Focus, Emergency Measures and Covid-19*, 27 April 2020. See:[Newsletter \(ohchr.org\)](https://ohchr.org) (13.06.2021).

30 International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR). See:<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>. (13.06.2021).

31 “Even without formally declaring states of emergency, States can adopt exceptional measures to protect public health that may restrict certain human rights. These restrictions must meet the requirements of legality, necessity and proportionality, and be non-discriminatory”. – UN Human Rights Office of The High Commissioner. See:https://www.ohchr.org/Documents/Events/EmergencyMeasures_COVID19.pdf.(13.06.2021).

32 იქვე.

ეწინააღმდეგება პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დელეგირება. აღნიშნული კონსტიტუციური უფლებამოსილება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს აქვს და არ არსებობს უფლებათა და თავისუფლებათა შემზღვდელი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც წინამდებარე უფლებამოსილების აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დელეგირებას ითვალისწინებს.

ბ) აუცილებლობას - შეზღუდვების დაწესება უნდა პასუხობდეს კონკრეტულ დროს საზოგადოებრივ საჭიროებას, რაც საერთაშორისო პატიოტ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ დოკუმენტისა მოცემული, მათ შორის ერთ-ერთია საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

აუცილებლობის თვალსაზრისით, ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოცემულ სტანდარტებს, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქართველოში პირველი შემთხვევის დადასტურების შემდგომ, როდესაც რამდენიმე ათეულ ინფიცირებულს არ სცდებოდა ყოველდღიური დადასტურების ფაქტები, ხელისუფლებამ მოქალაქეებს შეუზღუდა ყველა დიდ ქალაქში შესვლა-გასვლა და აკრძალა ეკონომიკური საქმიანობა, ხოლო მაშინ, როდესაც შემთხვევათა რაოდენობა რამდენიმე ასეულს გასცდა, ხელისუფლებას არ განუხორციელებია მსგავსი შეზღუდვები. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ, თუ წინამდებარე შეზღუდვების აუცილებლობა რამდენიმე ათეული შემთხვევის დროს არსებოდდა, მაშინ, როდესაც ეპიდემიოლოგიური მდგრამარეობა უფრო დამძიმდა, რატომ არ გამოიყენა ხელისუფლებამ უფრო მკაცრი მიღებომა? ამრიგად, ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები აჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლების მიერ გამოყენებული შეზღუდვები აუცილებლობის თვალსაზრისით არა საზოგადოებრივი ჯანდაცვის განმტკიცებისათვის, არამედ სხვა პოლიტიკური მიზანშეწონილობით იყო განპირობებული.

გ) პროპორციულობას - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა იმაზე მეტად არ უნდა ზღუდვდეს პირებს, ვიდრე საზოგადოებრივი საჭიროებისთვისაა აუცილებელი;

პროპორციულობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია, რომ ის სიკეთე, რასაც გამოყენებული შეზღუდვები ემსახურება, მუდმივად აღემატებოდეს შეზღუდულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგალითისათვის, თუ არსებობს ხელშესახები, რეალური რისკი იმისა, რომ ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა პროპორციული და გამართლებულია. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით კი, ზოგ შემთხვევაში ხელისუფლებამ გადააჭარბა იმ ზღვარს, რაც დასაცავ სიკეთესა და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შორის არსებობს. 2020 წლის 21 მარტს დაწესებული კომენდანტის საათისა და კოვიდრეგულაციების მიღების შემდგომ, მხოლოდ 2 თვეში, 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით სამართალდამცავმა ორგანოებმა 26 მილიონი ლარის ჯარიმა გამოწერეს. ჯამში, 2020 წლის 21 მარტის შემდგომ 60 მილიონ ლარზე მეტი ჯარიმა გამოწერილი, რისი კონსტიტუციურობის

საკითხიც საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა.³³

დ) არადისკრიმინაციულს - დაწესებული შეზღუდვები არ უნდა ემსახურებოდეს ადამიანთა რაიმე ნიშნით განსხვავებასა და დიფერენცირებულ მოპყრობას. ეს დათქმა კრძალავს უძრავლესობისა და უმცირესობის რაიმე ნიშნით დაყოფას და სხვადასხვაგვარ ძოპყრობას.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვების საფუძველი საზოგადოებრივი ჯანდაცვა ნამდვილად გახლდათ, მაგრამ გაუგებარია, რატომ დაარღვია სახელმწიფომ დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტი, როდესაც სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებას განსხვავებულად მოეპყრო სარიტუალო დღესასწაულებზე. მაგალითისათვის, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ შეეზღუდა წირვა-ლოცვის ჩატარება აღდგომისა თუ შობის დღესასწაულებზე, მიუხედავად ამისა, სხვა რელიგიური კონფესიები ვერ სარგებლობდნენ აღნიშნული უფლებამოსილებით.³⁴ გასაგებია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება ამ რელიგიური კონფესიის განსაკუთრებულ როლს აღნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, გაცილებით მრავალრიცხოვანი მრევლის მქონე რელიგიური გაერთიანების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება ვერ გამართლდება კონსტიტუციური შეთანხმების საფუძვლით. საგულისხმოა, რომ რელიგიური უმცირესობები არ წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვან მრევლს და მათი მხრიდან მცირერიცხოვანი წირვა-ლოცვებისა თუ სხვა სახის რელიგიური რიტუალების ჩატარება არსებითად ვერ შეუქმნიდა საზოგადოებას იმაზე მეტ საფრთხეს, ვიდრე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შეკრებილი უამრავი ადამიანი. ცხადია, ცალკე საკითხია, თუ რა საფუძვლები არსებობს, ზოგადად, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის შეზღუდვისათვის, მაგრამ ნათელია, რომ არსებითად თანასწორი გაერთიანებებისათვის დიფერენცირებული მოპყრობა არღვევს დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტს.

დასკვნა

საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა. პრეზიდენტის დეკრეტით, პარლამენტმა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისა და დეროგაციის უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავრობას და მის მეთაურს - პრემიერმინისტრს გადასცა. აღნიშნული დელეგირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და სახელმწიფო მოწყობის საფუძვლებს, რომლებიც ამგვარი უფლებამოსილების განხორციელების პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ორგანოს ანიჭებს.

³³ თავისუფლების ინსტიტუტი პარლამენტის: გამოცხადეთ ამნისტია Covid-რეგულაციების დარღვევებზე. იხ. ბმული: <https://tabula.ge/ge/news/668904-tavisuplebis-instituti-parlaments-gamoatskhadet>. (15.06.2021).

³⁴ ტოლერატობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2020: რელიგიის თავისუფლება, ქსენოფობია, მიგრანტთა უფლებები. იხ. ბმული: <https://tdi.ge/ge/news/887-2020-religiis-tavisupleba-ksenopobia-migrantta-uplebebi>. (15.06.2021).

იმავდროულად, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული შეზღუდვები ვერ აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების, ზოგ შემთხვევაში აუცილებლობის, პროპორციულობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის სტანდარტებს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს უმთავრეს მოტივაციას, დაეცვა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მაგრამ, იმავდროულად, იმდენად არ შეეზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რამდენადაც პანდემიასთან ბრძოლისათვის იქნებოდა საჭირო. ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია და დომინანტური პოლიტიკური ძალის პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება. ამრიგად, კოვიდპანდემიასთან ბრძოლის ქართული მეთოდები ძალიან შორსაა საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო მოთხოვნებისაგან, ის უფრო მეტად დაემსგავსა იმ ავტორიტარულ სახელმწიფოებს, რომელთა მმართველთა ხელში განუზომლად დიდი ძალაუფლება გამუდმებით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფისკენაა მიდრეკილი.

კონსტიტუციური კონტროლი და ცალკეული საპროცესო უფლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბება

გიორგი ჟანჯალაშვილი, ივიკო ხავთახი

„The life of the law has not been logic:
it has been experience.“¹

1. შესავალი

სისხლის სამართლის პროცესი იურისპრუდენციის დარგია, რომლის რეგულირების მიმართ ვლინდება სახელმწიფოს მომეტებული ინტერესი, რამდენადაც პროცესის ნორმები უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის² ეფექტიან აღსრულებასთან.³ სადაც სახელმწიფოს მომეტებული ინტერესია, იქვე თანაარსებობს ლევიათანური ძალაუფლების აჩრდილი და, შესაბამისად, ჩნდება ამავე ინტერესის დაბალანსების აუცილებლობა.⁴ მსგავსი კონტროლის განმახორციელებელი ერთ-ერთი ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოა,⁵ რომლის საბეჭისწერო ვალდებულებაა, იპოვოს ინდივიდუალურ თავისუფლებასა და მომეტებულ საჯარო ინტერესს შორის არსებული ოპტიმალური შუალედი. შემეცნების პროცესისთვის კი სახელმძღვანელო მითითებები კონსტიტუციის ტექსტშია, რომლის არსი თავისთავად აბსრუაქტულია და შეიძლება განიმარტოს როგორც ფართო მესიანისტური აქტივიზმით, ისე ვიწრო ფორმალიზმით.⁶ პირდაპირ არჩეულ დებუტატებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლებს შორის არსებული სახალხო ლეგიტიმაციის კონცეპტუალური განსხვავება⁷ აღვივებს ცნობისმოყვარეობას საკონსტიტუციო კონტროლის არსზე, ფარგლებსა და ინტენსივობაზე, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით.⁸ საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართლის პროცესის პულსაციას მეტისმეტად დიდი გულისყრით უნდა აკვირდებოდეს ორი მიზების გამო: პირველი, კონსტიტუცია, განსხვავებით სხვა უფლებებისგან, უშუალოდ ითვალისწინებს მთელ

1 O.W. Holmes, JR., *The Common Law*, 1881, 1.

2 სს პოლიტიკაზე მეტნილად იგულისხმება მატერიალური სამართალი და ის სამოგადო ინტერესები, რომელთა დაცვასაც მატერიალური სამართალი უნდა ემსახურებოდეს.

3 W. Heinz, *Das deutsche Strafverfahren Rechtliche Grundlagen, rechtstatsächliche Befunde, historische Entwicklung und aktuelle Tendenzen*, 2004, 1.

4 M. Vile, *Constitutionalism and the Separation of Powers*, 2nd edition, 1998, 2.

5 სტატიის მიზებისთვის საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე, მოსისხმება როგორც „სასამართლო“.

6 ინტერპრეტაციის მასშტაბის სხვადასხვაობა, ასევე, განპირობებულია იმით, რომ კონსტიტუციის ტექსტში დაფიქსირებულ სხვადასხვა პროცესუალურ გარსნტის აქვთ როგორც წევატური (სახელმწიფოს ავალდებულებს, თავი შეიცვლი), ისე პოზიტიური (პირიეთ, სახელმწიფოსგან ითხოვს აქტიურ მოქმედებას) ელფერი; უფლების არსის პრატიკული შემცენება კამაყიდებული ხდება იმიზე, თუ რამდენად ფართოდ ხდავს მოსამართლეთა კონკრეტული კოლეგია თავის უფლებამოსილებას ფუნქციასა და მიზანს. იხ. D. A. Sklansky, *Quasi-Affirmative Rights in Constitutional Criminal Procedure*, 88 Va. L. Rev. 1229, 2002, 1244.

7 ნორმის კონსტიტუციურობის სასამართლოს მეტრ კონტროლი ერთ-ერთი პირველი ცნობილმა გერმანელმა მოაზროვნებ, კარლ შმიტმა გააკრიტიკა იმ არგუმენტით, რომ სასამართლო ასე შეზღუდავდა პარლამენტის სუვერენიტეტს და განდებოდა კვაზიკაონსერტივებით. იხ. C. Schmitt, *Der Hüter der Verfassung*, 1931.

8 Carl J. Franklin, *Constitutional Law for the Criminal Justice Professional*, 1999, 79.

რიგს პროცესუალური გარანტიებისას, შესაბამისად, სახელმძღვანელო ტექსტი მეტ-ნაკლებად კონკრეტულია, რაც საკონსტიტუციო კონტროლს კი არ ამარტივებს, არამედ კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მეტ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, პროცესუალური ნორმები გაისიგრძებანოს არა როგორც ცალკე მდგომი ნორმატიული წესები, არამედ როგორც კონსტიტუციური წესრიგის განუყოფელი ელემენტები.⁹ მეორე მიზების თანახმად კი, სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები, ინდივიდუალურ და საზოგადო ინტერესებს შორის არსებული მწვავე დაპირისპირების გამო, ძირითადი უფლებების დარღვევის ყველაზე მკაფიო რისკის წინაშე დგანან. თავისი არსით ერთადერთ ლეგიტიმური ორგანოს, რომელიც უმრავლესობის ტურბულენტურ სურვილებზე მაღლა უნდა იდგეს, მართებს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ძირითად უფლებებზე „ცივი გონებით“ დარაკობა.

ახალი საპროცესო ინსტიტუტების მიღებამ ფუნდამენტურად გარდაქმნა სისხლის სამართლის მართლმსაჭულების პროცესუალური ასპექტები. ნორმაშემოქმედებითობა ყოველთვის დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ მიღებაზე, არამედ უპირატესად მათ შემდგომ სიცოცხლისუნარიანობაზე. სწორედ ამიტომ სამოსამართლო პრაქტიკა ხშირად წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ნაკლოვანებებს. ამდენად, სტატიის მიზანია, შეაფასოს საკუთრივ ის ინსტიტუტები, რომლებიც არსებითადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და რომელთა გამოყენება *a priori* დამოკიდებულია ერთმანეთზე. ამგვარია, მაგალითად, გასაჩივრების უფლება, რომელიც არსებითად დამოკიდებულია კანონიერ ძალაში განაჩენის შესვლასთან, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ორჯერ მსჯავრდების პრინციპს. ყველა ზემოაღნიშნული ასპექტი მიემართება პირის უდანაშაულობის პრეზუმაციით დაცვასა და გარკვევას, თუ რომელ სტადიებზე ვრცელდება გარანტია; მეორე მხრივ, სტატიის დანიშნულებაა, შეაფასოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი იმგვარი გადაწყვეტილებებით, რომელთაც პრეცედენტული მნიშვნელობა ჰქონდათ და რომელთა მემვეობითაც სრულად განსხვავებულად გარდაიქმნა კანონმდებლის მიერ დადგენილი საპროცესო სტანდარტები – ამგვარია სასამართლოს შეფასება მტკიცებულებებსა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით.

ამდენად, სტატია, მათ შორის, მიზანად ისახავს, ერთმანეთთან აშკარად შეთანხმებული, ერთმანეთისგან გამომდინარე და მკაფიოდ დაკავშირებული გადაწყვეტილებების ანალიზით გამოიკვეთოს სასამართლოს როლი მის მიერ საპროცესო ინსტიტუტების განსაზღვრისას. ვიდრე ქართული აკადემიური სივრცე მზად აღმოჩნდება, შეაფასოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გავლენა საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, აუცილებელია, სასამართლოს არცთუ ისე მსუებ პრაქტიკის სისტემური ანალიზი, რის მცდელობაცაა სტატიის მომდევნო ნაწილი,¹⁰ ხოლო მესამე ქვეთავი ერთიანობაში აანალიზებს

⁹ BGHSt 14, 358, Rn. 15.

¹⁰ სტატიის შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, არჩევანი გაკეთდა იმგვარ გადაწყვეტილებებზე, რომელთა ანალიზი, პრაქტიკის განვითარებაზე დაკავირებისა და ღიად დატოვებულ საკითხებზე ორიენტირების მიზნებისთვის, მტაც ხელსაყრელი იყო, ამიტომაც ტექსტი ვერ ამონრავს 2021 წლის ივნისის მდგომარეობით სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

საკონსტიტუციო კონტროლის გავლენას ქართული სისხლის სამართლის პროცესის განვითარებაზე.

2. კონსტიტუციური კონტროლის როლი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

2.1. გასაჩივრების უფლება

გასაჩივრების უფლება იცავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერესს პროცესის თანმდევი შესაძლო მცდარი სისხლის სამართლებრივი ზეწოლისგან, არამედ ამაღლებს საზოგადოებაში სისხლის სამართლის პროცესისადმი ხდობასა და ლეგიტიმურობას, თანმიმდევრულს ხდის ქვედა ინსტანციების პრაქტიკას და ასრულებს სისტემის თვითდაბლვევის ფუნქციას.¹¹ შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ უფლების არსისა და მისი ცალკეული ელემენტების სრულყოფილი შეცნობა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გასაჩივრების უფლებაზე საკამაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ერთ-ერთ პირველ საქმეში, რომლის გადაწყვეტის დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია, არსებითად ემსჯელა გასაჩივრების უფლების არსა და ფარგლებზე, სადაცოდ იყო გამხდარი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმები, რომელთა მიხედვით, უშუალოდ გამოძიების ეტაპზე ჩხრეკა-ამოღება-დათვალიერების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების მექანიზმი არ არსებობდა.¹²

სასამართლომ საპროცესო კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთ ელემენტად დაინახა პირის შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში და ცალკე მიუთითა კანონმდებლის ვალდებულებაზე, უზრუნველყოს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი.¹³ სასამართლომ არ გაიზიარა სამართლიანი სასამართლოს აბსოლუტურ ხასიათზე მოსარჩევე მხარის აპელირება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (“ევროპული სასამართლო”) ზოგიერთი პრეცედენტული გადაწყვეტილების ანალოგიურად,¹⁴ აღნიშნა, რომ შეზღუდვას უნდა ჰქონოდა კანონიერი მიზანი და დაცული უნდა ყოფილიყო გონივრული თანაბომიერება შემზღუდველ საშუალებასა და გამამართლებელ კანონიერ მიზანს შორის.¹⁵ მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოძიების გაჭიანურების თავიდან აცილება მიიჩნია დაცვის ღირს ლეგიტიმურ მიზნად, თუმცა ცალსახად მიუთითა, რომ იგი არათანაბარბომიერად ზღუდავდა სასამართლო ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები არ შეიძლებოდა გამხდარიყო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვისთვის საკმარისი საფუძვლი.

11 Peter D. Marshall, A Comparative Analysis of the Right to Appeal, Duke Journal of Comparative & International Law, 2011, 2-4.

12 საქართველოს სკონსტიტუციონ სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე – შეს „უნისერვისი“, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

13 იქვე, II-2.

14 საქართველოს სკონსტიტუციონ სასამართლოს 2004 წლის დეკემბრისთვის ფინ კიდევ არ პერიდუ ნათლად განსაზღვრული კონსტიტუციურობის შეფასების ავტონომიური ტესტი, შესაბამისად, სადაც ნორმების კონსტიტუციურობა შეფასებულია სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პროპორციულობის ტესტის ფარგლებში.

15 ევროპული სასამართლოს 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე – დევერი ბელგიის წინააღმდეგ (Deweert v. Belgium), Series A no. 35-ე, 42-46-ე პუნქტებით, ევროპული სასამართლოს 1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე – დელკორი ბელგიის წინააღმდეგ (Delcourt v. Belgium), Series A no. მე-11, 25-ე პუნქტები.

16 იბ. ციტირებული N2/6/264 გადაწყვეტილება, II-4. აგრეთვე, 1998 წლის სისხლის სამართლის საკროცესო კოდექსის ნორმებთან დაკავშირებით, გასაჩივრების თემატიკაზე სასამართლოს მიღებული აქვს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც მეტ-ნაკლებად იყო „უნისერვისი“ გადაწყვეტილებამ დაფიქსირებული ლოგიკის პრაგმატულ გარემოება. სვინტონამის გადაწყვეტილების საკმარიდ თამაში სტანდარტის თანახმად, თავისუფლების

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

დაზარალებულის გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით¹⁷ ერთ-ერთ საქმეზე სადაც იყო გამხდარი საპროცესო ნორმები, რომელთა თანახმად, დაზარალებული ვერ სარგებლობდა სააპელაციო და საკასაციო ეტაპებზე გასაჩივრების უფლებით.¹⁸ სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მიიჩნია, რომ დამნაშავისთვის იმაზე უფრო მკაცრი სასჯელის მოთხოვნა, ვიდრე ეს განაჩენით შეეფარდა, დაზარალებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილი არ იყო. მან არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ დაზარალებულის პროცესში მხარედ ჩართულობა აუცილებელი იყო გამოძიების, პროკურატურისა თუ სასამართლოს არაკომპეტენტურობის, გადატვირთულობის ან/და ინდიფერენტულობის გამო.¹⁹ სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ სამართლებრივი დევნისა და დასჯის მოთხოვნა არის საჭარო ფუნქციებს მიკუთვნებული მოქმედება და დაზარალებულის ბრალმდებლად სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მოთხოვნა არ ჩათვალა მისი უფლებით დაცული სფეროს განუყოფელ ნაწილად.²⁰

დაზარალებულის გასაჩივრების უფლება კიდევ ერთ საქმეზე გახდა მსჯელობის საგანი. სადაც ნორმების თანახმად, სასამართლოში არ საჩივრდებოდა პროკურორის დადგენილება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.²¹ სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, როცა დაეყრდნო უკვე განხილულ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ ზოგად მსჯელობას დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის, განასაკუთრებულ ინტერესებზე და მიუთითა, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვან საპროცესო უფლებებზე წვდომის წინაპირობაა. შესაბამისად, არსებობს პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების მომეტებული ინტერესი, რაც აღმატებოდა სადაც ნორმით ბლანკეტურად დაცულ სიკეთეს – სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას.²² გადაწყვეტილების თანახმად, პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების ელემენტია, დაიცვას საკუთარი ინტერესები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდებელ მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოში, შესაბამისად, ტემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა არ მიიჩნია ეფექტიან

ნებისმიერ შეზღუდვას უნდა დაუპირისპირდეს ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება, თუმცა სასამართლომ „დაცვის უფლებაზე“ კონცეპტუალური მსჯელობის განვითარება ვერ მოახერხა, იხ. საქართველოს სკონსტიტუციის სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის №2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ლოეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

17 ერთ-ერთ პირველი საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან დაზარალებულის უფლებაზე ეხებოდა 1998 წლის საპროცესო კოდექსის ნორმას, რომლითაც ერთდღებოდა დაზარალებულის შესაძლებლობა, სრულად აენაზურებინა დანაშაულის შედეგად მყენებული მორალური ზიანი. სასამართლომ არ დაკმაყოფილა სარჩელი და მუჟითით, რომ საპროცესო შეთანხმების დაზარალებულის უფლება სისხლის სამართლის პროცესის არიტექტურასან შეეთავსებელი იყო. საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებული *prima facie* განსაზღვრავდა ეფექტია მექანიზმებს, ხოლო მორმის უშუალო გამოყენების პრაქტიკის შემონმება სცედებოდა სასამართლოს უფლებამოსილებას. მიუუდავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააგმაყოფილა მოსარჩელების ინტერესები, გადაწყვეტილებაში მომეტებული ყურადღება გამახვილდა დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის, განსაკუთრებულ მიზნებით.

18 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე სათუნა შემითიდებულის პარლამენტის წინააღმდეგ.

19 იქვე, II-24.

20 იქვე, II-30. თუმცა სასამართლომ *obiter dictum* მიუთითა დაზარალებულის განსაკუთრებულ როლზე და რომ მას გარანტირებული უნდა პქონდეს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს საპროცესო უფნებიერის გამართულად შესრულებას, იხ. იქვე, II-44.

21 სკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმითაშვილი, გია ფაცურია და გვარა გაგრიაშვილი და „შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

22 იქვე, II-30.

საშუალებებად²³

სისხლის სამართლის პროცესის კიდევ ერთი სუბიექტის, გამართლებულის გასაჩივრების უფლებას ეხება გადაწყვეტილება²⁴ უზენაესი სასამართლოს წარდგინებაზე, რომელშიც მითითებული იყო, რომ სადაც ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა გამართლებული პირის მიერ განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რადგან გამართლებულ პირს, მიუხედავად მისი უდანაშაულოდ ცნობისა, შესაძლებელი იყო, კვლავ ჰქონოდა გარკვეული ინტერესი, რომ საქმე გადასინჯულიყო ზემდგომ სასამართლოში. პლენუმმა, სამართლიანი სასამართლოს ინსტრუმენტული უფლების კონცეფციიდან გამომდინარე, მიუთითა, რომ გასაჩივრების უფლების გარეშე არსებობდა რისკი, გამართლებული პირები დარჩენილიყვნენ უფლების (ინტერესის) დაცვის სამართლებრივი მექანიზმის გარეშე.²⁵

განსახილველ გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით თანმიმდევრული მსჯელობა ფიქსირდება გასაჩივრების უფლების მიზნებსა და ფუნქციებთან დაკავშირებით, კერძოდ, მითითებულია, რომ გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას, ემსახურება უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმს, უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას და ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობასაც,²⁶ ასევე, ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რითაც უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას;²⁷ გასაჩივრების მექანიზმის კიდევ ერთი ზოგადი ფუნქციაა, უზრუნველყოს პირის სანდოობის აღქმისა და განცდის ჩამოყალიბება, რათა მას სამართლიანად მოექცნენ.²⁸

სასამართლოს აქამდე განვითარებული პრაქტიკის თანახმად, თუ არსებობს პირის ხელშესახები დარღვეული ინტერესი, რომლის აღდგენა ან/და დარღვევის თავიდან აცილების სამართლებრივი ბერკეტი არ მოიძებნება, თავად უფლების იმანენტური არსი განვითარება.²⁹ გარდა ამისა, გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს ერთგვარი სამართლებრივი პრაქტიკის დამკვიდრებისას მოსამართლეთა კეთილსინდისიერებას, ყოველმხრივ ობიექტურად გამოიკვლიონ გარემოებანი და განმარტონნორმები. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ექვემდებარება გადასინჯვას, პრევენციულ ხასიათს ატარებს და მოსამართლეს უქმნის კეთილსინდისიერი მუშაობისა და შეცდომებისა თუ თვითნებობის თავიდან აცილების ძლიერ მოტივაციას.³⁰ სისხლის პროცესის ეკონომიკურობა და სისწრაფე მართლმსაჯულების სარისხებზე ახდენს პირდაპირ გავლენას, შესაბამისად, ამ ლეგიტიმური მიზნების დაცვისთვის პროპორციულად შეიძლება სამართლიანი სასამართლოს ერთ-

23 იქვე, II-10.

24 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

25 იქვე, II-26.

26 იგვენ მაცელობა არის დაფიქსირებული 2014 წლის მიღებულ კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N02/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ილია ჭავჭავარას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-55.

27 იხ. ციფრებული N3/3/601 გადაწყვეტილება, II-12.

28 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის N02/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ნუგარა კანდიდატი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-45.

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14.

30 შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2010, 407.

ერთი ელემენტი - გასაჩივრების უფლებაც შეიზღუდოს.³¹ თავის მხრივ, აშშ-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თუ აშკარა არ არის საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ გამოუსწორებელი შეცდომის დაშვების ფაქტი, მიიჩნევა, რომ სასამართლოს, გენერალური პროკურორის ოფისისა და ხშირად საჯარო დამცველის რესურსების ფუჭი ფლანგვაა ამგვარი საქმის სააპელაციო წესით განხილვა.³² სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ფაქტობრივად, ვერ იქნება აბსოლუტური.³³ მიუხედავად ამისა, ზოგადადმიხისტრაციული ხასიათის სირთულეებზე მითითება შეზღუდვის თვითკმარ და პროპორციულ საფუძვლად ვერასდროს იქნება მიჩნეული.

2.2. უდანაშაულობის პრეზუმაციის მოქმედების ფარგლები

უდანაშაულობის პრეზუმაცია რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარი სტანდარტია, რომელიც პირის დაცვის აუცილებელი საშუალებაა ჯეროვანი პროცესის³⁴ წარმოების მიზნით. დაცვის მიზანი დაკავშირებულია ბრალდებულის კონკრეტულ საპროცესო ინტერესებთან.³⁵ უდანაშაულობის პრეზუმაციის კომპონენტების ცალკეულად განხილვას კონკრეტული სამართლებრივი ინტერესი აქვს. სტატიის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელდობრ, პროცესის რომელ სტადიებზე ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმაცია და, შესაბამისად, აქტუალური ხდება სამი საკითხი - (ა) შედის თუ არა პირველი ინსტანციის განაჩენი კანონიერ ძალაში გამოცხადებისთანავე და თუ შედის, მაშინ (ბ) რა სტატუსი აქვს კონსტიტუციის მიზნებისთვის მსჯავრდებულს და (გ) თუ გარანტია სამართლწარმოების ყველა სტადიაზე ვრცელდება, მაშინ რა მიზნით და როგორ ინიშნება სასჯელი. ამ ქვეთავის მიზანი არ არის და კვლევის ფარგლების გათვალისწინებით ვერ იქნება უდანაშაულობის პრეზუმაციით დაცული სფეროს სრულად გამოკვლევა ან ფარგლების დადგენა, არამედ მისი მიზანია საკითხთან მიმართებით სასამართლოს მსჯელობის თანმიმდევრულობის შეფასება.

სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა უდანაშაულობის პრეზუმაციის მიმართ არ იძლევა სრულყოფილ შესაძლებლობას მის განსამარტავად. გარანტიაზე მსჯელობა ყოველთვის თანმდევი, ფაკულტატიური საჭიროება იყო სასამართლოსათვის, რამდენადაც, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, სასამართლო არ დამდგარა საჭიროების წინაშე, სრულყოფილად განემარტა იგი.³⁶ თუმცა განვითარებული მსჯელობის თანახმად, *prima facie* შეიძლება უდავოდ

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-69.

32 აშშ-ის უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება: *Ander v. California*, 386 U.S. 738 (1967).

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N21/3/161 საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები: ოლოტ სუმბათაშვილი და იგორ ხაპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4.

34 ტერმინიდან: ინგ. „Due process of law“. იხ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - ხურტადო კალიფორნიის წინააღმდეგ (*Hurtado v. California*), 110 U.S. 516 (1884); ასევე, იხ. R. J. Allen, W. J. Stunz, et al, *Comprehensive Criminal Procedure*, Third Edition, New-York, 2011, 81-83.

35 მაგ., მისი მიმართება სამართლის სასამართლო განხილვის უფლებასთან მოიცავს გრანტიას, პირის საქმე განიხილოს მიუკერძიებელმა სასამართლო შემადგენლობამ, რომელსაც არ ექნება წინასწარი განცდა პირის დამამცეობაზე. შესაბამსად, პირის განართი, მიიჩნეულ იქნება უდანაშაულოდ, დაკავშირებული კონკრეტულ სიკეთებთან, რომლებიც აუცილებელია ფეროვანი პროცესის წარსამართავად.

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N3/2/416 საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-62; იხ. საქართველოს

მიჩნეულ იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელება სისხლის სამართლის სამართლალწარმოებაზე, ვიდრე განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.³⁷ შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტებით, კონსტიტუციური გარანტია იცავს პირს სრულად სისხლის სამართლის მთელი სამართლალწარმოების განმავლობაში, თუმცა, ამასთან, იგი ასევე მოიცავს სისხლის სამართლებრივი სამართლალწარმოების დასრულების შემდეგ იმ პირთა წრის რეპუტაციის დაცვას, რომელთა დამნაშავეობა არ დადასტურებულა საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენით.³⁸ ამ მსჯელობით საკონსტიტუციო სასამართლოს ლოგიკა ემთხვევა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმციას აღიქვამს³⁹, „შედეგზე ორიენტირებული“ სამართლიანი სასამართლო განხილვის მიზნით დადგენილ გარანტიად, რომელსაც კონვენციის მე-6 მუხლით იცავს⁴⁰ და პირის რეპუტაციულ დაცვით გარანტიებს, რომელთაც მე-8 მუხლით დაცულ სფეროში მოიაზრებს.⁴¹

მსჯელობით არ დადგენილა, თუმცა თავისთავად უნდა აღინიშნოს, რომ გარანტია არ მოიცავს დაცულ სფეროს აბსოლუტურად. საქართველოს კანონ-მდებლობით განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი ეკისრება აპელანტს/კასატორს. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთი უდანაშაულობის პრეზუმციის ერთ-ერთი ქვაკუთხედია,⁴² მისი შებრუნება სააპელაციო და საკასაციო სამართლალწარმოებისას დასაშვებია აპელანტის ან/და კასატორისათვის სასამართლოს განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთის დაკისრების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, განაჩენის უკანონობის მტკიცება არ ათავისუფლებთ მხარეებს, ისევე, როგორც სასამართლო შემადგენლობას, ფაქტების რევიზიისას საწყის წერტილად აიღონ პირის უდანაშაულობა და სწორედ ამ პრიზმით შეხედონ რევიზიას დაქვემდებარებულ ფაქტებს, რომლებიც გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად იქნა გამოყენებული, იმის მიუხედავად, თუ რას ფიქრობენ პიროვნულად. ამგვარი ვალდებულებით გარანტირებულია პროკურორისა და სასამართლოს მზადყოფნა, შეიცვალონ მოსაზრება ახლად გამოვლენილი ფაქტების ან/და აწ უკვე გამოკვლეული ფაქტების ხელახლა შეფასების შედეგად.⁴³ ამის საწინააღმდეგო მტკიცება აზრს დაუკარგავდა ზოგადად გასაჩივრების შესაძლებლობის არსს, რომელიც სწორედ პირველი ინსტანციის მიერ შესაძლო დაშვებული შეცდომების გამოსწორების გარანტიაა.⁴⁴

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ძირითადი მიზნები, რისთვისაც

საკონსტიტუციო სასამართლოს №2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე დავით ცინცელიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-8; საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/1473საქმეზე - წიკამორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-27.

37 იხ. ციტირებული №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, II-27.

38 იხ. ციტირებული №2/7/636 გადაწყვეტილება, II-31.

39 შეად. შ. ტრექელი, დამინის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 194.

40 ბარბერა, მესეგე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (Barberá, Messegué and Jabardov. Spain), 1988 წლის 6 დეკემბრი, 77-ე პუნქტი.

41 Inter alia იხ. ფიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ (Jishkariani v. Georgia), 2018 წლის 20 სექტემბერი, 41-ე პუნქტი; ავევენ რესეტის წინააღმდეგ (Avevyan v. Russia), 2013 წლის 18 აპრილი, 155-ე პუნქტი.

42 ტელფერი ავსტრიის წინააღმდეგ (Telfner v. Austria), 2001 წლის 20 მარტი, მე-15 პუნქტი.

43 შ. ტრექელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 195.

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/3/601 საქმეზე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ნადგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-8.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

სამართალწარმოების სრული ეტაპის ამოწურვამდე აუცილებელია გარანტის გავრცელება. პირველ ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ გარანტია დაკავშირებულია *in dubio pro reo* პრინციპთან და იგი გულისხმობს: „ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის გავლით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა.“⁴⁵ ამ დათქმით სასამართლო გარანტიის ფარგლებში მოიაზრებს მტკიცების ტვირთს და ყოველგვარი ეჭვის პირის სასარგებლოდ გადაწყვეტის კონსტიტუციურ პრინციპს.

პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენის შემდგომ უდანაშაულობის პრეზუმაციის გარანტიის უწყვეტობის დამატებით არგუმენტად სასამართლო იშველიებს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, სისხლისასამართლებრივ პროცესს დაქვემდებარებული პირის ინტერესების ჯეროვან დაცვას, არ ჩადგეს პირი არათახაბარ (არასასამართლიან) პირობებში და გამოირიცხოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკი. შესაბამისად, კონსტიტუცია ესწრაფვის, უზრუნველყოს სახელმწიფოს, როგორც სისხლის სასამართლის პროცესში ინსტიტუციურად ძლიერი მხარის, გონივრული შეკავება.⁴⁶ ამ მიზნით ცხადი ხდება, რომ მსჯავრდებული/ გამართლებული, ისევე იქნება პროცესუალურად ინსტიტუციურად „სუსტი“, როგორც ბრალდებულის სტატუსის ქვეშ იყო. შესაბამისად, მისი დაცვის მიზანი იმავე ინტენსივობით იჩენს თავს განაჩენის რევიზიისას, როგორც დანაშაულებრივი ფაქტების დადგენისას იყო.

სასამართლო აგრეთვე გამოყოფს რეპუტაციის დაცვის არგუმენტს⁴⁷ და აღნიშნავს, რომ საზოგადოების სხვა წევრების თვალში პირი არ შეიძლება იქნეს აღქმული დამნაშავედ, როდესაც დამნაშავეობა არ დადასტურებულა სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენით. ტერმინით – „საბოლოო“ - აშკარად ხას უსვამს გასაჩივრების შესაძლებლობის ამოწურვას. ამდენად, ფაქტია, რეპუტაციული ზიანისგან დაცვის მიზნით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება საბოლოოდ მის მსჯავრდებამდე.

გემოაღნიშნული მსჯელობა იძლევა შესაძლებლობას, გამოჩნდეს აშკარად მწყობრი ლოგიკა, თუ რატომ უნდა იცავდეს გარანტია პირს გამამტყუნებელი განაჩენის საბოლოოდ გამოტანამდე. კონსტიტუციური დათქმა გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე უდანაშაულობის პრეზუმაციის გამოყენებაზე მოითხოვს განმარტებას, თუ როდის შედის კანონიერ ძალაში გამამტყუნებელი განაჩენი. კანონმდებელმა ამ საკითხის განსამარტავად დაადგინა საქართველოს სისხლის სასამართლის საპროცესო კოდექსის 279/280-ე მუხლები, რომლებითაც ნათლადაა აღნიშნული, რომ პირველი ინსტანციის განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, ხოლო დადგენილია, რომ გასაჩივრება არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას.⁴⁸ მიუხედავად ამ ჩანაწერისა, სასამართლო იყენებს ნორმის სისტემური განმარტების ხერხს და ადგენს, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „კანონიერ ძალაში შესული

45 იხ. ციტირებული N3/2/416 გადაწყვეტილება, II-62.

46 იხ. ციტირებული N2/7/636 გადაწყვეტილება, II-33.

47 საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება № 3/1/633, 634 საქმეზე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ნარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეუნიტების კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ნარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეუნიტების კონსტიტუციურობის თაობაზე, II-31.

48 ლ. ფაფიაშვილი, ეს ას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 745.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი“ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზნებისათვის გულისხმობს გადაწყვეტილებას, რომელთან მიმართებითაც ამოწურულია პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით პირდაპირი გასაჩივრების შესაძლებლობა.⁴⁹ ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა საკუთრივ კონსტიტუციის მიერ ტერმინების „განაჩენის“⁵⁰ და „კანონიერ ძალაში შესული განაჩენის“ დიფერენცირება. შესაბამისად, ჩანს, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის უდანაშაულობის პრეზუმფცია არ წყდება გასაჩივრების უფლების გამოყენებით.⁵¹

ინსტიტუტის დუალისტური გაგება უცხო არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობისთვის. მას აქამდეც გაუმიჯნავს ინსტიტუტის მნიშვნელობა კონსტიტუციის მიზნებისთვის და, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებისთვის. მართალია, აქამდე, სასამართლო არ დამდგარა საჭიროების წინაშე, სრულყოფილად განემარტა უდანაშაულობის პრეზუმფცია და, მათ შორის, გაეცა პასუხი მთავარი კითხვისთვის: თუ გარანტია არ წყდება გასაჩივრების უფლებით, მაშ რა არის სასჯელის მიზანი პირველი ინსტანციის შემდგომ და როგორ გამოიყენება იგი, თუ პირი ჯერ კიდევ უდანაშაულოდ მიიჩნევა? გამოდის, რომ, საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო სამართალწარმოებისას შეიძლება, არსებობდეს მსჯავრდებული, რომელსაც მისჯილი აქვს სასჯელი და რომელიც კონსტიტუციის მიზნებისთვის უდანაშაულოდ ითვლება.

თუ სასამართლო დადგება საჭიროების წინაშე, განმარტოს ხსენებული საკითხი, უნდა ვივარაუდოთ, საქმეზე - ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, იგი უარს არ იტყვის პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებაზე. საპირისპიროს დაშვება აღლოგიკურიც იქნებოდა, რამეთუ მაშინ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მართლწერილის. მეტიც, განსხვავებულ აზრში⁵² აღნიშნულია, რომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ კონსტიტუცია პატიმრობის ვადის შეზღუდვას აღარ ადგენს, თუმცა, ამავე დროს, პირს არც დამნაშავედ მიიჩნევს. ამდენად, საქმის განხილვის ამ ეტაპზე კონსტიტუცია უშვებს დამატებითი რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებას, თუმცა არა იმ ღონისძიებების, რომლებიც ექსკლუზიურად დამნაშავის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული.⁵³

სასჯელი დანაშაულის სამართლებრივი შედეგია, რომელსაც რეპრესიული ღონისძიების სახით იყენებს სახელმწიფო დამნაშავის მიმართ.⁵⁴ მის დანიშვნას აქვს მიზნები და მათ ჩამოთვლის სისხლის სამართლის კოდექსი. სამართლიანობის აღდგენის გარდა, სასჯელის მიზანია, აგრეთვე, ახალი დანაშაულის თავიდან

49 იბ. ციფრობელი №3/2/1473 გადაწყვეტილება, II-27.

50 კონსტიტუციის 24-ე და 37-ე მუხლები იყენებენ ტერმინს - „განაჩენი“, ხოლო უდანაშაულობის პრეცედენციასთან მიმართებით კონსტიტუცია იყენებს ტერმინს - „კანონიერ ძალაში შესული გამომტყუნებელი განაჩენი“.

51 უდანაშაულობის პრეზუმაციის კონვენციით დაცულ სფეროსთან მსგავსება აქაც აშკარაა. იბ. კონსტასი საბერძნეთის წინააღმდეგ (Konstas v. Greece), 2011 წლის 24 მაისი, 36-ე პუნქტი.

52 განსხვავებული აზრი არ არის სასამართლოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების საპორტონ, თუმცა მასში განვითარებულ მსჯელობს დაიდე მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ლოგიკის აღსაქმედად, რამდენადც როთხი მოსამართლის მერ გავეთვებულ შეფასება საპარისი იქნებოდა კოლეგის ფორმატში გადაწყვეტილების მისაღებად. შეად. „განსხვავებულ აზრთ შორის საუკეთესონი სასამართლოს გადაწყვეტილებებად, ხოლო დროთა განმავლობაში მათი შეხედობები დომინანტურ ხედვად იქცევა. განსხვავებული აზრის ავტორთა იმედია, რომ ისინი წერენ არ დღევანდები, არამედ ხვალინდები დღისთვის“, იბ. R. B. Ginsburg, Interview with Nina Totenberg of National Public Radio, 2002.

53 იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თემურაზ ტუდუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერწმილაძის და თამაზ ცაბურაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლანუმის 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მე-15 პუნქტი.

54 მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 2011, 46.

აცილება, რომელიც დოქტრინაში იყოფა გენერალურ (დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი მიმართულია არა სახელდობრ დამნაშავისკენ, არამედ საბოგადოების გაცილებით უფრო ფართო წრისკენ) და სპეციალურ (მიემართება არა საზოგადოების ფართო წრეს, არამედ კონკრეტულად მსჯავრდებულს) პრევენციულ საშუალებებად.⁵⁵ განსაკუთრებით ნეგატიური გენერალური პრევენციის მიზნის გამოყენებისას სახელმწიფო ცდილობს, ყველა მესამე პირისათვის ცალსახა გახადოს ფაქტი, რომ ძართლმსაჟულება აღსრულდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის დაუსჯელობის სინდრომის განვითარებას. ასეთ პირობებში სრულად გაუგებარია, რა მიზნით ენიშნება პირს სასჯელი, თუ, კონსტიტუციის მიხედვით, ის ჯერ კიდევ უდანაშაულოა. ამგვარი დაშვებით გამოდის, რომ სასჯელის გამოყენებით სახელმწიფო პირს იყენებს დანაშაულთან ბრძოლის ცოცხალ იარაღად⁵⁶ და მას აღიქვამს როგორც უფლების ობიექტს, რაც არღვევს პირის ღირსების დაცვის უპირობო გარანტიას.

განსხვავებულ აზრში განვითარებული ლოგიკით მიიჩნევა, რომ დაკისრებული სასჯელით თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე ინტენსიური ჩარევაა, თუმცა გამართლებული, ვინაიდან ჩარევა ხორციელდება არა დასაბუთებული ვარაუდის (აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი), არამედ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ამასთანავე, პირისათვის სასჯელის დაკისრება იმ დაშვებით, რომ ის შეიძლება გამართლდეს, დაუშვებელია, რამეთუ სასჯელის დაკისრებით პირი უკვე დამნაშავედაა ცნობილი და დაუშვებელია იგი უდანაშაულობის პრეზუმეციით იქნეს დაცული. მეტიც, ბრალდებული პირები, რომელთა დანაშაულიც ჯერ არ დადგენილა, არ უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებულ პირებთან ერთად,⁵⁷ რათა დაცულ იქნეს მათი უდანაშაულობის პრეზუმეცია და ისინი არ აღიქვან დამნაშავებად. მსჯავრდებულ პირებთან მოპყრობა განსხვავებულია მათგან, ვინც ჯერ არ არის მსჯავრდებული, თუმცა დროებით აღკვეთილი აქვთ თავისუფლება.⁵⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით პირები ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენით სრულდება პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა. 2005 წლის ცვლილებით, პირის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეიზღუდა 9 თვით, ამის შემდგომ კი პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. თუ დაიშვება, რომ, კონსტიტუციის მიხედვით, პირი დამნაშავე არ არის, თუმცა გასულია 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა, ამასთან, სასჯელის დანიშვნით ხდება თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ინტენსიური ჩარევა, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ სასჯელის მიზნებს ანაცვლებს აღკვეთის ღონისძიების მიზნები და მისი ტრანსფორმირება სასჯელის მიზნებად მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ გასაჩივრების უფლების ამოწურვის შედეგად გამამტყუნებელი განაჩენი დარჩება უცვლელად. ამის საპირისპირ მტკიცება, უბრალოდ, გაუგებარს ხდის სასჯელის გამოყენების აუცილებლობას მაშინ, როდესაც პირი ჯერ კიდევ უდანაშაულოდ ითვლება.

55 ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, 2016, 61-80.

56 იბ. ლ. იზორია, კ. კორევლია, კ. კებლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, 88.

57 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

58 შეად. „სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია არ განამტკიცებს მუხლს, რომელიც განსხვავებული მოქმედვის რეექტის განსაზღვრავდა მსჯავრდებული და ბრალდებული პირებისთვის ციხეში. არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული საფუძვლით დარღვა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.“ პირის საბერძნეთის წინააღმდეგ (Peers v. Greece), 2001 წლის 19 აპრილი, 78-ე პუნქტი.

Nulla Poena sine lege პრინციპი ბოჭავს სახელმწიფოს, არ გამოიყენოს სასჯელი დანაშაულის გარეშე. საპირისპირო ლოგიკით, ვის მიმართაც გამოიყენება სასჯელი, შესაბამისად, გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე, შეიძლება დადგეს კონვენციური უფლების დარღვევა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც არ დამდგარა საჭიროების წინაშე, განემარტუ უდანაშაულობის პრეზუმუციის სისხლის სამართლის პროცესის სტადიებზე გავრცელების მიმართება სასჯელის დანიშვნის კონტექსტში.⁵⁹ ორივე სასამართლო განმარტავს, რომ პრეზუმუცია მოიცავს არაერთ კომპონენტს, რომელთა ყველა ნაწილი შეიძლება არ იყოს გამოყენებადი გასაჩივრების უფლებით სარგებლობისას. დასახელებული კომპონენტების გათვალისწინებით, არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სააპელაციო და საკასაციო ეტაპზე უდანაშაულობის პრეზუმუცია სრული ფარგლებით ვრცელდება პირზე, ისე, როგორც გამოძიებისა და საქმის განხილვის ეტაპზე. როგორც აღინიშნა, ამის მაგალითთა მტკიცების ტვირთის შებრუნების საგამონაცლისო შემთხვევა, მას შემდეგ, რაც პირის დამნაშავეობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დგინდება.

უდანაშაულობის პრეზუმუცია დაკავშირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის კომპონენტებთან - მიუკერძოებლობასთან, მტკიცებულებების չეროვან გამოკლევა-შეფასებასთან, პირის რეპუტაციასთან. ამდენად, მეორე და მესამე ინსტანციებში ამ გარანტის გარეშე პირის დატოვება გამოიწვევს მისი չეროვანი დაცვის გარეშე დარჩენას. (ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს პირს უკვე ეწოდება არა „უდანაშაულო“, მისი საპროცესო გაებით, რაც ნიშნავს, რომ ჯერ არაფერი დამტკიცებულა, არამედ „მსჯავრდებული“ ან „გამართლებული“, რაც პროცესუალურად გულისხმობს გამართული პროცესის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას).

ამდენად, სასამართლოს ლოგიკით მიიჩნევა, რომ განსახილველი კონსტიტუციური პრინციპი გულისხმობს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით პირის გამტყუნებას, თუმცა ის არ იცავს პირს განაჩენის დროული აღსრულების გადავადებისგან. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმუციის ცალკეული კომპონენტები, როგორც დაცვისათვის აუცილებელი საჭიროების გარანტორები, იცავენ პირს სრული სამართალწარმოების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვერ სცემს პასუხს მთავარ კითხვას - რა მიზნით ენიშნება სისხლის სამართლის მიზნებისთვის დამნაშავეს სასჯელი, თუ იგი კონსტიტუციის მიხედვით ჯერ კიდევ უდანაშაულოდ მიიჩნევა.

2.3. მტკიცებულებები⁶⁰

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებს იმდენად აქვს კონცეპტუალური მნიშვნელობა, რამდენადაც განსაზღვრავენ პროცესის საბოლოო შედეგს, და ამტკიცებენ პირის ბრალეულობას ან გონივრული ეჭვის არსებობისას - არაბრალეულობას. მტკიცებითი სამართლის, როგორც ინსტრუმენტული ნორმების ერთიანობის, გავლენა პროცესში უფლებების დაცვის სტანდარტებზე ყველაზე

59 შ. ტრექსლი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 188.

60 სკონსტიტუციონ სასამართლოს თავისი არსებობის პირველ ეტაპზე მნირი განმარტებები აქვს გავეთებული მტკიცებულებების არსე, პირველი 15 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი განჩინება ეხება ზედაპირულად თემებისას. იხ. საქართველოს საკანსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მისის N2/10/231 განჩინება საქმეზე - მოქალაქეები: ივანე თბილია და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

დიდია. მტკიცებულებების თემატიკაზე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი და მიეთითა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები ირიბი ჩვენების შესახებ თვითნებურად შესაძლებელს ხდიდა, საქმის განმხილველ სასამართლოს, მათ შორის ნაფიც მსაჯულებს, შინაგანი რწმენა პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ირიბი მტკიცებულების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებოდათ, ხოლო ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელი ხდებოდა მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავდა ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად დაემყარებოდა მას.⁶¹ გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა კანონმდებლის ვალდებულება, აღჭურვოს საქმის განმხილველი სასამართლო შესაბამისი სახელმძღვანელო ნორმებით, რომლებიც საქმის გადაწყვეტის პროცესში გამორიცხავს იმგვარ მტკიცებულებებს, რომელთა ბუნება ან შინაარსი შეიძლება არ იყოს სანდო.⁶²

სასამართლომ მიუთითა, რომ უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საქვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჰეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს, ხოლო მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს.⁶³ სასამართლოს პოზიციით, ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო და მაღალი რისკების შემცველი მტკიცებულებაა. მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და დასაშვები შეიძლება იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში,⁶⁴ კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში.⁶⁵ სასამართლომ განიხილა მაშინ არსებულ საპროცესო კანონმდებლობაში ირიბი ჩვენების უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევის დამზღვევი მექანიზმები და ნაკლებად ეფექტუანად მიიჩნია ისინი.⁶⁶

მოგვიანებით კიდევ ერთ საქმეზე⁶⁷ მოსარჩელე ასაჩივრებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ხორმებს, რომლებიც, მისი აზრით, ავიწროებდა მტკიცებულებათა დაუშვებლობის დამდგენ წესს და ემნიდა სხვა საკანონმდებლო აქტებისარსებითი დარღვევით (პროცესის მხარეებისა და სხვა მეპირების მიერ)

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს აარლამენტის წინააღმდეგ, II-28.

62 იქვე, II-11.

63 იქვე, II-7.

64 საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, გაიზიარა ევროპული სასამართლოს პოზიცია და არ გამორიცხა, გამონაცალის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლომერება, თუ არსებობს ობიექტური მიზნი, რის გამოც შევძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებით გამომდინარე, მაგალითად, თუკი მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებოს მისა, როგორც მოწმის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, იხ. აღსავარა და ტახერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom), 2011 წლის 15 დეკემბერი.

65 საერთო სასამართლოების შემდგომმა პრაქტიკამ წარმოაჩინა აუცილებლობა, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული როგორც ინსლობის, სი დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ირიბი ჩვენების კორიერიზები, რათა ბოლნკეებური სახე არ მიიღოს მტკიცებულების ირიბად კვალიფიკაციის და გათვალისწინებული იყოს, საგმონაკლის ზესით, დაცვის მხარის ინტერესებიც. იხ. ი. ურუშაქე, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის პროცესში - საერთო სასამართლოების პრაქტიკის ვალება, 2015, 28-31.

66 იხ. ციტირებული N1/1/548 გადაწყვეტილება, II-52.

67 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს აარლამენტის წინააღმდეგ.

მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შესაძლებლობას. აგრეთვე, ისეთი მტკიცებულებების, რომლებიც საკანონმდებლო აქტების დაცვით იყო მოპოვებული, თუმცა უარყოფილი არ იყო გონივრული ეჭვი მათი შესაძლო გამოცვლის, ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. სასამართლომ სარჩელი დაკავმაყოფილა ნაწილობრივ და ფართოდ განმარტა კონსტიტუციური დებულებების არსი, ფუნქცია და უფლებრივი მნიშვნელობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მანიფესტაცია. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვება არ შეიძლება იქნეს გამართლებული ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების ან/და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელება გადაიცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად.⁶⁸ სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალა, იმის მიუხედავად, თუ რომელი სუბიექტის მიერ არის იგი მოპოვებული. აგრეთვე, არ არის მნიშვნელოვანი, მტკიცებულების მოპოვების რა ეტაპზე დაირღვა კანონმდებლობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ექნებოდა შესაძლებლობა, თვითნებურად აერიდებინა თავი კანონმდებლობის მოთხოვნებსათვის მტკიცებულებების მოპოვების ამა თუ იმ ეტაპზე ან/და ამა თუ იმ ორისძიების ჩატარება გადაენდოთ სხვა პირებისთვის.⁶⁹ ამ გზით კი იურიდიული ძალა მიერიჭებინათ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებისთვის.⁷⁰

სასამართლომ არ გამორჩა, რომ ცალკეულ შემთხვევებში დადგინდეს გამონაკლისები და კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს მიენიჭოს იურიდიული ძალა, მაგრამ ცალსახად მიუთითა, რომ გამოხაკლისები არ უნდა ახდენდეს პროცესის მონაწილეების ან/და მესამე პირების კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას, უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო ორგანოების თვითნებობის წახალისებისა და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის გამიზნული და გაცნობიერებული დარღვევის საფრთხე, და ასეთი მტკიცებულების საფუძველზე ბრალდებულის მსჯავრდების შესაძლებლობა.⁷¹ გადაწყვეტილება იმითაცაა საინტერესო, რომ სასამართლომ, ფაქტობრივად, აღიარა კონვენციის უშუალო მოქმედება საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაზე, კერძოდ, მიუთითა, რომ საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების პროცესში შეიძლება დაირღვეს კონვენციით განსაზღვრული სტანდარტები, იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა ამ სტანდარტებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.⁷²

2.4. ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა

Ne Bis in Idem სისხლის სამართლის ფუნდამენტური და, ერთი შეხედვით, კამათის საფუძველს მოკლებული პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია არაერთი

68 იქვე, II-7.

69 ამ ასპექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით აკრძალულა სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ დანაშაულის პროცესუაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება. იხ. ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ (*Khudobin v. Russia*), 2006 წლის 26 ოქტომბერი, 133-ე აუნტები; ასევე იხ. ვანიანი რუსეთის წინააღმდეგ (*Vanyan v. Russia*), 2005 წლის 15 დეკემბერი, 47-ე აუნტე.

70 იხ. ციფრობული N2/2/579 გადაწყვეტილება, II-19.

71 იქვე, II-33.

72 იქვე, II-30-31.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

საერთაშორისოსამართლებრივი აქტით,⁷³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს,⁷⁴ რომ მისი მნიშვნელობით პრინციპი უფლებათადაცვის იმკატებორიაშიაცყანილი, რომელიც კრძალავს კონვენციისგან გადახვევის მე-15 მუხლით დაშვებულ საგამონაკლისო შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, სამართალში, მათ შორის Jus Cogens პრინციპებთან მიმართებით დავა წარმოიშობა უპირატესად არა იმდენად მათ მნიშვნელობასა თუ სიმყარებები, რამდენადც უფლებით დაცული სფეროს ფარგლებსა და მის სუბიექტზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დათქმა - „არ შეიძლება პირს წარეცნოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმდანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა“ - მოითხოვს საკითხთა რიგის განსაზღვრას. აღიარებულია, რომ ზოგადად ქმედების სამართალდარღვევად და მისი სიმძიმის განსაზღვრა სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენციაა.⁷⁵ ამდენად, კანონმდებელი კანონშემოქმედებითობის პროცესში თავად ადგენს ნორმის იმგვარ ნორმატიულ შინაარსს, რისი პოლიტიკური მიზანშეწონილობაც მისი ხედვით დღის წესრიგში დგას. მიუხედავად ამისა, სასამართლო დამდგარა საჭიროების წინაშე, კონსტიტუციური პრინციპის განმარტებით, უფლების ფარგლები იმგვარად ჩამოყალიბებინა, რომ თავად ინსტიტუტის რაობა განსაზღვრულიყო. ამრიგად, ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის მეორედ მსჯავრდების ტესტი სასამართლომ იმგვარად დაადგინა, რომ, ფაქტობრივად, ხელშესახები და გასაგები გახადა სისხლის სამართლის პროცესში პირის ხელმეორედ მსჯავრდებისგან დაცვის დადგენილი პრინციპის ფარგლები.

პირველ ყოვლისა, სასამართლომ გამოკვეთა სუბიექტი, თუ ვის ეხება გარანტია. საკუთრივ კონსტიტუციის თანახმად, „არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“ ერთი შეხედვით, ჩანს, რომ პრინციპი იცავს უკვე მსჯავრდებულ პირს, თუმცა საპროცესო კოდექსი აგრეთვე ასახელებს გამართლებულსა და ბრალდებულს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციაში მოცემული ტერმინები ყოველთვის არ შემოიფარგლება კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფინიციით.“⁷⁶ შესაბამისად, სასამართლო უფლების სუბიექტად მოიაზრებს ყველას, ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე განიხილება საერთო სასამართლოებში. სუბიექტების შეფასების დროს ამგვარი სტანდარტის დადგენისას მსგავსება აშკარაა ამერიკულ სისხლის სამართლის პროცესთან, რომლის საწყისებსაც დაეფუძნა 2009 წელს მიღებული სისხლის საპროცესო ინსტიტუტები და რომლის გავლენაც საპროცესო სამართლზე უდიდესია. აშშ-ის კონსტიტუციის მე-5

73 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სერიაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი.

74 მიხალაშვილის მინალმდებ (Mihalache v. Romania), 2019 წლის ივლისი, 48-ე პუნქტი.

75 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის საოქმო ჩანაწერი N4/482,483,487,502 საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოქალაქებითა ერთობა საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები: ზეიათ ძირიგური და კასა კუპავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჰაბა კიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-8.

76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონიშე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, III-1.

შესწორების განმარტებისას ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნისგან პრივილეგია იცავს როგორც გამართლებულს, ისე მსჯავრდებულს, აგრეთვე პირს ერთი და იმავე დანაშაულისთვის რამდენიმე სასჯელის დაკისრებისგან.⁷⁷

დამკვიდრებული პრაქტიკით, უფლებით დაცული სფეროსა და კომპონენტების განსაზღვრით სასამართლომ სახელმძღვანელო პრინციპები უპირატესად დაუდგინა როგორც დისკრეციული დევნის უფლებამოსილების შეონე პირებს, ისე საერთო სასამართლოებს. საკუთრივ გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტის არსებობა არ იყო ნათლად დადგენილი და პრატიკულად გამოყენებადი, ნათელი გახადა საერთო სასამართლოების საჭიროება, თავიდან აერიდებინათ ორმაგი მსჯავრდების საფრთხე იმ ნორმის გამოყენებით, რომელიც უშვებდა ამგვარ რისკს. კონსტიტუციურ წარდგინებაზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა: „პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუხდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით.“⁷⁸ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოგვიანებით სასამართლომ ზედმიწევნით განმარტა ყოველი კომპონენტი - როდის იცავს გარანტია პირს და როდის ხდება უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით. „იმისათვის, რომ სახეზე იყოს კონსტიტუციით აკრძალული ორმაგი მსჯავრდება, ა) პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით, ბ) მას უნდა ემუქრებოდეს „განმეორებით“ მსჯავრდება (bis), გ) „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (idem).⁷⁹ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რას ნიშნავს დასრულებული სამართლწარმოება და შეეხება თუ არა იგი დანაშაულის დამდგენი სასამართლოს მიერ გამართლებული პირის დაცვას, მის წინააღმდეგ შეიტანოს პროცესორმა სააპელაციო საჩივარი.

სასამართლოს დათქმა, რომ კონსტიტუციის მიზნებისათვის საკანონმდებლო განმარტებები არ არის საკმარისი, რათა დადგინდეს სამართლწარმოების საბოლოობის ფაქტი, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობას საპროცესო ინსტიტუტების განსაზღვრისას. სასამართლომ საკითხებზე მსჯელობა დაუპირისპირა გასაჩივრების ინსტიტუტის მნიშვნელობას⁸⁰ და res judicata⁸¹ მიიჩნია მას შემდეგ, რაც განაჩენს შეუქცევადი ძალა ექნება. შესაბამისად, დაადგინა, რომ ისეთი სახის გადაწყვეტილებები, რომელთა

77 აშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - ჩრდილოეთ კაროლინა პირსის წინააღმდევ (North Carolina v. Pearce) 395 U.S. 711, 711 (1969); აგრეთვა იბ. აშ-ის კონსტიტუციის მე-5 შესწორების განმარტება; იბ. Miller, Wright, Criminal Procedures - Cases, Statutes, and Executive Materials, fourth edition, 2011, 972.

78 სკონსტიტუციონ სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609, კონსტიტუციურ წარდგინებაზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ბ“ ქვეპარეტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-36.

79 იბ. ციტრებული N227/636 გადაწყვეტილება, II-9.

80 იბ. იქვე, II-25 „ბრალდების მხარისათვის გასაჩივრების უფლების მინიჭებით, კანონმდებლობა ემსახურება როგორც კერძო, ისე საჯარი ინტერესების დავას. სააპლაციო და საასაციო წესით საჩივარის წარდგენა შეიძლება, inter alia, მიზნად ისახავდეს პორველი ინსტაციის ან სააპლაციო სასამართლო განხილვისას პოტენციურად დაშვებული შეცდომის გამოსწორების მიზანს.“

81 Res Judicata - „გასაჩივრებას დაუქვემდებორებელი გადაწყვეტილება“. ეს იგი, შეუქცევად, გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათს სასამართლოს აქტი იძენს მას შემდეგ, რაც აღარ იარსებებს სხვა საშუალებები აქტის გასაჩივრებისათვის, მხარიც ამონურა ამგვარი შესძლებლობა, ან როგორც აგვარიზე მოთხოვნა ხანდაზულია. იბ. ზოლოუშინი რესერტის წინააღმდევ (Zolotukhin v. Russia), 2009 წლის 2 თებერვალი, 107-ე პუნქტი.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტული პროცედურის შესაბამისად, გონივრული ვადის განმავლობაში, რჩება განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური უფლების მოქმედების მიღმა.⁸² ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რისკი გამართლებული პირის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის დაყენებისა, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს არ ხდება დაცულ სფეროში ჩარევა, რამდენადაც „გამართლებულის“ მნიშვნელობას აქვს ავტონომიური ხასიათი და პირი გამართლებულად ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის მიზნებისთვის მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლება, რაც გამამართლებელ განაჩენს შეუქცევადი ძალა ექნება (ესე იგი მაშინ, როდესაც პირის წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობა დადასტურდება რევიზიას დაქვემდებარებული საბოლოო შეფასების შემდგომ).

სასამართლომ პროცესის დასრულება სავალდებულო წინაპირობად დასახა, თუმცა მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორჯერ პირის მსჯავრდების აკრძალვა ასევე ვრცელდება პირზე, როდესაც ის ერთიანი განზრახვით ახორციელებს ერთიან ქმედების შემადგენლობას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით აკრძალულ ერთზე მეტ ქმედებას. ასეთ დროს არსებობს რისკი, პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულის ხელოვნური ერთობლიობისათვის, შესაბამისად, დაენიშნოს იმაზე მკაცრი სასჯელი, ვიდრე ის ობიექტურად იმსახურებს ერთი ქმედებისთვის.⁸³ მაგალითად, ყაჩაღობისას მუქარა დანაშაულის ქმედების შემადგენლობის ხერხია და თუ პირის მიმართ დევნა დაიწყება ორგორულ ყაჩაღობის (ან ძარცვის), ისე მუქარის მუხლებით, სახეზე ასევე იქნება ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ორჯერ მსჯავრდების რისკი. მიუხედავად იმისა, რომ დასრულებული სამართლწარმოება არ არის სახეზე, აშკარაა პროცესის დუბლირება. ამდენად, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის ერთ-ერთი კომპონენტია სისხლის სამართლის დასრულებული სამართლწარმოება, მაგრამ მის გარეშე *a priori* არ გამოირიცხება პროცესის დუბლირების რისკი.

სტატიის მიზნებისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანია სადავო საკითხი, თუ როგორ განიმარტა „ერთი და იგივე დანაშაული“. სასამართლოს შეფასებით, თუ პირი ერთსა და იმავე ადგილას დროის კონკრეტულ მონაკვეთში განხორციელებული ქმედების გამო დაექვემდებარება განმეორებით დევნას განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით, რომლის ქმედების შემადგენლობის სუბიექტური (*mens rea*) და ობიექტური ელემენტები (*actus reus*) დანაშაულის მიზნები, საჯარო და კერძო ინტერესების შეფასება) არსებითად მსგავსია პირვანდელი მსჯავრდებისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმისა და განმეორებით დევნას საფუძვლად არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები დაედო, ასეთი შემთხვევა მოექცევა დაცული უფლების სფეროში.

82 იბ. ციტირებული №2/7/636 გადაწყვეტილება, II-16.

83 შეად. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – მისური ჰაინსონის წინააღმდეგ (*Missouri v. Hunter*), 459 U.S. 359, 366 (1983).

2.5 წინასწარი პატიმრობა

აღვეთის ღონისძიებებს შორის უკიდურესი *ultima ratio* სახე წინასწარი პატიმრობაა, რომლის გამოყენების რისკები აუცილებლად უნდა იყოს დაზღვეული პროცესუალური „მეხამრიდებით“, რომელთა პრაქტიკაში ეფექტუანი გამოყენება მეტწილად სასამართლოთა სინთეზურ შეფასებაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ერთგვარი სამართლებრივი დიალოგის ინიციირება, ანუ საქართველოს ისტორიაში პირველი რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინება⁸⁴ სწორედ წინასწარი პატიმრობის თემატიკას ეხებოდა.⁸⁵

წინასწარი პატიმრობის საკითხებზე მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლო კვლავ დადგა ავტორიტეტული განმარტების გაკეთების აუცილებლობის წინაშე საქმეზე,⁸⁶ რომელშიც სამი სხვადასხვა მოსარჩელე 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა მთელ რიგს ხდიდა სადაცოდ, მათ შორის, წინასწარი პატიმრობის შესახებ. სახალხო დამცველის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ წინასწარი პატიმრობა, კონსტიტუციის მიხედვით, მოიცავდა პატიმრობას სასამართლოს მიერ შესაბამისი საჯელის შეფარდებამდე, რა პერიოდიც, მათ აზრით, 9-თვითანი ვადით იყო კონსტიტუციით შემოთარგლული. სასამართლომ მრავალი მოწმისა და ექსპერტის მოსმენის შემდეგ ნაწილობრივ დაკავშირდებოდა სასამართლო მოთხოვნა, მაგრამ უშუალოდ წინასწარ პატიმრობაზე მსჯელობისას მიიღო მეტად ბუნდოვანი გადაწყვეტილება.

სასამართლომ ვერ შეძლო, კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი განემარტა ავტონომიურად და სრულად მოექცა 1998 წლის კოდექსის ინტერპრეტაციაში პროცესის სუბიექტების შესახებ. სასამართლომ, ნორმათა იერარქიაში უფრო დაბლა მდგომი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განასხვავა ბრალდებული და განსასჯელი პირი კონსტიტუციის მიზნებისთვისაც.⁸⁷ მეორე კოლეგიამ მიუთითა, რომ სადაცოდ გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, ვინაიდან საპროცესო ნორმები ეხებოდა განსასჯელის უფლებაზე სტატუსს, ხოლო კონსტიტუცია წყვეტდა მხოლოდ ბრალდებული (“ეკვიმიტანილი“) პირის

84 დაარსებოდან არამდიმე თვეში საკონსტიტუციო სასამართლოს დიდების რაიონის სასამართლოს მოსამართლის კონსტიტუციურ წარდგინებაზე მსჯელობისას მიეცა შესაძლებლობა, განემარტა წინასწარი პატიმრობის ინსტიტუციი, ანსი, სუბიექტები და ვადები; სამწევაროდ, სასამართლომ ვერ გამოიყენა შექმნილი შესაძლებლობა, გამოცდილების ნაკლებობის თუ სხვა მიზეზთა გამო, ვიწროდ *expressis verbis* განმარტა მისთვის და საერთო სასამართლოების მოსამართლეთავთვის მინიჭებული ფალოების უფლებამოსილება, არ მიიღო არსებოთად განსახილვებად წარდგინება და გამოსახა განმინება, რომელმდე მუჟითი, რომ ცალკეულ მოსამართლელს არ ჰქონდა უფლებამოსილება წარდგინებით მიერათა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის №2/49/1 განჩინება საქმეზე - ქ. თბილისის დიდების რაონის სასამართლოს წარდგინება.

85 გ. დავითაური, გ. დავითაშვილი, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკაზე ავტონომიურ სახელმძღვანელო, თბ., 2021:13.

86 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეების ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ კამშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

87 სასამართლოს პრაქტიკა ავტონომიურ განმარტებაზე გამოცდილების ზრდასთან ერთად შეიცვალა; „კონსტიტუციური დებულებებისა და კონსტიტუციაში მსხვევლი ტერმინების შინაარსი თვითმყოფადისა და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციის მნიშვნელის კანონმდებლობაზე დამოკიდებული გახდებოთა და ნაყოფიერი ნიდაგი შეიმნიერდა თვითმებობისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - სლომებ ქინქალა, ნინო კვეტებაძე, ნინო ოდიშავაძა, დაჩი კანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის შინააღმდეგ, II-15).

დაკავების და წინასწარი პატიმრობის ვადებს; სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება, რომ ბრალდებულად უნდა ჩათვლილიყო პირი პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, რის შემდეგაც იგი მიიჩნეოდა „განსასჯელად“. შესაბამისად, კონსტიტუცია, სასამართლოს მითითებით, საერთოდ უპასუხოდ ტოვებდა განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისთვის სასჯელის შეფარდებამდე.⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ „ბრალდებულსა“ და „განსასჯელს“ საერთო ჰქონდათ ძირითადი საპროცესო უფლებები, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ, ვინაიდან პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ამ პირებს სხვადასხვა ორგანოსთან ჰქონდათ უშუალო კავშირი, კერძოდ, „ბრალდებულს“ საგამოძიებო ორგანოებთან, ხოლო „განსასჯელს“ – საქმის განმხილველ სასამართლოსთან, მათი საპროცესოსამართლებრივი სტატუსიც განსხვავდებოდა.⁸⁹ ბრალდებული პირის განსასჯელისგან გამოცალკევებით სასამართლომ არათუ ვერ გაფანტა ტერმინთა ბუნდოვანება, არამედ შეტიც, შექმნა ერთგვარი უფლებრივი დაცვის კონსტიტუციური ვაკუუმი განსასჯელის, ანუ პირის მიმართ, რომლის საქმეს პირველი ინსტანცია განიხილავდა და რომლის წინასწარი პატიმრობის ვადა, 2003 წლისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,⁹⁰ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში 18 ან 30 თვემდეც კი გაგრძელებულიყო.⁹¹

ამ დიქტომიური ინტერპრეტაციის დამკვიდრების შემდეგ მალევე სასამართლოს უშუალოდ „ბრალდებული“ პირის წინასწარი პატიმრობის საკითხებზე მოუწია მსჯელობა. საქმეზე გადაწყვეტილებით საპროცესო კოდექსის ის ნორმა გამოცხადდა ძალადაკარგულად, რომლის მიხედვით, პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადის გამოთვლისას „ბრალდებულისა“ და მისი დაცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის დრო მხედველობაში არ მიიღებოდა.⁹²

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტაცია, რომლის თანახმად, გამოძიების ეტაპზე 9-თვიან პერიოდში საქმის მასალების გაცნობის ვადების მოქცევა *a priori* ნეგატიურ ჩემოქმედებას მოახდენდა პროცესის ინტერესებზე, რადგან „ბრალდებული“ თუ მისი დამკველი შეგნებულად გააჭიანურებდნენ მასალების გაცნობის ვადებს და მიუთითა საპროცესო კანონმდებლობაში შეგნებულად გააჭიანურების რისკების ეფექტიანი დაცვის მექანიზმებზე⁹³ სასამართლომ ასევე განიხილა სადაც ნორმის შესაბამისობა კონვენციით დადგენილ პრეცედენტულ სამართლთან.⁹⁴ ხაზი გაუსვა

88 იბ. ციფრობული N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, II-3.

89 იქვე, II-3.

90 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წინასწარი პატიმრობის მუხლში 2006 წელს შევიდა ცვლილებები: პირველ ნაწილში მიეთითა წინასწარი პატიმრობის 9-თვალი სერთო ვადა როგორც ძრალდებულის, ისე განსასჯელისთვის, ხოლო განხილულ გადაწყვეტილებაში სადაც გამხმარი მე-8 და მე-9 წარმოები სერთოდ გაუქმდა. იბ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის №2936 კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამტებების შეტანის შესახებ“.

91 საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, გამოძიებისა და მართლმსაჭილების განთოვენილების ინტერესები, საელმრიზოს მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, 4-წლიანი ვადით წინასწარი პატიმრობასაც ამართლებდა, თუკი ამ სანგრძლივობას ეროვნული კანონმდებლობა უშვებდა (ვ. შვეიცარიის წინააღმდეგ (W. v. Switzerland), 1993 წლის 26 იანვრი).

92 იბ. ციფრობული N2/15/193 გადაწყვეტილება.

93 იქვე, II-3.

94 საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელისთვის გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 24 იქტიბრის გადაწყვეტილება საქმეზე – ვინტერლანდის წიდერლანდის წინააღმდეგ (Winterwerp v. The Netherlands). ზოგადად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, წინასწარი პატიმრობის

სახელმწიფოს დადგენილ ვალდებულებას, წინასწარი პატიმრობის ვადები არ დაადგინოს არაგონივრულად და თვითნებურად ფართოდ⁹⁵ მიუხედავად ამისა, ამ განმარტების ეფექტიანობა უკვე მეორეხარისხოვანი იყო მანამდე ჩამოყალიბებული „ბრალდებულისა“ და „განსასჯელის“ განხსნავების ფონზე.

ცალსახად, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან წინასწარ პატიმრობაზე მიღებულია 2015 წელს⁹⁶ რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა 2009 წლის საპროცესო კოდექსის სადაც ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული ექნებოდა 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

სასამართლომ კონსტიტუციით დაწესებული 9-თვიანი ზღვრული ვადა გარანტიად დაინახა, როდესაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ჯერ კიდევ მიღებული არ არის განაჩენი და პირს შეზღუდული აქვს თავისუფლება, წინასწარ, მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, არ მოხდეს არაპროპორციულად ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ კონსტიტუციის 9-თვიანი ვადა იმპერატიული ხასიათისაა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პატიმრობაში ყოფნა სს დევნის ინტერესებისთვის აუცილებელი.⁹⁷

პლენუმი, 2003 წლისგან განსხვავებით, მზად აღმოჩნდა, ავტონომიურად განემარტა წინასწარი პატიმრობის, როგორც კონსტიტუციური ტერმინის, არსი. ამ დროისთვის 2009 წლის სისხლის საპროცესო კანონმდებლობა უკვე აღარ ასხვავებდა ერთმანეთისგან „ბრალდებულსა“ და „განსასჯელ“ პირებს, აგრეთვე, არც მოპასუხე მხარეს გამოუთქვამს განსხვავებული მსჯელობის დაფიქსირების სურვილი, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ცალსახა მითითება, რომ წინასწარი პატიმრობა მოიცავდა პერიოდს, ბრალდებულის დაპატიმრებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის მიღებამდე⁹⁸ გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილდა უკვე განხილულ ბერიაშვილის გადაწყვეტილებაში განვითარებული დუალიზმის სიმცდარესა და, სასამართლოს მიერ მხოლოდ საკანონმდებლო დეფინიციებზე დაყრდნობით, არაავტონომიური განმარტების კონტრპროდუქტიულობაზე.

წინასწარი პატიმრობის სპეციფიკასთან დაკავშირებით უგულავას საქმეზე სასამართლოს მსჯელობა მხოლოდ ვადებისა და სუბიექტების თემატიკით

გონივრულობა ასტრაქტული შეფასებითი კატეგორიის არ არის, ანუ შეკმლებული რომელიმე ერთ გონივრულ ვადაზე აპელირება, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამოდინარე. სახელმწიფოს აკისირა მტკიცების ტყირთი, მიუთითოს საზოგადო ინტერესებზე, რომელიც გადაწონის უდანაშაულობის პრეზუმაციას და მე-5 მუხლით გამტკიცებულ თავისუფლების ზოგად წესს. იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათი ეკროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - ლაბიტა იტალიის წინამდებარება (Labilita v. Italy), no. 26772/95, 152-ე უნძება.

⁹⁵ იხ. ციტირებული №1/5/193 გადაწყვეტილება, II-2.

⁹⁶ სკონსტიტუციონული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინამდებარება.

⁹⁷ იქვე, II-19.

⁹⁸ იქვე, II-22.

ვერ ამოიწურებოდა და მეტად მნიშვნელოვანი იყო წინასწარი პატიმრობის განმეორებით გამოყენების პრობლემატიკა. სასამართლომ კონსტიტუციაში დაფიქსირებული 9-თვიანი ვადა აბსოლუტურ აკრძალვად არ ჩათვალა, შესაბამისად, არ გამორიცხა წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს პატიმრობის გამოყენების შემდეგ, აგრეთვე, თუ პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე ბრალდების მხარისთვის ცნობილი გახდება მხოლოდ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ. ამასთანავე, განსაკუთრებით უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია 9-თვიანი ვადით ხელოვნური მანიპულირება, მათ შორის, ფორმალურად კანონიერი მეთოდებით, როდესაც არ ვლინდება ახლად აღმოჩენილი გარემოებები განმეორებითი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის.⁹⁹

3. დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის სისხლის სამართლის პროცესზე

„კონსტიტუციური სისხლის სამართლის პროცესი“ საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთი ქვედარგია, რომლის ფარგლებში, მაგალითად, აშშ-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მე-4, მე-5 და მე-6 დამატებებში დაფიქსირებული ფუძემდებლური პროცესუალური დებულებებისა და პრინციპების ინტერპრეტაციას.¹⁰⁰ ქვედარგის შესწავლის საგანი არის არა მხოლოდ ტექსტის ინტერპრეტაციის სხვადასხვა თეორია¹⁰¹ არამედ საკონსტიტუციო კონტროლის შესაბამისად განვითარებული ნორმატიული პრაქტიკის პოლიტიკური¹⁰² და ეკონომიკური¹⁰³ ანალიზი. ამ ფონზე ქართული აკადემიური სივრცე საგრძნობლად ჩამორჩება მოწინავე იურისპრუდენციულ კულტურებს.

ყოველთვის, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოებს უწევთ ავტორიტეტული მსჯელობა კონსტიტუციაში სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა განზიგადებულ დებულებაზე, ანალიზის საკითხი ხდება კონსტიტუციის განმარტების თანამედროვე მოძღვრებები¹⁰⁴ რამდენადაც სადაც 99 იქვე, II-35.

100 განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აშშ-ში მე-20 საუკუნის შუა წლებიდან უზენაესმა სასამართლომ განავითარა ე.წ „შერჩევითი ინკორპორაციის დოქტრინა“, გადასინა ადრეული პრეცედენტი Barron v. Baltimore და დააწესა შტატების დონეზე სისხლის სამართლის საპროცესო დავებზე ფედერალური სააპლაციო იურისდიქცია, იბ. A. R. Amar, *The Future of Constitutional Procedure*, American Criminal Law Review Vol. 33, 1996, 1124-1125.

101 ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციონის ტექსტი განსაკუთრებული აბსტრაქციით ხასიათდება, ხოლო შეერთებული შტატების შემთხვევაში დამატებითი სირთულეა ტექსტის ხანდაზმულობა. ამ ფაქტორების გათვალისწიებით, მე-20 საუკუნის აკადემიურ თუ სამოსამართლო სფეროებში სხვადასხვა გავლენაზე ინტერპრეტაციის თეორია ჩამოყალიბდა, იბ. J. A. Thomson, *Principles and Theories of Constitutional Interpretation and Adjudication: Some Preliminary Notes*, 13 MELB. U. L. REV. 597, 1982, 601-615.

102 სასამართლოს ლეგიტიმაცია, თეოდაც არაპირდაპირ განსაზღვროს სამართლის პოლიტიკა, მათ შორის საპროცესო და მტერიალური ნორმების მოფიციერებით, ცალსაბად არაორთოდოქსული მეთოდია და საჭიროებს სოციუმის, განსაკუთრებით მაჟორიტარულ წევებსა და ვნებებზე ყურადღებით დაკვირვებას. იბ. C. R. Sunstein, *If People Would Be Outraged by Their Rulings, Should Judges Care?*, 60 STAN. L. REV. 155, 2007.

103 მოწინავე იურისდიქციებიში ბოლო 50 წელი, ფართო აკადემიური ინტერესის სისხლის სამართლის პროცესის ეკონომიკური ანალიზი, დანაშაულის, როგორც ეკონომიკური პრობლემებს, სხვადასხვა პროცესუალური უფლებისა და, ზოგადად, სისხლის სამართლის პოლიტიკის პირდაპირი თუ ვერტიფიცირებული ეკონომიკურ ex ante უფლებები, იბ. G. S. Becker, *Crime and punishment: an economic approach*, Journal of Political Economy, 1968, 167-217.

104 თანმედროვე იურისპრუდენციაში ყველაზე გავლენაზი თეორიებია: ცოცხალი კონსტიტუციონალიზმი, ორიგინალიზმი, პრაგმატიზმი, ტექსტუალიზმი, იბ. R. A. Posner, *How Judges Think*, Harvard University Press, 2008, 191-203.

ნორმის კონსტიტუციურობის ბედი შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს სწორედ განმარტების სტრუქტურულ, ისტორიულ ან/და მიზნობრივ მეთოდოლოგიაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მწირია იმისთვის, რათა რომელიმე აპრობირებული მეთოდოლოგიის განსაკუთრებულ გავლენებზე მიეთითოს. ამ მხრივ დისკუსია ქართულ აკადემიაშიც არ შეიმჩნევა და მოქმედი თუ ყოფილი მოსამართლებიც იშვიათად მიუთითებენ ამა თუ იმ თეორიის განსაკუთრებულ ზემოქმედებაზე¹⁰⁵ სტატიაში წარმოდგენილ პრაქტიკაზე დაკირვებით თითქმის არ შეიმჩნევა ისტორიული განმარტების მცდელობები.¹⁰⁶ იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხელმძღვანელობს, მათ შორის ისე, რომ სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითებს,¹⁰⁷ ეკროპული და აშშ-ის უზენაესი სასამართლოების პრაქტიკით, რომელთა სრულყოფილად გასააზრებლად სწორედ კონსტიტუციის განმარტების თეორიების კონტექსტია გასათვალისწინებელი, გამოდის, რომ განმარტების მოძღვრებების გავლენა ქართულ პრაქტიკაზე არაპირდაპირაა ნაწარმოები და ხშირად რთულად ამოსაცნობია, რაც სასამართლოს მოტივაციის შეცნობას ენიგმატიკურ დავალებად აქცევს.

ნაშრომის შესავალში უკვე გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა ჰქონდეს სასამართლოს განსაკუთრებული გულისყური და ფართო უფლებამოსილება საპროცესო უფლებებზე. რამდენადაც კონსტიტუცია უშუალოდ ითვალისწინებს მრავალ პროცესუალურ გარანტიას, თითოეული თავისუფლების აღკვეთა, სისხლისსამართლებრივი დევნა, გამოძიება, საერთო სასამართლოში განხილვა თუ გადაწყვეტილების მიღება უშუალოდ გულისხმობს ადამიანის ძირითად უფლებებთან ფართო შემხებლობას. თუ სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთო სასამართლოებს არ ექნებათ ერთგვარი სახელმძღვანელო სტანდარტები, რომლებსაც კანონმდებლობასა და არსებულ რეალობაზე დაყრდნობით ამკვიდრებს საკონსტიტუციო სასამართლო, რისკის ქვეშ დადგება სახელმწიფო აპარატთან ურთიერთობების დიდი და განსაკუთრებით პრობლემური ნაწილი.

სახელმწიფოს დანაშაულთან ბრძოლის ცენტრალიზებული მონოპოლია აქვს,¹⁰⁸ რაც სისხლის სამართლის პოლიტიკასთან ერთად გულისხმობს საპროცესო ნორმების განსაზღვრის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოს, ინტერესია დანაშაულთან საბრძოლველად მაქსიმალურად ეფექტური მექანიზმების დაწესება, რამდენადაც კრიმინალის დონე უშუალოდ პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური სუბიექტების შემდგომ არჩევნებში წარმატებაზე უკუპროპორციულად აისახება და, შესაბამისად, მოქმედი მმართველი პოლიტიკური ძალის სტრატეგიას

105 შეად. სამოსამართლო აქტივიზმზე საგამონაკონისო ხაზგასმა იხ.: ქ. ერემაშვილი მირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, 2020, 10.

106 მოხები - მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებიდან მცირე დროის გასვლასთან ერთად - უნდა იყოს საქართველოში კონსტიტუციის მიღების ბუნდოვანი გამოცდილება და, განსაკუთრებით, უფლებების ნაწილში ანალიზის ნაკლებობა, ამ მხრივ პროცესის გაცნობიერებული ჰერ კიდევ არ არის. იხ. ვოლფგანგ ბაბეკი, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), 2002, 70.

107 რაც, რა თქმა უნდა, თანამედროვე ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიზნებისთვის საინტერესო არ არის, რადგან „სამოსამართლო პლაგატი“ იქსიმორონიც კია, იხ. R. A. Posner, The Little Book of Plagiarism, Pantheon Books, 2007 72.

108 შეად. M. Weber, Gesammelte Politische Schriften (Dritte Auflage), J. C. B. MOHR (PAUL SIEBECK) TÜBINGEN, 1971, 507. აგრეთვე იხ. ციტირებული №1/8/594 გადაწყვეტილება, II-17.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

არსებითად ცვლის.¹⁰⁹ ამრიგად, საკანონმდებლო ხელისუფლება დაინტერესებული მხარეა, ხოლო ეფექტური საპროცესო მექანიზმები ყოველთვის არ გულისხმობს უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, მეტიც, ხშირად პირიქითაა.

ნებისმიერი მონოპოლიური ფენომენი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დადებითი მოვლენა, როდესაც მონოპოლისტი მოიპოვებს დომინანტურ პოზიციას შემოთავაზებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებით ან/და ხარჯების შემცირებით,¹¹⁰ თუმცა, რადგანაც სახელმწიფო ფლობს დანაშაულთან ბრძოლის თანდაყოლილ და მუდმივ მონოპოლიას,¹¹¹ გამოირიცხება ამ კონკრეტულ პროდუქტსა და მის „ფასებზე“ თავისუფალი კონკურენციაც. ასეთ სიტუაციაში საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციას უნდა ითვისებდეს, რაც პროცესის მონაწილე სუბიექტებს შორის არსებული სამართლიანი ბალანსის მუდმივ ძიებასა და აღმოჩენას უნდა გულისხმობდეს. მართლაც, კონსტიტუციური დოქტრინები სისხლის სამართლის პროცესში სწორედ სხვადასხვა სუბიექტის - პირველ რიგში, სახელმწიფოს წარმომადგენელი მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის - საქმიანობის რეგულირებას ისახავს მიზნად, რათა მთლიანად სისტემაშ შეძლოს ფუნქციონირება გამართულად.¹¹² შესაბამისად, მატერიალური სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა თუ პარლამენტის უფლებამოსილებას არის ფართოდ მიკუთვნებული და სასამართლო ცდილობს, არჩაურიოსსასკელებისა¹¹³ თუცალკეული დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრაში, აღსრულების პროცედურაზე პირიქით, ეფექტიან კონტროლს *per se* საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ახორციელებდეს.

რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე ნაკლებადაა დაშორებული პოლიტიკური დღის წესრიგიდან მართლმსაჯულების განმახორციელებელი სხვა შტოებთან შედარებით, მით მეტია მის მიმართ პოლიტიკური, მათ შორის, არაჯანსაღი ინტერესი და მასზე გავლენის მოხდენის მცდელობა.¹¹⁴ სამართლებრივი ფიქციის გათვალისწინებით, ხალხის ნებას გამოხატავს საქართველოს პარლამენტი. პოლიტიკური ხელისუფლება, პარლამენტის, როგორც ხალხის პირდაპირი წყაროს მეშვეობით, თანხმდება კონკრეტულ ქცევის წესზე და მასვე უნდა ჰქონდეს უმაღლესი პოლიტიკური ლეგიტიმაცია, თუმცა ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტიურობა, ცხადია, ეჭვქვეშ აყენებს ხალხის ნების რეალურ

109 შეად. O. Meloni, Is there an electoral-motivated crime rate cycle? Evidence from Argentina, MPRA Paper 40177, University Library of Munich, 2012; შეად. ე. მულოვანი ტილერნომბის პოლოტიკას” საქართველოში, რომელიც ინიციატივის სახით 2006 წელს გაუდრიდა პარლამენტი და გელისხმობდა როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო უკურვევულის კრიმინალის მაღალ მაჩვნებლის მიმართ, ი. ანა დოლიძე, ნულოვანი ტოლერანტობა პოლიციის თვითნებობას, ახალგაზრდა იურისტთა ასციაცია.

110 K. N. Hylton & V. Khanna, A Public Choice Theory of Criminal Procedure, 15 Sup. CT. ECON. REV. 61 (2007), 78 იბ. ციტირება P.Areeda and L. Kaplow, Antitrust Analysis: Problems, Text, and Cases, (Aspen 5th ed 1997), 7.

111 იბ. ციტირებული №11/8/594 გადაწვეტილება, II-20.

112 W. J. Stuntz, The Uneasy Relationship Between Criminal Procedure and Criminal Justice, The Yale Law Journal Vol. 107: 1, 18.

113 სასამართლო სასკელის კონსტიტუციურობაზე მსჯელობს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, - როდესაც სასკელი არაპროცესულობის მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს, - რათა არ ჩანაცვლოს კანონმდებლის კომპეტენცია და დაარღვეოს ძალაუფლების დანართილების ბალანსი. ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ. ცალკე განხილვის საკითხის ის, თუ რამდენად აღქმადია სასამართლოს დაკვიდრებული სასკელის შეფასების ე. კ. „უკიდურესად არაპროცესულობის“ ტესტი.

114 შეად. მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლოსთა დააგვირებული პროცესები - Opinion No. 954 / 2019, European Commission for Democracy Through Law, Strasbourg, 24 June 2019.

საერთო გამოხატულებას. კონსტიტუციისთან მიმართებით აქტის შეფასებით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასამართლოს რევიზიას დაქვემდებარებული საკითხი, რამეთუ საკანონმდებლო წესრიგით უკვე დადგენილია მოქალაქეთა წება, თუ როგორ სამართლებრივ წესრიგში სურთ ცხოვრება.

სასამართლოს აქტივიზმის საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართული პოლიტიკური დღის წესრიგის გათვალისწინებით. ამის მაგალითად შეიძლება მოხმობილ იქნეს გადაწყვეტილება¹¹⁵ ანონიმური ინფორმაციის შედეგად გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების შესახებ, რომლითაც მან, ფაქტობრივად, არსებითად გაართულა ჩხრეკის შედეგად ამოღებული საგნის მტკიცებულებად დაშვების და მისი გამამტყუნებელი განაჩენისათვის გამოყენების საკითხი. აღნიშნულს, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს რეალობა, რომლითაც აშკარად დაბალია საზოგადოების ნდობა სამართლდამცავ ორგანოთა მიმართ, რისი შეფასებაც სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოუხდა კიდეც სასამართლოს.¹¹⁶ აღსანიშნავია, რომ იმგვარ პოლიტიკურ დღის წესრიგში, სადაც საზოგადოების ნდობა სამართლდამცავ ორგანოთა მიმართ არ არის აშკარად დაბალი, არ გახდებოდა საჭირო, საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად სასამართლოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების მეშვეობით შეექმნა დამატებითი ბარიერები და გაერთულებინა როგორც მტკიცებულებათა მოპოვება, ისე მათი გამოყენება. მტკიცებულების მოპოვების კეთილსინდისიერების ეჭვები არა მხოლოდ პროცედურულად ართულებს მტკიცებულებათა დამაგრებას, არამედ ხშირად მნიშვნელოვნად ასუსტებს ბრალდების პირიციას. ეს არის რეალობა, რასაც ნდობის ნაკლებობა ქმნის და რაც ვერ შეფასდება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის დაწევის საპირჩონედ, ამიტომ ქართულ რეალობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამგვარი გადაწყვეტილებით პირთა დაცვას პროცესის მწარმოებელი არაკეთილსინდისიერი აქტორებისგან.¹¹⁷

2021 წლის ივნისამდე დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობდა, არ გადაუკვეთა პოლიტიკური მიზანშეწონილობის წითელი ხაზები, განსაკუთრებით კი არ შეებლუდა წარმომადგენლობითი ორგანოს ცალკეული ექსკლუზიური უფლებამოსილება, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო მოდელის შერჩევა.¹¹⁸ შესაბამისად, როდესაც ნათელი იყო, რომ სასაჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება გავლენას მოახდენდა არა მხოლოდ პროცესის მონაწილეობის უფლებებზე, არამედ შეცვლიდა მთლიანად პროცესის არქიტექტურას, სასამართლო არ აკმაყოფილებდა

¹¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე გორგო ქეჩურის საქართველოს პარლამენტის წინამდებარებები.

¹¹⁶ იქვე, 101-ე პუნქტი: „საგულისხმოა, რომ მოსარჩელის პრობლემულია არა იმით, რომ, მაგალითად, სადაც წორმა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის შეუსაბამოდ დაბალ სტანდარტს აწესდეს, არამედ პრობლემა დაკავშირებული არის არაკეთილსინდისიერი პოლიციელის მიერ ფაქტებით შესაძლო მანიპულირებასთან და ფაბრიკაციასთან, რის წინააღმდეგაც სადაც წორმა არის არაეფექტური და უშვებს განაჩენის გამოტანას არასანდო მტკიცებულებების საფუძველზე.“

¹¹⁷ არსებითად იმავე პრობლემაზე დათვალიერებისა და ამოღების მოქმედებებთან მიმართებით იხ. N1582-ე კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე - ბეჭა ქებაძე და გიორგი ბეჭანიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბერკანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-40.

პონსტიტუციური კონტროლის სტანდარტების ჩამოყალიბება

სარჩელს.¹¹⁹ ამასთანავე, თუკი სარჩელის დაკმაყოფილებით არ იცვლებოდა პროცესის მოდელი და არ იძლედებოდა პარლამენტის პოლიტიკური ღეგიტიმაცია, სასამართლო ირგებდა სწორედ „ანტიმონოპოლიურ“ ფუნქციას, რაშიც იგულისხმება პროცესის მონაწილე მხარეებს შორის შესაძლო სამართლიანი ბალანსის ძიება. სასამართლო აქამდე იყენებდა შეფასების სტანდარტს, რომელსაც შეიძლება, „უფლების ეფექტიანი რეალიზაციის“ ტესტი ეწოდოს, რაც გულისხმობს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმის შეფასებას, არსებობს თუ არა პროცესის მხარეების უფლებათა დამაბალანსებელი მექანიზმები. ამ მხრივ სასამართლო ფორმირებულადაც იცვლევს შიდა კანონმდებლობას, შეიძლება გასცდეს მხარეთა არგუმენტაციას და მოგვევლინოს ინკვიზიციური სასამართლოს გარსაცმელში. ამრიგად, სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გამორიცხული არ არის, დაცვის მხარეს პროცესის რომელიმე ეტაპზე შეზღუდული ჰქონდეს საპროცესო უფლებებით სარგებლობა, რადგან შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი არ მოითხოვს მხარეთა ორტალურ თანასწორობას.¹²⁰ მთავარია, რომ სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს წარმომადგენელთა მობლვავებული უფლებამოსილებები ეფექტიანად იყოს დაბალანსებული.¹²¹

ნებისმიერ სასამართლოს, მათ შორის, საკონსტიტუციო იუსტიციის განმახორციელებელი ორგანოს ვალდებულებაა, დაამკვიდროს მეტ-ნაკლებად ერთიანი პრეცედენტული პრაქტიკა, თუმცა პარალელურად, როგორც ეს დიდ ამერიკელ მოსამართლე პოლმსს სწამდა, არ უნდა მოსწყდეს რეალურ გამოწვევებსა და „გამოცდილებას“. სამართლის უზენაესობა (ანუ კანონთა მიხედვით და არა ადამიანთა მიერ მართვა¹²²) აუცილებელია იყოს წინასწარგანსაზღვრადი და მეტ-ნაკლებად დეპერსონალიზებული. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება დამოკიდებულია, თუ რომელი მოსამართლე, კოლეგია ან ინსტანცია განიხილავს ცალკეულ საქმეს, სამართლის უზენაესობას ანაცვლებს „მოსამართლეთა მსოფლებელვის უმაღლესობა“, ხოლო ნორმის ადრესატებს შეეძლებათ მხოლოდ, ივარაუდონ, თუ რას გადაწყვეტს „მსაჯული“. ¹²³ მეორე მხრივ, მცდარია ის შეხედულებაც, თითქოს მოსამართლეები შავი მანერის ჩაცმით თავისუფლდებოდნენ სხვადასხვა ადამიანური მსოფლებელისგან, მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ მორალური წარმოდგენებისგან.¹²⁴ არაგონივრულიც კია, როდესაც ორთოდოქსული ღეგალიზმი განიხილავს მსაჯულებს ერთგვარ უგრძნობ ალგორითმებად, რომელთაც მხოლოდ სხვადასხვა ნორმის ერთმანეთთან დაკავშირება თუ ხელეწიფებათ.¹²⁵ ეს შეხედულება

119 იბ. ციტირებული N1/8/594 გადაწყვეტილება.

120 იბ. ციტირებული N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-74.

121 საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ტიტოვ ჩორვალოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-20; შეად. პროცედურული გარანტიებით დაბალანსებას, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, რომ და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Rowe and Davis v. the United Kingdom), 2000 წლის ოქტომბერი, 61-ე პუნქტი.

122 Aristotle, *The Politics*, 1287a, C.D.C. Reeve (Trans.), Hackett Publishing Company, Inc., 1998.

123 J. Raz, *The Authority of Law: Essays on Law and Morality*, Oxford University Press, 1979, 217.

124 R. Chr. van Ooyen, *Bundesverfassungsgericht und politische Theorie*, 2015, 10.

125 იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებიც „პოლიტიკური ცხოველები“ არიან, აღმართ, გონივრულია მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილებაში აღმართ იყოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალური მიზნები და მიზრები. ერთგვარი გვიახლილობის ასეთი ვალდებულება აუცლებელიც კია მოსამართლეთა ინფორმირებული კონტაქტისთვის, იბ. R. A. Posner, *The Rise and Fall of Judicial Self-Restraint*, 100 California Law Review 519, 2012, 542.

საზრდოობს უფრო ფართოდ გავრცელებული მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენით, რომლის მიხედვით სამართალი და პოლიტიკა ერთმანეთისგან ხისტად იმიჯნება. მითითებული წარმოდგენა სასტიკად სცდება რეალობას, როდესაც საკონსტიტუციო სამართალსაც აპოლიტიკურად, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ხელისუფლების დიალოგს პოლიტიკური სიოსა თუ ქარტეხილებისგან მოწყვეტით განიხილავს.

4. დასკვნა

ქცევის საერთო წესჩე შეთანხმება მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებისას მაღალი პოლიტიკური ლეგიტიმაციის არსებობას, თუმცა ნორმაშემოქმედებითობა არ არის თვითკმარი პროცესი კანონთა სიცოცხლისუნარიანობისათვის; მეორე მხრივ, ხშირად კანონთა მოქმედების ფარგლები გადაჭარბებულიც კია, რადგან კანონშემოქმედების პროცესის მიზანია, მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც ქცევის ზოგადი ნორმატიული წესის ეფექტიანობას აძლიერებენ. შეიძლება, კონსტიტუციური კონტროლი ხშირად, იურისტთა თვალში უფრო „საშიშად ყეფს, ვიდრე იგბინება“, მაგრამ სწორედ ექსკლუზიურად საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მეთვალყურის ფუნქცია, რათა კანონთა რეალური, „ყოველდღიური“ ეფექტი არ აღმოჩნდეს გაუთვალისწინებელზე მეტად სუსსიანი.

კონსტიტუციური პრინციპი მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზე საქართველოში მეტად განმტკიცდა 2009 წლის კოდექსის მიღებით, როდესაც კანონმდებელმა სრულად ახალი საპროცესო ინსტიტუტების დანერგვა ცადა, თუმცა, როგორც სტატიიდან გამოჩნდა, გარკვეულ შემთხვევებში თავად ასცდა სისხლის სამართლის საპროცესო მოდელს. პროცესის მწარმოებელი სუბიექტების პრაქტიკის განვითარების თანადროულად თავი მეტად იჩინა პრობლემებმა, რომელთაც არსებითი გავლენა ჰქონდათ პროცესის სუბიექტების ცალკეულ უფლებრივ სტანდარტებზე და გამოიჩინებოდნენ, ლეგიტიმური რეპრესიული ღონისძიებების მეშვეობით, უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის მაღალი ინტენსივობით.

მეტად გონივრულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცალკეულ დარგში ყოველთვის გააზრებული იყოს ერთიანად და არა მხოლოდ უახლესი თემატური გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად. სტატიაც ამგვარი მეთოდის მცდელობაა. განხილულია რამდენიმე ათეული დარგობრივი გადაწყვეტილება და მითითებულია, თუ როდის თვლის სასამართლო შესაძლებლად, განსაზღვროს სისხლის სამართლის საპროცესო ასპექტები. კერძოდ, როდესაც არ იზღუდება პარლამენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება და ცალკეული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება, სამართალდამცავი თუ მართლმსაჯულების განმახორციელებელი სუბიექტების უფლებამოსილებები ამკვიდრებს პროცესის მონაწილე მხარეებს შორის არასამართლიან ბალანსს. ამ პროცესში, ცალკეულ ინსტიტუტებზე მსჯელობისას, სასამართლოს მოუხდა კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებული პირველადი მნიშვნელობების ტრანსფორმირება, ავტონომიური და ზოგჯერ

აქტივისტური განმარტებების გაკეთებაც კონსტიტუციურ სისხლის სამართლის პროცესზე. ყოველი ცალკეული დავის ფარგლებში სასამართლოს ძირითადი მიზანი იყო და არის სისხლის სამართლის პროცესის მოდელის, როგორც ერთიანი შეჯიბრებითი სისტემის, ეფექტურობისა და წონასწორობის მუდმივი ძიება.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

გია მარკოძე

შესავალი

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ბრალდებულის ძირითადი უფლებაა და ის გარანტირებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლით. გარანტიას მნიშვნელობას სძენს ის ფაქტიც, რომ ეხება ბრალდებულს, ანუ სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, რომელზეც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს სახელმწიფოს იძულების მექანიზმები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იძულების ფარგლების დაფენა, რათა სისხლის სამართლის პროცესი არ გადაიქცეს ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ნებისმიერი საშუალების გამოყენების ბერვეტად. იძულების ღონისძიებები მიემართება ადამიანს, ანუ სამართლის მიზანსა და ღირებულებათა წესრიგის სათავეში მყოფ სუბიექტს. შესაბამისად, დამაბალანსებელი ფაქტორების, მათ შორის, პრივილეგიის არსებობა, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

ამ დამაბალანსებელი ფაქტორების ფონზე სტატიაში განხილულია თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის არსი, მიზნები და სამართლებრივი ჩარჩო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და ქართული დოქტრინის/პრაქტიკის ჭრილში.

სტატიის შემდგომი ნაწილი ეთმობა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის დაცული სფეროს განხილვას პირდაპირი და არაპირდაპირი არასათანადო იძულების ჭრილში. გაანალიზებულია როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ისე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განვითარებული დოქტრინა.

დაცული სფეროს განხილვის შემდეგ ყურადღება გამახვილებულია უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით გაანალიზებულია, უფლება აბსოლუტური ხასიათისაა თუ ფარდობითი. შემდეგ ეტაპზე ყურადღება მახვილდება პრივილეგიის დარღვევის შეფასების ოთხ კრიტერიუმიან ტესტზე.

სტატიის ბოლო ნაწილში განხილულია ბრალდებულისგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გეგავლენა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიაზე. აღნიშნულის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, სადაც შეჯამებულია სტატიის ძირითადი ასპექტები.

1. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის არსი, მიზანი და სამართლებრივი ჩარჩო

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია (შემდგომში - პრივილეგია) უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო გარანტიაა და მას, ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, ითვალისწინებს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც კონტინენტური სამართლის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „[...] ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს [...] მისი საქმის სამართლიანი [...] განხილვის უფლება [...].“ პრივილეგია და დუმილის უფლება პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპული კონვენციის ტექსტში, თუმცა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მოაზრებულია კონვენციის მე-6 მუხლში.¹ უფრო კონკრეტულად, ეს უფლება „სამართლიანი სასამართლო განხილვის გულშია“.²

საყურადღებოა, რომ თავდაპირველად იგეგმებოდა პრივილეგიის ასახვა კონვენციის მე-7 დამატებით ოქმში, თუმცა შემდგომში ეს პიზიცია არ გაიზიარეს, ვინაიდან ჩაითვალა, რომ პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის დანაკლისს საკმარისად ავსებდა მე-6 მუხლში მოაზრებული საქმის სამართლიანი განხილვის უზოგადესი ჩანაწერი.³ მართლაც, საქმის სამართლიანი განხილვა ფარდობითი ცნებაა და მოიაზრებს ისეთ უფლებებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული კონვენციის ტექსტში, მათ შორის, მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას,⁴ გადაწყვეტილების დასაბუთებას,⁵ დანაშაულის პროცესის აკრძალვას⁶ და ა.შ.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის მიხედვით, „[...] ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, [...] არავინ აიძულოს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების შიცემა ან თავის ბრალეულად ცნობა.“

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2(გ) პუნქტის მიხედვით, „[...] მისი საქმის განხილვისას პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე [...], არ იყოს მოწმე საკუთარი თავის წინააღმდეგ ან არ ცნოს თავი ბრალეულად. ამასთან, მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ ბრალდებულის მიერ თავის

1 კონ მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*John Murray v. The United Kingdom*), 1996 წლის 8 თებერვალი, 45-ე პუნქტი.

2 გ. შევეცარის წინააღმდეგ (*J.B. v. Switherland*), 2001 წლის 3 მაისი, 64-ე-66-ე პუნქტები; პინი და მაგინსი ირლანდიის წინააღმდეგ (*Heaney and McGuinness v. Ireland*), 2000 წლის 21 დეკემბერი, მე-40 პუნქტი; ალექსანდრ ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Aleksandr Zaichenko v. Russia*), 2010 წლის 18 თებერვალი, 38-ე პუნქტი.

3 შ. ტრექსლი, ადამიანის უფლებების სისხლის სამრთლის პროცესში, თბ., 2009, 359.

4 ფაიგ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Faig Mammadov v. Azerbaijan*), 2017 წლის 26 იანვარი, მე-19 პუნქტი.

5 ლასკა და ლიკა ალბანეთის წინააღმდეგ (*Laska and Lika v. Albania*), 2010 წლის 20 აპრილი, 57-ე-62-ე პუნქტები.

6 ტეიქეირა და კასტრი პორტუგალიის წინააღმდეგ (*Teixeira de Castro v. Portugal*), 1998 წლის 9 ივნისი, 34-ე-36-ე პუნქტები; რამანაუკასი ლიტუანის წინააღმდეგ (*Ramanauskas v. Lithuania*), 2008 წლის 5 თებერვალი, 52-ე პუნქტი.

ბრალეულად ცნობა ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის რაიმე იძულების შედეგი“.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით. ბადრი ნიპარიშვილი საკუთარ ნაშრომში აღნიშნავს, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სრული მოცულობით მოაზრებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტში.⁷ მსგავსად აღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი (ახალი რედაქციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის ანალოგი) მოიცავს ორ ასპექტს - თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიასა და კანონით განსაზღვრულ აღლობელთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულების არარსებობას.⁸

საქართველოს კონსტიტუციის მითითებული დებულებები ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც (შემდგომში – სსსკ). კერძოდ, მე-15 მუხლის მიხედვით, არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამავე კოდექსით. აღნიშნული დებულება კონკრეტდება 38-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. ამასთან, თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. 74-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.⁹

1.1. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის არსი და მიზანი

პრივილეგია იურიდიულ დოქტრინასა და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებულად განიმარტება. მეტიც, აზრთა სხვადასხვაობაა, მათ შორის, სახელწოდებასთან დაკავშირებითაც. პრივილეგიას ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „დუმილის უფლებას“ ან „საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლებას“.¹⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომ მითითებული ტერმინები შეზღუდულად გამოხატავს პრინციპის შინაარსს და იქმნება საფრთხე, რომ სრული მოცულობით ვერ აისახოს გარანტიები. გარდა ამისა, პრივილეგიის სრული არსის გამოსახატავად ხშირად

7 ბ. ნიპარიშვილი, არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის, მართლმასტულება და კანონი, №1, 2020, 11.

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ტიტოვ ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/4/809, II-40.

9 იბ., ასევე, V. Chiu, *Privilege against Self-Incrimination: Assessing Recent Developments in Hong Kong*, Hong Kong Journal of Legal Studies, Vol. 8, 2014, 47.

10 შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 360.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

მიუთითებენ დოქტრინაში კარგად ცნობილ ლათინურ გამონათქვამს – *nemo tenetur se ipsum accusare*, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ დაიბრალოს დანაშაული¹¹ და დაცული იყოს ჩვენების მიცემისკენ მიმართული ნებისმიერი ზეწოლისგან.¹² შემოკლებით მას მოიხსენიებენ როგორც *nemo tenetur*, ანუ არავინ არის ვალდებული. დოქტრინაში ამ შემთხვევაშიც მართებულად მიუთითებენ, რომ ის ასახავს არა უფლების შინაარსს, არამედ გარანტის ფილოსოფიურ საფუძვლებს.¹³ ლიტერატურაში გავრცელებული და მისაღები ტერმინია თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია.¹⁴

1.1.1. პრივილეგიის არსი და მიზნები ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრივილეგია გულისხმობს ბრალდებულის უფლებას, სახელმწიფოს არ მიაწოდოს საკუთარი თავის მამხილებელი ინფორმაცია. ინფორმაცია ფართო ცნებაა და შეიძლება მოიცავდეს როგორც ვერბალური (მაგალითად, ჩვენება), ისე არავერბალური (მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულება) ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოებისთვის „არასათანადო იძულებით“ გადაცემისგან დაცვას.¹⁵ მეორე მხრივ, პრივილეგიის კონკრეტული გამოვლინებაა დუმილის უფლება და ნიშნავს ბრალდებულის უფლებას, არ ილაპარაკოს – გამოკითხვისას/დაკითხვისას შეინარჩუნოს დუმილი.¹⁶ ამდენად, პრივილეგია უფრო ფართო ცნებაა და თავის თავში აერთიანებს დუმილის უფლებასაც. ბრალდებულის უფლება, არ ამხილოს საკუთარი თავი, პირდაპირ უკავშირდება დუმილის უფლების გამოყენების შესახებ პირის ნების პატივისცემას.¹⁷

პრივილეგია და დუმილის უფლება გამომდინარეობს მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრების პრინციპიდან. ამ გაგებით ის კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმეციასთან.¹⁸ ეს კავშირი განპირობებულია იმით, რომ უდანაშაულობის პრეზუმეცია სახელმწიფოს ავალდებულებს, ამტკიცოს ბრალდება მუქარის, იძულებისა და ბრალდებულის ნებაზე სხვაგვარი ბემოქმედების გარეშე მოპოვებული მტკიცებულებებით.¹⁹

პრივილეგიადადუმილის უფლება, *inter alia*, მიზნად ისახავს პირის დაცვას სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო იძულებისგან, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისას შეცდომის თავიდან აცილებასა და

11 გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 127.

12 შ. ტრექსლი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 360.

13 შეად. P. McInerney, *The Privilege against Self-Incrimination from Early Origins to Judges' Rules: Challenging the Orthodox View*, International Journal of Evidence & Proof, Vol. 18, no. 2, 2014, 104.

14 შ. ტრექსლი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 360.

15 კონ. მერი გაერთიანებული სამფლობელო წინააღმდეგ (*John Murray v. The United Kingdom*), 1996 წლის 8 თებერვალი, 44-ე-45-ე პუნქტები.

16 შ. ტრექსლი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 360-362.

17 სონდერს გაერთიანებული სამფლობელო წინააღმდეგ (*Saunders v. The United Kingdom*), 1996 წლის 17 დეკემბერი, 68-ე-69-ე პუნქტები; ალენი გაერთიანებული სამფლობელო წინააღმდეგ (*Allan v. the United Kingdom*), 2002 წლის 5 ნოემბერი, 44-ე პუნქტები; ო'ჰალორანი და ფრანცის გაერთიანებული სამფლობელო წინააღმდეგ (*O'halloran and Francis v. The United Kingdom*), 2007 წლის 29 ივნისი, 53-ე-63-ე პუნქტები.

18 *Traditional Rights and Freedoms - Encroachments by Commonwealth Laws*, Final Report, Sydney: ALRC, 2015, 315.

19 შანონი გაერთიანებული სამფლობელო წინააღმდეგ (*Shannon v. The UK*), 2005 წლის 4 ოქტომბერი, 32-ე პუნქტი.

სამართლიანი სასამართლო განხილვის მიღწევას.²⁰

1.1.2. პრივილეგიის არსი და მიზნები აშშ-ის დოქტრინასა და პრაქტიკაში

აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 შესწორების მიხედვით, დაუშვებელია პირის იძულება, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ შესწორების მიზანია ბრალდებულის დაცვა მართლმსაჯულების სისტემის წინაშე ბოროტი ტრილემისგან - 1. პირმა თქვას სიმართლე და სახელმწიფომ მოიპოვოს მაინცრიმინებელი ინფორმაცია, 2. მოიტყოს და თავი გაიმართლოსან 3. უარითქვას პასუხისმგებელის გაცემაზე და დაუკისროს პასუხისმგებლობა²¹.

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე პრივილეგიის არსის განმარტებიდან გამომდინარეობს, ევროპული სასამართლო გარანტიაში მოიაზრებს როგორც ჩვენების მიცემისგან დაცვას, ისე - ნივთიერი მტკიცებულების გადაცემისგან დაცვასაც. ამ მხრივ აშშ-ის დოქტრინა²² და კანონმდებლობა განსხვავებულია, ვინაიდან კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ ჩვენებაზე. გამოდის, რომ, ერთი შეხედვით, აშშ-ის მე-5 შესწორება ემთხვევა ევროპული სასამართლის მიერ განმარტებულ დუშილის უფლებას, თუმცა შინაარსობრივად ეს ასე არ არის - სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად განიმარტება ჩვენების მნიშვნელობა²³ და არსობრივად შეიძლება გავრცელდეს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ევროპული სასამართლო მატერიალურად მიიჩნევს.²⁴

1.1.3. პრივილეგიის არსი და მიზნები საქართველოს მაგალითზე

ქართული იურიდიული ლიტერატურა არ არის მდიდარი პრივილეგიის კვლევით. ამიტომ, პრივილეგიის არსთან დაკავშირებითაც არ არის იურიდიული დოქტრინა სიღრმისეულად ჩამოყალიბებული, თუმცა ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით შეინიშნება დადგებითი ტენდენცია.

პროფესორი თუმანიშვილი პრივილეგიის შინაარსს განმარტავს შემდეგნაირად: „დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რომ მან აქტიურად შეიტანოს წვლილი საკუთარი თავის დანაშაულში მხილებაში, მაგრამ ბრალდებულმა უნდა ითმინოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მასზე ისეთი იძულების ღონისძიებების განხორციელება, რაც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში“.²⁵

პროფესორი თავიაშვილი გარანტიის *Ratione personae*-დ განმარტებისას მიუთითებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და პრივილეგიაში მოიაზრებს

20 ფონ მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*John Murray v. The United Kingdom*), 1996 წლის 8 თებერვალი, 44-ე-45-ე პენქტები.

21 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: პენსილვანია მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ (*Pennsylvania v. Muniz*), 496 U.S. 582, 596 (1990).

22 მაგ., *G.O.Tuttle, Cooperative Prosecution and the Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination*, New York University Law Review, Vol. 85, no. 4, October 2010, 1352.

23 იბ. მაგ., აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ჰოლტ აშშ-ის წინააღმდეგ (*Holt v. United States*), 218 U.S. 245 (1910).

24 T. M. Todd, *The Fifth Amendment and the Conjuror's Circle: Exploring the Privilege against Self-Incrimination in Federal Tax Practice*, Charleston Law Review, Vol. 9, no. 1, 2014, 174-177.

25 გ. თუმანიშვილი, ბრალდებულის პირადი ჩხრევა, მისი სხვულოდან ნიმუშის აღება და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, საიუბილეო კრებული - გურამ წაჟუებია - 75, 2016, 73.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

როგორც დოკუმენტების/ინფორმაციის სახელმწიფოს მიერ არასათანადო იძულებით გადაცემის აკრძალვას, ისე ჩვენების მსგავსი მეთოდებით მოპოვების აკრძალვას.²⁶

ბადრი ნიპარიშვილი თავის ნაშრომში ავითარებს მსგავს მსჯელობას და, ამასთან, იმეორებს ევროპული სასამართლოს მიდგომებს. იგი განმარტავს, რომ პრივილეგია უფრო ფართოა, მისი მხოლოდ კონკრეტული გამოვლინებაა დუმილის უფლება და უკავშირდება მხოლოდ ვერბალურ ასპექტებს.²⁷ დუმილის უფლებისა და პრივილეგიის მსგავს მიმართებას იჩიარებს პროფესორი მაღლაკელიძეც.²⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრივილეგიას მოიაზრებს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ ნაწილად და აკავშირებს მას ამ უფლების სხვა გამოვლინებებთან, მაგალითად: უდანაშაულობის პრეზუმაციასა და დაცვის უფლებასთან. სასამართლოს განმარტებით, პრივილეგია ასახავს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს პრინციპს, რომ ადამიანი არ შეიძლება აღიქმებოდეს სამართლის ობიექტად, მიზნის მიღწევის საშუალებად, არამედ იგი თავად არის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორის, სისხლის სამართლის პოლიტიკა.²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებაა, რომ კონსტიტუციურ დებულებაში მოიაზრება არა მხოლოდ ვერბალური, არამედ წერილობითი ან სხვა ნებისმიერი ფორმის ნებელობითი ქმედების იძულების აკრძალვა.³⁰

2. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის დაცული სფერო

პრივილეგია და დუმილის უფლება იცავს ბრალდებულს სახელმწიფოს მიერ მისი მამხილებელი მტკიცებულების „არასათანადო იძულებით“ მოპოვებისგან.³¹ ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია „არასათანადო იძულების“ შემდეგი შემთხვევები:³²

- ა) მტკიცებულება მოპოვებულია წამებით, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით;³³
- ბ) გამოკითხვისას/დაკითხვისას მამხილებული ინფორმაცია ან სხვა მტკიცებულება მოპოვებულია იმის ხარჯები, რომ პირს ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ემუქრებოდა პასუხისმგებლობის

26 ლ. ფაფაავილი, წიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გიორგი გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 123-124.

27 ბ. ნიპარიშვილი, არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის, მართლმსაჭიდება და კანონი, №1, 2020, 11.

28 ლ. მალოაკელიძე, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზითმოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პროცესურის ექსპულს და ადამიანის უფლებათ დაცვის ეცროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ეურინალი, №3, 2018, 60.

29 იბ., ასევე, B. W. Ahmad, *The Dilemma Created by the Privilege against Self-Incrimination*, GNLU Journal of Law Development and Politics, Vol. 9, no. 1, 2019, 37-39.

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ტიტოვო ჩორგოლინი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/4/809, II-40-42.

31 პინი და მაგინსი ირლანდიის წინააღმდეგ (Heaney and McGuinness v. Ireland), 2000 წლის 21 დეკემბერი, მე-40 პუნქტი.

32 შეად. A. E. Robinson, *Treating the Sex Offender at Any Cost: Fifth Amendment Privilege against Compelled Self-Incrimination in the Prison Context*, Washburn Law Journal, Vol. 42, no. 3, 2003, 730-731.

33 მაგ., ქალო გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივლისი.

დაკისრება;³⁴

გ) მამხილებელი ინფორმაცია მოპოვებულია დუმილის უფლებაზე გაფრთხილების გარეშე;³⁵

დ) აღიარება მოპოვებულია მოტყუებით, აგენტის მეშვეობით;³⁶

ე) აღიარება მოპოვებულია პირის მიმართ განხორციელებული მუქარის შედეგად, რომ მისი დუმილის უფლება გამოყენებულ იქნებოდა ბრალდების დასადასტურებლად.³⁷

იურიდიულ დოქტრინაში არასათანადო იძულებას ყოფენ პირდაპირ და არაპირდაპირ გამოვლინებებად. პირდაპირ არასათანადო იძულებაში მოიაზრება სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ისეთი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ ერევა პირის უფლებებში, მაგალითად: ფიზიკური ძალადობა, დოკუმენტების წარდგენის იძულება, მოტყუებით ინფორმაციის მიღება და სხვა აქტიური საშუალებები.³⁸ მეორე მხრივ, არაპირდაპირი არასათანადო იძულება გულისხმობს სასამართლო ორგანოების მიერ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენების შეფასებას მისი ბრალდებულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.³⁹

2.1. არასათანადო იძულების პირდაპირი გამოვლინებები

I. პირდაპირი არასათანადო იძულების კლასიკური შემთხვევაა მტკიცებულების მოპოვება წამებით, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით. Turbylev-ის საქმეში განმცხადებელს პოლიციის განყოფილებაში სცემეს, რათა ერიარებინა დანაშაული. სასამართლომ განმარტა, რომ მსგავსი მოპყრობა არის „არასათანადო იძულების“ კლასიკური ფორმა და არღვევს პრივილეგიას.⁴⁰

II. პირდაპირი არასათანადო იძულების შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო გამოკითხვისას/დაკითხვისას მამხილებელ ინფორმაციას ან სხვა მტკიცებულებას მოიპოვებს იმის ხარჯებე, რომ პირს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის აკისრებს სისხლისამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. Saunders-ის საქმეში განმცხადებლის მიმართ არსებობდა ფინანსური დარღვევების ჩადენის ეჭვი. შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ დაიწყო საქმის ინსპექტირება და 9-ჯერ დაკითხესგანმცხადებელი. ასეთი დაკითხვებიტარდებოდა არაგამოძიების, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. განმცხადებელს კანონმდებლობით ეკისრებოდა კითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდა კარიმა ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.⁴¹ ინსპექტირების დასრულების შემდეგ საქმის მასალები გადაეცა საგამოძიებო ორგანოს, დაიწყო

34 მაგ., სონდერსი გერმიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. the United Kingdom), 1996 წლის 17 დეკემბერი.

35 მაგ., ბრუსკო საფრანგეთის წინააღმდეგ (Brusco v. France), 2010 წლის 14 ოქტომბერი.

36 მაგ., ალენ გერმიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Allan v. the United Kingdom), 2002 წლის 5 ნოემბერი; ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia), 2009 წლის 10 მარტი.

37 ჯონ მური გერმიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Murray v. The United Kingdom), 1996 წლის 8 თებერვალი, 44-ე-45-ე პუნქტები.

38 შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 371-373.

39 იქვე, 374-376.

40 ტურბილევი რუსეთის წინააღმდეგ (Turbylev v. Russia), 2015 წლის 6 ოქტომბერი, 86-ე-90-ე პუნქტები.

41 იბ. მეცან მექანიზმებზე, T. Ward, Mc.Brendan, Competition Law and Human Rights: The Privilege against Self-Incrimination and Related Rights in Competition Investigations, Competition Law Journal, Vol. 12, no. 3, 2013, 309-312.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

გამოძიება და განმცხადებელი მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.⁴²

Saundrs-ის საქმეში შესაფასებელი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველ რიგში, უნდა შეფასებულიყო, პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარა არის თუ არა არასათანადო იძულება; მეორე მხრივ, გასარკვევი იყო, რამდენად შეიძლება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული აღიარების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება. მითითებულ გარემოებებთან ერთად, ცალკე იყო გასაანალიზებელი, ვრცელდება თუ არა პრივილეგია გამამართლებელ ჩვენებაზე.

პირველ საკითხებე სასამართლომ დადგებითი პასუხი გასცა და მიუთითა, რომ პრივილეგია და დუმილის უფლება, პირველ რიგში, გულისხმობს ბრალდებულის ნების პატივისცემას, რომ ყოველგვარი იძულების გარეშე მისცეს ჩვენება. მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიში იძულების ფორმაა და, შესაბამისად, მსგავსი ქმედება დაცულია პრივილეგითა და დუმილის უფლებით.

მეორე მხრივ, სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების დროს შედგენილი გამოკითხვის ოქმები ისე ფართოდ იყო გამოყენებული სისხლის სამართლის პროცესის დროს, რომ ბრალდება არსებითად მას ეყრდნობოდა. სასამართლომ ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ მსგავსი ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გამოყენებას განმცხადებელი, ფაქტობრივად, შეიძლება ეიძულებინა, რომ ჩვენება მიეცა, რათა მიწოდებულ ინფორმაციას მისი საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ მისცემოდა.⁴³ შესაბამისად, ადმინისტრაციული გამოკითხვები სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ გამოკითხვა აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს, მათ შორის, გამოკითხვის ნებაყოფლობითობის ნაწილშიც.⁴⁴

სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფოს პოზიცია, რომ განმცხადებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო საკუთარი თავის მამხილებელი. პრივილეგიაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ პირდაპირ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ინფორმაცია, რომელიც, ერთი შეხედვით, არ არის მამხილებელი ხასიათის, შეიძლება, შემდგომში ბრალდებულის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული,⁴⁵ მაგალითად, ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სხვა მტკიცებულებებთან შედარებისა და მისი სანდოობის თვალსაზრისით. სასამართლოს წინაშე ბრალდებულის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მისი დამნაშავეობის გადაწყვეტაზე. შესაბამისად, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ვრცელდება არა მარტო მამხილებელ, არამედ გამამართლებელ ან სხვა სახის ინფორმაციაზე.⁴⁶ შესაბამისად, ბრალდებული ნებისმიერ

42 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. the United Kingdom), 1996 წლის 17 დეკემბერი, 14-ე-29-ე პუნქტები.

43 იბ. ასევე, T.Ward, Mc. Brendan, *Competition Law and Human Rights: The Privilege against Self-Incrimination and Related Rights in Competition Investigations*, Competition Law Journal, Vol. 12, no. 3, 2013, 314.

44 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. the United Kingdom), 1996 წლის 17 დეკემბერი, 67-ე-76-ე პუნქტები.

45 შეად. L. Sacharoff, *Unlocking the Fifth Amendment: Passwords and Encrypted Devices*, 87 Fordham L. Rev. 2018, 218.

46 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. the United Kingdom), 1996 წლის 17 დეკემბერი, 71-ე პუნქტი.

შემთხვევაში სარგებლობს ინფორმაციის იძულებით მიწოდებისგან დაცვის უფლებით, მიუხედავად იმისა, ინფორმაცია დანაშაულში მამხილებელია თუ გამამარტლებელი.⁴⁷

III. არაპირდაპირი არასათანადო იძულების სხვა გამოვლინებაა შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს არ აფრთხილებენ დუმილის უფლების შესახებ და ამ გზით მოიპოვებენ ინფორმაციას. Aleksandr Zaichenko-ის საქმეში განმცხადებელმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე აღიარა დანაშაული, რის საფუძველზეც შეადგინეს შესაბამისი ოქმი. პირი დუმილის უფლებაზე გააფრთხილეს დანაშაულის აღიარების შემდეგ. სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის შემდგომი გაფრთხილება იყო არაეფექტური, ვინაიდან პირს შესაბამის ოქმში უკვე აღიარებული ჰქონდა დანაშაული.⁴⁸ სასამართლომ ყურადღება მიაქცია აღიარების გარემოს და მიუთითა, რომ იმ სტრუქტულ გარემოებებში, უფლებების შესახებ გაფრთხილების გარეშე, განმცხადებელი ვერ შეაფასებდა აღიარების შედეგებს. ეროვნული სასამართლო განაჩენში დაეყრდნო ამ აღიარებას, რის გამოც დადგინდა პრივილეგიის დარღვევა.⁴⁹

IV. პირდაპირი არასათანადო იძულების ცალკე გამოვლინებაა ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ბრალდებულისგან აღიარებას მოიპოვებს აგენტის მეშვეობით, მოტყუებით. ალენის საქმის⁵⁰ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი დააკავეს მკვლელობის ბრალდებით. პოლიცია მას პკითხავდა ადვოკატის მონაწილეობით, რა დროსაც ინარჩუნებდა დუმილის უფლებას. პოლიციამ ის რამდენჯერმე ფარულად ჩაწერა, თუმცა განსაკუთრებით საინტერესო იყო შემთხვევა, როდესაც აგენტი შეუშვეს მის საკანში. აგენტი განსაკუთრებით აქტიურობდა, იყენებდა სხვადასხვა ხერხს, რათა მოეპოვებინა განმცხადებლისგან ინფორმაცია მკვლელობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ამ ხერხით აგენტმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვა, რაც დასაშვებად იქნა ცნობილი საქმის განმხილველ სასამართლოში.

სასამართლომ განმარტა: პრივილეგია და დუმილის უფლება, ძირითადად, ემსახურება შესაბამისი ორგანოების მიერ არასათანადო იძულებითა და ზეწოლის მეთოდებით ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვებისგან დაცვას. მიუხედავად ამისა, უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმეებით, რომლებშიც ბრალდებულზე განხორციელდა ზეწოლა ან მისი ნება დაითრგუნა. უფლება, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების ძირითადი პრინციპი, ემსახურება ბრალდებულის არჩევანის თავისუფლებას, უპასუხოს სახელმწიფო ორგანოთა კითხვებს, თუ ისარგებლოს დუმილით. არჩევანის ასეთი თავისუფლება დაკრინებულია, როდესაც პირმა დუმილი ამჟობინა, ხოლო სახელმწიფო იყენებს სხვადასხვა ხერხს ბრალდებულის აღიარების ან საკუთარი თავის საწინააღმდეგო სხვა ისეთი ჩვენების მიცემის მისაღწევად, რომელიც ვერ იქნა მოპოვებული მისი

47 იხ. ასევე, T.Ward, Mc. Brendan, *Competition Law and Human Rights: The Privilege against Self-Incrimination and Related Rights in Competition Investigations*, *Competition Law Journal*, Vol. 12, no. 3, 2013, 315.

48 აღმუსახლეობრივი მუნიციპალური სამსახურის მინაღმდევ (Aleksandr Zaichenko v. Russia), 2010 წლის 18 თებერვალი, 53-ე პუნქტი.

49 იქვე, 54-ე-57-ე პუნქტი.

50 აღმუსახლეობრივი მუნიციპალური სამსახურის მინაღმდევ (Allan v. the United Kingdom), 2002 წლის 5 ნოემბერი.

თვითინარიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

დაკითხვისას და როდესაც ამგვარი აღიარება და ინფორმაცია წარდგენილია ბრალდების სამტკიცებლად სასამართლოში.⁵¹

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მოიშველია კანადის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, კანადის სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც აგენტი ზღუდავს დუმილის უფლებას და ის არ არის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- ა) აგენტისა და სახელმწიფოს ურთიერთობა;
- ბ) აგენტისა და ბრალდებულის ურთიერთობა.

დუმილის უფლება დაირღვევა მხოლოდ მაშინ, თუ აგენტი ინფორმაციის მიწოდების მომენტში მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი. აგენტი არის თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენელი, უნდა შეფასდეს შემდეგი ტესტით:

- ა) აგენტსა და განმცხადებელს შორის შედგებოდა თუ არა მსგავსი საუბარი;
- ბ) სახელმწიფოს ჩაურევლობის შემთხვევაში, საუბარს ექნებოდა თუ არა მსგავსი ფორმა.

სასამართლომ მიუთითა, რომ პოლიცია ავარჯიშებდა და ინსტრუქციებს აძლევდა აგენტს, რათა ყველა ღონე ეხმარა ინფორმაციის მოსაპოვებლად. განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მიწოდება გამოიწვია აგენტის მუდმივმა კითხვებმა. ფაქტობრივად, დისკუსია გადაიქცა საგამოძიებო მოქმედებად, გამოკითხვად, სადაც განმცხადებელი ვერ სარგებლობდა საპროცესო გარანტიებით, მათ შორის, ადვოკატის დასწრების უფლებითა და შესაბამისი უფლებების შესახებ გაფრთხილებით. სახელმწიფომ მსგავსი ქმედებით „პატივი არ სცა“ განმცხადებლის ნებას, რითაც დაარღვია დუმილის უფლება და პრივილეგია.⁵²

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიკოთ, რომ სასამართლო კრძალავს ოპერატორ და ფარულ საქმიანობას. ამ მხრივ საყურადღებოა Bykov-ის საქმე. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელმა მისი ჯგუფის წევრს დაავალა ბიზნესპარტნიორის მკვლელობა. ჯგუფის წევრმა აღნიშნულის შესახებ პოლიციას უამბო. პოლიციამ მოაწყო მკვლელობის ინსცენირება, თითქოს ჯგუფის წევრმა შესარულა დავალება. ბიზნესპარტნიორის სახლიდან ამოიღეს ორი გვამი, რის შესახებაც გადაიცა მედიაში. განმცხადებელმა საკუთარ სახლში მიიღო ჯგუფის წევრი, თუმცა მანამდე ის პოლიციამ აღჭურვა ფარული ჩამწერი საშუალებებით. მკვლელობის დასადასტურებლად ჯგუფის წევრმა განმცხადებელს მოკლულთა სახლიდან წამოღებული ნივთები გადასცა, ხოლო განმცხადებელმა გადაუხადა ფული. აღნიშნული აღბეჭდილი იყო ფარულ ჩანაწერებში.

ალენის საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ განმარტა, რომ ამ საქმეში განმცხადებელი არ იყო დაკავებული. საუბრის დროს ის საკუთარ სახლში იმყოფებოდა, შეეძლო თავისუფლად ესაუბრა, არავინ ზღუდავდა მის ნებას და არ თრგუნავდა ფსიქოლოგიურად. პირს ნებისმიერ დროს შეეძლო, უარი ეთქვა

51 იქვე, 50-ე პუნქტი.

52 იქვე, 51-ე-52-ე პუნქტები.

მსგავს საუბარზე. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის თვითონ იყო დაინტერესებული საუბრით. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მტკიცებულების მსგავსი ფორმით მოპოვება არ შეიცავდა იძულების ისეთ ელემენტს, რომელმაც აღენის საქმეში გამოიწვია დუმილის უფლების დარღვევა.⁵³

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია აღენის საქმის მსგავსი შემთხვევები და წინასასამართლო სხდომაზე ამ ფორმით მოპოვებული მტკიცებულებები, როგორც წესი, დასაშვებად არის ცნობილი.⁵⁴ ასეთი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

2.1.1. პრივილეგიის გავრცელება ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებულ მტკიცებულებებზე (ევროპული სასამართლოს პრაქტიკა)

ევროპული სასამართლოს პრაცედენტული სამართლის მიხედვით, პრივილეგია არ ვრცელდება სამართალწარმოებაში ისეთი მტკიცებულებების გამოყენებაზე, რომლებიც, მართალია, მოპოვებულია იძულებით, მაგრამ არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად,⁵⁵ მაგ.; ხმის ნიმუში,⁵⁶ სასამართლოს ნებართვით მიღებული დოკუმენტები, სუხთქვის, შარდის, ნიმუშები, დნბის ანალიზისთვის საჭირო ორგანული ქსოვილები.⁵⁷ იმის მიუხედავად, რომ შინაარსობრივად აღნიშნული პრაცედურებიც არის ჩარევა სავარაუდო დამნაშავის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში, მათი გამოყენება, ზოგადად, მაინც გამართლებულია.⁵⁸ ისინი აუცილებელია დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.⁵⁹

Schmidt-ის საქმეში⁶⁰ სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი ნერწყვისა და სისხლის ნიმუშის იძულებით აღებასთან დაკავშირებით და მიუთითა X-ის საქმეში⁶¹ განვითარებული მსჯელობა: ნერწყვისა და სისხლის ნიმუშები ისეთი მტკიცებულებებია, რომლებიც შეიძლება პირის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგო მოქმედებდეს. შესაბამისად, ლოგიკურია, თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებების ჩატარების უფლება ექნებათ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების მიმართ. სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპული კონვენცია პატიმრობასაც კი დასაშვებად მიიჩნევს ასეთ შემთხვევაში. შესაბამისად, მით უფრო მისაღებია ისეთი მცირე ჩარევა, როგორიცაა მითითებული ნიმუშების აღება. ამგვარი მასალის მოპოვებისას ბრალდებული ვალდებულია, მშვიდად მოითმინოს უმნიშვნელო ჩარევა უფლებებში.

53 ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia), 2009 წლის 10 მარტი, 102-ე პუნქტი.

54 ინ. მაგ., ობილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და სექტენტი არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 9 იანვრის №105/18 განჩინება, ამავე სასამართლოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №725/18 განჩინება.

55 შეად. M. S. Girdwood, *Constitutional Law – Article I, Section 9 – Privilege against Self-Incrimination – Right to Refuse a Field Sobriety Test*, Duquesne Law Review 35, no. 3, 1997, 974.

56 პ.გ. და გ.ჰ. გვერთისნებელო სამეფოს წინააღმდეგ (P.G. and J.H. v. the United Kingdom), 2001 წლის 25 სექტემბერი.

57 ჯალი გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივნისი, 101-ე პუნქტი.

58 A.MacCulloch, *The Privilege against Self-Incrimination in Competition Investigations: Theoretical Foundations and Practical Implications*, Legal Studies, Vol. 26, no. 2, 2006, 230.

59 ჯალი გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივნისი, 113-ე-115-ე პუნქტები.

60 შემდეგ გერმანიის წინააღმდეგ (Schmidt v. Germany), 2006 წლის 5 იანვრი.

61 ხ ნიფერლანდების წინააღმდეგ (X. v. the Netherlands), 1979 წლის 4 დეკემბერი.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

როგორც მითითებული ზოგადი წესიდან ჩანს, ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, მტკიცებულების არსებობა დამოკიდებულია ბრალდებულის ნებაზე თუ არა. აღნიშნული განსხვავდება აშშ-ის დოქტრინასა და პრაქტიკაში არსებული მოდელისგან, სადაც პრივილეგიის ჭრილში საინტერესოა არა ნების კრიტერიუმი, არამედ მტკიცებულების ხასიათი - არის ის მატერიალური თუ არამატერიალური.⁶²

ზემოაღნიშნული მსჯელობები ვრცელდება იძულების სხვადასხვა ფორმაზე, მათ შორის, ფიზიკურ იძულებაზე, პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარით მასალის გადაცემის იძულებაზე და ა.შ.⁶³

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ შეფასებულა, ხმის ან კალიგრაფიული ნიმუშების იძულებით აღება ექცევა თუ არა პრივილეგიის დაცულ სფეროში. ნიმუშის მითითებული სახეები სპეციფიკურია, ვინაიდან ხმის ნიმუში არ არის მატერიალური და წააგავს ვერბალურ მტკიცებულებას; მეორე მხრივ, მსგავსი ხასიათისაა კალიგრაფიული ნიმუშიც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ფურცელზეა. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში შიდასახელმწიფოებრივ დონეზე საკმაოდ ხშირია მსგავსი ნიმუშების აღება პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარით.⁶⁴ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, რომელიც ხმის მოპოვებას ეხებოდა, თუმცა იქ არ იყო კლასიკური იძულების შემთხვევა. შესაბამისად, დღეის მოცემულობით, საკითხი ღიაა შეფასებისთვის.

პ.გ. და ჰ.პ.-ს საქმის⁶⁵ მიხედვით, განმცხადებლების მიმართ არსებობდა ძარცვის ჩადენის მომზადებაზე ოპერატორული ინფორმაცია. ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ფარული საშუალებებით აღჭურვეს მათი საცხოვრებელი სახლი. რამდენიმე დღის შემდეგ განმცხადებლები დააკავეს და საჭირო გახდა სახლში ფარულად მოპოვებულ ჩანაწერებში მონაწილე პირების იდენტიფიცირება. ამისათვის აუცილებელი იყო დაკავებულების ხმის ნიმუში, რათა ექსპერტს შეედარებინა და დაედგინა დასკვნა. განმცხადებლები ნებაყოფლობით არ გასცემდნენ ნიმუშს, რის გამოც გაიცა ნებართვა საკანში მათი ხმის ფარულად ჩაწერის შესახებ. განმცხადებლების ხმა ფარულად ჩაიწერეს და შეადარეს მანამდე არსებულ ჩანაწერებს. განსახილველ საქმეში განმცხადებელი ასაჩივრებდა მე-6 მუხლის დარღვევასაც, მათ შორის, პრივილეგიის დარღვევის ნაწილშიც. განმცხადებელი პირდაპირ მიუთითებდა აღნიშნული პრინციპის დარღვევაზე, თუმცა სასამართლოს არც კი უმსჯელია. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ხმის ნიმუშის მსგავსი ფორმით მოპოვებას არ იცავს პრივილეგია.

ზემოაღნიშნულ საქმეში, მართალია, არ დადგინდა დარღვევა, თუმცა აღნიშნული, ძირითადად, განპირობებული იყო ხმის ნიმუშის მოპოვების ხერხით. რეალურად არც ხმა და არც კალიგრაფიული ნიმუში არ არსებობს ბრალდებულის

62 *Traditional Rights and Freedoms – Encroachments by Commonwealth Laws*, Sydney, Australian Law Reform Commission, 2014, 312.

63 შეად. W. W. Patton, *Rethinking the Privilege against Self-Incrimination in Child Abuse Dependency Proceedings: Might Parents Be Their Own Worst Witnesses*, UC Davis Journal of Juvenile Law & Policy, Vol. 11, no. 1, 2007, 107-108.

64 მაგ., აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: ჰილბერტი კალიფორნიის ჩინააღმდეგ (*Gilbert v. California*), 388 U.S. 263, 265-67 (1967); აშშ ფონტისოს ჩინააღმდეგ (*United States v. Dionisio*), 410 U.S. 1, 5-6 (1973).

65 პ.გ. და ჰ.პ. გაერთიანებული სამეფოს ჩინააღმდეგ (*P.G. and J.H. v. the United Kingdom*), 2001 წლის 25 სექტემბერი.

ნებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს კლასიკური მსჯელობით, მათზე უნდა ვრცელდებოდეს პრივილეგია; მეორე მხრივ, შესაფასებელია, რამდენად სწორი იქნება მსგავსი მიდგომა, ვინაიდან ხმისა და კალიგრაფიული ნიმუშების აღებისას მნიშვნელოვანია არა შინაარსი, არამედ ფორმა, ანუ ხმისა და ნაწერის გარე მახასიათებლები. მას ისევე იყენებს საგამოძიებო ორგანო იდენტიფიკაციისთვის, როგორც სისხლისა და სხვა ნიმუშებს. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ ავრცელებს პრივილეგიას მსგავსი ტიპის ნიმუშებზე.⁶⁶ შესაბამისად, კითხვის ნიშანს იწვევს ევროპული სასამართლოს დიფერენცირების კრიტერიუმი – პირის ნებაზე დამყარებული და ნებისგან დამოუკიდებლად არსებული მტკიცებულებები.

გამონაკლისები ბოგადი წესიდან

მითითებული ზოგადი წესიდან შეიძლება არსებობდეს გარკვეული გამონაკლისები, რა დროსაც, მიუხედავად მასალის ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობისა, სახელმწიფოს მიერ მისი იძულებით მოპოვება შეიძლება ექცეოდეს პრივილეგიის დაცულ სფეროში. სასამართლომ მითითებული გამონაკლისები ორი მიმართულებით განავითარა: ერთი მხრივ, დოკუმენტების პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარით გადაცემის,⁶⁷ ხოლო მეორე მხრივ – განსაკუთრებული ინტენსივობის შემთხვევებში.

Funk-ის საქმის⁶⁸ მიხედვით, განმცხადებლის მიმართ არსებობდა უცხოური ბანკების გამოყენებით ფინანსური დანაშაულის ჩადენის ეჭვი. პოლიციამ გაჩხრიკა სახლი, თუმცა მსგავსი დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იპოვა. აღნიშნულის შემდეგ განმცხადებელს დაჯარიმების მუქარით მოსთხოვეს შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა. ამასთან, ჯარიმის თანხა ყოველ გადაცილებულ დღეზე გაიზრდებოდა. განმცხადებელმა არ გადასცა დოკუმენტები, რის გამოც ეკისრებოდა ჯარიმები.

სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში უნდა დაედგინა, პრივილეგია იცავდა თუ არა არავერბალური (ნივთიერი) მტკიცებულების გადაცემის მოთხოვნას. სასამართლომ ამ საკითხზე დადებითი პასუხი გასცა და ჩათვალა, რომ მსგავსი პოლიტიკა არ შეესაბამებოდა ევროპულ კონვენციას. ფანკეს იძულების ნაცვლად, შესაძლებელი იყო უცხო სახელმწიფოსთან საერთაშორისო თანამშრომლობით მსგავსი ინფორმაციის მოპოვება.⁶⁹ საფრანგეთის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომ გარკვეული პერიოდის შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები იქონიონ და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინონ, არ უნდა ლახავდეს პრივილეგიას.⁷⁰ სასამართლომ შენიშნა, რომ სახელმწიფო ფანკეს სთხოვდა

66 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: *Šmehel v. California*, 384 U.S. 757 (1966); გილბერტი კალიფორნიის ნინაღმდევ (*Gilbert v. California*), 388 U.S. 263 (1967).

67 შეად. L. H. N. Felix, *Privilege against Self-Incrimination in Independent Evidence: C plc v. P (Attorney-General Intervening)*, International Journal of Evidence & Proof, Vol. 12, no. 2, 2008, 152.

68 ფანკე საფრანგეთის ნინაღმდევ (*Funke v. France*), 1993 წლის 25 თებერვალი.

69 იხ., ასევე, S. Strelcova, *Privilege against Self-Incrimination v. the Investigative Powers of Competition Authorities*, Common Law Review, Vol. 2014, 31.

70 ფანკე საფრანგეთის ნინაღმდევ (*Funke v. France*), 1993 წლის 25 თებერვალი, 42-ე-43-ე პუნქტები.

იმ დოკუმენტებს, რომელთა არსებობასაც ვარაუდობდა,⁷¹ თუმცა არ იყო დარწმუნებული, საერთოდ არსებობდა თუ არა. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ან არ სურდათ დოკუმენტების საკუთარი ძალებით მოპოვება. აღნიშნული დაავალეს სავარაუდო დამნაშავეს და აიძულეს, მიეწოდებინა დოკუმენტები, რომლებსაც შეიძლება ემხილებინა დანაშაულის ჩადენაში.⁷² შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა პრივილეგიის დარღვევა.

J.B.-ის საქმის⁷³ მიხედვით, საგადასახადო ორგანო განმცხადებელს სთხოვდა დოკუმენტების გადაცემას გადასახადებისგან თავის არიდების შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით. განმცხადებელმა განსახილველ შემთხვევაშიც არ გადასცა მსგავსი დოკუმენტები, რის გამოც სამჯერ დაერიცხა ჭარიმა. შვეიცარიის სასამართლოს მტკიცებით, განსახილველი საქმე განსხვავდებოდა ფანკეს საქმისგან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანო არ იყო დარწმუნებული, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები არსებობდა, თუმცა ვარაუდობდა. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლისთვის, დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, ჭარიმის დაკისრება იძულების ფორმაა. სასამართლომ უარყო სახელმწიფოს არგუმენტი ფანკეს საქმისგან განსხვავების შესახებ და ჩათვალა, რომ პრივილეგიით დაცულია არა მარტო ის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო არ არის დარწმუნებული დოკუმენტების არსებობაში, არამედ ის შემთხვევაც, როდესაც დარწმუნებულია.⁷⁴ გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება მიაპყრო დოკუმენტის შინაარსსაც, კერძოდ, მიუთითა, რომ ვერ ისპეკტულირებდა, თუ როგორი იქნებოდა დოკუმენტების შინაარსი, თუმცა განმცხადებელი ვერ გამორიცხავდა, რომ დოკუმენტების გადაცემით მას შეიძლება დაკისრებოდა პასუხისმგებლობა. გამოდის, რომ პრივილეგია პირს იცავს დოკუმენტის გადაცემის იძულებისგან, მიუხედავად მისი შინაარსისა – არის ის გამამართლებელი, ნეიტრალური თუ გამამტყუნებელი ხასიათისა.⁷⁵

ზემოაღნიშნული ორი შემთხვევა ექცევა სწორედ დოკუმენტების გამონაკლისში, თუმცა, ზოგადად, მაინც ბუნდოვანი რჩება, რა კრიტერიუმის გამო ჩაითვალა სასამართლომ მსგავსი ტიპის დოკუმენტების გადაცემის იძულება პრივილეგიით დაცულ შემთხვევად. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში განმარტებების არარსებობის პირობებში, რთულია სწორხაზოვანი ლოგიკის განვითარება, მაგალითად, თუ რატომ არ ვრცელდება მითითებულ საქმეებში განვითარებული მსჯელობა სისხლის ან სხვაგვარ ნიმუშებთან მიმართებითაც. როგორც დოკუმენტი, ისე სისხლი არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად.

ქვემოთ განხილულ Jalloh-ის საქმეში აღინიშნა, რომ ფანკესა და ჭ.ბ.-ის საქმეებში პირებისგან იღებდნენ ისეთ რეალურ მტკიცებულებას, რომელსაც პირდაპირი

71 შეად. S. Sramelova, *Privilege against Self-Incrimination v. the Investigative Powers of Competition Authorities*, Common Law Review, Vol. 2014, 31-32.

72 ფანკე საფრანგეთის ნინააღმდევ (Funke v. France), 1993 წლის 25 თებერვალი, 44-ე პუნქტი.

73 ჭ.ბ. შვეიცარიის შინააღმდევ (J.B. v. Switzerland), 2001 წლის 3 აგვისტო, 64-ე-66-ე პუნქტი.

74 შეად. J. Cotton, *The Judicial Use of History in Decisions about the Privilege against Self-Incrimination*, Legal History, Vol. 13, no. 2, 2009, 203-204.

75 შეად. აშ-ის უზებაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ჰიიბელი მეექვსე რაიონული სასამართლოს ნინააღმდევ (Hiibel v. Sixth Judicial Dist. Court), 542 U.S. 189-190, (2004).

ძალა ჰქონდა. *Saunders*-ის საქმეში კი გადაცემულ მასალებს მხოლოდ ექსპერტიზის შემდეგ ექნებოდა მნიშვნელობა, მაგალითად, ორგანიზმში აღკოშოლის ან ნარკოტიკების შემცველობის დასადგენად.⁷⁶ თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამოვა, რომ ნებისმიერ მტკიცებულებაზე, რაც პირველადი ხასიათის მქონეა (ექსპერტიზების გარეშე), პირდაპირ გამოყენებადია, მაგალითად, იარაღი, ყალბი ფული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და ა.შ., უნდა ვრცელდებოდეს პრივილეგია. თუ სასამართლოს უნდოდა, რომ მსგავსი პრაქტიკა განვითარებინა, მხოლოდ ასეთი მცირე მსჯელობით არ უნდა შემოფარგლულიყო და უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმო საკითხისათვის, რათა მსგავს საქმეებზე უფრო ნათელი გამხდარიყო სასამართლოს მიდგომა. დღეის მდგომარეობით, განსახილველ საკითხებზე, განსხვავებით აშშ-ისგან,⁷⁷ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მაინც ბუნდოვანებაა.

მეორე გამონაკლისი, როდესაც ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებულ მტკიცებულებებზე შეიძლება გავრცელდეს პრივილეგია, არის განსაკუთრებული ინტენსივობის ძალის გამოყენების შემთხვევები. ამის ნათელი მაგალითია ჭალოს საქმე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში იძულების ფორმა ყოფილია რაპასუხისმგებლობის დაკისრების მუქარა, არამედ ფიზიკური იძულება, თუმცა ის მაინც მნიშვნელოვანია განსახილველი საკითხის შესაფასებლად. *Jalloh*-ის საქმეში პოლიციელმა შენიშნა განმცხადებელი იმ ადგილას, სადაც, როგორც წესი, ყიდიან ნარკოტიკებს. განმცხადებელს პირში ორი შეფუთული პაკეტი ჰქონდა, რომელთაგან ერთი მიჰყიდა სხვას. პოლიციელებმა გადაწყვიტეს მისი დაკავება, თუმცა განმცხადებელმა დაკავებამდე გადაყლაპა მეორე პაკეტი. განმცხადებელს შესთავაზეს ამოსაღებინებული საშუალების მიღება, რაზეც უარი განაცხადა. აღნიშნულის შემდეგ ექიმმა პირს ძალის გამოყენებით შეუყვანა ბონდი ცხვირის არხის გავლით და გადაყლაპა ამოსაღებინებული საშუალება. განმცხადებელმა ამოსაღებინა გადაყლაპული პაკეტი, რაც შემდგომში აღმოჩნდა კოკაინი.

ევროპული სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმეში წარმოდგენილ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებით ამოღებული მტკიცებულება (განმცხადებლის ორგანიზმში დამალული ნარკოტიკები) შეიძლება შეიკუთვნოს მასალის იმ კატეგორიას, რომელიც არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად და რომლის გამოყენებაც ზოგადად არ არის აკრძალული სისხლის სამართლის პროცესში. თუმცა არის რიგი ელემენტებისა, რაც ამ საქმეს განსხვავებს ზემოაღნიშნული პრეცედენტებისგან.⁷⁸

მითითებულ საქმეში გამოყენებული ძალა მნიშვნელოვნად განსხვავდება ძალის იმ დონისგან, რაც ჩვეულებისამებრ საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებების მოსაპოვებლად. მსგავსი მასალის მიღებისას ბრალდებული ვალდებულია, მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის უფლებებში. მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა. ზემოაღნიშნული

76 ჭალო გერმანიის წინამდოფევ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივნისი, 113-ე პუნქტი.

77 ის., მაგ., P. A. Peterson, *Decade Redrawn: Presentence Boundaries of the Privilege against Compelled Self-Incrimination since Mitchell v. U.S.*, Federal Sentencing Reporter, Vol. 25, no. 1, 2012, 81-84.

78 შად. A. M. Clemens, *The Pending Reinvigoration of Boyd: Personal Papers are Protected by the Privilege against Self-Incrimination*, Northern Illinois University Law Review, Vol. 25, no. 1, 2004, 83-84.

საქმეების მიხედვით, ეს ეხება ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებით წარმოქმნილ მასალებს (როგორებიცაა: შარდის, სუნთქვის ან სხვა ნიმუშები). აღნიშნულის საპირისპიროდ, მითითებულ საქმეში მასალის მიღების მიზნით, განმცხადებელს ძალის გამოყენებით შეუყვანეს ზონდი ცხვირის არხით და ამ ფორმით მიაწოდეს სუბსტანცია, რასაც მის ორგანიზმი პათოლოგიური რეაქციები უნდა გამოეწვია. მითითებული პროცედურა სახითაოა განმცხადებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.⁷⁹ ამ საქმეში მტკიცებულება მოიპოვეს ისეთი ფორმით, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს.⁸⁰ სასამართლომ, მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩათვალა, რომ განსახილველი შემთხვევა ექვევა პრივილეგიით დაცულ სფეროში და არღვევდა მას.

ქართულ პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემატიკა

სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსკ) 381-ე მუხლით კრიმინალიზებულია ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან/და მისი შესრულებისათვის ხელის შეშრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აგვისტოს №1/308-20 განაჩენის მიხედვით, ბრალდებული საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა, როდესაც მის მიმართ გაიცა სასამართლოს განჩინება, რომლითაც საგამოძიებო ორგანოს ნება დაერთო, ბრალდებულისგან საექსპერტო კვლევისთვის აეღოთ ნერწყვისა და ხელის კვალის ნიმუშები. ბრალდებულს გააცნეს აღნიშნული განჩინება, თუმცა მან უარი განაცხადა ამ ნიმუშების გადაცემაზე, რის გამოც ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა, მათ შორის, იძულების ღონისძიებების გამოყენებით. სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.⁸¹

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ჩანს, მსგავსი ფორმით მტკიცებულების მოპოვება არ არღვევს პრივილეგიას, თუმცა საკითხი პრობლემურია მატერიალური ნორმის განმარტების ჭრილში. კითხვის ნიშნებს იწვევს, რამდენად არის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მითითებული შემთხვევები, იმის გათვალისწინებით, რომ ის საგამოძიებო ორგანოს ნებას რთავს კონკრეტული ქმედების განხორციელებაზე და კონკრეტულ პირს არაფერს ავალებს (ან უკრძალავს). კერძოდ, მსგავსი განჩინებები არ არის მავალდებულებელი (ან ამკრძალავი) - მასში არ იწერება, რომ კონკრეტულმა პირმა უნდა გადასცეს, მაგალითად, ბიოლოგიური მასალა, არამედ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეძლევა ნება, რომ აიღოს ეს მასალა. მეტიც, სამართალდამცავ ირგანოებს შეუძლიათ, საერთოდ არ ჩაატარონ აღნიშნული საპროცესო მოქმედება მაშინაც კი, თუ გაიცა სასამართლოს განჩინება - ეს არის მათი გადასაწყვეტი. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის კლასიკური მაგალითია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების

79 ქალონ გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივნისი, 114-ე პუნქტი.

80 იქვე, 115-ე პუნქტი.

81 იხ. სხვა მსგავსი საქმეები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის №1/3555-20 განაჩენი, 2021 წლის 10 მარტის №1/3324-20 განაჩენი, საქართველოს უზგანესი სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის №449აპ-18 განჩინება.

აკრძალვის შემთხვევაში პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა. ასეთ დროს არსებობს კონკრეტული აკრძალვა, რომელსაც პირი არ ასრულებს, ხოლო ჩვენ მიერ დასმულ პრობლემაში არც ვაღდებულება არსებობს და არც აკრძალვა. თუ სასამართლოს ამ პრაქტიკას გავყვებით, რატომ არ შეიძლება ამავე ნორმის გავრცელება ჩხრეკის, ამოღების, დათვალიერების ან სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მიმართ? კითხვა, ცხადია, რიტორიკულია და შემდგომი პრაქტიკა არ უნდა განვითარდეს არსებული მიმართულებით.

2.1.2. პრივილეგიის გავრცელება მატერიალურ მტკიცებულებებზე (აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა)

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს პირის იძულებას, სახელმწიფოს გადასცეს ვერბალური ინფორმაცია.⁸² აღნიშნული პრაქტიკა პირდაპირ ირკვლავს კონსტიტუციის მე-5 შესწორების ჩანაწერს, რომელიც კრძალავს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.⁸³ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მითითებულ საკითხებზე ერთგვაროვანი მიდგომები ჩამოაყალიბა⁸⁴ სხვადასხვა საქმეში, მათ შორის, მირანდასას⁸⁵ და გრიფინის⁸⁶ საქმეებში.⁸⁷

ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში ის ფაქტი, რომ ბრალდებულს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ჩვენების არმიცემის გამო, ფასდება პრივილეგიის დარღვევად.⁸⁸ ამ ნაწილში აშშ-ის სასამართლოს პრაქტიკა ემთხვევა ევროპული სასამართლოს მიღვომას.⁸⁹

აშშ-ის სამართლებრივ რეალობაში შესაფასებელი იყო, რა ფარგლებში გრცელდებოდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ბრალდებულებზე. პირველ რიგში, უნდა გამოვვეთილიყო, რა იყო გარანტიის დაცვის საგანი, ანუ რა ტიპის მტკიცებულების გადაცემის იძულებას კრძალავდა მითითებული პრინციპი.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მტკიცებულებები დაყო მატერიალურ და არამატერიალურ მტკიცებულებებად.⁹⁰ პირველად მსგავსი კლასიფიკაცია გაკეთდა Holt v. United States საქმეში. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, პატიმარს ამოცნობის მიზნებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარით აიძულეს, ჩაეცვა კონკრეტული ტანსაცმელი. პატიმარი მიუთითებდა, რომ მსგავსი

82 D. Catrocho, *Do You Know Where Your Children Are – Caylee’s Law and a Parent’s Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination*, Seton Hall Legislative Journal, Vol. 39, no. 2, 2015, 480.

83 A. Strandberg, *Asking for It: Silence and Invoking the Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination after Salinas v. Texas*, Charleston Law Review, Vol. 8, no. 4, 2014, 595-596.

84 R. Kitai-Sangero, *Respecting the Privilege against Self-Incrimination: A Call for Providing Miranda Warnings in Non-Custodial Interrogations*, New Mexico Law Review, Vol. 42, no. 1, 2012, 207.

85 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: მირანდა არიზონას წინააღმდეგ (*Miranda v. Arizona*), 384 U.S. 436 (1966).

86 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გრიფინი კალიფორნიის წინააღმდეგ (*Griffin v. California*), 380 U.S. 609 (1965).

87 მითითებულ საქმეთა მნიშვნელობაზე იხ. C. Theophilopoulos, *The So-Called Right to Silence and the Privilege against Self-Incrimination: A Constitutional Principle in Search of Cogent Reasons*, South African Journal on Human Rights, Vol. 18, no. 4, 2002, 508-511.

88 A. Strandberg, *Asking for It: Silence and Invoking the Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination after Salinas v. Texas*, Charleston Law Review, Vol. 8, no. 4, 2014, 598.

89 შეად. B. Andoh, *Search Order and the Privilege against Self-Incrimination*, The Business Law Review, Vol. 26, no. 1, 2005, 6-8.

90 შეად. CTheophilopoulos, *Defining the Limits of the Common-law, South African and European Privilege against Self-Incrimination*, Stellenbosch L. Rev25 no. 1, 2014, 167-168.

თვითინაპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

იძულებით მოპოვებული მტკიცებულება ეწინააღმდეგებოდა მე-5 შესწორებას, თუმცა უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია. კერძოდ, განიმარტა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების აკრძალვა გულისხმობს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულებით ინფორმაციის მოპოვებისგან დაცვას და არ ვრცელდება სხეულზე, როგორც მტკიცებულების წყაროზე, როდესაც ის მატერიალური ტიპის ინფორმაციას იძლევა.⁹¹

სასამართლოებმა შემდგომშიც გაიზიარეს მითითებული მსჯელობა და ითვლება, რომ მატერიალური, ანუ სხეულებრივი მტკიცებულების გადაცემის იძულება არ არღვევს მე-5 შესწორებას. აღნიშნული მიდგომა განვითარდა და მოიცვა სხვა ტიპის მტკიცებულებებიც, მათ შორის: სისხლის, კალიგრაფიული,⁹² სუნთქვის, ხმისა⁹³ და სხვა ტიპის ნიმუშების აღება შესაბამისი ექსპერტიზის ჩასატარებლად.⁹⁴ საქმის – *Schmerber v. California* – მიხედვით, შმერბერისგან აიღეს სისხლის ნიმუში, რათა დაედგინათ ალკოჰოლური თრობის დონე. უზენაესმა სასამართლომ მე-5 შესწორება შეზღუდულად განმარტა და დაადგინა, რომ ის ბრალდებულებს იცავს მამხილებელი ინფორმაციის ვერბალურად გადაცემის იძულებისგან.⁹⁵ იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებულება აღებული იყო შმერბერის სხეულიდან და ის არ იყო იძულებული, ელაპარაკა, ანუ შეექმნა ვერბალური მტკიცებულება, არ დადგინდა მე-5 შესწორების დარღვევა.⁹⁶

ზოგიერთ შემთხვევაში ძალგე რთულია მატერიალურ და არამატერიალურ მტკიცებულებებს შორის მკაცრი ზღვრის გავლება.⁹⁷ შმერბერის საქმეში მოსამართლე ბრენენმა მოიყვანა მაგალითი, როდესაც პირს აერთებენ სიცრუის დეტექტორზე, რომელიც ამოწმებს პასუხის გაცემის დროს სხეულში მომხდარ ცვლილებებს, რათა განსაზღვროს, პირი სიმართლეს ამბობს თუ სიცრუეს. ეს მაგალითი მიუთითებს, რომ მატერიალურ და არამატერიალურ მტკიცებულებებს შორის ზღვრის გავლება რთულია,⁹⁸ ვინაიდან ამ მაგალითშივე ჩანს, რომ სხეული, როგორც მატერიალური ინფორმაციის წყარო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვენების მისაცემად.⁹⁹

წლების შემდეგ მატერიალურ და არამატერიალურ მტკიცებულებებს შორის მიჯნის მკაცრად განუსაზღვრელობამ გამოიწვია ბუნდოვანება და იურისტებში აზრთა სხვადასხვაობა, თუ როგორ უნდა განმარტებულიყო მე-5 შესწორება.¹⁰⁰

91 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ჰოლტი აშშ-ის ნინააღმდევ (Holt v. United States), 218 U.S. 252-253 (1910).

92 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: კილბერტი კალიფორნიის ნინააღმდევ (Gilbert v. California), 388 U.S. 263, 265-67 (1967).

93 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: აშშ დიონისიოს ნინააღმდევ (United States v. Dionisio), 410 U.S. 1, 5-6 (1973).

94 იბ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილები: შმერბერი კალიფორნიის ნინააღმდევ (Schmerber v. California), 384 U.S. 757 (1966); კილბერტი კალიფორნიის ნინააღმდევ (Gilbert v. California), 388 U.S. 263 (1967).

95 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: შმერბერი კალიფორნიის ნინააღმდევ (Schmerber v. California), 384 U.S. 763, (1966).

96 იქვე, 765.

97 M. B. Holloway, *One Image, One Thousand Incriminating Words: Images of Brain Activity and the Privilege against Self-Incrimination*, *Temple Journal of Science, Technology & Environmental Law*, Vol. 27, no. 1, 2008, 157-160.

98 შეად. S. Vance, *Looking at the Law: An Updated Look at the Privilege against Self-Incrimination in Post-Conviction Supervision*, *Federal Probation*, Vol. 75, no. 1, 2011, 33-36.

99 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: შმერბერი კალიფორნიის ნინააღმდევ (Schmerber v. California), 384 U.S. 764, (1966).

100 R. MacDonald IV Drane, *Self-Incrimination: Are Underlying Questions about a Pending Conviction on Appeal a Violation of a*

მითითებული პრეცედენტების შემდეგ უზენაესი სასამართლოს მიერ ერთიანი, სისტემური განმარტება არ გაკეთებულა, არამედ ყოველ კონკრეტულ საქმეში განიმარტებოდა, მტკიცებულება იყო მატერიალური თუ არამატერიალური. მსგავსი მიდგომა, ერთი მხრივ, მოქნილია და იძლევა კონსტიტუციის დინამიკი განმარტების შესაძლებლობას, თუმცა, მეორე მხრივ, იწვევს დაბნეულობასა და სამართლებრივ გაურკვევლობასაც.¹⁰¹

მოპოვებული მტკიცებულება მატერიალური ტიპის იყო თუ არამატერიალური, სადაც გახდა საქმეში – *Doe v. United States*. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებული აიძულეს, რომ ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემდა, უცხოური ბანკებისგან გამოეთხოვა მისიანგარიშების შესახებინფორმაცია. ხელის მოწერაზეუარის თქმის შემთხვევაში, პირს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა.¹⁰² პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ხელის მოწერა იყო არამატერიალური, ჩვენების ტიპის მტკიცებულება, ვინაიდან ხელის მოწერის ფაქტი ადასტურებდა, რომ დოი აკონტროლებდა ანგარიშებს უცხოეთში, ანუ რაღაც ინფორმაციას გადმოსცემდა. აღნიშნული არ გაიზიარეს ზემდგომმა სასამართლოებმა და ფიზიკურ ქცევას არ მიანიჭეს არამატერიალური ხასიათი.¹⁰³ მსგავსი მიდგომა პროცესურია და, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, გარკვეულწილად, გადაისინჯა.¹⁰⁴

2.1.2.1. ფიზიკური ქცევის არამატერიალური ხასიათი და მისი დაცვა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით

ადრეული პერიოდის საქმეებში, ფაქტობრივად, გამოირიცხებოდა ფიზიკური ქცევისთვის არამატერიალური ხასიათის მინიჭება, შესაბამისად, მასზე მე-5 შესწორება არ ვრცელდებოდა. დოის საქმე იყო ის შემთხვევა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო შეეცადა, ჩვენებად ჩაეთვალა არა მარტო კლასიკური გაგებით ინფორმაციის მიწოდება, არამედ ფიზიკური ხასიათის ქცევაც.

საქმეში – *Fisher v. United States* – დადგინდა სახელმწიფოს მიერ იძულებით მატერიალური (არავერბალური) ტიპის მტკიცებულების მოპოვების სტანდარტები. სასამართლომ განავითარა ორი უმნიშვნელოვანესი დოქტრინა, – წარმოების აქტისა და წინასწარი დასკვნის დოქტრინები,¹⁰⁵ – რომელთაც შემდგომში დაეყრდნო თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის ზოგადი მიდგომები.

წარმოების აქტის დოქტრინა აფასებს, რამდენად არის ფიზიკური ქცევა ჩვენების ტიპის, ანუ არამატერიალური ხასიათის. წინასწარი დასკვნის დოქტრინა განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც, მიუხედავად აქტის ჩვენების ხასიათისა,

¹⁰¹ Defendant's Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination: Court of Appeals of New York, Touro Law Review, Vol. 30, no. 4, 2014, 1150.

¹⁰² K.Goldman, Biometric passwords and the privilege against self-incrimination. Cardozo Arts & Entertainment Law Journal, 33(1), 2015, 218.

¹⁰³ აშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: დოი აშ-ის ნინაომდევ (Doe v. United States), 487 U.S. 201 (1988).

¹⁰⁴ იხ. მაგალითად, C. M. Morrison, Passwords, Profiles, and the Privilege against Self-Incrimination: Facebook and the Fifth Amendment, Arkansas Law Review, Vol. 65, no. 1, 2012, 155-157.

¹⁰⁵ O.S.Kerr, Compelled Decryption and the Privilege against Self-Incrimination, Texas Law Review, Vol. 97, no. 4, 2019, 771.

თვითინაპრომინაციისგან დაცვის პრივატულების

შეიძლება სახელმწიფოს მიერ მტკიცებულების იძულებით მოპოვება.¹⁰⁶

2.1.2.1.1. წარმოების აქტის დოქტრინა

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივატულების, ანუ აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 შესწორებით გათვალისწინებული გარანტია მოქმედებს, თუ კუმულაციურად არსებობს შემდეგი გარემოებები:¹⁰⁷

- ა) სახელმწიფოს მიერ ბრალდებულის იძულება, რომ მტკიცებულება გადასცეს სახელმწიფოს;¹⁰⁸
- ბ) გადაცემული მტკიცებულების ჩვენების ხასიათი;¹⁰⁹
- გ) ჩვენების მაინკრიმინებელი ხასიათი.¹¹⁰

წარმოების აქტის დოქტრინა ასაბუთებს, კონკრეტული აქტი არის თუ არა ჩვენების ხასიათის. ვერბალურად ინფორმაციის გადაცემა, ცხადია, ჩვენების ხასიათისაა, თუმცა შეიძლება გამოვლინდეს შემთხვევებიც, როდესაც ინფორმაცია ვერბალურად არ გადაიცემა, მაგრამ აქტს მაინც აქვს კომუნიკაციის ასპექტი.¹¹¹ მაგალითად, პირმა იკითხა, „ვინ მოიპოვა მტკიცებულება“ და აღნიშნულზე სხვა პირმა უპასუხა, რომ მტკიცებულება თავად მოიპოვა; მეორე მხრივ, შეიძლება კითხვის ისე ფორმულირება, რომ პასუხის სიტყვიერად გაცემა არ იყოს საჭირო. მაგალითად, „აწიოს ხელი იმ პირმა, რომელმაც მოიპოვა მტკიცებულება“. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ არის საჭირო პასუხის სიტყვიერად დაფიქსირება, თუმცა ხელის აწევა იმავეს ნიშნავს, რასაც „მე“ სიტყვის თქმა.¹¹² ანალოგიური ლოგიკა უნდა გავრცელდეს ფიზიკურ ქცევაზე - მატერიალური მტკიცებულების გადაცემაზე. უნდა დადგინდეს, რას „ამბობს“ ბრალდებული მატერიალური მტკიცებულების გადაცემით. თუ მატერიალური მტკიცებულების გადაცემა სამართალდამცავ ორგანოს გარკვეულ ინფორმაციას აწვდის, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ის ჩვენების ტიპისაა.¹¹³

როგორც აღინიშნა, წარმოების აქტის დოქტრინა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაამკვიდრა Fisher-ის საქმეში. ფაქტების მიხედვით, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ბუღალტრის მიერ მომზადებული დოკუმენტების გადაცემა ექცეოდა თუ არა ჩვენების ტიპის მტკიცებულებების კლასიფიკაციაში. აღნიშნულს ჰქონდა ფუნდამენტური მნიშვნელობა, ვინაიდან მე-5 შესწორება კრძალავს მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. სასამართლოს

106 E.Lemus,*When Fingerprints Are Key: Reinstating Privacy to the Privilege against Self-Incrimination in Light of Fingerprint Encryption in Smartphones*, SMU Law Review, Vol. 70, no. 2,2017,552-554.

107 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ჰიბელ მეექვსე რაიონული სასამართლოს ნინააღმდევ (Hiibel v. Sixth Judicial Dist. Court), 542 U.S. 177, 189 (2004).

108 იქვე.

109 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: დოი აშშ-ის ნინააღმდევ (Doe v. United States), 487 U.S. 201, 208, 210-11, 215 (1988).

110 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ჰიბელ მეექვსე რაიონული სასამართლოს ნინააღმდევ (Hiibel v. Sixth Judicial Dist. Court), 542 U.S. 189-190, (2004).

111 C.Theophilopoulos,*Electronic Documents, Encryption, Cloud Storage and the Privilege against Self-Incrimination*, South African Law Journal, Vol. 132, no. 3, 2015, 601-603.

112 O. S.Kerr, *Compelled Decryption and the Privilege against Self-Incrimination*, Texas Law Review, Vol. 97, no. 4, 2019, 773.

113 C. Moy, *Does the Privilege against Self-Incrimination Protect Information Contained in Voluntary Created Documents*, Preview of United States Supreme Court Cases, no. 5, 2000, 264-265.

განმარტებით, მე-5 შესწორების ფარგლებში არ ექცევა დოკუმენტების შინაარსი, ანუ დოკუმენტი არის არა ჩვენება, არამედ მატერიალური მტკიცებულება.¹¹⁴

მართალია, დოკუმენტის შინაარსს არ იცავს მე-5 შესწორება, თუმცა ცალკე შესაფასებელია, თავად გადაცემის ფაქტი ხომ არ არის ჩვენების ხასიათის.¹¹⁵ უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დოკუმენტების გადაცემა აშკარად მიუთითებდა შემდეგ სამ გარემოებაზე (ანუ ფიზიკური ქცევა არამატერიალური ტიპის მტკიცებულების როლში გამოდიოდა):

- ა) დოკუმენტები არსებობდა;
 - ბ) დოკუმენტები ამ კონკრეტული პირის მფლობელობაში იყო;
 - გ) გადაცემული დოკუმენტები იყო სწორედ ის დოკუმენტები,
- რომელსაც სახელმწიფო ითხოვდა (ანუ ისინი ავთენტურია).¹¹⁶

Fisher-ის საქმეში ბუღალტერმა მოამზადა მოთხოვნილი დოკუმენტები. თავის მხრივ, დოკუმენტების გადაცემით პირი მიუთითებს, რომ ეს დოკუმენტები არსებობდა; გარდა ამისა, გადაცემა მიუთითებს, რომ ეს დოკუმენტები მის მფლობელობაში იყო, ვინაიდან შეუძლებელია ისეთი დოკუმენტის თავადვე გადაცემა, რომელსაც არ ფლობ;¹¹⁷ მესამე მხრივ, დოკუმენტების გადაცემა მიუთითებს, რომ გადაცემული დოკუმენტები არის ის დოკუმენტები, რომლებიც სახელმწიფომ მოითხოვა, ანუ ისინი ავთენტურია. აღნიშნული იქიდან გამომდინარეობს, რომ დოკუმენტები გადაცემულია მოთხოვნის შესასრულებლად - თუ პირი მოთხოვნას ასრულებს, ე.ო. იმ დოკუმენტებს გადმოგცემს, რომლებიც მოთხოვნაშია მითითებული.¹¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, დამზადება-გადაცემის აქტი ნაგულებად გულისხმობს შემდეგს: „მე ვფიქრობ, რომ ესენი ის დოკუმენტებია, რომლებსაც თქვენ ეძებთ“.¹¹⁹

წარმოების აქტის დოქტრინა არ გადასინჯულა შემდეგი პერიოდის საქმეებში და როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები, ისე უზენაესი სასამართლო აქტიურად იყენებს მითითებულ პრინციპს. მაგალითად, თუ პირი სამართალდამცავ ორგანოში წარადგენს ცეცხლსასროლ იარაღს, წარდგენის ფაქტი მიუთითებს, რომ ის ფლობდა მას.¹²⁰ იმის გათვალისწინებით, რომ იარაღის ფლობა არის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი, პირმა იარაღის წარდგენით, ფაქტობრივად, აღიარა დანაშაული.¹²¹ იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მსგავსი მიწოდება ვერ მოიაზრება კლასიკური ტიპის ჩვენებად, არკანგასის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი ლორენ საქართვი აღნიშნავს,

114 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ფიშერი აშშ-ის წინააღმდეგ (*Fisher v. United States*), 425 U.S. 410 (1976).

115 შეად. E.Taylor, *A New Wave of Police Interrogation – Brain Fingerprinting the Constitutionality Privilege against Self-Incrimination, and Hearsay Jurisprudence*, *University of Illinois Journal of Law, Technology & Policy*, Vol. 2006, no. 2, 2006, 303-304.

116 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ფიშერი აშშ-ის წინააღმდეგ (*Fisher v. United States*), 410-411, U.S. 410 (1976).

117 შეად. K. Goldman, *Biometric passwords and the privilege against self-incrimination*. *Cardozo Arts & Entertainment Law Journal*, 33(1), 2015, 218.

118 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ფიშერი აშშ-ის წინააღმდეგ (*Fisher v. United States*), 425 U.S. 411 (1976).

119 O. S. Kerr, *Compelled Decryption and the Privilege against Self-Incrimination*, *Texas Law Review*, Vol. 97, no. 4, 2019, 773.

120 L.Sacharoff, *Unlocking the Fifth Amendment: Passwords and Encrypted Devices*, 87 *Fordham L. Rev.* 2018, 217.

121 შეად. J. Reich, *A New Hurdle to International Cooperation in Criminal Investigations: Whether Foreign Government-Compelled Testimony Implicates the Privilege against Self-Incrimination*, *University of Pennsylvania Law Review*, Vol. 166, no. 3, 2018, 809-815.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივატულების

რომ მას შეიძლება ეწოდოს „კვაზიჩვენება“. ამასთან, მასზე მხოლოდ გარკვეული მოცულობით უნდა ვრცელდებოდეს კლასიკური ჩვენების გარანტიები.¹²²

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, პროფესორი საქართვი მიიჩნევს, რომ კვაზიჩვენებაზე კონსტიტუციის მე-5 შესწორების გარანტიები უნდა გავრცელდეს არა სრული მოცულობით, არამედ გამონაკლის შემთხვევებში. თუ ჩავთვლით, რომ ყოველი დოკუმენტის, იარაღის ან სხვა მატერიალური მტკიცებულების გადაცემა კვაზიჩვენებაა, წაიშლება ზღვარი მატერიალური მტკიცებულებისა და ჩვენების მოპოვებას შორის. გამოვა, რომ მატერიალური მტკიცებულების გადაცემა ყოველთვის მიუთითებს მის არსებობაზე, ფლობასა და ავთენტურობაზე. მსგავსი განმარტების თავიდან ასაცილებლად Fisher-ის საქმეში სასამართლომ დააწესა ორი შეზღუდვა, კერძოდ: 1. გარანტია არ მოქმედებს, თუ ჩვენება არ არის მნიშვნელოვანი,¹²³ ან 2. სამართალდამცავ ორგანოს წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია მსგავსი მტკიცებულების არსებობის, ფლობისა და ავთენტურობის შესახებ, ანუ არსებობდა ე.წ. „წინასწარი დასკვნა“.¹²⁴

Fisher-ის საქმეში სასამართლოს არ განუმარტავს, რა კრიტერიუმებით უნდა გაიზომოს, არის თუ არა ჩვენება მნიშვნელოვანი. ამასთან, არც შემდგომი პერიოდის პრეცედენტებში განუმარტავთ, მაგალითად, თუ სამართალდამცავი ორგანო აიძულებს პირს, რომ გადასცეს მის ლეპტონში არსებული ინფორმაცია შესაძლო ბავშვთა პორნოგრაფიაზე, სასამართლო ცალკე არ აფასებს, გადაცემის აქტი იყო თუ არა მნიშვნელოვანი ჩვენება.¹²⁵ მსგავსი კატეგორიის საქმეებში ავტომატურად უნდა იგულისხმებოდეს, რომ ჩვენება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქმედების ობიექტურ ნიშანს ეხება. მსგავსი მიზნა მყიფეა და არც ცალსახა სასამართლო პრაქტიკა არსებობს. შესაბამისად, თუ მტკიცებულება ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ადასტურებს, უნდა ივარაუდებოდეს, რომ ჩვენება მნიშვნელოვანია.¹²⁶

რაც შეეხება სასამართლოს მიერ დადგენილ მეორე შეზღუდვას, ე.წ. „წინასწარ დასკვნას“, ის ძალგებ მნიშვნელოვანი საკითხია და ცალკე შეფასებას მოითხოვს.

2.1.2.1.2. წინასწარი დასკვნის დოქტრინა

წინასწარი დასკვნის დოქტრინა გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც კვაზიჩვენებას არ იცავს პრივილეგია.¹²⁷ კერძოდ, თუ წარმოების აქტით, ანუ კვაზიჩვენებით გამჟღავნებული ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოსთვის ისედაც ცნობილი იყო, წარმოების აქტი აღარ მიიჩნევა ჩვენებად. ამ დოქტრინის მიხედვით, თუ სახელმწიფომ იცის, რომ ბრალდებული ფლობს კონკრეტულ დოკუმენტებს (ცხადია, აღნიშნული უნდა დგინდებოდეს გონივრული კონკრეტიზაციით), წარმოების აქტი თითქმის არაფერს სძენს სამართალდამცავი ორგანოების აქამდე

122 L.Sacharoff, *Unlocking the Fifth Amendment: Passwords and Encrypted Devices*, 87 Fordham L. Rev. 2018, 218.

123 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ფიშერი აშშ-ის წინასაღმდეგ (*Fisher v. United States*), 425 U.S. 411 (1976).

124 იქვე, 411-412.

125 მაგ., In re Grand Jury Subpoena Duces Tecum Dated Mar. 25, 2011, 670 F.3d 1335, 1346–49 (11th Cir. 2012).

126 L. Sacharoff, *Unlocking the Fifth Amendment: Passwords and Encrypted Devices*, 87 Fordham L. Rev. 2018, 218.

127 N. J. Ajello, *Fitting a Square Peg in a Round Hole: Bitcoin, Money Laundering, and the Fifth Amendment Privilege against Self-Incrimination*, Brooklyn Law Review, Vol. 80, no. 2, 2015, 455.

არსებულ ცოდნას. შედეგად, ის უკვე აღარ არის ჩვენების ტიპის.¹²⁸ მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა მობილურში შენიშნა ბავშვთა პორნოგრაფია, რა დროსაც მოწყობილობის მესაკუთრემ დაბლოკა ის. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს შეუძლია, მოსთხოვოს პირს მობილურში არსებული ინფორმაციის გადაცემა, ვინაიდან მას უკვე აქვს გონივრული კონკრეტიზაციით ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ინახება მოწყობილობაში.¹²⁹ შესაბამისად, უკვე არსებობს წინასწარი დასკვნა.

მითითებულ დოქტრინას უზენაესი სასამართლო აქტიურად იყენებს სხვადასხვა პრეცედენტში. მაგალითად, *United States v. Hubbell*-პირიგამართლდამთაქტის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო თაღლითობის საქმეზე მტკიცებულებები მოპოვებული იყო პრივილეგიის დარღვევით. სასამართლო განხილვებისას ბრალდების მხარემ ვერ შეძლო, დაემტკიცებინა, რომ დოკუმენტების გადაცემის მოთხოვნის დროს მან რაიმე ფორმით იცოდა დოკუმენტების არსებობისა და ბრალდებულის მიერ მათი ფლობის შესახებ.¹³⁰

განსხვავებით ფიშერის საქმისგან, ჰაბელის საქმეში სახელმწიფოს არ ჰქონდა წინასწარი ცოდნა პირის მიერ კონკრეტული დოკუმენტების ფლობასთან დაკავშირებით. ამდენად, ჰაბელის საქმეში დადგინდა კონსტიტუციის მე-5 შესწორების დარღვევა.

3. პრივილეგიის, როგორც უფლების, შეზღუდვის შესაძლებლობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

3.1. აბსოლუტური თუ ფარდობითი უფლება?

უფლების აბსოლუტური ხასიათი გულისხმობს მისგან გადახვევის დაუშვებლობას, ანუ ისეთი გარემოების არარსებობას, რომელიც გაამართლებდა უფლებაში ჩარევას.¹³¹ პრივილეგიასა და დუმილის უფლებასთან დაკავშირებით აბსოლუტურობა და ფარდობითობა უნდა იყოს განხილული მათი პირდაპირი და არაპირ-დაპირი გამოვლენის ფორმებით.

ევროპულ სასამართლოს პირდაპირი არასათანადო იძულების ყველა ფორმასთან დაკავშირებით აბსოლუტურობის ჭრილში არ უმსჯელია. პირველად საკითხი დაისვა სონდერსის საქმეში, სადაც იძულების მექანიზმი იყო პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარა - თუ განმცხადებელი სახელმწიფოს არ მიაწვდიდა ინფორმაციას ვერბალური ფორმით, მას დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველი საქმის მიზნებისთვის ვერ ხედავს პრივილეგიის აბსოლუტურობის ჭრილში განმარტების

¹²⁸ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილები: (*ფიშერი აშშ-ის წინააღმდეგ*) *Fisher v. United States*, 425 U.S. at 411; აშშ ჰაბელის წინააღმდეგ (*United States v. Hubbell*), 530 U.S. 27, 44 (2000).

¹²⁹ L. Sacharoff, *Unlocking the Fifth Amendment: Passwords and Encrypted Devices*, 87 Fordham L. Rev. 2018, 218.

¹³⁰ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: აშშ ჰაბელის წინააღმდეგ (*United States v. Hubbell*), 530 U.S. 27-32 (2000).

¹³¹ ე. გოცირიძე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პაატა ტურავას სამეცნიერო რედაქტორობით, თბ., 2013, 54.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

აუცილებლობას.¹³² ამ საქმეში სახელმწიფო მიუთითებდა, რომ თაღლითობის სპეციფიკური მახასიათებლების გამოაუცილებელი იყო პრივილეგიის პრინციპიდან გადახვევა და გამოკითხვისას მამხილებელი ინფორმაციის მიწოდების აკრძალვაზე უარის თქმა. სასამართლომ მიუთითა, რომ კორპორაციული თაღლითობის კომპლექსურობა და მსგავსი დანაშაულის გამოძიებასა და პასუხისმგებელი პირების დასჯის საზოგადო ინტერესი არ ამართლებს ამ საქმეში ასეთ ძლიერ გადახვევას სამართლიანი პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან. მე-6 მუხლში მითითებული სამართლიანობის ზოგადი გარანტიები, მათ შორის პრივილეგია, ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში ყველა კატეგორიის დანაშაულზე, მიუხედავად მისი კომპლექსურობისა. აკრძალულია საჯარო ინტერესით იძულებით მიღებული ჩვენებების საფუძველზე პირის ბრალეულობის დამტკიცების გამართლება.¹³³ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ გასცა კითხვას პასუხი, რომ პრივილეგია არ შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის ტიპით.¹³⁴ არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის სიმძიმესა და სირთულეს - ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა დაიცვას პრივილეგია.¹³⁵

პრივილეგია და დუმილის უფლება არის თუ არა აბსოლუტური, ევროპულმა სასამართლომ პირველად იმსჯელა არაპირდაპირი არასათანადო იძულების მაგალითზე, John Murray-ის საქმეში.¹³⁶ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი პოლიციამ და შემდგომში სასამართლომ გააფრთხილა, რომ მისი დუმილი შეიძლება შეფასებულიყო მისსავე წინააღმდეგ, მისი ბრალეულობის დამადასტურებლად.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, „კითხვაზე, დუმილის უფლება არის თუ არა აბსოლუტური ხასიათის, პასუხი უნდა იყოს უარყოფითი.“¹³⁷ კერძოდ, ბოგიერთ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები შეიძლება იმდენად დამაჯერებელი იყოს, რომ მოითხოვდეს ბრალდებულისგან ახსნა-განმარტებებს. მტკიცებულებების ასეთი სიუხვის შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ, თუ ბრალდებული დუმილი ირჩევს, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე პასუხები არ არსებობს, ანუ დუმილი ფასდება მის წინააღმდეგ. „ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა გაირკვეს, არის თუ არა ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად მყარი, რათა საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას.“¹³⁸ თუ ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს იმდენად მცირე მტკიცებულებითი ღირებულება აქვს, რომ არ მოითხოვს ახსნა-განმარტებას, დუმილის საფუძველზე დაუშვებელია პირის ბრალეულობის შესახებ

132 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Saunders v. The United Kingdom), 1996 წლის 17 დეკემბერი, 74-ე პუნქტი.

133 იქვე.

134 იხ., ასევე, M.Seet, *Suspected Terrorists and the Privilege against Self-Incrimination*, Cambridge Law Journal, Vol. 74, no. 2, 2015, 208-210.

135 იხ., ასევე, R.Moules, *Statutory Suspension of the Privilege against Self-Incrimination: A Half-Finished Job*, Cambridge Law Journal, Vol. 67, no. Part 2, 2008, 234.

136 კონ მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Murray v. The United Kingdom), 1996 წლის 8 თებერვალი.

137 იქვე, 47-ე პუნქტი.

138 იხ., ასევე, H. Lai Ho, *The Privilege against Self-Incrimination and Right of Access to a Lawyer; A Comparative Assessment*, Singapore Academy of Law Journal, Vol. 25, no. Special Issue, 2013, 829-833.

დასკვნის გამოტანა.¹³⁹ განსახილველ საქმეში სასამართლომ არ დაადგინა დუმილის უფლების დარღვევა.

Telfner-ის საქმეში განმცხადებლის დუმილის უფლებაშეფას დამისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ანუ დაირღვა ე.წ. „საწინააღმდეგო დასკვნის“¹⁴⁰ აკრძალვის წესი. კონტურების საქმისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არსებული მტკიცებულებები არ იყო იმდენად ძლიერი, რომ ბრალდებულის დუმილის საფუძველზე ერთადერთი გონივრული დასკვნა ყოფილიყო მისი ბრალეულობა.¹⁴¹ შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა დუმილის უფლების დარღვევა.

3.2. პრივილეგიის დარღვევის შეფასების ტესტი

პრივილეგია და დუმილის უფლება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებია და მათი შესაძლო დარღვევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს განსაკუთრებული სიფრთხილით. სასამართლომ ჩამოაყალიბა შემდეგი კრიტერიუმები,¹⁴² რომელთა გათვალისწინებითაც აფასებს პრივილეგიისა და დუმილის უფლების შესაძლო დარღვევებს:

- ა) იძულების ბუნება და ხარისხი;
- ბ) საპროცესო გარანტიების არსებობა;
- გ) საქმეში მტკიცებულებების გამოყენების ხარისხი;
- დ) გამოძიების საჯარო ინტერესი.

პირველი კრიტერიუმი, ანუ იძულების ბუნება და ხარისხი, ფასდება გამოყენებული ფსიქოლოგიური, ფიზიკური, მორალური და სხვაგვარი იძულების მეთოდების, მათი ინტენსივობისა და ბრალდებულზე ზემოქმედების გათვალისწინებით. Jalloh-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო ოთხი პოლიციელის მიერ განმცხადებლის გაკავებას, ცხვირის არხის გავლით კუჭში ზონდის შეყვანასა და მისი მეშვეობით ამოსალებინებელი საშუალების მიცემას. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ იძულების ინტენსივობა აღწევდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.¹⁴³

მეორე კრიტერიუმში, ანუ საპროცესო გარანტიების არსებობაში, ევროპული სასამართლო მოიაზრებს ადვოკატზე წვდომის შესაძლებლობას, თარგიმნის უფლებას, ბრალდებულისთვის უფლებების განმარტებას, შეკიბრებითობის დაცვას, საპროცესო მოქმედებების ჩატარებას მცოდნე ექსპერტის მიერ და ა.შ.¹⁴⁴ რაც ნაკლებია საპროცესო გარანტიები, მით ნაკლები ინტენსივობის იძულება უნდა იქნეს გამოყენებული და მსგავსი მეთოდით მოპოვებულ მტკიცებულებას უნდა მიენიჭოს ნაკლები ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა პრივილეგია ან/და დუმილის უფლება.

მესამე კრიტერიუმში, ანუ მტკიცებულების გამოყენების ხარისხში, მოიაზრება

¹³⁹ კონტურები გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Murray v. The United Kingdom), 1996 წლის 8 თებერვალი, 47-ე პუნქტი.

¹⁴⁰ F. Ku, *Claiming Privilege against Self-Incrimination during Cross-Examination*, Army Lawyer, Vol. 2012, no. 7, 2012, 32.

¹⁴¹ ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ (Telfner v. Austria), 2001 წლის 20 ივნისი, მე-17 პუნქტი.

¹⁴² იბ. სხვა მრავალთა შორის: ალუნი გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Allan v. the United Kingdom), 2002 წლის 5 წლებიწი, 44-ე პუნქტი.

¹⁴³ კალი გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), 2006 წლის 11 ივნისი, 117-ე-118-ე პუნქტები.

¹⁴⁴ იქვე, 120-ე პუნქტი.

გამოყენებული მტკიცებულების მნიშვნელობა პირის დანაშაულებრიობის გადაწყვეტისას.¹⁴⁵ კერძოდ, ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად ეყრდნობა პირის მსჯავრდება ამ მეთოდით მოპოვებულ მტკიცებულებას – არის ის ერთადერთი და გადამწყვეტი, თუ სხვა მტკიცებულებების დამხმარე ფუნქცია აქვს. რაც უფრო დიდია ასეთი მტკიცებულების როლი, მით მეტი ყურადღება ექცევა სხვა კრიტერიუმებს.¹⁴⁶

მეოთხე კრიტერიუმის მიხედვით, პრივილეგიის შესაძლო დარღვევა უნდა შეფასდეს არა განყენებულად, არამედ კონკრეტული დანაშაულის გამოძიების საჯარო ინტერესით.¹⁴⁷ *Jalloh*-ის საქმეში განიმარტა, რომ იძულებითი ონეისძიება გამოიყენეს ქუჩის ნარკოტიკებით მოვაჭრის მიმართ, რომელიც ყიდვა შედარებით მცირე ოდენობის ნარკოტიკებს და შეეფარდა ექვს თვემდე პირობითი მსჯავრი. მითითებულ საქმეში არსებული საჯარო ინტერესი (მცირე მასშტაბის ნარკოტიკებით მოვაჭრის პასუხისმგებაში მიცემა) ვერ გაამართლებს უფლებაში ამ ინტენსივობით ჩარევას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები ფასდება ერთიანობაში. თუ, მაგალითად, პირველი კრიტერიუმი დიდი ინტენსივობისაა, სხვა კრიტერიუმებმა უნდა დააბალანსოს ის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა პრივილეგია.¹⁴⁸

4. ბრალდებულისგან კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გავლენა პრივილეგიაზე

წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა გათვალისწინებულია კონვენციის მე-3 მუხლით. აღნიშნული უფლება აბსოლუტურია და მისგან გადახვევა დაუშვებელია, ანუ არ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც გაამართლებდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას.¹⁴⁹ მიუხედავად ამისა, შესაფასებელია, რა გავლენა აქვს ამ უფლების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას პრივილეგიასა და დუმილის უფლებაზე. სხვა სიტყვებით, გასარკვევია, მე-3 მუხლის დარღვევა აქცევს თუ არა პროცესს უსამართლოდ. ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს სხეულებული მუხლის დარღვევით ჩვენების მიცემისა და ნივთიერი მტკიცებულების მოპოვების შემთხვევები.

ტურბილევის საქმის¹⁵⁰ მიხედვით, პოლიციამ სცემა განმცხადებელს, რათა ეღიარებინა ძარცვის ჩადენა. პოლიციის მხრიდან განმეორებითი ძალადობის შიშით განმცხადებელმა აღიარა დანაშაული. ასევე, პოლიციელების მოთხოვნით დაწერა, რომ თავი თვითონ ურტყა მყარ საგნებს და პოლიციელების მიმართ არ აქვს პრეტენზია. მეორე დღეს დაიკითხა ადგომის მონაწილეობით, რა დროსაც განმცხადებელმა აღიარება უკან წაიღო და მიუთითა, რომ აღიარება პოლიციელების ძალადობის გამო მოუწია. შიდა გამოძიებამ ვერ დაადგინა

145 იქვე, 121-ე პუნქტი.

146 კონტრივიგერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*John Murray v. The United Kingdom*), 1996 წლის 8 თებერვალი, 47-ე პუნქტი.

147 ჰინი და მაგგინსი ირლანდიის წინააღმდეგ (*Heaney and McGuinness v. Ireland*), 2000 წლის 21 დეკემბერი, 57-ე პუნქტი.

148 იბრაჟიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ibrahim and Others v. the United Kingdom*), 2016 წლის 13 სექტემბერი, 269-ე პუნქტი.

149 ბეგედი ბელგიის წინააღმდეგ (*Bouyid v. Belgium*), 2015 წლის 28 სექტემბერი, 81-ე პუნქტი.

150 ტურბილევი რუსეთის წინააღმდეგ (*Turbylev v. Russia*), 2015 წლის 6 ოქტომბერი.

პოლიციელების ბრალეულობა. ამასთან, მსგავსი ფორმით მიღებულ აღიარებას განაჩენის მიღებისას დაეყრდნო შიდა სასამართლოც. სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის როგორც პროცედურული, ისე მატერიალური დარღვევა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ სასამართლოს მოუწია მსჯელობა - მსგავსი მოპყრობა არღვევდათ თუ არა პრივილეგიასა და დუმილის უფლებას. სასამართლომ განმარტა, რომ მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული აღიარება არ არის სანდო, მეტიც, სისხლის სამართლის პროცესში მათი გამოყენება ხშირად ხდება არასათანადო მოპყრობის მიზეზი. მსგავსი აღიარებით პირის დამნაშავედ ცნობა არ შეესაბამება მე-6 მუხლის გარანტიებს. მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მსგავსი მტკიცებულებების დაშვება მთლიანად პროცესს ავტომატურად უსამართლოდ აქცევს, მიუხედავად მტკიცებულების მტკიცებითი ხარისხისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას მისი გამოყენების ან არგამოყენების საკითხისა. ¹⁵¹ გამოდის, რომ ჩვენების მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვების შემთხვევაში, ავტომატურად დგინდება პრივილეგიისა და დუმილის უფლების დარღვევა, შესაბამისად, აღარ ფასდება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული კრიტერიუმები (იძულების ბუნება და სარისხი, საპროცესო გარანტიები, მტკიცებულების გამოყენების ხარისხი და საჭარო ინტერესი).

სასამართლო განსხვავებულად ათასებს ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევებს. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 მუხლი აერთიანებს 3 კატეგორიის არასათანადო მოპყრობას - წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მითითებულ მოპყრობებს შორის არის გრადაცია. მათ შორის ყველაზე მსუბუქია დამამცირებელი მოპყრობა, შემდეგ არის არაადამიანური მოპყრობა, ხოლო ყველაზე მძიმეა წამება.

Jalloh-ის საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება, მიუხედავად იმისა, ჩვენებაა ის თუ ნივთიერი მტკიცებულება. აღნიშნული ავტომატურად არღვევს პრივილეგიას, შესაბამისად, აღარ არის საჭირო მოპყრობის ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შეფასება. ¹⁵² კითხვას, არაადამიანურიანდამამცირებელი მოპყრობით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებაც არღვევს თუ არა პრივილეგიას, სასამართლომ ამავე საქმეში პასუხი არ გასცა და ლია დატოვა. ¹⁵³

პირველად სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია წამების შედეგად ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელმა მოიტაცა 11 წლის ბავშვი და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდა სოლიდურ თანხას. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ბავშვი მოკლავს. პირი დააკავეს, თუმცა არ იცოდნენ ბავშვის ადგილსამყოფელი. პოლიციის უფროსის მოადგილის დავალებით, ერთ-ერთი გამომძიებელი დაემუქრა განმცხადებელს, რომ ფიზიკურად იძალადებდნენ, თუ არ იტყოდა, სად იყო ბავშვი. ამასთან, ორ ფერად კანიან მამაკაცს შეუშვებდნენ მის საკანში სექსუალური ძალადობის მიზნით. ასევე, უთხრა, რომ ვერტმფრენით მოდიოდა მწამებელი ადამიანი. მეტი დამაჯერებლობისთვის შექმნეს პროპელერის

¹⁵¹ იქვე, 90-ე პუნქტი.

¹⁵² თაღოვენ გერმანიის წინააღმდეგ (*Jalloh v. Germany*), 2006 წლის 11 ივნისი, 105-ე პუნქტი.

¹⁵³ იქვე, 107-ე პუნქტი.

¹⁵⁴ გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ (*Gafgen v. Germany*), 2010 წლის 1-ლი ივნისი.

თვითინპრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

ხმის იმიტაციაც. აღნიშნულის შემდეგ განმცხადებელი დასთანხმდა პოლიციელებს ბავშვთან მიყვანაზე, თუმცა განაცხადა, რომ ფეხშიშველი ატარეს სანაპირომდე.

სასამართლომ მსგავსი ქმედებები ჩათვალა არაადამიანურ მოპყრობად, შესაბამისად, დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნულის შემდეგ უნდა შეეფასებინა, რა გავლენა უნდა ჰქონოდა აღნიშნულ დარღვევას პრივილეგიასა და დუმილის უფლებაზე, ანუ უნდა შეეფასებინა, ავტომატურად აქცევდა თუ არა არაადამიანური მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულება პროცესს უსამართლოდ.¹⁵⁵

სასამართლომ აღიარა, რომ მე-3 მუხლის დარღვევით მიღებული ჩვენების საფუძველზე მოიპოვეს სხვა ძირითადი მტკიცებულებები - აუტოფსიის დასკვნა, ბურგჩანთა, ტანსაცმელი და ა.შ. შიდა სასამართლომ დასაშვებად არ ცნო მხოლოდ მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ჩვენებები, თუმცა, მოწამლული ხის ნაყოფის თეორიის საწინააღმდეგოდ, დასაშვებად ცნო ჩვენების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები.¹⁵⁶ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ გამამატყუნებული განაჩენი არსებითად დაეყრდნო განმცხადებლის მიერ სასამართლოში დანაშაულის აღიარებასა და სათანადო წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული ჩვენება არ მიღებულა მხედველობაში, ვინაიდან ის თავიდანვე დაუშვებლად ცნეს. ამასთან, ამ ჩვენების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები ეროვნულმა სასამართლომ გამოიყენა არა განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალეულობის დასადგენად, არამედ მხოლოდ სასამართლოში მისი აღიარების სანდოობის შესამოწმებლად.¹⁵⁷

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ განიხილა ეროვნულ სასამართლოში განმცხადებლისთვის შეთავაზებული გარანტიები. კერძოდ, მას განუმარტეს დუმილისა და სხვა უფლებების შესახებ, ამასთან, მას იცავდა ადვოკატი, თუმცა მაინც აღიარა ჩადენილი დანაშაული. დაამატა, რომ ნანობდა მსგავსი ქმედების ჩადენას. სასამართლომ ყურადღებამიაპყროაღნიშნულ ფაქტებს და ჩათვალა, რომ განაჩენი არსებითად ემყარებოდა სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, რა დროსაც განმცხადებელი უბრუნველყოფილი იყო სათანადო გარანტიებით. ის ფაქტი, რომ მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვა ეროვნულმა სასამართლომ, ვერ არღვევს პრივილეგიას, ვინაიდან განაჩენი არ დაყრდნობია მათ - ისინი მხოლოდ დამხმარე ფუნქციის იყო. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა პრივილეგიისა და დუმილის უფლების დარღვევა.¹⁵⁸

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებების დაშვება ავტომატურად არ არღვევს პრივილეგიასა და დუმილის უფლებას. ზემოთ მითითებული კრიტერიუმებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ირღვევა თუ არა აღნიშნული უფლება.

155 იქვე, 167-ე პუნქტი.

156 იქვე, 171-ე-172-ე პუნქტები.

157 იქვე, 177-ე-180-ე პუნქტები.

158 იქვე, 182-ე-187-ე პუნქტები.

დასკვნა

პრივილეგია სამართლიანი სასამართლო განხილვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და მას იცავს კონვენციის მე-6 მუხლი. ამასთან, გარანტიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა და არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება. იურიდიულ დოქტრინაში ამ უფლების გამოსახატავად ყველაზე მისაღები ტერმინია თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია. ევროპული სასამართლოს განმარტებით, პრივილეგია გულისხმობს ბრალდებულის უფლებას, სახელმწიფოს არ მიაწოდოს საკუთარი თავის მამხილებელი როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ინფორმაცია. პრივილეგია ფართო ცნებაა და აერთიანებს დუმილის უფლებას, ხოლო ორივე მათგანი უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმუციას, ვინაიდან, ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი მუქარის, იძულებისა და ბრალდებულის ნებაზე სხვაგვარი ზემოქმედების გარეშე.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრივილეგია ბრალდებულს იცავს „არასათანადო იძულებით“ მისგან მტკიცებულების მოპოვებისგან. მსგავსი იძულების ფორმები დადგენილია სხვადასხვა საქმეში. იურიდიულ დოქტრინაში მათ ყოფენ პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებად. პირდაპირ არასათანადო იძულებაში მოიაზრება წამებით, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით მტკიცებულების მოპოვება, პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა მტკიცებულების გადაცემლობის შემთხვევაში, მოტყუებით აღიარების მიღება და ა.შ. არაპირდაპირი არასათანადო იძულება გულისხმობს დუმილის უფლების ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიჩნევას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ძალგრძელების მნიშვნელოვანია ქართული პრაქტიკის ევროპულ მიდგომებთან დაახლოებისთვის. სტატიაში განხილულია ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა, როდესაც მოტყუებით, აგენტების მეშვეობით, ხდება ბრალდებულისგან ინფორმაციის მოპოვება; მეორე მხრივ, კითხვის ნიშნებს იწვევს სსკ-ის 381-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ ნიმუშის აღების დროს წინააღმდეგობის გაწევა ითვლებოდეს მითითებულ დანაშაულად.

პრივილეგია იცავს არამატერიალურ, ანუ ჩვენების ტიპის ინფორმაციის გადაცემას, თუმცა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გარკვეულ შემთხვევებში ის ვრცელდება მატერიალურ მტკიცებულებებზეც. დიფერენცირების კრიტერიუმად სასამართლო მიუთითებს, კონკრეტული მტკიცებულება არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად თუ არა. თუ არ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე ვრცელდება პრივილეგია. როგორც ანალიზმა აჩვენა, მსგავსი კრიტერიუმი შედარებით ბუნდოვანია, ვინაიდან ამ ლოგიკით, მაგალითად, ხმისა და კალიგრაფიულ ნიმუშებზე უნდა გავრცელდეს პრივილეგია, თუმცა აღნიშნული არ იქნება სწორი. განსხვავებული შიდგომაა აშშ-ის დოქტრინასა და პრაქტიკაში. კონსტიტუციის მე-5 შესწორების მიხედვით, პრივილეგია ვრცელდება მხოლოდ ჩვენებაზე, თუმცა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, კლასიკურ ჩვენებასთან

თვითინპრომინაციისგან დაცვის პრივილეგია

ერთად, გამოკვეთა არაკლასიკური ჩვენების ტიპის მტკიცებულებებიც. განიმარტა, რომ ფიზიკურ ქცევას შეიძლება ჰქონდეს ჩვენების ელემენტები. მაგალითად, კონკრეტული მტკიცებულების გადაცემით ბრალდებული მიუთითებს, რომ ეს მტკიცებულება არსებობდა, ბრალდებული მას ფლობდა და ის ავთენტურია. სხვა სიტყვებით, უზენაესი სასამართლო ყურადღებას აქცევს, ბრალდებული „რას ამბობს“ მტკიცებულების გადაცემით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პრივილეგია ფარდობითი უფლებაა, თუმცა იგი განიმარტა მხოლოდ არაპირდაპირი არასათანადო იძულების ჭრილში. დაირღვა თუ არა პრივილეგია, ფასდება სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი ოთხი კრიტერიუმისგან შემდგარი ტესტით. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას გარკვეული გავლენა აქვს პრივილეგიაზე. კერძოდ, თუ ჩვენება მოპოვებულ იქნა მე-3 მუხლის დარღვევით, ავტომატურად ირღვევა პრივილეგიაც, ხოლო თუ მოპოვებულ იქნა ნივთიერი მტკიცებულება, მხოლოდ წამების შემთხვევაში დგინდება პრივილეგიის ავტომატური დარღვევა. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დროს ფასდება ოთხი კრიტერიუმისგან შემდგარი ტესტით.

გამოქიმის ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის
მოტივის გამოკვეთის ვალდებულება აღამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

მარიამ ბალავაძე, დავით ხურციძე

1. შესავალი

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მზარდი პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ის ეჭვეჭვეშ აყენებს თანამედროვე პლურალისტური საზოგადოების ძირითად კონცეფციასა და არსს.¹ ასეთი ქმედებები შეუწყნარებლობის გამოვლინებაა საზოგადოებაში არსებული კონკრეტული ჯგუფების მიმართ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები სხვა დანაშაულებისგან მსხვერპლსა და საზოგადოების სტაბილურობაზე ზემოქმედებით განსხვავდება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დირექტორის, ინგიბიორგ სოლრან გიასლადოტირის² განმარტებით: „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ზიანს აყენებს ინდივიდუალურ პირებს, მათ თემებსა და მთლიანად საზოგადოებას.“

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დაავადებასავით ვრცელდება და იქრება საზოგადოებაში. თუ ამგვარ დანაშაულში მოტივად არ იქნება აღიარებული სიძულვილი, იგი გამოიწვევს პასუხისმგებელი მხარეებისა და სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების წახალისებას. ამასთან, მას შეიძლება, საპასუხო დანაშაულების ციკლი მოჰყვეს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული იწვევს შიშს და, თუ ის სერიოზულად არ იქნება აღქმული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლისა და საზოგადოების სხვა წევრების უნდობლობა და უკაყაფილება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.³

მაიკლ ჯორჯ ლინკის განცხადებით, „სიძულვილით მოტივირებულმა დანაშაულმა, დაძაბულობის შექმნით ან მისი გამწვავებით, შეიძლება ძირი გამოუთხაროს საზოგადოების უსაფრთხოებას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს უფრო დიდი კონფლიქტი თემებში, გააძლიეროს სამოქალაქო არეულობა და გამოიწვიოს თუნდაც ძალადობრივი ქმედებები“.⁴

1 European Union Agency for Fundamental Rights, *Making hate crime visible in the European Union: acknowledging victims' rights*, 2012, 7.

2 ODIHR Director Ingibjörg Sólrún Gísladóttir, nb. <https://hatecrime.osce.org/what-hate-crime>

3 In the Name of Hate: Examining the Federal Government's Role in Preventing Hate Crimes, before the U.S. Commission on Civil Rights, 115th Cong. (May 11, 2018) (testimony of Chief Terrance Cunningham, IACP president).

International Association of Chiefs of Police, Lawyers' Committee for Civil Rights Under Law, *ACTION AGENDA FOR COMMUNITY ORGANIZATIONS AND LAW ENFORCEMENT TO ENHANCE THE RESPONSE TO HATE CRIMES*, 7.

4 ODIHR Director Michael Georg Link, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *ODIHR's Efforts to Counter Hate Crime*, 2016, 2. nb. <https://www.osce.org/odihr/68668>

2. რას ნიშნავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული?

საქართველოს კანონმდებლობაში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი განმარტება, ისევე როგორც ამ დანაშაულის განმსაზღვრელი ერთი კონკრეტული ტერმინი, არ არსებობს. მსგავსი კატეგორიის ქმედებებს ხშირად მოიხსენიებენ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის“⁵ სახელწოდებით.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული სახემა შემდეგი ორი ელემენტის ერთობლივად არსებობისაა:⁶

ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი

დანაშაული;

ბ) დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.⁷

მნიშვნელოვანია, განიმარტოს „შეუწყნარებლობის“ მოტივი. ამ ტერმინს არ აქვს ერთგვაროვანი განმარტება, თუმცა, ძირითადად, ეს მოტივი სახემა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებულია მსხვერპლის მიმართ სიძულვილით⁸ ან სტერეოტიპული განწყობით, კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის საფუძველზე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე შეიძლება იყოს პირი, პირთა კგუფი ან/და ქონება, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული ნიშნით მახასიათებელ კგუფთან.⁹ კერძოდ, დანაშაულის სამიზნე შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

ა) პირი, რომელიც რეალურად მიეკუთვნება დისკრიმინაციისაგან დაცულ კგუფს;

ბ) პირი, რომელიც დანაშაულის ჩამდენის აღქმით¹⁰ მიეკუთვნება დისკრიმინაციისაგან დაცულ კგუფს;

გ) პირი, რომელიც ასოცირებული ან დაკავშირებულია დისკრიმინაციისაგან დაცულ კგუფთან;

დ) ქონება/ნივთი, რომელიც უკავშირდება დისკრიმინაციისაგან დაცულ რომელიმე კგუფს. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, ქონება იყოს

5 ე.წ. „Hate Crime“ გარდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა, აღნიშნულ ქმედებას, ასევე, მოხსენიებები „მიკერძოების მოტივით ჩადენილ დანაშაულად“ (Bias crimes). ორივე შემთხვევა აღწერს დანაშაულის ტიპს და არა კონკრეტულ დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსში. პირმა შეიძლება ჩაიდიონის სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ის ქვეყანაში, სადაც არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მიკერძოების მოტივითან დაკავშირდება. ტერმინი აღწერს კონცეფციას და არა იურიდიულ განსაზღვრებას. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Hate Crime Laws A Practical Guide*, 2009, 16.

6 OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Gender-Based Hate Crime*, 2021, 2.

7 საერთაშორისო დონეზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მერიე ელემენტად განიხილება „მიკერძოების მოტივი“ (Bias Motivation). მიკერძოების მოტივი შეიძლება, ზოგადად, განისაზღვროს როგორც წინასასაბური შექმნილი უარყოფითი მოსახურები, სტერეოტაიპული მიდგომები, შეუწყნარებლობა ან საძულვილი, რომელიც მიმართულია საერთო მასალითამცველების მქონე კონკრეტული კგუფის მიმართ (მაგ.: რასის, კანის ფერის, სექსუალური როინზტაციის და სხვა ნიშნით მახასიათებელი კგუფები). იხ. <https://hatecrime.osce.org/what-hate-crime>

8 ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი, პირს ჰქონდეს სიძულვილის გრძნობა დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის ქონება პირის/პირთა კგუფის მიმართ. ვინაიდან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ჩადენილია იმის მიხედვით, თუ რას ნარმოადგენს სამიზნე პიროვნება, კგუფი თუ ქონება, დამნაშავეს შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს გრძნობით ინდივიდუალურ მსხვერპლთა მიმართ. იხ. Understanding Hate Crimes: A Handbook for Bosnia and Herzegovina, Published by the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2010, 7.

9 Understanding Hate Crimes: A Handbook for Bosnia and Herzegovina, Published by the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2010, 7.

10 OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Hate Crime Laws A Practical Guide*, 2009, 50.

კვეფის/კვეფის წევრის საკუთრება. მთავარია, რომ იგი ასოცირებულია ამა თუ იმ კვეფთან.

რაც შეეხება ასოცირებულ ან დაკავშირებულ პირს – სახელმწიფოს ვალდებულება, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება მიკერძოების მოტივის გამოსაკვეთად, ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც დანაშაულის მსხვერპლისამიზნებაზე არა მისი რომელიმე ნიშნისადმი რეალური კუთვნილების, არამედ იმის გამო, რომ იგი დაკავშირებული ან ასოცირებულია სხვა პირთან, რომელიც რეალურად არის რომელიმე ნიშნის მატარებელი. ასეთ პირთან კავშირი შეიძლება გამოიხატებოდეს მასთან მეგობრობით, პირადი კავშირით, ქორწინებით და სხვ.¹¹ გარდა ამისა, ასოცირებული ან დაკავშირებული პირი შეიძლება იყოს უფლებადამცველი. საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს უფლებადამცველთა ცნებას, რაც არაერთ პრობლემას ქმნის მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების სრულფასოვანი იდენტიფიცირების, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებისა და მათი დაცულობის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების დასაგეგმავად.¹² უფლებადამცველთა საერთაშორისო განმარტების მიხედვით, უფლებადამცველი არის ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.¹³

აღნიშნული დანაშაულით დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი,¹⁴ რომელიც ფლობს კონკრეტულ ქონებას და ეს ქონება დაკავშირებულია/ასოცირებულია დაცულ კვეფთან.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების, სხვა დანაშაულების მსგავსად, შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე მოტივი. მაგალითად, შეუწყნარებლობის მოტივთან ერთად, პირმა დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ქონებრივი სარგებლის მიღების მოტივთაც; ასევე, შესაძლებელია, ქმედება განხორციელდეს შეუწყნარებლობის რამდენიმე მოტივით (მაგალითად, შეიძლება არსებობდეს გენდერის და რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი). შესაბამისად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო მოტივის გათვალისწინება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – სასამართლო) განმარტებით, იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად, არ არის აუცილებელი, იგი ემყარებოდეს მხოლოდ მსხვერპლის მახასიათებელს. დამნაშავეებს შეიძლება ჰქონდეთ შერეული მოტივი, მათზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სიტუაციურმა ფაქტორებმა თანაბრად ან უფრო მეტად, ვიდრე მათმა მიკერძოებულმა დამოკიდებულებამ კონკრეტული კვეფისადმი მათი კუთვნილების გამო.¹⁵

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი მიღრეკილება გამწვავებისკენ. კერძოდ, პირები,

11 სკორჯანეცი ხორვატის წინააღმდეგ (*Škorjanec v. Croatia*), 2017 წლის 28 მარტი.

12 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო, 2020 წლის 1-ლი ნოემბერი, 4. იბ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020111419462856301.pdf>

13 გერმანია 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველთა შესახებ, 1-ლი მუხლი.

14 *Understanding Hate Crimes: A Handbook for Bosnia and Herzegovina*, Published by the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2010, 8.

15 ბალაზი უზგრეთის წინააღმდეგ (*Balazs v. Hungary*), 2016 წლის 14 მარტი, 70-ე პუნქტი.

რომლებიც ჩადიან მსუბუქ დანაშაულს, მათი ქმედებები ხშირად გადაიზრდება უფრო მძიმე ხასიათის ძალადობრივ ქმედებებში, თუ თავის დროზე არ შეაჩერებენ სამართალდამცავი ორგანოები.¹⁶ ამასთან, სამართალდამრღვევის ქმედება შეტყობინებაა არა მხოლოდ ინდივიდუალური მსხვერპლისთვის, არამედ სხვა პირებისთვისაც, ვინც ფიქრობს, რომ მოხდება მათდამი სხვა მსხვერპლების მსგავსი მოპყრობა.¹⁷ შესაბამისად, სიძულვილის მოტივით ჩადენილი მცირე დანაშაულებიც კი საშიშია და მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ რეაგირებას.

3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეფექტიანი გამოძიების ზოგადი პრინციპები, რომელთა მიხედვით, ეფექტიანი გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი,¹⁸ სწრაფი,¹⁹ სიღრმისეული,²⁰ ადეკვატური და ზედმიწევნითი;²¹ მასში ჩართული უნდა იყოს დაზარალებული ან დაზარალებულის ოჯახის წევრი და უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლი.²²

სასამართლოს განმარტებით, გარდა იმისა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ ეფექტიანი გამოძიება, რაც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს მოიცავს, სახელმწიფო ასევე ვალდებულია, გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი გამოძიების ეტაპზე მიკერძოების მოტივის გამოსაკვეთად. ამასთან, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან მიმართებით, სასამართლო სახელმწიფოსგან მოითხოვს ქმედითი გამოძიების წარმოებას. ქმედითი გამოძიების არსებითი მიზანია, უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის ქმედითი განხორციელება და შესაბამის პირთა დასჯა.

სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს პოზიტური ვალდებულება, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება და ამ გამოძიების ფარგლებში გამოკვეთოს მიკერძოების მოტივი, ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ

16 Understanding Hate Crimes: A Handbook for Bosnia and Herzegovina, Published by the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2010, 9.

17 European Union Agency for Fundamental Rights, *Making hate crime visible in the European Union: acknowledging victims' rights*, 2012, 7.

18 ენუქიძე და გირგვლიონი საქართველოს წინააღმდეგ (*Enukidze and Girkvili v. Georgia*), 2011 წლის 26 აპრილი, 246-ე პუნქტი; ვაზაგაშვილი და ძანავა საქართველოს წინააღმდეგ (*Vazagashvili and Shanava v. Georgia*), 2019 წლის 18 ივნისი, 96-ე-98-ე პუნქტები; ღარიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Gharibashvili v. Georgia*), 2008 წლის 29 ივნისი, მე-9-მე-15 პუნქტები, 68-ე პუნქტი; გაბლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Gablichvili and others v. Georgia*), 2019 წლის 21 თებერვალი, 66-ე პუნქტი; მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Mikashvili v. Georgia*), 2012 წლის 9 ოქტომბერი, 87-ე პუნქტი.

19 საყარელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Sakvarelidze v. Georgia*), 2020 წლის 6 თებერვალი, 53-ე-54-ე პუნქტები; კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Kekelidze v. Georgia*), 2019 წლის 17 იანვარი, 31-ე პუნქტი.

20 კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Kekelidze v. Georgia*), 2019 წლის 17 იანვარი, მე-5-მე-8 პუნქტები, 28-ე-29-ე პუნქტები; მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Mikashvili v. Georgia*), 2012 წლის 9 ოქტომბერი, 76-ე პუნქტი, 82-ე-83-ე პუნქტები.

21 ენუქიძე და გირგვლიონი საქართველოს წინააღმდეგ (*Enukidze and Girkvili v. Georgia*), 2011 წლის 26 აპრილი, 254-ე და 272-ე პუნქტები.

22 ვაზაგაშვილი და ძანავა საქართველოს წინააღმდეგ (*Vazagashvili and Shanava v. Georgia*), 2019 წლის 18 ივნისი, მე-11 პუნქტი; ბეგელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Begheluri and others v. Georgia*), 2014 წლის 7 ოქტომბერი, 140-ე პუნქტი.

შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული უფლების დამრღვევი იყო სახელმწიფო, არამედ ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც უფლების დამრღვევი იყო კერძო პირი.²³

სასამართლო განმარტავს,²⁴ რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინფორმაცია, ძალადობა განხორციელდა დისკრიმინაციული მოტივით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოძიება მიმდინარეობდეს ეფექტიანად²⁵ და მიუკერძოებლად, რაც, ერთი მხრივ, დადასტურება იქნება იმისა, რომ სახელმწიფო გმობს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ ძალადობას და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებას საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, დაიცავს მათ დისკრიმინაციული ნიშნით ძალადობისაგან.²⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების პროცესუალური ასპექტით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიებისა, რომელიც მიმართული იქნება პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირებასა და სასამართლო წესით დასჭაბე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.²⁷

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გამოძიების შესაბამისად წარმართვა და არა ყველა შემთხვევაში შედეგის უზრუნველყოფა.²⁸ სასამართლო აფასებს, სათანადოდ ეცადა თუ არა ეროვნული ხელისუფლება, ფაქტებისთვის ნათელი მოეფინა და ხომ არ ეცადენ, მოემთავრებინათ გამოძიება ნაჩეარევი ან დაუსაბუთებელი დასკვნების საფუძველზე. ის, თუ რამდენად ყოველმხრივი იყო გამოძიება, საგამოძიებო საქმიანობის პრაქტიკული რეალობის გათვალისწინებით ფასდება. თუ საგამოძიებო ორგანოებმა გამოძიება არ წაიყვანეს იმ მიმართულებით, რომელიც აშკარად ლოგიკური იყო მოცემულ შემთხვევაში, ამან შეიძლება გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს გამოძიების ქმედითობაზე.

უდავოა, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები ერთგვარი თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა, გამოძიების დაწყებისთანავე, დანაშაულის ბუნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად დაგეგმონ გამოძიების მსვლელობა და მოიპოვონ ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც საქმისათვის იქნება მნიშვნელოვანი. სწორედ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეძლებს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დაღვენას სასამართლო.²⁹ მას შემდეგ, რაც დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულებების მოპოვების პროცესი დაიწყოს დროულად, რაც პირდაპირ აისახება გამოძიების შედეგსა და

23 სესიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Sečić v. Croatia*), 2007 წლის 31 მაისი.

24 მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Menson v. the United Kingdom*), 2003 წლის 6 მაისი.

25 ტერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (*Tershana v. Albania*), 2020 წლის 4 აგვისტო.

26 Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, Right to life, Council of Europe/European Court of Human Rights, Updated on 30 April 2021, 41–55.

27 აქსიო თურქეთის წინააღმდეგ (*Aksyo v. Turkey*), 1996 წლის 18 დეკემბერი, 98-ე პუნქტი.

28 ბარაბაშჩიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Barabanshchikov v. Russia*), 2009 წლის 8 იანვარი, 54-ე პუნქტი.

29 ი. აქუბარდია, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2017.

ხარისხის გარემონტირებული მოტივის გამოკვეთის ვალდებულება და ამ რისკების გათვალისწინებით განახორციელოს მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის საჭირო მოქმედებები.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეებში „დანაშაულის მოტივის დადგენა დანაშაულის სწორი კვალითიკაციისა და ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის აუცილებელი წინაპირობაა.“³⁰ როდესაც ძალადობა ხორციელდება შეუწყნარებლობის მოტივით, მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწორად და ადეკვატურად იმოქმედონ, რათა შესაძლებელი გახდეს დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა.

როგორც აღინიშნა, გამოძიების მსვლელობისას შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სასამართლომ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს ფაქტები, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და დანიშნოს შესაბამისი სასჯელი. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, თუ დანაშაული ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით, ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს დამატებით მოეთხოვება, გამოძიების წარმოებისას გაატაროს ყველა ღონისძიება, რათა შესაძლებელი გახდეს დანაშაულში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა.³¹ ძალადობრივ ქმედებებში დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენის ვალდებულება მოიაზრება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონკრეტული მე-14 მუხლით.³² მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი დამოუკიდებლად არ გამოიყენება, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს კონკრეტის სხვა დებულებათა შევსების კუთხით.³³ გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რომ ძალადობრივი ქმედება შეიძლება განხორციელდა რომელიმე ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, იმისათვის, რომ გამოძიება ჩაითვალოს ქმედითად, კონკრეტის მე-14 მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, ჩატარდეს ყველა საგამოძიებო მოქმედება დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად, რათა ასეთი მოტივი სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ დარჩეს.³⁴ სასამართლო ასევე განმარტავს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის არგარჩევა ასეთი მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულებისაგან იქნება თვალის დახუჭვა ისეთი ტიპის დანაშაულზე, რომელსაც შეიძლება ძალიან მძიმე, უარყოფითი შედეგი ჰქონდეს ადამიანის უფლებებზე და ასეთი მიღვომა გამოიწვევს კონკრეტის მე-14 მუხლის დარღვევას.³⁵ სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ პრაქტიკაში, ზოგჯერ, რთულია დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა, მაგრამ

30 მ. კვაჭაძე, ლ. მელაშვილი, ნ. კალაძე, ე. ლვინძილია, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენას სასამართლო, თბ., 2017, 44.

31 ნაჩოვა ბელელურეთის მინაღმდევ (Nachova and Others v. Bulgaria), 2005 წლის 6 ივლისი, ბ.ს. ესპანეთის მინაღმდევ (B.S. v. Spain), 2012 წლის 24 ივლისი, იდენტიფიკაციის მინაღმდევ (Identoba and Others v. Georgia), 2015 წლის 12 მაისი.

32 ნ. მჭედლიძე, საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმძიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამვლევი, ევროპის საბჭო, 2015.

33 ე. მიერი, ბ. ჰანგოვი, ნ. კოუდერი, ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, ევროპის საბჭო, 2008, 150.

34 ბეგელური და სხვების საქართველოს მინაღმდევ (Begheluri and Others v. Georgia), 2014 წლის 7 ოქტომბერი.

35 ბეგანოვიჩი ხორვატის მინაღმდევ (Begonovic v. Croatia), 2009 წლის 25 ივნისი.

სახელმწიფოებისგან მოითხოვს, გამოძიების მსვლელობისას გაატარონ ყველა ღონისძიება, რათა შესაძლებელი გახდეს იმის იდენტიფიცირება, იყო თუ არა დანაშაული დისკრიმინაციული მოტივით განპირობებული.³⁶

დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებებით, რომლებიც ასახავს ინციდენტამდე, მისი მიმდინარეობისას ან ინციდენტის შემდეგ არსებულ გარემოებებს.³⁷ გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დანაშაულის ჩადენის გარემოებებზე, რადგან, ხშირად, მოტივის გამოვლენა შეიძლება ჩადენილი დანაშაულის რაიმე კონკრეტული ხერხის ან მეთოდის იდენტიფიცირების საფუძველზეც.

შეუწყნარებლობის მოტივის გამოსაკვეთად ყურადღება უნდა გამახვილდეს წინარე ძალადობრივ ფაქტებზეც. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების ეტაპზე მოხდეს მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება.³⁸ ასევე, დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ძალადობისას გამოყენებულ გამონათქვამებსა და ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გენდერის ნიშნით განხორციელებული ძალადობის ერთ-ერთ საქმეში³⁹ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების პროცედურული ასპექტი.⁴⁰ სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლებას მოეთხოვებოდა ეფექტიანი გამოძიების განხორციელება⁴¹ და ფაქტის დადგენისათვის საჭირო ყველა მტკიცებულების მოპოვება. ამასთან, საგამოძიებო ორგანოებს, დროული გამოძიების მოთხოვნების შესრულებისას ვალდებულება ჰქონდათ, შეეფასებინათ ბრალდებების სანდოობა და დაეზუსტებინათ საქმის გარემოებები.⁴²

კონვენცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ ძალადობრივი ფაქტების ქმედითი გამოძიების ვალდებულება შეასრულონ დისკრიმინაციის გარეშე.⁴³ ერთ-ერთ საქმეში⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა დაადგინა, რადგან რუმინეთის ხელისუფლებამ ადეკვატურად არ დაიცვა მომჩივანი მეუღლისაგან მომდინარე საფრთხეისაგან, რაც, სასამართლოს განმარტებით, განპირობებული იყო განმცხადებლის, როგორც ქალის მიმართ, დისკრიმინაციული დამოკიდებულებით.

36 ბ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ (B.S. v. Spain), 2012 წლის 24 ივნისი.

37 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისამართლებრივი დევნა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროცურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, 60.

38 ქალთა გვიდერთა დაკავშირებული მფლეობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თვისი ლათინურ ამერიკაში, 53.

39 ბ.ვ. ბელგიის წინააღმდეგ (B.V. v. Belgium), 2017 წლის 2 მარტი.

40 ა. რეიდი, წამების აკრძალვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, ევროპის საბჭო, 2005, 53.

41 ჰ. მაკმანიდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, 2011, 29-31.

42 K. D. Gasimova, Guideline on Gender-Sensitive Approach for Adjudicating GenderBased Violence Cases, German Cooperation, GIZ, 21.

43 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-14 მუხლი.

44 ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ (Baileşan v. Romania), 2017 წლის 23 მაისი.

ასევე, ერთ-ერთ საქმეში⁴⁵ სასამართლომ ოჯახში ძალადობასთან მიმართებით დაადგინა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლოს განმარტებით, ოჯახში ძალადობა, ძირითადად, ქალების მიმართ ხორციელდება. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უმეტესწილად ქალები არიან, და თურქეთის ხელისუფლების ზოგადი და დისკრიმინაციული უმოქმედობა ხელს უწყობს სწორედ ასეთი ძალადობრივი გარემოს შექმნას. შესაბამისად, სასამართლომ განმცხადებლისა და მისი დედის მიმართ ძალადობა მიიჩნია ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილად.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ძალადობა ხორციელდება რასისტული მოტივით. სასამართლო გამოძიების ეტაპზე რასისტული მოტივის გამოკვეთის შესახებ მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს საქმეზე - ნაჩოვა ბუღარეთის წინააღმდეგ.⁴⁶ გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საქმე ეხებოდა ბუღარეთის სამხედრო პოლიციის წევრს, რომელმაც დაპატიმრების მცდელობის დროს მოკლა ორი ბომშრი წარმოშობის წვევამდელი. სასამართლომ დაადგინა, რომსახულმწიფომ ვერუზრუნველყოა მოქალაქეებისთვის კონვენციის მე-2 მუხლით (სიცოცხლის უფლება) გათვალისწინებული უფლების დაცვა, რადგან ძალის გამოყენების შესახებ სამართლებრივი ჩარჩო არსებითად არასწორი იყო და სამხედრო პოლიციამ გამოყენებულ ძალადს უხეშად გადააჭარბა. სასამართლომ, ასევე, იმსჯელა მე-14 მუხლის დარღვევაზე პროცედურულ ნაწილში, კერძოდ, სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება შესაძლო რასისტული მოტივის გამოსაკვეთად. საგამოძიებო ორგანოებს ჰქონდათ განცხადება მსხვერპლთა მეზობლისა, რომელიც ამბობდა, რომ სროლის შემდეგ პოლიციელმა, მათზე იარაღის დამიზნებით, იყვირა: „წყეულო ბოშებო“. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა მეზობლის განცხადების დასადასტურებლად ან იმ მიზეზების დასაზუსტებლად, თუ რატომ გახდა საჭირო ამგვარი ძალის გამოყენება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სავარაუდო რასისტულ განწყობებსა და ორი ადამიანის მკვლელობას შორის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის არასათანადო გამოძიება არღვევდა მე-14 მუხლის პროცედურულ ნაწილს, მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიძიოს რასისტული მოტივი ძალადობრივ ქმედებებში, არის ვალდებულება იმისა, რომ გამოიყენოს საუკეთესო საშუალებები და არა აბსოლუტური. ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ის, რაც გონივრულია მტკიცებულებების შეგროვებისა და უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, შეისწავლოს ჭეშმარიტების აღმოჩენის ყველა პრაქტიკული საშუალება და მიიღოს სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები, იმ საეჭვო ფაქტების გამოტოვების გარეშე, რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს რასობრივ მოტივზე.⁴⁷

ასევე, საქმეში - ბეკოსი და კოტროპოლისი საბერძნეთის წინააღმდეგ -

45 ოუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey), 2009 წლის 9 ივნის.

46 ნაჩოვა ბუღარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria), 2005 წლის 6 ივლისი.

47 ნაჩოვა ბუღარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria), 2004 წლის 26 ოქტომბერი, 156-ე-159-ე პუნქტები.

სასამართლომ, გარდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევის დადგენისა, ასევე, დაადგინა პროცედურული ნაწილის დარღვევა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.⁴⁸ ეს საქმე ეხებოდა პოლიციის მხრიდან ბოშური წარმოშობის საბერძნებეთის ორი მოქალაქის მიმართ არასათანადო მოპყრობას. მიუხედავად იმისა, რომ გამოიხიბის ორგანოებს ჰქონდათ ერთ-ერთი დაზარალებულის ფიცდადებული ჩვენება, რომ იგი დაექვემდებარა რასობრივი მოტივით ჩადენილ ძალადობას პოლიციის მხრიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ჯგუფების განცხადებების დამატებით, სამართალდამცავმა ორგანოებმა არ გამოიხიეს შესაძლო რასისტული მორიგი.⁴⁹

საქმეში - მიღანოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ - სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან სახელმწიფომ ვერ ჩაატარა ადეკვატური გამოძიება.⁵⁰ ამასთან, დაადგინა, რომ, რასობრივი მოტივით ჩადენილი თავდასხმების მსგავსად, ძალადობრივი ინციდენტების გამოძიებისას, სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ, გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი რელიგიური მოტივის გამოსაკვეთად და იმის დასადგენად, ჰერნდა თუ არა რელიგიურ სიძულვილს გავლენა აღნიშნულ ქმედებებზე. რელიგიურად მოტივირებული ძალადობისათვის ისეთივე მოპყრობა, როგორიც ისეთი ძალადობისთვის, რომელსაც არ აქვს მსგავსი მოტივი, იქნება თვალის დახუჭვა იმ ქმედებების სპეციფიკურ ხასიათზე, რომლებიც განსაკუთრებით დამანგრეველია ფუნდამენტური უფლებებისთვის.⁵¹

სასამართლომ დარღვევა დაადგინა გამოძიების ეტაპზე პოლიტიკური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოუკვეთაობის გამო. კერძოდ, საქმეში - ვირაბიანი სომხეთის წინააღმდეგ - ფაქტობრივი გარემოებები ეხებოდა იდეოლოგიასთან დაკავშირებულ მიკერძოების მოტივს.⁵² განმცხადებლის მტკიცებით, იგი პოლიტიკამ აწამა, ხოლო სახელმწიფომ ამ ფაქტან დაკავშირებით არ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რადგან იგი მიეკუთვნებოდა პოლიტიკურ ოპოზიციას. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ჰქონდა დამაჯერებელი და საკმარისი ინფორმაცია მათ გასაფრთხილებლად, რომ საჭირო იყო პირველადი შემოწმების ჩატარება და, მიღებული შედეგების საფუძველზე, არასათანადო მოპყრობის მოტივის გამოსაკვეთად გამოძიების ჩასატარებლად. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო აღნიშნულის გაკეთება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა პროცედურული ნაწილის დარღვევა კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში, მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.⁵³

საქმე - იღენტობა საქართველოს წინააღმდეგ - უკავშირდება 2012 წლის მაისში თბილისში ჰომოფონის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მშვიდობიანი დემონსტრაციის ფონზე მომხდარ ჰომოფონიური ძალადობის

⁴⁸ ბეკოსი და კოტროპოლიის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Bekos and Koutopoulos v. Greece*), 2005 წლის 13 დეკემბერი.

⁴⁸ Βέκος και Κουτρόπουλος περί της αναγνώσης της συμβιβαστικής σύμβασης για την Ελλάδα (Bekos and Koutropoulos v. Greece), 2005 Έλληνας 13 Δικαιούχος Α. Βέκος και Κουτρόπουλος σε όροι που διαφέρουν από την παρόντα σύμβαση.

50 მილანოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ (*Milanović v. Serbia*), 2010 წლის 14 დეკემბერი.

⁵¹ მილანოვიჩის სერბეთის წინააღმდეგ (Milanović v. Serbia), 2010 წლის 14 დეკემბერი, 96-ე-97-ე პუნქტები.

52 Վիրածուանի Սոմեցուու Բնիսազմաց (Virabyan v. Armenia), 2012 նուօ 2 տյժոմծերու.

⁵³ Վիրաբյանը Արմենիայի նկատմամբ պարագայություն է համարվում (Virabyan v. Armenia, 2012 թվականի Հունիսի 2 օրինադրություն, 223-ը-225-ը Աշխարհական)։

ფაქტებს.⁵⁴ დემონსტრაცია ძალადობრივად ჩაშალეს კონტრდემონსტრანტებმა, რომლებსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ლგბტ+ თემის წარმომადგენლებთან. ცამეტი დამოკიდებელი განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათი ძალადობრივი თავდასხმებისაგან დაცვა, ასევე, ვერ ჩაატარა უფექტიანი გამოძიება, სადაც დისკრიმინაციულ მოტივს გამოკვეთდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობრივმა ქმედებებმა მიაღწიეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტს. ასევე, განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ნაწილში არსებობდა ნეგატიური დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ და არსებობდა მარშის ორგანიზატორების მხრიდან პოლიციისადმი გაფრთხების შესაძლო ძალადობასთან დაკავშირებით, სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ დემონსტრანტების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რისი გაკეთებაც ვერ მოახერხეს.⁵⁵ შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

იდენტობისმსგავსისაქმეა მ.ც.დაა.ც.რუმინეთისწინააღმდეგ.⁵⁶ განმცხადებლების თქმით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უფექტიანი გამოძიების ჩატარება და მათ მიმართ განხორციელებულ ქმედებებში ვერც პომოფობიური მოტივი ვერ გამოკვეთა. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ გააჭიანურა გამოძიება და, რაც მთავარია, არ გადაუდგამს გონივრული ნაბიჯები, რათა გაერკვია, თუ რა როლი ჰქონდა პომოფობიურ მოტივს თავდასხმებთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.⁵⁷

4. დასკვნა

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შეუწყნარებლობის გამოვლინებაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალოდ მსხვერპლზე, არამედ იმ ჯგუფზე, რომელთანაც დამნაშავე აიგივებს მას. ის გავლენას ახდენს საზოგადოების ერთიანობასა და სოციალურ სტაბილურობაზე, ამიტომ ქმედითი რეაგირება მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო უსაფრთხოებისათვის.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები სხვა დანაშაულებისგან მოტივით განსხვავდებიან. ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის დასადასტურებლად მოტივს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, საგამოძიებო ორგანოები იშვიათად იძიებენ საკმარისად დეტალურად, რათა დანაშაულის ნამდვილი მიზეზი გამოიკვეთოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიკერძოების მოტივის გამოკვეთას.

54 იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Identoba and Others v. Georgia*), 2015 წლის 12 მაისი.

55 იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Identoba and Others v. Georgia*), 2015 წლის 12 მაისი, მე-80 პუნქტი.

56 მ.ც. და ა.ც. რუმინეთის წინააღმდეგ (*M.C. and A.C. v. Romania*), 2016 წლის 12 ივნისი.

57 მ.ც. და ა.ც. რუმინეთის წინააღმდეგ (*M.C. and A.C. v. Romania*), 2016 წლის 12 ივნისი, 123-ე-126-ე პუნქტები.

განათლების უფლების დაცვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით

მარიამ ჭიქია

შესავალი

ადამიანის უფლებათა კლასიკური ცნება დაკავშირებულია ინდივიდუალური თავისუფლების იდეასთან. XX საუკუნის მეორე ნახევარში დაწინაურდა ე.წ. ადამიანის უფლებების „მეორე თაობა“, კერძოდ: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. მათ შორისაა განათლების უფლებაც, რომელიც სწორედ ამ პერიოდში აისახა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში.

წინამდებარე ნაშრომი ეთმობა განათლების უფლების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისოსამართლებრივ მექანიზმს. ამ თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, დღესაც არსებობს გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ განათლების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები, რომელთა აღკვეთასაც ეროვნული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროგრესის შედეგად შექმნილი სხვადასხვა უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისოსამართლებრივი აქტი შეიცავს განათლების უფლებას, კერძოდ, ესენია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948),¹ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966),² ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი (1950),³ იუნესკოს კონვენცია განათლების სისტემაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960)⁴ და სხვ.

წლების განმავლობაში გამოქვეყნდა არაერთი კვლევა იმაზე, რას გულისხმობს განათლების უფლების რეალიზაცია. ამ უფლებასთან მიმართებით ძალიან მწირია საერთაშორისო სასამართლო პრატიკა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები განიხილება როგორც „მეორეული უფლებები“ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან შედარებით.⁵ მათ მიმართ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ამ უფლებათა შინაარსის განმარტების ნაკლებობა და სახელმწიფოს ვალდებულებების ხასიათის განსაზღვრა. ამასთანავე, ბოლო პერიოდში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სამართლებრივი ხასიათის შესახებ ტრადიციულმა შეხედულებებმა

1 ადამიანის უფლებათა საყოველითა დეკლარაცია, 1948 წ., 26-ე მუხლი.

2 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966 წ., მე-13 და მე-14 მუხლები.

3 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მე-2 მუხლი.

4 UNESCO Convention Against Discrimination in Education, 1960, Articles 1-5.

5 F. Coomans, Exploring the Normative Content of the Right to Education as Human Right: Recent Approaches, Persona y Derecho, N50, 2004, 62.

თანდათანობით ადგილი დაუთმო თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც ადასტურებენ ადამიანის ყველა უფლების განუყოფელობას და მნიშვნელობას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განათლების უფლების ნორმატიული შინაარსისა და სახელმწიფო ორგანიზაციების შესაბამისი ვალდებულებების წარმოჩენას. იგი ყურადღებას ამასვილებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, როგორც განათლების უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულების, მე-13 და მე-14 მუხლების ბუნებასა და მნიშვნელობაზე. ნაშრომში განხილულია განათლების უფლების შინაარსი, განსაკუთრებული მახასიათებლები, სახელმწიფო ორგანიზაციების უფლების რეალიზებასთან და განათლების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები.

1. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის ფარგლები და მნიშვნელობა

საერთაშორისო ხელშეკრულებებში განათლების უფლებასთან დაკავშირებით ორი ასპექტის გამოყოფა შეიძლება, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებასთან. ერთი მხრივ, განათლების უფლების რეალიზება მოითხოვს ძალისხმევას სახელმწიფოს მხრიდან განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს პირის თავისუფლება, აირჩიოს საგანმანათლებლო დაწესებულება.⁶ ორივე ასპექტი მოცემულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად:

- „1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ლირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედით მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესაბარჩუნებლად.
2. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის:
 - ა. დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;
 - ბ. საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების

⁶ იქვე, 65.

გზით;

c. უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბარი, ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

d. ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისადაცვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებით დაწყებითი განათლების სრული კურსი;

e. აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერის სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.

3. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.

4. ამ მუხლის არც ერთი ნაწილი არ უნდა განიმარტოს, როგორც ხელის შემშლელი ცალკეულ პირთა და ორგანოთა თავისუფლებისათვის დააფუძნონ და მართონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პრინციპებისა და იმ მოთხოვნის თანახმად, რომ ასეთ დაწესებულებებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალურ სტანდარტებს.⁷

პაქტის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა, რომ ტერმინის - „აღიარება“ - გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება უფლების რეალიზაციის იდეას. პაქტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის პირველადი პროექტი არ მოიცავდა ამ სიტყვას, თუმცა მოგვიანებით ის დაემატა, რათა უფრო ძლიერი სამართლებრივი მნიშვნელობისა გამხდარიყო. ამ ტერმინის მნიშვნელობა 1951 წელს იუნესკოს წარმომადგენელმა განმარტა, რომლის მიხედვით, აღიარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა სახელმწიფოების ვალდებულებას, გაეკეთებინათ ყველაფერი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, თუმცა მიზნის მიღწევის დრო განსხვავდება თითოეული ქვეყნის სპეციფიკისა და არსებული პრობლემების გათვალისწინებით.⁸

ხელმომწერ სახელმწიფოთა ვალდებულება განათლების უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსხვავებულია პაქტის მე-13 მუხლის მე-2 (ა), მე-2 (ბ) და მე-2 (გ) პუნქტებთან მიმართებით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლების

7 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966 წ., მე-13 მუხლი.

8 Ph. Alston, G. Quinn, The Nature and Scope of State Parties' Obligations under International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Human Rights Quarterly, N9, 1987, 185.

განათლების უფლების დაცვა

გარანტიას. მაგალითად, ზარის ანგარიშის განხილვისას კომიტეტმა ცხადყო, რომ დაწყებითი განათლების საფასურის გადახდა ეწინააღმდეგება მე-13 მუხლის 2(ა) პუნქტის პრინციპს.⁹

კომიტეტი ზოგად კომენტარში განასხვავებს განათლების ოთხ ურთიერთ-დაკავშირებულ და არსებით მახასიათებელს¹⁰, კერძოდ:

- ა) არსებობას;
- ბ) ხელმისაწვდომობას;
- გ) მისაღებობას;
- დ) მისადაგება/გამოყენებადობას.

ზემოაღნიშნული ოთხი მახასიათებლის თანახმად, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები; თითოეული მათგანი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის; საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი უნდა იყოს საფუძვლიანი, მოქნილი, რათა მარტივად მოხდეს მათი ადაპტირება საზოგადოების საჭიროებებთან სპეციფიკური სოციალური თუ კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

პაქტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის დებულება, ერთი შეხედვით, სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევისგან დაცვას გულისხმობს, თუმცა ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „პატივისცემის“ ვალდებულება ასევე უნდა განიმარტოს პოზიტიური გაგებითაც. ეს დებულება არა მხოლოდ კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას შშობლების თავისუფლებაში, აირჩიონ საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს, აქტიურად დაიცვან შშობლების შინაგანი რწმენა/დამოკიდებულება ამ აჩჩევანის გაკეთების პროცესში.¹¹

განათლების თავისუფლების კიდევ ერთი ელემენტია ფიზიკური თუ იურიდიული პირების უფლება, შექმნან საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ თავისუფლების რეალიზება სახელმწიფოს შიდასამართლებრივი წესრიგის ფარგლებში ექვემდებარება მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც შეიძლება დადგენილი იყოს სახელმწიფოს მიერ.

2. განათლების უფლების ძირითადი ელემენტები

2.1. განათლების ხელმისაწვდომობა ყველასთვის

განათლების ხელმისაწვდომობა ყველასთვის პრაქტიკაში გულისხმობს არსებულ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე არადისკრიმინაციულ წვდომის უფლებას. მისი დარღვევაა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა კონკრეტული ეთნიკური, ლინგვისტური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ძალიან ხშირად გვხვდება ბოშა ბავშვების

9 Committee on Economic, Social and Cultural Rights, Report 12/1988/SR.19.

10 F. Coomans, Exploring the Normative Content of the Right to Education as Human Right: Recent Approaches, Persona y Derecho, N50, 2004, 68.

11 Kjeldsen, Busk Madsen and Pedersenv. Denmark, 7 December, 1976.

მიმართ განსხვავებული მოპყრობის ფაქტები.¹² გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული განათლება უნდა იყოს თანაბარი ხარისხისა საზოგადოების ყველა კგუფისთვის.¹³ ავღანეთში თალიბანის რეჟიმის დროს აიკრძალა ქალებისთვის ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების უფლების რეალიზება.¹⁴ მსგავსი შემთხვევები გვხვდება აფრიკის ბოგიერთი ქვეყნის სკოლებში, კერძოდ, ორსულ მოსწავლეებს არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება სკოლებში, რაც ბოტსვანის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დისკრიმინაციულად.¹⁵

2.2. უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლების უფლება

დაწყებითი განათლება იმდენად ფუნდამენტურია ადამიანის შესაძლებლობების განვითარებისათვის, რომ იგი სამართლიანად შეიძლება განისაზღვროს როგორც მინიმალური მოთხოვნა. ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ თავის მოსაზრებაში ხაზი გაუსვა, რომ დაწყებითი განათლების უფლება გაიგივებული შეიძლება იყოს სიცოცხლის უფლებასთან, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო.¹⁶

იუნესკოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, დაწყებითი განათლება, ჩვეულებრივ, იწყება 5-7 წლამდე და გრძელდება დაახლოებით 6 წელს.¹⁷ საბაზისო განათლების მიღება, ფორმალური საშუალებების გარდა, შეიძლება მოხდეს არაფორმალურ გარემოშიც, განსაკუთრებით ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობის დროს. ის უნდა იყოს მიმართული სოციალური უნარების განვითარებისკენ, ისეთი კონცეფციებისა და ღირებულებების სწავლებისკენ, რომლებიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26(2)-ე მუხლით და პაქტის მე-13 მუხლით. ინდოეთში არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური მუშაობისა და კვლევის ცენტრი“ (SWRC) მუშაობდა ინდოეთის სოფლების ყველაზე ღარიბ მოსახლეობასთან. ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ შექმნა მრავალი სკოლა, სადაც ბავშვები თავიანთ უფლებებს აცნობიერებენ სიმღერების და თეატრალური ღონისძიებების საშუალებით. სასწავლო გეგმა უქმნის მათ წარმოდგენას ენაზე, რელიგიასა და მათემატიკის საფუძვლებზე, საზოგადო მოღვაწეებსა თუ ეროვნული გმირების შესახებ.¹⁸

დაწყებითი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ეს უფლება მესამე პირების ხელყოფისგან. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს დაწყებითი განათლება, შეიძლება ახასიათებდეს როგორც ქმედების, ისე შედეგის

12 F.Coomans, Discrimination and Stigmatization Regarding Education: The Case of the Romani Children in the Czech Republic, in: Developmental and Autonomy Rights of Children: Empowering Children, Caregivers and Communities, Antwerpen, 2002, 225-250.

13 UNESCO Convention Against Discrimination in Education, 1960, Article 1(1).

14 Human Rights Watch, 1999 World Report at <http://www.hrw.org/worldreport99/women/women3html> [visited: 01.08.2021].

15 E. K. Quansah, Is the Right to Get Pregnant a Fundamental Right in Botswana? Journal of African Law39, 1995,97-102.

16 Unni Krishnan and Others v. State of A.P. and Others, 4 February,1993.

17 UNESCO Statistical Yearbook 1996.

18 J.C. Klotz, India: the Children's Republic, UNESCO Sources, No. 116, October 1999, 6.

ვალდებულებას.¹⁹ პაქტის მე-14 მუხლის თანახმად, ეს არის ქმედების ვალდებულება, რადგან ის გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს სავალდებულო დაწყებით განათლებას უფასოდ ყველასთვის; მეორე მხრივ, ის ასევე არის შედეგის ვალდებულება სწავლის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ცხადია, საკმარისი არ არის დაწყებითი განათლების მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა, აუცილებელია ოფიციალური სახელმწიფო უწყების არსებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს აღნიშნული უფლების ეფექტურად რეალიზაციას.

არსებობს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ბავშვების სკოლაში დასწრებაზე, რომელთა შორისაა სასკოლო მომსახურების არაადეკვატურობა, როგორებიცაა მანძილი საცხოვრებელ ადგილსა და სკოლას შორის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სანიტარიული საშუალებების არარსებობა. ამ ფაქტორებს შორის შეიძლება იყოს მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული მდგომარეობა. ეს მოიცავს ტრადიციულ დამოკიდებულებებს, რომლებიც განსაკუთრებით ამცირებენ ქალთა განათლებას.

პაქტის მე-13 მუხლი გულისხმობს უფასო დაწყებით განათლებას, რაც დაკავშირებულია ზოგიერთ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯთან, როგორებიცაა: სკოლის გადასახადი, სახელმძღვანელოების, კვების, ტრანსპორტის, სკოლის ფორმების, სამედიცინო მომსახურების ხარჯები და სხვ. სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან რესურსების პრიორიტეტულ განაწილებაზე, განსაკუთრებით დაწყებით განათლებასთან მიმართებით, რადგან ის არის პიროვნების და მთლიანად საზოგადოების განვითარების ფუნდამენტური საფუძველი. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი თავის განმარტებებში აღნიშნავს, რომ ძირითადად სახელმწიფოებს აკისრიათ განათლების უშუალო უზრუნველყოფა. იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ჯერაც ვერ ჩამოაყალიბეს სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლების სისტემა, არსებობს „ცალსახა ვალდებულება“, შეიმუშაონ დეტალური გეგმა, როგორც ეს გათვალისწინებულია პაქტის მე-14 მუხლით.

2.3. განათლების ხარისხი

განათლების უფლების კიდევ ერთი ძირითადი ელემენტი, რომელიც უფრო რთული შესაფასებელია, არის განათლების ხარისხი თითოეული ცალკეული საგანმანათლებლო დონისათვის. ხარისხის შეფასებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, როგორებიცაა: მოსწავლეთა ტესტების შედეგები, მასწავლებლების ძალისხმევა და მომზადების დონე, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და ა.შ. განათლების ხარისხი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტებს განათლების მიზნებთან დაკავშირებით; ხარისხის დონეს განსაზღვრავს ეროვნული საგანმანათლებლო ორგანოები და ზედამხედველობას უწევს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ერთეული.

19 F. Coomans, Exploring the Normative Content of the Right to Education as Human Right: Recent Approaches, Persona y Derecho, N50, 2004, 83.

2.4. განათლების თავისუფალი არჩევანი

განათლების უფლების რეალიზება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ან მესამე პირის ჩარევის გარეშე. ეს ელემენტი დაირღვევა, თუ სახელმწიფო პატივს არ სცემს მშობლების თავისუფალ არჩევანს შვილების რელიგიურ სწავლებასთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ობიექტური და პლურალისტური სასწავლო გეგმა და თავიდან აიცილოს ინდოქტრინაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის²⁰ განმარტება უნდა მოხდეს ევროპული კონვენციის მე-8²¹, მე-9²² და მე-10²³ მუხლებთან მიმართებით.²⁴

მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს სკოლების მხოლოდ შეზღუდული არჩევანი. სახეზეა მხოლოდ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რადგან კერძო სასწავლო დაწესებულებები გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს კი არ აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ფინანსური დახმარება კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ. თუ ამას სახელმწიფო ახერხებს, ეს უნდა მოხდეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე.²⁵

2.5. განათლების მიღების უფლება ბენეფიციარის სასურველ ენაზე

განათლების უფლებასთან დაკავშირებით სადაცო თემაა, მოიცავს თუ არა ეს უფლება ბენეფიციარის არჩევანს - აირჩიოს განათლების მიღების ენა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „განათლების უფლება უაზრო იქნებოდა, თუ ის არ იგულისხმებდა თავისი ბენეფიციარების სასარგებლოდ სახელმწიფო ენაზე ან ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე განათლების მიღების უფლებას.“²⁶ სახელმწიფო განსაზღვრავს, უნდა იყოს თუ არა კონკრეტული ენა სწავლების საშუალება. გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინდივიდს არ შეუძლია, მოითხოვოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლების უფლება საკუთარი არჩევანის ენაზე; მეორე მხრივ, დადგნილია, რომ სახელმწიფომ პატივი უნდა სცემს პირთა თავისუფლებას, ასწავლონ, მაგალითად, უმცირესობათა ენა იმ სკოლებში, რომლებიც მათთვის შეიქმნა. ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა დაუშვას ამ ენის გამოყენება სწავლების ერთადერთ საშუალებად; ეს იქნება დამოკიდებული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. როგორც მინიმუმ, სახელმწიფოებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ეროვნულ, ეთნიკურ ან ენობრივ უმცირესობათა წევრების უფლებას, ისწავლონ

20 განათლების უფლება.

21 პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

22 აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

23 გამოხატვის თავისუფლება.

24 *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, 7 December, 1976.

25 *Arieh Hollis Waldman v. Canada*, U.N. Doc. CCPR/C/67/D/1996, 3 November, 1999 <https://juris.ohchr.org/Search/Details/839> [visited: 01.08.2021].

26 Belgian Linguistic Case., 23 July, 1968.

მშობლიურ ენაზე საჯარო განათლების ოფიციალური სისტემის გარეთ არსებულ დაწესებულებებში. ამ დაწესებულებების დაფინანსების არანაირი სახელმწიფო ვალდებულება არ არსებობს.²⁷

2.6. განათლების უფლება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის

განათლების უფლების სოციალური განზომილების კიდევ ერთი ელემენტი ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს სპეციალური ღონისძიებები ან უზრუნველყოს სპეციალური საშუალებები იმ პირთათვის, რომლებსაც, გარკვეული საჭიროებების გამო, სხვაგვარად არ ექნებათ განათლებაზე წვდომა.

ევროპის ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების ეტაპზე. შვედეთში, ესპანეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნებულია ინკლუზიის პრინციპზე, რის შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უმეტესი ნაწილი ვანათლებას ე.წ. რეგულარულ სკოლებში (იგულისხმება ზოგადსაგანმანათლებლო ჩვეულებრივი სკოლები) იღებს. მაგალითად, შვედეთში ბავშვების მხოლოდ 1.7% იღებს განათლებას სპეციალურ სკოლებში.²⁸

ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ასევე არსებობს სპეციალური სკოლებიც, რომლებიც გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, როდესაც მოსწავლეს, სერიოზული სახის დარღვევიდან გამომდინარე, არ შეუძლია განათლების რეგულარულ სკოლაში მიღება. ამ შემთხვევაში, ფასდება მოსწავლის შესაძლებლობები. პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური შეფასებების საფუძველზე წყდება საკითხი მისი სპეციალურ სკოლაში მიღების შესახებ.²⁹

ინკლუზიური განათლების შესაძლებლობის გარდა, სახელმწიფოები მიმართავენ სხვა მხარდაჭერ ღონისძიებებს განათლების უფლების ეფექტუანად უზრუნველსაყოფად. შშმ მოსწავლეები ხშირად სარგებლობენ უფასო სასკოლო ტრანსპორტით. ავსტრიაში შშმ მოსწავლეებს, რომელთაც სკოლაში სიარული-სათვის პირადი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, გამოეყოფათ ასისტენტები, რომელთა მოვალეობაშიც შედის მათთვის მხარდაჭერის აღმოჩენა.

ევროპის ქვეყნებში ხშირად ვხვდებით სპეციალურ კურიკულუმებს, რომლებიც ითვალისწინებენ სპეციალურ სასწავლო მეთოდოლოგიას, მათ შორის: ბრაილის შრიფტს, ტაქტილურ სენსორულ სტიმულაციას, სივრცესა და დროში ორიენტაციის, ჟესტების ენისა და ალტერნატიული კომუნიკაციის სისტემებს.

27 International Covenant on Civil and Political Rights, 1966, Article 27; Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, 1992, Article 4; Framework Convention for the Protection of National Minorities, 1994, Articles 12-14.

28 ნ. გურული, შშმ პირთა განათლება ევროპაში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2013, <https://socialjustice.org.ge/ka/products/nino-guruli-shshm-pirebis-ganatleba-evropashi> [01.08.2021].

29 იქვე.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა განათლების უფლების ნორმატიული შინაარსის უფრო დეტალურად ინტერპრეტირებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა. აუცილებელია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ამ უფლების მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში განხილვა არ არის საკმარისი, რადგან თავისი შინაარსით ის სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის ობიექტიცაა.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და მათი დაცვის მინიმალური ვალდებულებების ძირითადი ელემენტების ძიება, უპირველეს ყოვლისა, ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება, კერძოდ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმების დაზუსტება, რათა სახელმწიფოებს განემარტოთ მათ მიერ ნავისრი ვალდებულებები; ასევე მონიტორინგის ორგანოების ეფექტიანი მუშაობა არსებული დარღვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოსწორების გზების ძიებისთვის.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში უფლებებისა და მოვალეობების დაზუსტება ხელს შეუწყობს ამ უფლებების საჭიროების დასაბუთებულობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

განათლება უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური უფლებაა, იგი გვევლინება როგორც სახელმწიფოთა გრძელვადიანი ინვესტიცია და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართული მექანიზმი. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველასათვის თანასწორი და სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა, ამისათვის კი უნდა შექმნან შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემები და კანონმდებლობა შეუსაბამონ საერთაშორისო სტანდარტებს.

ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთ საზომად ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხარისხი გვევლინება. შესაბამისად, განათლების უფლების დაცვის სტანდარტებიც იმ სახელმწიფოებშია მაღალ დონეზე, რომელთა დემოკრატიულობის ნიშნულიც უფრო მაღალია. ამ დებულებაზე დაყრდნობით, მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე ხარვეზების აღმოფხვრა შედეგს ვერ მოიტანს, თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იქნება შესაბამისი.

განათლების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებების რეალიზებასთან და, ხშირ შემთხვევაში, არის პირდაპირი წინაპირობა მათი განხილვისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა სათანადო პირობები შექმნან, რათა ბენეფიციარებმა შეძლონ განათლებისა და სხვა ფუნდამენტური უფლებებით ეფექტიანად სარგებლობა.

ავტორთა შესახებ

თამარ ავალიანი – სამართლის დოქტორი; კონსტიტუციონალისტი და ადამიანის უფლებათა სამართლის სპეციალისტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; სახალხო დამცველის „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ წევრი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი საერთო სპეციალიზაციით და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიცენზირებული ადვოკატი.

ლევან ალაფიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

მარიამ ბალავაძე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის გამოძიების ხარისხის ანალიზისა და შეფასების სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი.

გაგა თუთარაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრი; საჯარო სამართლის, პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის საკითხების მკვლევარი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი.

გია მარკოძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი; შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი.

ვახტანგ ნოღაიძელი – სამართლის ბაკალავრი (თსუ); სამართლის მაგისტრანტი (თსუ); სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალისტი (იურისტი).

ირაკლი პაპავა – თსუ-ის მაგისტრი; საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი.

ივიკო ხავთასი – თსუ-ის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

ნანა შამათავა – თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი; საკონსტიტუციო

სამართლის მაგისტრი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი), იურისტი (ტელეკომპანია „მთავარი არხი“)

რევაზ ხოფერია – სამართლის დოქტორი (Summa Cum Laude, თსუ), LLM (ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანული სამართლის მაგისტრი, Ausgezeichnet), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი.

დავით ხურციძე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი.

გიორგი ჭანჭალაშვილი – ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრი (სამართალმცოდნე).

მარიამ ჯიქია – სამართლის დოქტორი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით წინა წლებში გამოცემული სტატიათა პრეპულები:

- ადამიანის უფლებათა ევროპულისტანდარტებიდამათიგავლენასაქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2006 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (2007 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები (2009 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები (2010 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (2011 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (2012 წელი);
- ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (2013 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში (2014 წელი);
- ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2015 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (2016 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში (2017 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა (2018 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები (2019 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია (2020 წელი).

სტატიათა კრებულის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე.

KAT



ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მინინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროპის კავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმ სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონცენტრაციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამოიწულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზრუნველყობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონცენტრის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

ევროკავშირის წევრისა
სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს,
ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი
ნოუ-ჰაუ, რესურსები და ბეჭი. ერთად,
მათ ააშენეს სტაბილურობის,
დემოკრატიისა და მდგრადი
განვითარების ზონა და, ამასთანავე,
შეიძარჩენ კულტურული
მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და
ინდივიდუალური თავისუფლებები.
ევროკავშირი მზადა, საკუთარი
მიღწევები და ღირებულებები
გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს
მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu